# გზა

N42 (488)
1 ლარი
15/X-21/X-2009

## გაუხმაურებელი ფაქტები



სტალინის დედის უცნობი დღიური



„ჩემთან ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონით შეიძლება“

რა ტვირთი აჰკიდეს კისერზე ირაკლი კაკაბაძეს

„მართლა შემეშალა“ ჭოლას აღსარება

თავისუფლებისმოყვარე კრისტი: „ისევ მეორე ქორწინებაში ვიმყოფები“...



რისი შანსი აქვს ავთო ცქვიტინიძეს



„სენსაციური მასალის გამო შეიძლება, გარისკო და საფრთხე შეუქმნა საკუთარ თავს“



დიდი არტისტი, რომელმაც შვილს მის კვალზე დადგომა აღუკვეთა

ISSN 1987 - 5029

## ერაყში გათხოვილი ქართველი ქალის თავგადასავალი

**MS**
**მიმზიდველი**

მჭირდება!!!

**ბიბლუსი**
Books

ცნობილი ადამიანები სტუმრად „ბიბლუსში“
ყოველ შაბათს 14-დან 16 სთ-მდე
(რუსთაველის 40/1)

ცნობილი პიროვნებები,
მწერლები,
პოლიტიკოსები,
მეცნიერები,
სპორტსმენები,
მსახიობები და სხვები...



17 ოქტომბერს წიგნების შერჩევაში დავით ტურაშვილი დაგეხმარებათ და უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

## ქვეყანა





### „გამარჯობა, „სოლნეჩნაია გრუზია“

„რუსეთი მზად არის, დღესვე დატოვოს ევროსაბჭო. ამ ორგანიზაციიდან სარგებელს ვერ ვიღებთ, მაგრამ ევროპელი პარტნიორები გვეხვეწებიან (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!..), არ დატოვოთ ეს ორგანიზაციაო. ჩვენთან ყოფნით ისინი მოგებული რჩებიან — როგორც პარტნიორებს, შეღავათებს ვუწევთ...“

6

№42 (488)
15 - 21 ოქტომბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
სამტომეულის პრეზენტაცია და „ტენდერში მოგებული“ დისპენსერები

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ინფორმაცია 7

■ პოლიტიკა 9

■ მადლი 11
„მე მინდა, მქონდეს თბილი სახლი...“

■ კონფლიქტი 13
„გამარჯობა, „სოლნეჩნაია გრუზია“

■ დაიჯესტი 16

■ ფსიქოპორტრეტი 19
...თავისუფლებისმოყვარე კრისტი

■ ეკრანს მიღმა 21
განახლებული სერიალი, სეზონის დასაწყისი და „დაქოქილი“ იუმორისტები

■ ქიური 23
...ჭოლას აღსარება

■ სცენა 25
...გამოჩორკნილი გიტარა და „კოლჰოტის წვნიანი“

■ კულისები 27
„ქლაბ-შოუს“ „სქელი“ მოცეკვავე

■ დიზაინერი 29
„თუ ქალების გულებს დაიპყრობ, მაშინ გაქვს რაღაცის შანსი“

■ ვარსკვლავები 30

■ ბედი 33
ერაყში გათხოვილი ქართველი ქალის ამბავი

■ თემა 35
როცა განქორწინება სიკეთის მომტანია...

■ თქვენთვის, ქალბატონებო! 37

■ უშიშროების არქივიდან 39

## სახე





### „დაქოქილი“ იუმორისტები

„ახალ პროექტებს რაც შეეხება, გვემატება „ნანუკას შოუ“, რომელზეც ნანუკა ჟორჟოლიანთან ერთად, ჩვენც ვმუშაობთ. ასე რომ, ამ შოუს გარკვეული ტვირთი ჩვენს კისერზეცაა“.

19



## ცხოვრება

### ერაყში გათხოვილი ქართველი ქალის ამბავი



„ღამღამობით რადიომიმღებს ვრთავდი და ვინაიდან თბილისს არ იჭერდა, მოსკოვს ვუსმენდი. ჩემი საქართველო მახსენდებოდა და ვტიროდი, შინ მინდა-მეთქი. შემდეგ ომი დაიწყო...“

33

## გზავნილები



„16 წლის იყო, გოგონა — 15-ის. ბიჭი ბებიასთან ისვენებდა, გოგო სტუმრად იყო ჩასული. ერთ დღეს იგრძნო, რომ სული აუფორიაქდა, მერე კი საერთოდ დაკარგა მოსვენება. ეშინოდა საკუთარი თავის, გრძნობების, იმის, რომ იქნებ აზრიც არ ჰქონდა ამ ყველაფერს“.

85

ემიგრანტი 42
ქართველი წარმატებული ქირურგი
ოსტატი 43
სენი, რომელიც შესაძლოა, როკმუსიკამ დაგმართოს
ავტო 44
საკითხავი ქალებისათვის 46
ეს სამყაროა 48
ტაძარი 50
პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება
ანტიდეპრესანტი 52
ჯანმრთელობა 52
საქმე 55
„თბილისური მონმარტრი“ და უფულო ქალაქელები
შთამომავლობა 57
პირველობით გამორჩეული აბაშიძეები
კოლორიტი 59
...„დიდი პედაგოგიური საბჭოს“ ამბავი
კოლეგა 62
„სენსაციური მასალის გამო შეიძლება, გარისკო“...
თინეიჯერული პონტები 64
ასაკი და სიყვარული
გულახდილი დღიური 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
ქართული დეტექტივი 70
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
მინირომანი 74
წინასწარმეტყველება
დოკუმენტური პროზა 76
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
რომანი 78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)
გზავნილები 85
ყველა ერთისათვის 90
მობილი-ზაცია 92
გონიერი მკითხველი 96
მოზაიკა 97
ერუდიტი 100
ყოფილი „პოეტის“ წიგნიერება
გასართობი 102
ასტროლოგია 104
სკანვორდი 105
საფირმო კროსვორდი 106



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

**დიზაინი:** ნანა გიგოლაშვილი
**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ირმა ლიპარტელიანი, ლუკა ჟორჟოლიანი
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# მინის ნამსხვრევები და გიტარომანია

„მიმუშავია კაფელისა და პარკეტის დაგებაზე, სხვადასხვა სახის ავეჯიც დამიმზადებია — ძირითადად, კარადებს ვაკეთებ, მაგრამ სიამოვნებას მხოლოდ გიტარაზე მუშაობის პროცესი მანიჭებს“.

43

## ადამიანი



# „დიდი პედაგოგიური საბჭოს“ ამბავი

„ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩემს ცხოვრებაში ზვიად სპასალარის როლი გახლდათ — რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის „დიდოსტატის მარჯვენაში“. იცით, რა თქვა ბატონმა ვახტანგმა?
— ჯუანშერ ჯურხაძის სპასალარის გარეგნობაში საქართველოს ძლიერება იკითხებაო“.

55

## ბიბლუსი





— რა მოხდა? — გიორგი სწრაფად მიუახლოვდა კართან მდგომ სანიტარს.

— ეეჰ, — უპასუხა მან, — რამდენი წელია, აქ ვმუშაობ და მაინც ვერ შევეჩვიე: ქალი კვდება.

— კილაძე?! — სუნთქვა შეეკრა გიორგის.

67

## ტაიმ-აუტი



# გიგანტური ბაყაყი

ნამიბიაში გიგანტური ბაყაყის ხორცი დელიკატესად მიიჩნევა. არ მიირთმევენ მის შიგნეულობას, რადგან ის შხამს შეიცავს და შეუძლია, ადამიანს ღვიძლი დაუზიანოს. გიგანტური ბაყაყი საფრანგეთში ძალიან პოპულარულია და მის ხორცს ქათმისას ადარებენ.

97



# სამტომეულის პრეზენტაცია და „ტენდერში მოგებული“ დისპენსერები

## შესავლის ნაცვლად

არ ჩანს, არ ჩანსო... დაერხაო... მაგისი დრო წავიდაო... ვერ მივართვით ავის მოსურნეებს — თურმე, ეს ჩვენი შალიკო ნათელაშვილი იჯდა, სამტომეულს წერდა და პრეზენტაციაც მოაწყო. სამტომეულს ეწოდება: „ბუშის თანამებრძოლთა: დიკ ჩეინის, ფრიდის, ბრუს ჯეკსონის, ბრაიზას და სხვათა დანაშაული ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაში“ (სიტყვასიტყვით ჩავიწერე)! ახლა ამ სამტომეულს ობამას გავუგზავნი, ამ საქმეზე საგანგებო პროკურორს დავანიშნინებ და მერე ნახონ ბუშმა და მისმა დამქაშებმაო (მართლა, ბრუს ჯეკსონი ვინ არის?). სხვათა შორის, იმავე პრეზენტაცია-პრესკონფერენციაზე „ვარდების გადატრიალების“ (ასე უწოდა) ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც გაგვიმხილა: ბუშის ადმინისტრაციის მთავარი მიზანი ჩემი სათავეში არმოსვლა იყო და გადატრიალება ამიტომ მოაწყობინა ზემოთ ჩამოთვლილ კრიმინალებს, სოროსსაც ამიტომ დაახარჯვინა ბევრი მილიონიო!.. არადა, ყველაზე მეტად, რა მხიბლავს ამ ადამიანში, იცით (შალიკოს ვგულისხმობ, სოროსს კი არა)? რა და, თითქმის დარწმუნებული ვარ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი გამომეტყველება აქვს ხოლმე), რომ რასაც ამბობს, სჯერა!!! ანუ სჯერა, რომ ბუშმა მაგის სახელი იცის... შალვა, შე ბედნიერო!..



ნახეთ, მთელი აბზაცი „მივუძღვენი“ შალვა ნათელაშვილს. რას ნიშნავს ეს, იცით? იმას, რომ სალაპარაკო აღარაფერია და ჩემი „პროვოკაციები“ მალე არაფრისმთქმელ, უფუნქციო და უკბილო პასკვილებად გადაიქცევა... აბა, რა უნდა ვთქვა ახალი? ისევ 2 წლის წინ გამოჭყლეტილ ჩერნოგორიის ნაკრებთან წაგება, ისევ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა“ მხოლოდ სიტყვით და მხარზე ხელის ტყაპუნით, ისევ ის შინაგან საქმეთა მინისტრი, ისევ ის — „ისტორია ჩვენით იწყება“, ისევ ის ოპოზიცია, ისევ ის ესტრადა, ისევ ის მეზობლები... ჰო, მართლა, ჩვენს მეზობლად რაღაცები ხდება: სომხები და თურქები შერიგებასავით რაღაცას აპირებენ და მე უკვე კომპლექსი ჩამომიყალიბდა — თუ ვიღაც რაიმე სარგებელს ნახულობს ამ რეგიონში, მგონია, რომ ეს საქართველოს ხარჯზე ხდება... ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!..

ქართველ ე.წ. „შოუმენებზე“ წაიღადავებდა კაცი, მაგრამ ღმერთმა იცის, მერე ვის სად და რის მინისტრად დანიშნავენ და ვინ სად „დამიპადიეზდებს“: წინა ხუთშაბათს ერთი ყოფილი „შოუგერლი“, ამჟამად, სამინისტროს ფუნქციონერი ვახსენე, პრესაში მასზე გავრცელებულ ჭორთან დაკავშირებით, და ისე ეწყინააა...

მასაც და მასავით „ს კარაბლია ნა ბალ“ მოხვედრილებსაც მინდა მოვახსენო: თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ თქვენ გქვიათ „საჯარო მოხელეები“ და თქვენი ყველა საქციელ-საქნარი „საჯარო მსჯელობის“ საგანი შეიძლება გახდეს.






სხვათა შორის, ეს სატირულ-იუმორისტული გვერდია და თანაც, „პროვოკაციული“, ამიტომ ხშირად რომ კითხულობდეთ და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც „კეთილისმყოფელი“ დაგირეკავთ — ნახსენები ხარო, — მაშინ გეცოდინებოდათ, რომ თუკი პრეზიდენტი არ ბრაზდება (აი, დარდი, თუ გაბრაზდა!), როდესაც „კარლსონს“ ვუწოდებ და მერაბიშვილი არ მიგზავნის „ოურის ბიჭებს“, როდესაც არცთუ ლამაზი ეპითეტებით ვამკობ, როდესაც „ოპოზიციის რაინდები“ არ მწერენ „ერის მოღალატეთა სიაში“ და როდესაც თვით შალიკო არ ჩივის ობამასთან, ჩემი და ბუშის დანაშაულებრივი კავშირის გამო, ასეთი ამბები არც თქვენ უნდა მიიტანოთ გულთან ახლოს — ახალგაზრდა ხართ, გული გეტკინებათ... სამინისტროში წყლის დისპენსერები ხომ დგას? იქნება, აბა, რა! ვინმე შინაური „მოიგებდა ტენდერს“ და ალბათ, შემოაქვს ლიტრი წყალი ლარ-ნახევრად...

**P.S.** არ ვიცი, რა ვქნა, პოსტსკრიპტუმში ანეკდოტი შემოგთავაზოთ თუ „ტელეიმედიდან“ გამოსული მაგარი ამბავი... ისევ ეს სჯობს, ვიდრე „დაძველდება“: გიორგი არველაძე (დიახ, სწორედ „ის“) დირექტორობას არ სჯერდება და ტელეწამყვანობასაც აპირებს!!! როდის გავა გადაცემა ეთერში, ეს ჯერჯერობით არაა ცნობილი, მაგრამ ბოლო ინფორმაციების ანალიზზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ოჯახური ბიზნესის“ ამბავში (მისი მეუღლე პროდიუსერიაო), „საუბრები სექსზე“ მხოლოდ ქალი-წამყვანის ამარა არ იქნება...

**P.P.S.** ასე თუ გაგრძელდა, მაგარი იქნება: ბენდუქიძე — გადაცემა „გურმანის“ წამყვანი; ხაჩიძე — ის ისედაც, „მწვანე მიკროფონს“ უზის რადიოში; ბურჯანაძე — „ვის უნდა ოცი მილიონი“; ზურაბიშვილი — „კარაოკე კლუბი“; მერაბიშვილი — „ფარული კამერა“; რურუა — „საფეხბურთო ღამე“; იაკობაშვილი — „ზღაპრების გუდა“...

*პროვოკატორი*

## ამერიკაში ლეონარდო და ვინჩის უცნობი ტილო აღმოაჩინეს



ოქსფორდის ხელოვნების ისტორიის პროფესორი, მარტინ კემპი ამტკიცებს, რომ მან ლეონარდო და ვინჩის აქამდე უცნობი ტილო აღმოაჩინა. კემპის თქმით, მულტისპექტრულმა ანალიზმა უჩვენა, რომ სურათის ზედა მარცხენა კუთხეში აღმოჩენილი ანაბეჭდი სარწმუნოა და ის „წმინდა იერონზე“ აღმოჩენილი ანაბეჭდების იდენტურია. „წმინდა იერონი“ იტალიელმა მხატვარმა 1481 წელს ანუ მაშინ შექმნა, როდესაც ჯერ კიდევ უცნობი იყო და ასისტენტების დახმარებით არ სარგებლობდა. ■

## „ალ-ქაიდამ“ ფრანგი ფიზიკოსი ტერორისტულ საქმიანობაში ჩაითრია

32 წლის ფრანგმა ფიზიკოსმა აღიარა, რომ „ალ-ქაიდას“ სამხრეთ აფრიკის დაჯგუფებასთან მიმოწერას ინტერნეტის საშუალებით აწარმოებდა. ის პოლიციამ საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში დააკავა და ამჟამად, პარიზში იმყოფება. გავრცელებული ინფორმაციით, ფიზიკოსი საკუთარ ცოდნას ტერორისტული მიზნების განსახორციელებლად იყენებდა. ■

## 50 წლის ინგლისელმა ექიმები შოკში ჩააგდო



ბრიტანეთის ერთ-ერთ საგრაფოში მცხოვრებ გორდონ მური ავტოკატასტროფაში მოყვა. მას თავის ქალის ძვალი საოცრად დამსხვრეული ჰქონდა და ექიმები იძულებულნი გახდნენ, მის ნაცვლად მეტალის ფირფიტა ჩაედგათ. დროთა განმავლობაში მეტალის ქვეშ ახალი ძვალი გაიზარდა. ამ ამბავში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, გორდონი ბავშვი რომ ყოფილიყო, რადგან მოზარდებს ისედაც უვითარდებათ და ეზრდებათ ძვლები, ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში კი მსგავსი რამ ჯერ არ მომხდარა. ■

## „მის ინდონეზიას“ თანამემამულეები ემუქრებიან



ინდონეზიის პროვინცია აჩეხის მუსლიმანი სასულიერო პირები იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ აღნიშნული რეგიონის სახელით, „მის ინდონეზიის“ სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, 18 წლის კორი სანდიორივა საზოგადოების წინაშე თავსაფრის გარეშე წარდგა. აჩეხები მიიჩნევენ, რომ სანდიორივამ უღირსი ქმედებით თანამემამულეები შეურაცხყო. ■

## „განაჩენი“ მოჩხუბარი წყვილებისთვის

მალაიზიის ერთ-ერთი შტატის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ წყვილები, რომლებიც გაყრას აპირებენ, მოკლევადიან უფასო საქორწინო მოგზაურობაში გაუშვან. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის, თერენგან აშარ იდრისის თქმით, გაყრის ზღვარზე მყოფ წყვილებს შტატის ყველაზე თვალწარმტაც კურორტზე 3 დღით გაგზავნიან. ამ პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა, განცხადების დაწერის შემდეგ, ოჯახური პრობლემებით დაკავებულ ფსიქოლოგთან გასაუბრება უნდა გაიარონ. ■



## არნოლდ შვარცენეგერი „ცისფერებს“ გულშემატკივრობს

კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა გეი პოლიტიკოსის, ჰარვი მილკის დღე დააწესა. ხელმოწერილი კანონის თანახმად, ამიერიდან კალიფორნიის შტატი მილკის დაბადების დღეს ყოველ წელს, ოფიციალურად აღნიშნავს, მაგრამ ზეიმი დასვენების დღედ არ გამოცხადდება. ჰარი სახელმწიფო მოხელეთა შორის პირველი გახლდათ, ვინც საჯაროდ განაცხადა, რომ არატრადიციული ორიენტაციის იყო. ■

# ქვეყანა

## 3000 წლის წინანდელ სამარხში მარანი აღმოაჩინეს



სამარხი, სადაც მარანს მიაკვლიეს, დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილში, ე.წ. ნაქულბაქევის ტერიტორიაზე მდებარეობს. იქ აღმოჩენილ ნივთებს უახლოეს მომავალში თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში გადაიტანენ, სადაც დედაქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილი 10 ათასზე მეტი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ექსპონატი ინახება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სამხედრო გზის გაფართოების დროს დაიწყო. მაშინ იქ შუა საუკუნეების ხანის ნასახლარის ნაშთები და გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის სამარხები აღმოჩნდა. არქეოლოგების თქმით, ნაქულბაქევი ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ადგილია. დიდი მცხეთის აღმოსავლეთის კარიბჭე სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქვეა აღმოჩენილი რომის იმპერატორის, ვესპასიანეს წარწერა (ახ.წ. 75 წელი). ნაქულბაქევზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს, რომ აღნიშნული ტერიტორია სავაჭრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა. ■

## ავსტრიაში ქართველები უმოწყალოდ სცემეს

ავსტრიის ლტოლვილთა ბანაკში ქართველებსა და ავღანელებს შორის შეტაკება მოხდა. ავღანელებმა პროტესტი იმის გამო გამოთქვეს, რომ ერთ-ერთ ქართველ მამაკაცს გული აერია. ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირება ბანაკის ხელმძღვანელობამ მალევე ჩაახშო, მაგრამ ღამით, რკინისა და ხის ხელკეტებით შეიარაღებული 80-მდე ავღანელი მძინარე ქართველებს თავს დაესხა და უმოწყალოდ სცემა. 10 ქართველი მძიმედ დაშავდა. ამჟამად ისინი „წითელი ჯვრის“ საავადმყოფოში იმყოფებიან და მკურნალობის კურსს გადიან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ავსტრიის პოლიცია მომხდარი ინციდენტის გამოძიებას ჩაატარებს და დამნაშავეებს სათანადოდ დასჯის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავღანელებსა და ქართველებს შორის მსგავსი დაპირისპირება ადრეც არაერთხელ მომხდარა. ■

## ტერორისტი ქართველები თუ ინტრიგანი რუსები?



რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა, ალექსანდრ ბორტნიკოვმა განაცხადა, რომ ქართული სპეცსამსახურები „ალ-ქაიდას“ ქსელის წარმომადგენლებს ჩეჩნეთში ტერორისტების გადაყვანასა და დაღესტნისთვის იარაღის მიწოდებაში ეხმარებიან; ისინი გამუდმებით ცდილობენ, დაღესტანში „მაღალი საფრთხის ობიექტებზე“ დივერსიის განსახორციელებლად, იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ფინანსური სახსრების გაგზავნასო. უშიშროების შეფის განმარტებით, „მაღალი საფრთხის ობიექტების“ რიგს ნავთობისა და გაზის მილსადენები განეკუთვნება. პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ამ ბრალდებას აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ ასეთი პროპაგანდა ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის მხრიდან მორიგ პროვოკაციას წარმოადგენს. ამ მოსაზრებას იზიარებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე: „რუსეთს სურს, საქართველო, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უკანონო ქმედებებაში მუდმივად ეჭვმიტანილად წარმოაჩინოს. „ალ-ქაიდას“ ემისრების დახმარებაში თბილისის დადანაშაულებაც ამ სქემაში ჯდება და პიარტექნოლოგიის ნაწილს წარმოადგენს“, — აღნიშნავს არეშიძე და დასძენს, რომ საქართველოს მაინცდამაინც ამ „ცოდვაში“ შემთხვევით როდი ადანაშაულებენ: „რატომ „ალ-ქაიდა“?.. იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია ამერიკის სპეცსამსახურების მიერაა შექმნილი. მოსკოვს სურს, შექმნას ილუზია, რომ საქართველოში მყოფი ამერიკელი ინსტრუქტორები ცდიან მებრძოლებს, რომლებსაც შემდგომ, ჩრდილოეთ კავკასიაში გზავნიან“. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს „ალ-ქაიდასთან“ არანაირი შეხება არ აქვს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ბორტნიკოვმა ვერც ერთი ემისრის ვინაობა ვერ დაასახელა. ■

# „მიწაზე მოარული წმინდანი იყო...“



„მერაბი ჩემთვის მიწაზე მოარული წმინდანი იყო. ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა, მისი აზრი გამეთვალისწინებინა. ამქვეყნიური გოლგოთა ისე გაიარა, ერთი საყვედურიც არ დასცდენია. საოცრად მტკიცე ბუნების ადამიანი იყო...“ — ამ სიტყვებით, მერაბ კოსტავას მისი გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ, ლუიზა შაკიაშვილი იგონებს და სოფელ ბორითთან მომხდარ იმ უბედურ შემთხვევას იხსენებს, რომლის შედეგადაც საქართველომ დიდი მამულიშვილი და შეუპოვარი მებრძოლი დაკარგა.

— მერაბის დაღუპვაში ბევრი, თამრიკო ჩხეიძეს ადაშაულებდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის არაფერ შუაშია... საჭესთან სწორედ თამრიკო იჯდა. მერაბი, თამრიკო და ზურა ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებთან შესახვედრად ქუთაისში მიდიოდნენ. ავარია აშკარად მოწყობილს ჰგავდა. თამრიკომ კარგად ვერ გაარჩია — მის წინ მუქი ფერის ცხოველმა გადაირბინა თუ ვინმემ საბურავი ჩამოაგორა ფერდობიდან... როდესაც ეს უბედურება მოხდა, მე ჩემი მეგობრის, ნელი გაბრიჩიძის სახლში ვიმყოფებოდი. ყველანი კინოს სახლთან შევიკრიბეთ. არ ვიცი, რამ გადამრია, მაგრამ მეგრელი ქალივით ხმამაღლა კივილი მოვრთე: ვაიმე, უბედურო, დაღუპული საქართველო-მეთქი!.. მე და მერაბს უჩვეულო მეგობრობა გვაკავშირებდა. ჩემი გაცნობა ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როდესაც მე, თამრიკო ჩხეიძე, ნანა კაკაბაძე, მარიკა ბალდავაძე და ირაკლი წერეთელი ციხეში ვისხედით. გაცნობის დღიდან გვერდიდან აღარ მოვშორებივარ... სულ იმის შიში მქონდა, რომ მოკლავდნენ. ამის მცდელობა საკმაოდ ხშირი იყო. ერთხელ წალკაში მივდიოდით. მერაბს თავისი მოხუცი ბერძენი მეგობრის ნახვა უნდოდა. საჭესთან ისევ თამარი იჯდა. გზაში შემოგვაღამდა. ერთ ადგილას, სადაც ცალ მხარეს ციცაბო კლდეები იყო, მეორე მხარეს კი — უზარმაზარი ხრამი, საპირისპირო ზოლიდან მანქანა პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა და კინაღამ დაგვეჯახა. თამრიკომ იმარჯვა და გვერდი აუარა. ბეწვზე გადავრჩით. მერე გზაში ვხუმრობდით, მე ვამბობდი — ის მანქანა რომ დაგვჯახებოდა, საქართველოს სუკ-ი რას გაიხარებდა! — ერთი ხელის მოსმით, 4 ყოფილ პოლიტპატიმარს მოიშორებდა-მეთქი... სხვათა შორის, წალკის გზაზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ სულ რაღაც 2 თუ 3 თვეში მოხდა ის საბედისწერო ავარია, რომელსაც მერაბის სიცოცხლე შეეწირა. ფაქტია, რომ მანქანა შემთხვევით არც წალკის გზაზე გვეჯახებოდა... ■



# ამერიკა — საქართველოს მეგობარი თუ რუსეთის პარტნიორი?!



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა მოსკოვში ვიზიტის დროს, რუს კოლეგასთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ ქართველ ხალხს შეუძლია, აშშ-ის სამხედრო დახმარების იმედი ჰქონდეს, ვაშინგტონი საქართველოსთან თანამშრომლობაზე უარს არ იტყვის, მაგრამ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების ამ ქვეყანაში განთავსებას არ აპირებს. სახელმწიფო მდივნის თქმით, მისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული საკითხი რუსეთს ძალზე აწუხებს, აშშ-ს კი დაძაბულობის მოხსნა სურს. „ამერიკას სურს, რუსეთთან ერთად ააშენოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, რომელიც შეძლებს როგორც ამერიკელი, რუსი ხალხების, ასევე ევროპელი მეზობლებისა და სხვა მოკავშირეების დაცვას“, — განმარტა კლინტონმა. სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტ დმიტრი მედვედევსაც შეხვდა, მათ ახლო აღმოსავლეთში ვითარების დარეგულირებაზე, ჩრდილოეთ კორეაზე, ირანსა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე ისაუბრეს. შეხვედრის შემდეგ, მედვედევმა განაცხადა, რომ ამერიკის ახალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა მაღალ დონეს აღწევს, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები კი იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვმა და ვაშინგტონმა აქტუალურ, რთულ საკითხებზე ერთობლივად უნდა იმუშაონ. ■

*მოამზადა* ***ხათუნა ბახტურიძემ***
*სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობების გამოყენებით*

# თურქულ-სომხური „დათბობა“
## და რეგიონში სხვა „მოთამაშეთა“ შესაძლო როლები

**თურქეთსა და სომხეთს შორის მტრობის დასრულებამ შესაძლოა, კავკასიაში არსებული ვითარება რადიკალურად შეცვალოს — ასეთი მოსაზრება ქართველმა პოლიტიკურმა ექსპერტებმა და დიპლომატებმა მას შემდეგ გაავრცელეს, რაც ანკარამ და ერევანმა ციურიხში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც თურქეთის მხრიდან 1993 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა და ამავე წელს დახურული საზღვრის გახსნის შესაძლებლობას იძლევა. როგორც ცნობილია, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიზეზი, პირველი მსოფლიო ომის დროს, ოთომანთა ჯარის მიერ სომხების მასობრივი მკვლელობა, საუკუნის დასასრულს კი (1993 წელს) სომხეთის მიერ თურქეთის მოკავშირე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე (მთიან ყარაბაღში) შეჭრა გახდა. მოგვარდება თუ არა ამჯერად თურქულ-აზერბაიჯანულ-სომხური პრობლემები და რა გავლენას მოახდენს კავკასიაში შექმნილი ახალი რეალობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, — ამის გარკვევას პოლიტიკურ ექსპერტთან — სოსო ცისკარიშვილთან და დიპლომატთან — ზურაბ აბაშიძესთან საუბრისას შევეცადეთ.**

*ხათუნა ბახტურიძე*

**— როგორ ფიქრობთ — თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის მოგვარება ობამას ადმინისტრაციისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემად რატომ იქცა?**

**სოსო ცისკარიშვილი:**

— ვაშინგტონში კარგად აქვთ გააზრებული, რომ კავკასიაში ბალანსის შესაქმნელად, რუსეთის კლანჭებიდან სომხეთის დახსნა ძალზე მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ ერევანმა კრემლის კლანჭებს თავი დააღწიოს, აუცილებელია ბლოკადიდან მისი გამოხსნა და თურქეთის მიმართულებით საზღვრების გახსნა. გარდა ამისა, სომხეთის ხელისუფლებაც კარგად აცნობიერებს, თუ რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ დანარჩენ სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა საქართველოზე გადის. რუსეთი ჩვენს საზღვრებთან გამუდმებით აწყობს პროვოკაციას, რის შედეგადაც სომხეთი საკმაოდ ხშირად ზარალდება. ალბათ იცით, რომ შარშან აგვისტოს ომის დროს სომხეთი ფაქტობრივად, „დახურულ ქვაბში“ აღმოჩნდა.

**— მერე, რუსეთი შეეგუება თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის მოგვარებას?**

**ზურაბ აბაშიძე:**

— რუსეთისთვის სომხეთი — სტრატეგიული მოკავშირეა; ასევე კარგი ურთიერთობები აქვს თურქეთთანაც. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომ მოსკოვი მიესალმება თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას.

**— მაგრამ რუსეთის მხრიდან საჯაროდ გაკეთებული განცხადებები**



**მისი შემდგომი ქმედებებისგან ხშირად განსხვავდება...**

— დიახ, მგონი, რუსეთი მართლაც, გარკვეული ეჭვის თვალით უყურებს სომხეთ-თურქეთის დაახლოებას, მაგრამ ოფიაციალურად, სხვა შინაარსის განცხადებებს ვერ გააკეთებს.

— **რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ თურქეთი კავკასიის რეგიონში თანდათან აქტიურდება, რაც ისტორიულად, რუსეთს არასდროს მოსწონდა.

**სოსო ცისკარიშვილი:**

— სომხეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის მოგვარება ნაწილობრივ, რუსეთის ინტერესებშიც შედის: მოსკოვს აღარ სურს, კავკასიის რეგიონში ერთადერთ ოდიოზურ სახელმწიფოდ წარმოჩნდეს. ამიტომ მზად არის, თურქეთს რეგიონის მონიტორინგის უფლება გაუნაწილოს.

— **იმის გამო, რომ იზოლაციაში იყო მოქცეული, სომხეთს რუსეთთან კომპრომისზე წასვლა ხშირად უხდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთთან ურთიერთობებს მოაგვარებს, შეცვლის თუ არა ერევანი რუსეთის მიმართ პოლიტიკას და შეეგუება თუ არა კრემლი ამ ფაქტს მხოლოდ იმისთვის, რომ რეგიონში ოდიოზურ სახელწიფოდ აღარ წარმოჩნდეს?**

— გავლენის დათმობას სულაც არ აპირებს. მოსკოვში მშვენივრად იციან, სომხეთსა და თურქეთს შორის სამეზობლო ურთიერთობის აღდგენას რამდენიმე ათეული წელი მაინც დასჭირდება. სულ ცოტა, ნახევარი წელი გავა, ვიდრე ციურიხში ხელმოწერილ დოკუმენტს რაიმე კონკრეტული შედეგი მოჰყვება. მოსკოვში ისიც მშვენივრად იციან, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ნებისმიერ დროს შეიძლება დაიძაბოს სულ პატარა, პრიმიტიული პროვოკაციის შედეგად. პროვოკაციების მოწყობა კი ყველაზე უკეთ სწორედ რუსებს ეხერხებათ.

— **მაინც რა შეიძლება გახდეს პროვოკაციის საბაბი?**

— თუნდაც ყარაბაღი: სომხები ჯერ კიდევ იმის მოლოდინში არიან, რომ თუ ისინი გენოციდის საკითხს დაივიწყებენ, ყარაბაღის ტერიტორიას სამართლებრივი ფორმის სრული შეცვლით მიაკუთვნებენ.

— **ეს მოლოდინი რამდენად მართებულია და შესაძლებელია თუ არა, რომ სომხეთთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით, თურქეთმა მეგობარი აზერბაიჯანის ინტერესები უგულებელყოს?**

— თურქეთს ჯერ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს სომხეთისკენ იმის აღნიშვნის გარეშე, რომ ყარაბაღის მომავალი მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვით წარმოუდგენია. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანს სულაც არ მოსწონს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის დათბობა და ეჭვიანობს კიდეც, ამ ორ მუსლიმანურ ქვეყანას რეგიონში ერთმანეთზე უფრო სანდო პარტნიორი არ ჰყავს და აქედან გამომდინარე, ერთმანეთის ინტერესებს არავითარ შემთხვევაში არ უგულებელყოფს.

— **ბატონო ზურაბ, თქვენ როგორ ფიქრობთ — ვის მოუწევს ყარაბაღის დათმობა?**

**ზურაბ აბაშიძე:**

— ეს ცოტა რთული სათქმელია. თურქეთის პრემიერის მიერ ორიოდე დღის წინ გაკეთებული განცხადების თანახმად, თუ სომხეთი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად რაიმე კომპრომისულ ნაბიჯს გადადგამს, მაშინ თურქეთის პარლამენტში სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება უფრო იოლად მოხდება. თურქეთი ამას სომხეთისგან ელის. მაგრამ რამდენად წავა ამაზე სომხეთი, ძნელი სათქმელია.

— **სომხურმა ოპოზიციამ უკვე განაცხადა, რომ ის არ დათანხმდება ყარაბაღიდან ჯარების გაყვანას...**

— ალბათ ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტში და მის გარეთ ცხარე დებატები იქნება. სომხური საზოგადოებისთვის ეს ძალიან რთული საკითხია.

— **თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობის დარეგულირება და კავკასიაში სიტუაციის ახლებურად დალაგება საქართველოს ახალი საფრთხეების წინაშე ხომ არ აყენებს?**

— თუ ჩვენი ორი მეზობელი ქვეყანა — სომხეთი და თურქეთი ერთმანეთთან ურთიერთობის მოგვარებას დაიწყებს, ეს თავისთავად, მისასალმებელი ფაქტია. არ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პრინციპით, რომ რაც კარგია ჩვენი მეზობლებისთვის, ცუდია ჩვენთვის და — პირიქით. თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების დათბობა გარკვეულწილად შეცვლის ვითარებას რეგიონში, რაც, ჩემი აზრით, პერსპექტივაში, გაჯანსაღებასა და სტაბილიზაციას შეუწყობს ხელს.

— **დასავლური პრესა უკვე ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ თუ სომხეთი ყარაბაღს ვერ შეინარჩუნებს, პრეზიდენტი სარგსიანი კი იმის შიშით, რომ ოპოზიციამ ღალატში არ დაადანაშაულოს, საქართველოსთვის სამცხე-ჯავახეთის წართმევას შეეცდება.**

— მხოლოდ უარყოფითი აზრებითა და ემოციებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ. აუცილებელია ახალი რეალობის სერიოზულად გაანალიზება და მეზობელ ქვეყნებთან აქტიური მუშაობა. თუ სიტუაციას სწორად შევაფასებთ და ადეკვატურად ვიმოქმედებთ, მაშინ სასიკეთო პერსპექტივებსაც დავინახავთ. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი კითხვის ნიშანია. სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ ნიშნავს მათ შორის მყისიერად, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. სიახლეები წინ გვაქვს: როდის გაიხსნება საზღვარი, როდის დაიწყება მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლა? — არ ვიცით. ეს ყველაფერი ერთ დღეში ვერ მოხდება, დროა საჭირო. ჩემი ვარაუდით, ცვლილებები უფრო მეტად, ეკონომიკური კუთხით მოხდება და საწყის ეტაპზე ჩვენთვის უარყოფით შედეგებს მოიტანს: მხედველობაში მაქვს სომხეთიდან სატვირთო სატრანსპორტო მიმოსვლების შესაძლო შემცირება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ მაგალითად, ტვირთების გარკვეული ნაწილი, საქართველოს ნაცვლად, თურქეთით გაივლის... მაგრამ საერთო ჯამში, ქვეყნებს შორის უთანხმოების დაძლევა და თანამშრომლობის ზრდა რეგიონში ყველასათვის სასარგებლო უნდა იყოს.

**სოსო ცისკარიშვილი:**

— არა მგონია, ეკონომიკური თვალსაზრისით, რაიმე პრობლემა შეგვექმნას. ეს ნაკლებსავარაუდოა, რადგან სომხური ინფრასტრუქტურა მთლიანად რუსეთს ეკუთვნის და მნიშვნელობა არა აქვს, რუსეთის ტერიტორიით გაივლის ტვირთი თუ სომხეთით. ამას კარგად აცნობიერებენ დაინტერესებული პირები. მე იმის შიში უფრო მაქვს, რომ სომხეთი შეიძლება, მართლაც გააქტიურდეს სამცხე-ჯავახეთის მიმართულებით. ახლა სწორედ ამ მიმართულებით ვცდილობ სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან და კონფლიქტოლოგებთან სიტუაციის გარკვევას. ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერევანს, თბილისთან დაპირისპირებისას, მოსკოვი აუცილებლად „წაეხმარება“ და ადვილი შესაძლებელია, ჯავახეთი სეპარატიზმის კერად იქცეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ რამდენიმე დღის წინ რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსანმა განაცხადა, — საჭიროების შემთხვევაში, ბირთვულ დარტყმებსაც განვახორციელებთო, — მივხვდებით, რომ ჩვენ წინაშე არსებული საფრთხე საკმაოდ დიდია.

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება უნდა შეძლოს.

**ზურაბ აბაშიძე:**

— ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ და მაქსიმალურად კონსტრუქციული პოლიტიკა გავატაროთ, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე — შიგნით... რომ გითხრათ, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, საქართველოში, რეგიონსა და მსოფლიოში გავითარებული მოვლენების გამო-მეთქი, ტყუილი იქნება. მაგრამ წუწუნი ვერაფერს გვარგებს. ■

# „მე მინდა, მქონდეს თბილი სახლი...“

**პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ წლების მანძილზე ბევრი ადამიანის ბედი შეცვალა: ზოგიერთს ღიმილი დაუბრუნა, ზოგს — სიცოცხლეც, ბევრს კი ქველმოქმედება მოაწყურა... მსოფლიოში აღიარებული საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე თურმე ხშირად აღნიშნავს: რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით უფრო იოლად თანხმდება საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობასო. თითქოს წარმოუდგენელია, იმ დონის მომღერლები, როგორებიც არიან — მონსერატ კაბალიე, დოლორა ზაჯიკი, მიშელ კრაიდერი, ფერუჩო ფურლანეტო, ოლგა რომანკო, რამონ ვარგასი, ლუჩიანა დინტინო — მოსწყდნენ თავიანთ ჩვეულ, გადატვირთულ ცხოვრებას, სადაც თითო წუთიც კი, პირდაპირი და ირიბი გაგებით, ძვირად ფასობს და სრულიად უანგაროდ იმღერონ ან დაუკრან შენი ხალხისთვის, მაგრამ ეს — ფაქტია!..**

ირმა ხარშილაძე

*20 ოქტომბერს ფონდ „იავნანას“ მოწვევით, საქველმოქმედო აქციაზე თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში მსოფლიოში სახელგანთქმული პროექტით — „3 ტენორი“ მსმენელ-მაყურებლის წინაშე ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერას“, ლა-სკალასა და ლონდონის „კოვენტ გარდენის“ იტალიელი სოლისტები — მარკო ბერტი და რობერტო არონიკა და ცნობილი ქართველი მომღერალი ბადრი მაისურაძე წარდგებიან. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს.*

— **ვიდრე კონკრეტულ აქციასა და თუნდაც თქვენს ფონდზე ვისაუბრებთ, თქვენ მიერ მოწვეულ ქველმოქმედებაზე მინდა გკითხოთ: ერთია, გვსტუმრობენ და ჩვენი ბავშვებისთვის მღერიან, მეორეა, ვარსკვლავები კულისებს მიღმა როგორები არიან — არ ჭირვეულობენ?**

**თეონა ჯორბენაძე,** *ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი:*

— თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მხრივაც ვარსკვლავები არიან. მახსოვს, მიშელ კრაიდერს ვუთანხმებდით — როგორ სასტუმროში მოგვეთავსებინა, რა კერძები მიგვერთმია და ასე შემდეგ, — ქალბატონი მიშელი კი დუმდა. ის იყო, ვიფიქრე, არასწორად ვუსვამ შეკითხვას-მეთქი, რომ სტუმარმა მომიგო: მე აქ თქვენს დასახმარებლად ჩამოვედი და არა იმისთვის, რომ საზრუნავი მოგიმატოთ და პრობლემები შეგიქმნათო... საოპერო ხელოვნების ლეგენდამ — მონსერატ კაბალიემ, რომელიც გაეროს კეთილი ნების ელჩიც გახლავთ, მაგალითად, ერთადერთი რამ ითხოვა: რადგან ძალიან სტკიოდა ფეხები და სიარული უძნელდებოდა, როგორმე მოგვეხერხებინა, რომ კონცერტამდე კიბის საფეხურების ავლა ნაკლებად დასჭირვებოდა... არ დამავიწყდება ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ფონდის წარმომადგენლის, მეცო-სოპრანო დოლორა ზაჯიკის სტუმრობა ბავშვთა სახლებში. როგორც ჩანს, ერთგან რამდენიმე ბავშვი განსაკუთრებულად სევდიანი და დაჩაგრული მოეჩვენა და როდესაც სასტუმროში დაბრუნებულს თბილისის შემოგარენის დათვალიერება შევთავაზეთ, კატეგორიული უარი განგვიცხადა. წავიდა ჰიპერმარკეტში, საკუთარი ფულით შეიძინა პროდუქტები და იმ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიუტანა...

— **თეონა, რამ მოუტანა პოპულარობა „იავნანას“?**

— ...რომელსაც სხვა ფონდებივით დიდი ფული არ გააჩნია, არა?.. ალბათ უფრო იმან, რომ პირველ რიგში, ადამიანთა სატკივრის გულთან ახლოს მიტანა შეუძლია და შემდეგ, რა თქმა უნდა, მათთვის დახმარების აღმოჩენა. და ეს მხოლოდ პაატა ბურჭულაძისა და ფონდის თანამშრომლების ან თუნდაც მსოფლიო დონის იმ ვარსკვლავებისა და ჩვენი — ლეგენდარულ ქართველ შემოქმედთა დამსახურებით როდი ხდება. ვფიქრობ, „იავნანას“ პოპულარობა ჩვენი ხალხის სიკეთის კეთების წყურვილმა განსაზღვრა. ხომ ხშირად ვუპირისპირდებით და ვაძაგებთ ერთმანეთს?.. ჩვენი ფონდის აქციებიდან გამომდინარე, მე სრულიად განსხვავებულად ვფიქრობ: მართლაც, ვინ ვყოფილვართ ქართველები, რომ შეგვძლებია ერთ მუშტად შეკვრა და თითო ლარით ათეულობით ადამიანის გაბედნიერება! მაგალითად, გასაოცარი რამ იყო ჩვენი 2009 წლის 3 მარტის ტელემარათონი. წარმოგიდგენიათ? — სატელეფონო ზარებიდან შემოსული თითო ლარით ხალხმა 7 ოჯახს უყიდა ბინა! ამიტომ ვამბობ: ჩვენმა ქველმოქმედმა ხალხმა აქცია ფონდი „იავნანა“ პოპულარულად. ამიტომ ვამბობ: იცით, ვინ არის „იავნანა“? — თითოეული ის ადამიანი, ვისაც თუნდაც ერთხელ 10 თეთრი მაინც ჩაუგდია სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში განთავსებულ ჩვენს ყულაბებში და სწორედ ამ 10-10 თეთრით კიდევ ერთი ოჯახი დაბინავდა; „იავნანა“ ყველა ის ადამიანია, ვისაც ერთხელ მაინც დაურეკავს 30-30-ზე ან ერთხელ მაინც უმღერია ჩვენს აქცია-კონცერტზე. პაატა ბურჭულაძისა და ჩვენი ფონდის წევრების მისია კი ის გახლავთ, რომ ერთმანეთს გავაცნოთ გაჭირვებული და მათთვის ხელის გამართვის მსურველი ადამიანები. ამ ზაფხულს მოვაწყვეთ ძალიან საინტერესო აქცია: „ბავშვი, რომლის ოცნებაც არის... “ — ანუ ჩვენ კონკრეტული ადამიანის ოცნებას ვაცნობდით ხალხს და იქვე ჩნდებოდა მეორე ადამიანი, რომელსაც ამ ოცნების ახდენა სურდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ადამიანი აღმოჩნდა ცნობილი და ჩემთვის ძალზე საამაყო პიროვნება, ფილოლოგი ვახტანგ როდონაია, რომელმაც გადაწყვიტა, ერთ-ერთი ბავშვის ოცნება აეხდინა და მისთვის პიანინო გადაეცა საჩუქრად. ასე რომ, 20 ოქტომბრის აქციაზე ბატონი ვახტანგი იმ ბავშვს გაიცნობს, ვისაც ოცნება აუხდინა.

— **როგორ აღრიცხავთ კონკრეტული პრობლემების მქონე ადამიანებს?**

— ვიღებთ უამრავ წერილს და ვეცნო-





**ფონდი „იავნანა“, საქართველოს პრეზიდენტის უშუალო თანადგომითა და მხარდაჭერით შეიქმნა**

## მადლი

ბით. სამწუხაროდ, ზოგჯერ მათი ავტორები ცრუობენ კიდეც, ამიტომ წერილებს განსახილველად, განათლების სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის დეპარტამენტს გადავცემდით. იქ არსებობდა სოციალური მუშაკების ჯგუფი, რომელიც თითოეულ ოჯახს ეცნობოდა და მათთან მუშაობდა; ამ ჯგუფის დასკვნის შემდეგ ვაკეთებდით არჩევანს. მართალია, ახლა სოციალურ მუშაკთა ჯგუფი ჯანმრთელობის დაცვის სამინ-


თეონა ჯორბენაძე მონსერატ კაბალიესთან ერთად

ისტროს დაუქვემდებარეს, ჩვენ კვლავ ვთანამშრომლობთ და ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთებას ვაპირებთ. საერთოდაც, ფონდი „იავნანა“, რომელიც 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის უშუალო თანადგომითა და მხარდაჭერით შეიქმნა, ყოველთვის მიაჩნდათ არასამთავრობო ორგანიზაციის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად და ფაქტია, განათლების სამინისტროსთან, მერიასა და კულტურის სამინისტროსთან ერთად, სოციალურად თუ შემოქმედებითად, ძალზე ღირებული პროექტები გვაქვს განხორციელებული. ბავშვებზე ზრუნვის მიზნით, საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც გაერთიანდნენ და დახმარების ახალი ფორმებიც გაჩნდა: გაეროს სასურსათო პროგრამა წლების განმავლობაში სურსათით ეხმარება ჩვენს ოჯახებს, ერთ-ერთი ორგანიზაცია მათ დასაქმებაზე ზრუნავს და ასე შემდეგ. მოკლედ, ძალა — ერთობაშია! ასევე, უცნობი თუ ცნობილი ადამიანების გაერთიანების შედეგად შეიქმნა „იავნანას“ სამეგობროები. დღეს უკვე 44 ასეთი სამეგობრო კონკრეტულ ოჯახებს შეძლებისდაგვარად ეხმარება. ჩვენს აქციებში, ფაქტობრივად, ყველა ქართველ ხელოვანს მიუღია მონაწილეობა, ზოგჯერ — ფინანსურიც. მაგალითად, დათო დოიაშვილმა, ნატო მეტონიძემ და ნიკა მემანიშვილმა 5.000 ლარი შემოსწირეს ფონდს, რალაცა თანხა ჩვენც დავამატეთ და ერთ კარგ ოჯახს ბინა შევუძინეთ, იმ ოჯახის შვილმა კი ძალიან გვასახელა — მსოფლიო მასშტაბის სპორტულ ტურნირში გაიმარჯვა... უჩინარი ქველმოქმედებიც არსებობენ. მაგალითად, არ დამავიწყდება ვანო ოსკოპელი, რომელიც თვალითაც არასდროს გვინახავს და ყოველთვიურად ჩვენს ანგარიშზე 100 ლარს რიცხავდა. ამ თანხას ვურიცხავდით ერთ ხელმოკლე დედას — ნანა ხატიაშვილს, რომელსაც საბოლოოდ, ბავშვთა სახლიდან შვილების გამოყვანაში დავეხმარეთ... ცრემლის გარეშე ვერ ვიხსენებ კიდევ ერთ ამბავს, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ მოხდა. ჩვენთან მოვიდნენ შს სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილების ბიჭები თხოვნით — ქველმოქმედების გაწევა გვინდა, დახმარებას შემოვიტანთ ხოლმე, ოღონდ ჩვენს ვინაობას ნუ დაასახელებთო. მათ შექმნეს სამეგობრო, რომელსაც ერთი ძალიან კარგი ბიჭი ედგა სათავეში — სწორედ მას მოჰქონდა ხოლმე დახმარება იმ ბავშვებისთვის, ვის ოცნებებსაც წინასწარ ვაცნობდით. საოცარი რამ მოხდა: აგვისტოს ომში ის ბიჭი დაიღუპა და დღეს ჩვენ ვეხმარებით მის დაობლებულ შვილებს... იცით, მგონი, დღეს უკვე შემიძლია, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ყველას ვაცნობო მისი სახელი — გია რომელაშვილი. სხვათა შორის, მისი შვილებიც მოუთმენლად ელოდებიან 20 ოქტომბრის აქციას, რომლითაც გვინდა, აგვისტოს ომის შემდეგ დაობლებულ იმ 123 ბავშვს გავუგრძელოთ დახმარება, რომელთაც უკვე ერთი წელია, ყოველთვიურად ვურიცხავთ თანხას.


დათო დოიაშვილმა, ნატო მეტონიძემ და ნიკა მემანიშვილმა 5.000 ლარი შემოსწირეს ფონდს

*მაგალითი უახლოესი წარსულიდან: მართალია, ოფიციალურად არ განუცხადებია, მაგრამ მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო მომღერალმა და გაეროს კეთილი ნების ელჩმა პაატა ბურჭულაძემ, იმ მოტივით, რომ იუბილეების აღნიშვნის დრო არ იყო, უარი თქვა 2008 წლის 30 სექტემბერს მოსკოვში კარგა ხნით ადრე დაგეგმილი მისი საიუბილეო კონცერტის გამართვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბილეთი გაყიდული იყო; დაბრუნდა საქართველოში და 25 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში აგვისტოს მოვლენების შედეგად დაობლებული ბავშვების დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აქციაზე მისივე მოწვევით ჩამობრძანებულმა მსოფლიო დონის საოპერო მომღერლებმა — ოლგა რომანკომ, ლუჩიანა დინტინომ და რამონ ვარგასმა მასთან ერთად, ათასობით ანთებული სანთლის ფონზე, ვერდის „რეკვიემი“ შეასრულეს. სწორედ იმ დღიდან დაუნიშნა ომის შემდეგ დაობლებულ 123 ბავშვს გრძელვადიანი დახმარება; „იავნანამ“ 4 ოჯახს შეუძინა სახლი, ხოლო უდედმამოდ დარჩენილი 7 წლის დიტო რაზმაძე იშვილა. აქციის მეორე დღეს ბატონი პაატა დირიჟორ მიგელ გომეს-მარტინესთან და მომღერალ ოლგა რომანკოსთან ერთად (რომელმაც ომის შემდეგ საქართველოში სტუმრობით ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა), საჩუქრებით ხელდამშვენებული, გორში მცხოვრებ დევნილებსაც ეწვია.*

**თეონა ჯორბენაძე:**

— 20 ოქტომბრის აქციას კონკრეტული ადრესატები ჰყავს — 123 დაობლებული ბავშვი და არაჩვეულებრივი 7-შვილიანი დედა, რომელსაც სამეგობრო კი ეხმარება, მაგრამ თავშესაფარი არ აქვს. და რადგან ჩვენი მიზანია, ეს ადამიანები წარვუდგინოთ დანარჩენ საზოგადოებას, კვლავ დაგვჭირდება მასმედიის თანადგომა, რაც მისგან არც არასდროს დაგვკლებია. ჩვენს აქციებში თითქმის ყველა ტელეკომპანია მონაწილეობდა: „რუსთავი 2“, „მაესტრო“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „პირველი სტერეო“, „კავკასია“... საპატრიარქოს არხზე დღემდე გადის ჩვენი მხარდამჭერი რგოლები. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან ყველასათვის ცნობილია მათდამი საზოგადოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება... 20 ოქტომბერს დიდი დღესასწაული მოეწყობა თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში, რადგან „სამი ტენორის“ პროექტი ძალზე პოპულარული ნაწარმოებებისგან შედგება და ყველასთვის სასიამოვნო მოსასმენი იქნება. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ კონცერტის პირდაპირი ეთერით გადაცემა. იმასაც გეტყვით, რომ მარკო ბერტი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-



ერთ ყველაზე აღიარებულ იტალიელ ტენორად მიიჩნევა. ის რეჟისორ ფრანკო ძეფირელისა და პლაჩიდო დომინგოს რჩეული გახლავთ და სწორედ ამიტომ, 20 ოქტომბრის პროექტით დაინტერესდა საერთაშორისო მედია და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საინფორმაციო არხის წარმომადგენლები აპირებენ კიდეც ჩამოსვლას და აქციის გაშუქებას.

— **ბატონი პაატა არ იმღერებს?**

— ჩვენი აქციის ფინალი ყოველთვის მოულოდნელობებითაა სავსე, ამიტომ გვინდა, ესეც სიურპრიზად შემოვინახოთ და 20 ოქტომბერს დაველოდოთ (*იცინის*). მანამდე კი იმასაც გეტყვით, რომ პარიზის „გრანდ ოპერა“ უახლოეს ხანში უმასპინძლებს „იავნანას“ დიდ აქციას, რომლის ერთ-ერთი სოლისტი იქნება დღეს მსოფლიოში პირველ სოპრანოდ აღიარებული ანა ნეტრეპკო. გარდა ამისა, პაატა ბურჭულაძე მოლაპარაკებებს მართავს ლეგენდარულ ტენორთან — მის ვინაობას ჯერჯერობით არ დავასახელებ (*იცინის*) — და მისგან უახლოეს დღეებში ველოდებით პასუხს. და კიდევ... 18 სექტემბერს პარიზის ოპერაში შემდგარი „სევილიელი დალაქის“ პრემიერის მონაწილეები აპრილში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან პარიზში. ერთ მშვენიერ დღეს ყველა სოლისტი ჩამოფრინდება საქართველოში და პარიზულ პრემიერას ქართველ მაყურებელსაც შესთავაზებენ.

**ოცნებები ეპილოგის მაგიერ: „მყავს 5 შვილი. სიცოცხლე აღარ მინდა, ისეთი მძიმეა იმის შეგრძნება, რომ ცოცხალი ხარ და შვილებს ელემენტარულ პირობებს ვერ უქმნი. ვერავინ გაიგებს, რის ფასად შევძელი, დღემდე მომეყვანა სიმწრით გაზრდილი შვილები. ცოცხალ შვილებს დავტირი დღე და ღამე. მირჩევნია, მხოლოდ პურით ვარსებობდეთ და მათ სწავლის საშუალება მივცე, თუმცა წიგნების შესაძენი ფულიც არ მაქვს...“**

**„ვარ მესამეკლასელი. მშობლები არ მყავს. დედა ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ვიზრდები პენსიონერ ბებია-ბაბუასთან. ძალიან მინდა ვიარო მუსიკაზე, მაგრამ არ მაქვს პიანინო. ძალიან მინდა მქონდეს პიანინო, ისევე, როგორც ჩემს მეგობრებს...“**

**„ვარ მრავალშვილიანი ოჯახიდან. იატაკზე ვწვებით, მაგრამ მაინც ვერ ვეტევით. ძალიან მინდა მქონდეს 2-სართულიანი საწოლი. არ გვაქვს ლეიბები და საბნები. სკოლაშიც დიდი ხანია არ მივლია. დახეული შარვალი და დაგლეჯილი ფეხსაცმელი მაცვია. ჩემს ძმას ტარიელს დახეული კედები აცვია. რამდენიმე წელია, არ გვაქვს შუქი. ხშირად შიმშილობაც გვიწევს. ორჯერ მქონდა ფილტვების ანთება...“**

**„მე მინდა, მქონდეს თბილი სახლი...“**

■

# „გამარჯობა, „სოლნეჩნაია გრუზია“ — იმედია, ისევ შევხვდებით“(?!)

## ევროსაბჭოს ასამბლეის კულუარები — აღშფოთებული ევროპელი დიპლომატები და რუსული დიპლომატიის რკინის ლოგიკა

**„— გამარჯობა, ბატონო ვლადიმირ; ქართველი ჟურნალისტი გირეკავთ თბილისიდან.**

**— თბილისიდან? — დიახ; ევროსაბჭოს ასამბლეასთან დაკავშირებით ვამზადებ სტატიას და თქვენი, როგორც ევროსაბჭოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის პოზიცია მაინტერესებს... მეგონა, შემდეგი კითხვა იქნებოდა — როგორ მომაგენით?! — მაგრამ შევცდი: — როგორი ამინდია თბილისში? — შემაწყვეტინა რუსმა პოლიტიკოსმა. — თბილი და მზიანი, — ვპასუხობ ცოტათი დაბნეული, ნიშნის მოგების გარეშე... — თბილი და მზიანი... — ჩაილაპარაკა თავისთვის. რამდენიმე წამის შემდეგ კი ჩამეძია: — მაინც, რამდენი გრადუსია ტემპერატურა? — გამეცინა: — თუ ამინდის პროგნოზს დავუჯერებთ, 26-27 იქნება. — თუ დავუჯერებთო, ბრძანეთ ანუ თქვენთან მეტეოროლოგებიც იტყუებიან?.. — ხუმრობის ხასიათზე დადგა რუსი პოლიტიკოსი. შემდეგ კი უფროსი თაობისგან, არაერთხელ მოსმენილი, ბანალური ფრაზა გაიმეორა: „სოლნეჩნაია გრუზია“... უკაცრავად, ცუდად არ გამიგოთ, ქართველ ხალხს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ხელისუფლება გყავთ ცოტა უკუღმართი, ჩვენთან არ მეგობრობს... გისმენთ, რასთან დაკავშირებით მირეკავთ?.. გაინტერესებთ, რატომ გვიწევს ანგარიშს ევროპა და დანარჩენი მსოფლიო?.. ამ კითხვაზე პასუხს მაშინვე მიიღებთ, როგორც კი მსოფლიო რუკას დახედავთ, — რუსეთს პლანეტაზე ხმელეთის ერთი მესამედი უჭირავს. თანაც მართლები ვართ და მტყუანიც რომ ვიყოთ, ამის თქმა არც ისე ადვილია, როგორც ეს პატარა საქართველოს სურს ან წარმოუდგენია...“**

ლალი პაპასკირი

*ასე ორიგინალურად დაიწყო ჩვენი ინტერვიუ. ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის მუდმივ წარმომადგენელს,* ***ვლადიმირ ჩიჟოვს*** *გამაღიზიანებლად არხეინი ტონი ჰქონდა. რუს პოლიტიკოსს „მზიანი საქართველოს“ ხსენებით გამოწვეული ნოსტალგია ძალიან მალე გაუქრა (შესაძლოა, მომეჩვენა და არც კი ჰქონია) და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:*

— დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოება ბრიუსელიდან დაბრუნებული პოლიტიკოსების შთაბეჭდილებების ქვეშ კარგა ხანს იქნება, — მთელი მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგ არისო, — მაგრამ რეალობა სხვაგვარია — რუსეთი დიდი, პრინციპული, გნებავთ, აგრესიული სახელმწიფოა (სიტყვა „აგრესიულს“ ქართული მხარე ჩვენი მისამართით ხშირად იყენებს) და რაც უნდა ბევრი ინვესტიცია ჩადოს ამერიკამ თქვენს ქვეყანაში, რაც უნდა კარგად შეაიარაღოს ადგილობრივი ჯარი, პოზიციას ვერ შეგვაცვლევინებს — ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი თუ არ იქნებით, ძვირად დაგიჯდებათ. სანამ ჩვენ მიმართ მტრული პოზიცია გიჭირავთ, ერთიანი და სტაბილური ვერ იქნებით.

— **ბატონო ვლადიმირ, ევროსაბჭომ 2010 წლის იანვრამდე მოგცათ დრო და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა, ხოლო**



**შემდეგ — ორგანიზაციიდან გარიცხვა გემუქრებათ...**

— ასეა, მაგრამ იმ დღესვე განვაცხადეთ, — რუსეთი პოლიტიკას არც ვადის ამოწურვის შემდეგ შეიცვლის. ეს არის ჩვენი პოზიცია. ჩვენგან განსხვავებით, არც ერთ ევროპელ დიპლომატს არ აქვს კონკრეტული პასუხი, თუ რა მოხდება ვადის ამოწურვის შემდეგ?!. რუსეთი მზად არის, დღესვე დატოვოს ევროსაბჭო. ამ ორგანიზაციიდან სარგებელს ვერ ვიღებთ, მაგრამ ევროპელი პარტნიორები გვეხვეწებიან (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!..), არ დატოვოთ ეს ორგანიზაციაო. ჩვენთან ყოფნით ისინი მოგებული რჩებიან — როგორც პარტნიორებს,

შეღავათებს ვუწევთ... ცნობისათვის: 2008 წლის გაზაფხულზე სტარტს იღებდა ახალი პროექტი — ე.წ. „აღმოსავლური პარტნიორობა“, რომელიც ე.წ. „ახალი ევროპის“ ქვეყნებთან ენერგოპარტნიორულ ურთიერთობას ისახავდა მიზნად. ეს პროექტი საიდუმლო არ ყოფილა და მის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმაც იცოდა. 2008 წლის აგვისტოში, როცა სააკაშვილმა ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ შეიარაღებული



აგრესია წამოიწყო (ამის შესახებ ტალიავინის დასკვნაში ნათლად წერია), იმ ქვეყნებმა აგრესორ რუსეთთან ბიზნესპარტნიორობაზე უარი თქვეს. არადა, ქვეყნებში 600 მილიონი ევროს ღირებულების 5-წლიანი პროექტის დაწყებას ვაპირებდით, თუმცა „ფოკუსნიკი“ სააკაშვილის ძალისხმევით, ეს გეგმები ჩაგვივარდა.

— **მიგაჩნიათ, რომ ამიტომ დაიწყო ომი?.. თუ ტალიავინის დასკვნას დავეყრდნობით, რუსეთის მიერ შეიარაღებული პროვოკაცია წლების განმავლობაში იგეგმებოდა...**

— მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილმა ამიტომ დაიწყო ომი, მაგრამ ამ პროექტების ჩაგდებაც გათვლილი ჰქონდა. დიდი ფინანსური ზარალი მივიღეთ. მაგრამ ეს პროექტი ისევ რჩება ძალაში... ქართულ მხარეს უჭირს იმის აღიარება, რომ დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობის გამოცდილება არა აქვს. თქვენი პოლიტიკოსები ამერიკის ფრთას შეფარებული ქვეყნის პოზიციიდან საუბრობენ, რაც ევროპას აღიზიანებს (ევროპასა და ამერიკას შეხმატკბილებული ურთიერთობა არასდროს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ). საქართველო პატარა ქვეყანაა და მათ შორის ლავირება არ შეუძლია. ვერც რუსეთთან და ამერიკასთან შეძლო დაბალანსებული ურთიერთობის შენარჩუნება, რაშიც, უმწიფარი დიპლომატიის გარდა, გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუშალა ხელი... ასე რომ, ევროსაბჭოს მექანიზმებზე საუბარი, რომელიც თურმე რუსეთს ემუქრება, არასერიოზულია. ამ შემთხვევაში ევროპას არჩევანის გაკეთება მოუწევს — დარჩეს ერთგული საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპებისა, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებს, და სიბნელეში იცხოვროს, თუ რუსეთის პოზიციასაც გაუწიოს ანგარიში, რასაც აკეთებს კიდეც... დიახ, ჩვენ ვაღიარეთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ასე მხოლოდ მას შემდეგ მოვიქეცით, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის ძალით შემოერთება გადაწყვიტა. ეს არის ახალი რეალობა, რომლის უარყოფასაც არ ვაპირებთ, რადგან ეს საკუთარი მოქალაქეების წინაშე აღებულ ვალდებულებაზე უარის თქმას ნიშნავს... ასამბლეაში დებატების დაწყებამდე ბრიტანელმა დიპლომატმა ჰავაი კლინსმა მითხრა: აგვისტოს ომის შემდეგ ბრიტანელმა დიპლომატებმა იჩქარეს და რუსეთს „ბოროტების იმპერია“ უწოდეს, საქართველოს კი — „უდანაშაულო მსხვერპლი“, მაგრამ თანდათან ყველაფერი გაირკვა და ახლა თქვენ შორის ანგარიში 5:0-ია თქვენს სასარგებლოდო.

— **ტალიავინის კომისიის წევრთა პირად ანგარიშებზე „გაზპრომის“ ფინანსურ „კვალზე“ ალაპარაკდნენ...**

— როცა ევროპელი დიპლომატების მოსყიდვაზე საუბრობენ, არასერიოზულია. როგორც ჩანს, ქართველი კოლეგები მხოლოდ რუსი დიპლომატების რეპუტაციის შელახვას არ დასჯერდნენ. მახსოვს სააკაშვილის გამოსვლა, სადაც მან ევროპელ დიპლომატებზე გაილაშქრა და ბუში-უფროსის სიტყვები გამახსენდა, რომლითაც მან დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, გამსახურდიას მიმართა: დინების საწინააღმდეგოდ მიდიხართო... ანუ რა გამოდის? — სააკაშვილმა წარსულის შეცდომებზე ვერაფერი ისწავლა. ეს რუსეთისთვისაც ცუდია: რუსეთს არ უნდა, ჰყავდეს არასტაბილური მეზობელი, რომელიც ოკეანისგაღმელ სახელმწიფოსთან ჩვენ საწინააღმდეგო ინტრიგებს ხლართავს. სწორედ ბუში-უმცროსის ბრიყვულმა პოლიტიკამ მიიყვანა თქვენი ხელისუფლება პირველი გასროლის გადაწყვეტილებამდე. კიდევ კარგი, ამერიკას ახლა ბევრად უფრო გონიერი ლიდერი ჰყავს. ბარაკ ობამა ხვდება, რომ მოსკოვის დახმარების გარეშე, დასავლეთი მსოფლიო მასშტაბის ვერც ერთ კონფლიქტს ვერ მოაგვარებს. ასე რომ, რეალური სურათი ასეთია: საქართველო დამოკიდებულია დასავლეთზე, დასავლეთი კი — რუსეთზე და ქართულმა მხარემ თვალი არ უნდა დახუჭოს იმაზე, რომ პატარა საქართველოს გამო რუსეთთან ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს.

*ქართველი დიპლომატების თქმით, რუსეთის დელეგაციის ხისტი ქმედებები ევროპელი კოლეგებისთვის სრულიად მიუღებელი იყო. რა ხდებოდა ევროსაბჭოს კულუარებში, როგორ აფასებდნენ „გაჯიუტებული დათვის“ პოზიციას ევროპელი დიპლომატები — ამის შესახებ ქართული დელეგაციის წევრები მოგვითხრობენ.*

**გოკა გაბაშვილი,** *საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:*

— ევროსაბჭოს რუსული დელეგაციის წარმომადგენლებთან საუბარი არ გვქონია; აზრი არც ჰქონდა, რადგან წინასწარ ვიცოდით, რას გვეტყოდნენ. რუსი დიპლომატების პოზიცია ზედმიწევნით იმეორებს იმ ინსტრუქციებს, რომელსაც დუმიდან და საგარეო საქმეთა სამინისტროდან აძლევენ... სამაგიეროდ, ყველა ფრაქციის წარმომადგენელ ევროპელ კოლეგებსა და სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციას შევხვდით და საკმაოდ პროდუქტიული კონტაქტი გვქონდა.

— **კონკრეტულად?**

— ვესაუბრე გერმანელ, იტალიელ, ბრიტანელ დიპლომატებს და ერთმნიშვნელოვნად მინდა აღვნიშნო, რომ ისინი რუსეთის ქმედებებით გაოცებული იყვნენ. განსაკუთრებით თბილი შეხვედრები გვქონდა ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან, პოლონელებთანაც, რომლებიც რუსეთის მიმართ გაცილებით რადიკალურები იყვნენ. ორი ძირითადი პოზიცია გამოიკვეთა: უცხოელი კოლეგების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, რუსებისთვის ბოლო შანსი მიგვეცა, მეორე ნაწილის აზრით კი — არც საბოლოო ვადის მიცემას ჰქონდა აზრი. ანუ ორივე ნაწილი იმ აზრის იყო, რომ რუსეთი არ არის მართალი და დისკუსია არც კი იმართებოდა. უფრო მეტსაც გეტყვით: ევროსაბჭოს თითქმის ყველა წევრი ერთხმად და დანანებით ამბობდა — როგორც ტრიბუნიდან, ასევე პირადი საუბრისას, — რომ რუსეთი ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს არც ასრულებს და ამის სურვილი არც აქვს.

— **საინტერესოა, რა ხდებოდა სხდომათა დარბაზში, როცა რუსეთისთვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის საკითხი იხილებოდა?**

— დარბაზში მყოფთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ საქართველოს პრობლემები ცალკე საკითხად უნდა განხილულიყო. საუბარია კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების შეშვებაზე, საზღვრების გახსნაზე და სხვა. პირადი საუბრებისა და ოფიციალური გამოსვლების დროს ევროპელი დეპუტატები არაორაზროვნად აცხადებდნენ, რომ საქართველო მართალია და რუსეთის ხისტი პოზიცია როგორმე თანდათან, დიპლომატიურად უნდა შეიცვალოს.

— **რამდენად რაეალისტურად წარმოუდგენიათ ეს ევროპელ დიპლომატებს, მით უმეტეს, რომ რუსეთი ვადის ამოწურვის შემდეგაც არ აპირებს პოზიციის შეცვლას?**

— პირდაპირ გეტყვით — ევროპელი კოლეგების თქმით, რუსეთზე ზეწოლის ერთადერთი მექანიზმი ევროსაბჭოს ორგანიზაციის ხელთაა, მით უმეტეს, რომ მისეული შანტაჟის პოლიტიკის შესახებ ყველას მოეხსენება. რუსი დიპლომატები გრძნობდნენ ასეთ დამოკიდებულებას და მათთვის დამახასიათებელი აგრესიულობით აცხადებდნენ, — თუ ზეწოლას გაა-

ძლიერებთ, ევროსაბჭოს დავტოვებთო. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, თუ რაოდენ გაცეცხლებული ამბობდა ამ სიტყვებს ევროსაბჭოში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ვლადიმირ ჩიჟოვი.

**— ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვის შემთხვევაში, მომავალში მისგან საფრთხე გაიზრდება?**

— დიახ და ევროსაბჭოს დეპუტატების უმრავლესობა წინააღმდეგია რუსეთის გარიცხვისა. როგორც კი ეს მოხდება, ის ბევრად უფრო აგრესიული და საშიში გახდება... ევროპელი დეპუტატების ერთ ნაწილს სიფრთხილე პირადი საუბრების დროსაც შევატყვე; უფრო თამამი დეპუტატები ამბობდნენ, — ჯობს, ევროსაბჭომ ერთხელ და სამუდამოდ, სიმკაცრე გამოიჩინოს, ბოლომდე თანამიმდევრული იყოს და რუსეთს უკან დავახევინოთ, რადგან საქმე საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ პრობლემებს კი არა, არამედ ორგანიზაციის ავტორიტეტს ეხებაო... არ მინდა, დავაკონკრეტო, მაგრამ რამდენიმე დიპლომატი მხრებს იჩეჩდა: ასეთი დისკუსიების დროს ცხადი ხდება, რომ რუსეთი ნამდვილი დიპლომატიისგან ჯერ კიდევ შორს არისო... ისიც ითქვა, — აქვს თუ არა აზრი ევროსაბჭოს, როგორც ორგანიზაციის მუშაობასო?.. და კიდევ: მაშინ, როცა რუსეთი ხმათა უმრავლესობით მიღწეულ შეთანხმებას არაფრად აგდებს, შეუძლია თუ არა, რომელიმე ქვეყანას რაიმე ვალდებულების შესრულება მოსთხოვოსო?!.

**გიორგი თარგამაძე,** *ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი:*

— რამდენიმე ქვეყნის დელეგაცია რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრეა. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ტრადიციულად, მის მიმართ ხისტი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, რაც მათი გეოგრაფიული სიახლოვით არის განპირობებული. ევროპელი დეპუტატები იუმორითაც კი ამბობდნენ: რაც უფრო ახლოს ხარ რუსეთთან, უფრო მეტი პრობლემა გაქვსო... რაც შეეხება დანარჩენი ქვეყნების განწყობილებას, — არც ერთ დეპუტატს არ უთქვამს, რომ რუსეთი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს. ისინიც კი, ვინც ამ ქვეყნისადმი ლოიალურად არიან განწყობილი, მის ადვოკატობას ვერ ბედავდნენ, თუმცა ამბობდნენ, — რუსეთს ხმის უფლება არ უნდა ჩამოვართვათო, — არც იმას მალავდნენ, რომ ჩიხში არიან შესული.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ რუსეთის დელეგაცია პირდაპირ აცხადებდა, რომ ევროსაბჭოს ვალდებულებების შესრულებას არ აპირებს და დამატებითი ვადის მოცემას აზრი არ ჰქონდა...

**— ამ შემთხვევაში რა გზა რჩება?**

— თუ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს დასავლეთის იგნორირებას, ევროსაბჭო მის მიმართ გარკვეულ სანქციებს გაატარებს... აღსანიშნავია, რომ ამჯერად საქმე მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით არ შემოიფარგლება, ახლა უკვე თვით ევროსაბჭოს ავტორიტეტის საკითხი დგას... როცა რუსეთს ამ ორგანიზაციაში იღებდნენ, ევროპელი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ ამ სახელმწიფოს, ევროპის პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირება მოხდებოდა და რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ვითარება გამოსწორდებოდა. ახლა აღნიშნავენ, რომ მაშინდელი ევროპელი პოლიტიკოსების ეს იმედი არ გამართლდა.

**— და მაინც, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი უფრო რადიკალური იყო, ვიდრე დასავლეთი?**

— ობიექტურად, ცუდი და კარგი ნაწილი არ არსებობს, არის ცენტრალური და დასავლეთ ევროპა, რომელსაც რუსეთთან პირდაპირი ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება აქვთ. აღმოსავლეთ ევროპა — ე.წ. „ახალი ევროპა" ცოტა ხნის წინ გათავისუფლდა „ვარშავის ხელშეკრულებ-ის" მარწუხებიდან, ამიტომაც მისი დამოკიდებულება ძალიან რადიკალურია. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთის მიმართ ესპანეთის დელეგაციაც ძალზე მკაცრი იყო; იმავეს ვიტყვი ბრიტანელებზე, მიუხედავად იმისა, რომ მის დეპუტაციაში იყო რამდენიმე დეპუტატი, რომელიც პრორუსული განწყობილებით გამოირჩეოდა. რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევასა და უფლებამოსილების შეწყვეტას გერმანულმა დელეგაციამაც მოაწერა ხელი. ერთ-ერთმა გერმანელმა დეპუტატმა, რუსეთთან ომის შედეგად დაზარალებული ჩვენი დევნილების მდგომარეობის შესახებაც კი მკითხა... როგორც ველოდით, აქტიურად გვიჭერდნენ მხარს პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ასე რომ, ასამბლეის გახსნამდე დარბაზში „დიპლომატიური დუღილი" შეინიშნებოდა... რეალობაზე თვალის დახუჭვას არ ვაპირებთ და ვაღიარებ, რომ რუსეთის მიმართ რაციონალური ინტერესები არსებობს. მაგრამ დეპუტატების თქმით, არსებობს „წითელი ხაზი", რომლის მიღმაც ნებისმიერი დაინტერესების შემთხვევაში, ევროპას ლოიალური პოზიცია არ ექნება.

**— ბატონო გიორგი, დებატების დაწყებამდე თუ გქონდათ საშუალება, რომელიმე რუს კოლეგას გასაუბრებოდით?**

— ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი მინდა, მოგიყვეთ: ახალს არაფერს ვიტყვი იმის აღნიშვნით, რომ რუს პოლიტიკოსებს საქართველო ცალკეულ რეგიონებად დაშლილი წარმოუდგენიათ. ევროსაბჭოს დებატების დაწყებამდე ერთ-ერთი რუსი დეპუტატის საუბარი მოვისმინე, უცხოელ კოლეგებს საქართველოსთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს უზიარებდა. მათ საუბარში ჩავერიე, მაგრამ როცა მისი არგუმენტები მოვისმინე, მივხვდი — კამათის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა... ამ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის ხელისუფლებასა და დუმის ოპოზიცია ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ვესაუბრე ოპოზიციის იმ მცირე ნაწილს, რომელიც ევროსაბჭოს დელეგაციაში დუმის სახელით არ იყო წარმოდგენილი. ეს ადამიანები მედვედევ-პუტინის პოლიტიკას ემიჯნებიან. ერთ-ერთმა მათგანმა, არშიანოვმა ჩვენი საკითხის განხილვამდე ევროსაბჭოში ოფიციალური საჯარო განცხადებაც გააკეთა და რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის ინიციატივითაც გამოვიდა. მან პირდაპირ მიმართა ევროპელ დეპუტატებს მოწოდებით, თვალი არ დაეხუჭათ რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე...

**— თქვენი ვარაუდით, რამდენად რეალურია იმის შანსი, რომ ევროსაბჭოს უკიდურესად მწვავე ზეწოლის შემთხვევაში, რუსეთის პოლიტიკაში რაიმე შეიცვალოს?**

— გავიხსენოთ არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ისტორია: თავის დროზე, დასავლეთის გონივრული ბრძოლისა და გრძელვადიანი პოლიტიკის შედეგად, საბჭოთა კავშირს სერიოზულ დათმობებზე წასვლა მოუხდა. ასევე გადამწყვეტი როლი ითამაშა რეიგანისა და ტეთჩერის მიზანმიმართულმა ქმედებებმა. ასე რომ, იმედი, რა თქმა უნდა, არსებობს... ■



# ნიკოლა სარკოზი შვილს „ქაჩავს"



საფრანგეთის პრეზიდენტს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ. მან თავისი 23 წლის ვაჟი, მესამეკურსელი ჟანი ევროპაში ყველაზე მსხვილი საქმიანი კვარტალის — ლა-დეფანსის მმართველი სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელად დანიშნა. ერთი წლით ადრე ჟანი ოტს-დე-სენის საქალაქო საბჭოს წევრიც გახდა და მამის პარტიის ადგილობრივ განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. ამიერიდან ჟანი ლა-დეფანსის გაფართოების პროგრამას გაუძღვება, რომლისთვისაც მრავალი მილიონი ევროა გამოყოფილი. ოპოზიციური სოციალისტური პარტიის მესვეურთა აზრით, ჟანის დანიშვნა მმართველი პარტიის გამგებლობის ქვეშ ახალი რეგიონის — „დიდი პარიზის" შექმნის სარკოზისეული გეგმის ერთ-ერთი ნაწილია.

**The Times**

# რამ დაანგრია ბერლინის კედელი

პოლონეთის პროფკავშირმა „სოლიდარობამ", საბჭოთა კავშირის „პერესტროიკამ", რეიგანის თავდაცვითმა ინიციატივამ, ლაიფციგის მშვიდობიანმა დემონსტრაციებმა და ლოცვებმა... კედელმა, რომელიც გერმანიას 3 ათეულ წელზე მეტხანს ყოფდა, სწორედ ამ მოვლენებს ვერ გაუძლო.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1989 წლის გერმანიის რევოლუცია რუსეთში მომხდარი რევოლუციის ნაწილი და შედეგია. მიზეზი კი, საბჭოთა კავშირის იმპერიული რკალიდან ცენტრალური სეგმენტის ამოვარდნის გარდა, ისიცაა, რომ კრემლი არ ჩაერია მოვლენებში, რომელთა თავიდან აცილებაც მხოლოდ ტანკებით შეიძლებოდა. როგორც საბჭოთა კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტ პეტერ ბიონიშს გაანდო, 1989 წლის ნოემბერში საუბარი „გერმანიის გაერთიანება-არგაერთიანებაზე კი არა, გერმანულ ერთიანობასა და ატომურ ომს შორის არჩევანზე" იყო. რატომ არ შეუშალეს ხელი მოვლენების განვითარებას გორბაჩოვმა და მისმა თანამებრძოლებმა? მათ ხომ იცოდნენ, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განლაგებული 20 ელიტური დივიზიის გარეშე ქვეყანაში ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელი იყო! რატომ არ განმეორდა 1956 წლის უნგრეთისა და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის სცენარები?

იმიტომ, რომ დრო შეიცვალა და იმპერია „ზემოდან განხორციელებულ რევოლუციას" უნდა ეხსნა. სპეცსამსახურებმაც და არმიამაც ამიტომ დაუჭირეს მხარი „გლასტნოსტსა" და „პერესტროიკას". ენდშპილი პოლონური მოძრაობა „სოლიდარობით" ანდა შეიძლება, რონალდ რეიგანის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივითაც" დაიწყო; გადამწყვეტი მომენტი ალბათ, 1989 წელს, ავსტრია-უნგრეთის საზღვრის გახსნისას დადგა; დასასრულის მაუწყებლად კი იმ მოვლენების ჯაჭვი იქცა, რომელთაც აღმოსავლეთ ბერლინში, გე-დე-ერის მეორმოცე და უკანასკნელ იუბილეზე გორბაჩოვის პირქუშმა ვიზიტმა დაუდო სათავე. „დაგვიანებულებს ცხოვრება სჯის", — განაცხადა მაშინ გორბაჩოვმა ტელეკამერების წინ და ამჯერად ყველაფერმა საბჭოთა ტანკების გარეშე ჩაიარა. სხვა დანარჩენი კი მართლაც, საოცრებას ჰგავდა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის უშიშროების ორგანოები ხომ ყველაფერს ელოდნენ, სანთლების, ლოცვებისა და არაძალადობრივი წინააღმდეგობის გარდა...

**Die Welt**



# მეცნიერთა მხილება

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბენიამინ ნეთანიაჰუმ კრემლს იმ რუს მეცნიერთა სია გადასცა, რომლებიც, ისრაელის ვერსიით, ირანს ბირთვული ქობინის შექმნაში ეხმარებიან. არსებული ცნობებით, რუსეთისთვის ამ სიის გადაცემა სექტემბერში, მოსკოვში ნეთანიაჰუს საიდუმლო ვიზიტისა და პუტინთან და მედვედევთან მოლაპარაკებების დროს მოხდა. „გავიგეთ, რომ ნეთანიაჰუ სიითა და კონკრეტული მტკიცებულებებით ხელდამშვენებული ჩამოვიდა, რომლებიც რუსების მიერ ირანისთვის ბომბის შექმნაში დახმარებას ადასტურებს, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრთან დაახლოებულმა წყარომ. — ვიზიტის ამბავს საიდუმლოდ კი იმიტომ ინახავდნენ, რომ მისი მიზანი — უხერხულ მდგომარეობაში მოსკოვის ჩაყენება კი არა, მისთვის სამოქმედო ბიძგის მიცემა იყო". აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური პირების განცხადებით, ირანულ პროგრამაში რუს მეცნიერ-ფრილანსერთა მონაწილეობა წარსულს ჩაჰბარდა. თუმცა ერთი წლის წინ „მაგატემ" (ბირთვულ პროგრამებზე ზედამხედველობის საერთაშორისო ორგანიზაცია) მაინც სერიოზული შეშფოთება გამოთქვა „იმ რუსი სპეციალისტების გამო, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების თანხმობის გარეშე მოქმედებენ". ისრაელის წარმომადგენელთა მტკიცებით კი „ირანში რუს მეცნიერებს მხოლოდ თავიანთი ხელისუფლების ოფიციალური თანხმობის შემდეგ შეუძლიათ მუშაობა"... ზოგიერთი წყაროს ცნობით, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მრჩეველი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და შეიარაღების კონტროლის საკითხებში, რობერტ ეიჰორნი მიიჩნევს, რომ რუსული კომპანიები ირანს ბალისტიკური რაკეტების დასამზადებელ მასალებს აწვდიდნენ; დასავლელი ექსპერტები კი ვარაუდობენ, რომ ქობინის შექმნაში შესაძლოა, ჩრდილოეთ კორეაც იყოს ჩართული.

**The Sunday Times**

# პუტინი „მემორიალის“ წინააღმდეგ



უფლებადაცვითი ცენტრი „მემორიალი“ რუსეთის პრემიერ-მინისტრის, „საერთო ეროვნული ლიდერისა“ და „კაგებეს ყოფილი პოლკოვნიკის, ვლადიმირ პუტინის სამიზნედ იქცა. მისი აზრით, მსგავსი სამოქალაქო ორგანიზაციები „მხოლოდ ქვეყნის იმიჯს თუ აზიანებენ“, „სამშობლოს მტრები“ არიან და, დასავლეთის დახმარებით, „წმინდა რუსეთის“ განადგურება სურთ. რაც შეეხება ადამიანის უფლებების დარღვევას, — მსგავს „რამერუმეებზე“ რუსეთში საერთოდ, არ ლაპარაკობენ. პუტინი ამას, ყოველწლიურად, „ჩეკას“ დაბადების დღის შამპანურით აღნიშვნას ამჯობინებს, სახელმძღვანელოებში სტალინის რეაბილიტირებას ახდენს, „დიდ ტერორს“ ინდუსტრიალიზაციის წარმატებებით ამართლებს, რეპრესიებზე მონაცემების შემცველ არქივებს ხურავს, არმიას წითელ დროშას, რუსეთს კი საბჭოთა კავშირის გადაკეთებულ ჰიმნს უბრუნებს...

„მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში ვლადიმირ პუტინი მოვიდა, ორი ათეული ჟურნალისტი, მათ შორის, ერთი ამერიკელი „საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში“ მოკლეს. ბოლო ორი მსხვერპლი კი, რომელმაც ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა, „უგზო-უკვლოდ დაიკარგა“... რუსეთში უკვე მარტო ადამიანის უფლებებს კი არა, მათ ყველაზე უფრო ცნობილ დამცველებზეც მიიტანეს იერიში.

ახმედ გისაევი „მემორიალში“ სამუშაოდ იმისთვის მივიდა, რომ დანაშაული, რომელიც მან 2003 წელს გადაიტანა, დაუსჯელი არ დარჩენილიყო. ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის ამ მოქალაქემ საკუთარ თავზე გადაიტანა ის, რასაც წინასაარჩევნო კამპანიისას „ფასეულობების დიპლომატიაზე“ ესოდენ დიდხანს მოსაუბრე ნიკოლა სარკოზიმ „ადამიანის უფლებების სფეროში რუსეთის სპეციფიკა“ უწოდა. გაზი, ნავთობი, პერსპექტიული რუსული ბაზარი და გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება ხომ „ფასეულობებისთვის“ სრულიად უცხო, მაგრამ ფრიად უდავო საბუთებია... ახმედ გისაევი 2003 წელს მილიციისა და ეფ-ეს-ბეს წარმომადგენლებმა მოიტაცეს, 15 დღის განმავლობაში სასტიკად აწამებდნენ და მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ნათესავებმა გამოსასყიდი გადაიხადეს. გისაევის თქმით, მისი მწამებლები რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდნენ, ეს კი იმ ფართოდ გავრცელებულ ვერსიას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, ყველა სისასტიკეს მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტ რამზან კადიროვის პრორუსული ხელისუფლება სჩადის. ახმედ გისაევი დღემდე მტკიცედაა დარწმუნებული, რომ „ასეთ გადაწყვეტილებებს ჩეჩნეთში კი არა, მოსკოვში იღებენ“... სამშვიდობოზე გამოსვლის შემდეგ, გისაევმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცესს მოიგებს და რამდენიმე ათას ევროსაც გადაუხდიან, გისაევისთვის საშინელებები მაინც არ დასრულდება: რუსებმა ხომ გასაგებად აუხსნეს, რომ მისი დაპატიმრება მხოლოდ და მხოლოდ „შეცდომა“ იყო. კიდევ ერთი ასეთი „შეცდომის“ მსხვერპლი — „მემორიალის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელი, ოლეგ ორლოვი გახდა. 2007 წლის ნოემბერში, ის და ადამიანების გაუჩინარების, წამებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის გასაშუქებლად ნაზრანში ჩასული 2 ჟურნალისტი კამუფლაჟიანმა ადამიანებმა შუაღამისას ლოგინიდან წამოყარეს, წინ ცემა-ტყებით გაირეკეს და დათოვლილ მინდორზე გახდილები დატოვეს. რუსულად უაქცენტოდ მოსაუბრე კამუფლაჟიანებმა ორლოვი და მისი თანმხლებნი არაორაზროვნად გააფრთხილეს, — „სხვა დროს“ უარესი დაგემართებათო...

**Le Nouvel Observateur**

■



# ფრანგ მინისტრს ძველი ცოდვები გაუხსენეს



საფრანგეთში კულტურის მინისტრ ფრედერიკ მიტერანთან დაკავშირებული პოლიტიკური სკანდალი მწიფდება. მინისტრი „ბიჭუნების“ ფასიანი სექსუალური მომსახურებით სარგებლობაში ამხილეს, რის შემდეგაც ის, საკუთარი რეპუტაციის გადარჩენასთან ერთად, მთავრობაში ადგილის შენარჩუნებასაც ყველანაირად ცდილობს. 62 წლის მიტერანს საკუთარი ჰომოსექსუალური ორიენტაცია არც არასდროს დაუმალავს. უფრო მეტიც — ავტობიოგრაფიულ წიგნში La mauvaise vie („ცუდი ცხოვრება“), სხვასთან ერთად, იმასაც დაუფარავად ჰყვება, თუ ბანგკოკის ბორდელებში როგორ დადიოდა: „ჩვევად მექცა ბიჭუნებისთვის ფულის გადახდა... ახალგაზრდა, ძალიან მიმზიდველი და ხელმისაწვდომი ბიჭების სიმრავლემ ჟინი გამიძლიერა, რადგან აღარც რაიმეზე უარის თქმა და აღარც რაიმეს დაფარვა მჭირდებოდა“, — წერს იგი წიგნში. კრიტიკოსთა თქმით, 2005 წელს La mauvaise vie ბესტსელერად იქცა. თუმცა მას შემდეგ, რაც ავტორი რომან პოლანსკის გამოესარჩლა (ცნობილი რეჟისორი 30 წლის წინ, 13 წლის გოგონასთან სექსისთვის არის დაპატიმრებული), წიგნიც მის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენეს. ახლახან, ულტრამემარჯვენე პარტია „ნაციონალური ფრონტის“ წევრმა, მარინ ლე პენმა მიტერანის წიგნიდან ნაწყვეტები ტელევიზიით წაიკითხა და მინისტრის სასწრაფო გადადგომაც მოითხოვა. მისი პარტია კი უმალ მსგავსი მოწოდების შემცველ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებასაც შეუდგა. „ნაციონალისტებს“ არც სოციალისტების უმსხვილესი ოპოზიციური პარტია ჩამორჩა და გაკვირვება ვერ დაფარა, — აშკარა პედოფილს მინისტრის პოსტზე რა უნდაო?! მიტერანმა კი საპასუხო დარტყმა არ დაახანა და განაცხადა, — ექსტრემისტთა სამიზნედ ვიქეციო. „სოციალისტების დამოკიდებულებამ შოკში ჩამაგდო... თუ ტალახში „ნაციონალური ფრონტი“ მითრევს, ჩემთვის ეს მხოლოდ პატივია, მაგრამ თუ ამას მემარცხენე პარლამენტარი აკეთებს, მას უნდა რცხვენოდეს“, — დასძინა შერისხულმა მინისტრმა. მიტერანის თანაშემწეთა თქმით, ასეთი თავდასხმებისთვის ის გამინისტრების პირველი დღეებიდანვე ემზადებოდა. თუმცაღა, — დასძენენ ისინი, — გათვლა იმაზე კეთდებოდა, რომ მინისტრს საჯარო პირების კერძო ცხოვრებაში ჩაურევლობის ფრანგული ტრადიცია დაიცავდა. ტრადიცია — ტრადიციად, მაგრამ როგორც ჩანს, მიტერანის მრჩევლებმა ინტერნეტის ფაქტორი და პედოფილებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრი საერთოდ აღარ გაითვალისწინეს. ცნობისათვის — მიტერანის ბიძას, ექსპრეზიდენტ ფრანსუა მიტერანს წლების მანძილზე მეორე ოჯახი და უკანონო ქალიშვილიც ჰყავდა, რასაც თითქმის გადადგომამდე მალავდა.

**The Times**

# დაუჭერს თუ არა ევროპა მხარს ბლერის გაპრეზიდენტებას

ევროპელი დიპლომატები და ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ევროკავშირის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული კამპანიის უდავო ფავორიტი იქნება და 5 უმსხვილესი ევროპული სახელმწიფოს მხარდაჭერასაც მოიპოვებს. ბლერივით „ატლანტისტი“, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მას მხარს უთუოდ დაუჭერს. ასევე მოიქცევა ექსპრემიერის ძველი მოკავშირე — იტალიელი კოლეგა სილვიო ბერლუსკონიც. მრავალთა გასაოცრად, ბლერის მხარეზეა ესპანეთის სოციალისტი ლიდერი ხოსე ლუის საპატეროც. ის ძალიან აფასებს დახმარებას, რომელიც ბლერმა სეპარატისტულ მეამბოხე ორგანიზაცია „ეტასთან“ ბრძოლისას აღმოუჩინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი — გერმანიის, ამ უმსხვილესი ევროპული ეკონომიკის მქონე ქვეყნის ხმაა. როგორც ამბობენ, ფედერალურ არჩევნებში გამარჯვებამდე, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ბლერის კანდიდატურას დიდი ხალისით როდი ეკიდებოდა. მაგრამ ახლა მერკელი უკვე მემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობის მეთაურია და სულ თავისუფლად შეუძლია, ერაყის ომში ბლერის როლის გამკიცხველ სოციალ-დემოკრატებს ანგარიში საერთოდ აღარ გაუწიოს. „ამ საკითხში გერმანიის აზრი ძალზე მნიშვნელოვანია, — განაცხადა ევროპული რეფორმების ცენტრის წარმომადგენელმა, ჩარლზ გრანტმა. — ბლერი ყველაფერს მიიღებს, თუ გერმანია მის შეჩერებას არ გადაწყვეტს, ანდა პატარა სახელმწიფოები მისი კონკურენტის მხარდასაჭერად არ გაერთიანდებიან... ბლერს ასევე შეიძლება, რუმინეთისა და ბულგარეთის იმედიც ჰქონდეს: 2004 წელს ხომ მან აქტიურად დაუჭირა მხარი ამ ქვეყნების ნატოში შესვლას. ასეთი სახელმწიფოების რიგში ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებიც (მაგალითად, ჩეხეთი) დგანან“, — მიაჩნია გრანტს. დანარჩენ პრედენდენტთა შორის არიან: ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფელიპე გონსალესი, ჰოლანდიის პრემიერი იან პეტერ ბალკენენდე და პაალო ლიპონენი, რომელმაც ფინეთის პრემიერობისას, ეს ტრადიციულად ნეიტრალური ქვეყანა ევროკავშირში შეიყვანა. ევროკავშირის თავმჯდომარეობის პრეტენზია ბელგიელ და ლუქსემბურგელ პოლიტიკოსებსაც აქვთ. თუმცა ანალიტიკოსების მტკიცებით, ტონი ბლერის დონის საერთაშორისო რეპუტაციითა და გამოცდილებით, აგრეთვე, ისეთი მოწესრიგებული ურთიერთობით, როგორიც მას ამერიკის, რუსეთისა და ჩინეთის ლიდერებთან აქვს, ვერც ერთი სხვა კანდიდატი ვერ დაიკვეხნის.

**The Guardian**

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ლებანიძემ*



# სახე



# რამ შეიძლება, აატიროს თავისუფლებისმოყვარე კრისტი

**მოდელ კრისტის ავლაბარში, მამისეულ სახლში ვესტუმრეთ. მის ოთახში კომფორტისთვის აუცილებელი ნივთებია: საწოლი, ტელეფონი, კომპიუტერი, სავარძელი... განსაკუთრებით ტელეფონი და კომპიუტერი უყვარს — იმდენად, რომ თითოეულის გაფუჭებამ შესაძლოა, თვალზე ცრემლიც კი გაუჩინოს. სამაგიეროდ, ადვილად იტანს ფიზიკურ ტკივილს. ბავშვი ისე გავაჩინე, ცრემლი არც გადმომვარდნიაო, — ჩვენთან საუბრისას აღნიშნა კრისტიმ...**

*ნინო მჭედლიშვილი*

— ამ სახლში დავიბადე და გავიზარდე. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი პატარაობა. ცელქი არ ვყოფილვარ, წყნარი, გაწონასწორებული ბავშვი ვიყავი. ოჯახის წევრებს არანაირ პრობლემას არ ვუქმნიდი; არც ხიფათიანი ვყოფილვარ, ყოველთვის ვფრთხილობდი, პატარაობაში არც კი წავქცეულვარ.

**— ველოსიპედი გქონდა?**

— ველოსიპედი — მერე, ცოტა რომ წამოვიზარდე. ბაღის პერიოდში წიგნები მიყვარდა, წერა-კითხვას ვსწავლობდი. სანამ სკოლაში მივიდოდი, ანბანი უკვე ვიცოდი. წიგნები, ჩანთაში თოჯინები, მძივები და კიდევ ბევრი უაზრო „ხარახურა“ მეყარა, რომელსაც სადაც მივდიოდი, ყველგან თან დავათრევდი. კარგად მახსოვს ხისძირიანი საბოები, რომელსაც ხშირად ვიცვამდი და ყველას თავი სტკიოდა იმ საბოების ბაკუნით. ყველა ის ადგილი მახსოვს, სადაც მშობლებს ზაფხულობით დასასვენებლად მივყავდი. მახსოვს სოხუმი, ასევე გაგრა, იქ დიდი გემი და მასზე განთავსებული რესტორანი, სადაც ხშირად დავდიოდით.

**— შენი მშობლები რა პროფესიისანი არიან?**

— ჩემმა მშობლებმა ძალიან ადრეულ ასაკში შექმნეს ოჯახი, 17 წლისანი იყვნენ. ამის გამო დედამ პროფესიად დიასახლისობა აირჩია, 19 წლისას უკვე მე ვყავდი და თავი შვილებს მიუძღვნა. ძალიან კარგი დედაა და ახლა უკვე — კარგი ბებია. ჩემი შვილი, ფაქტობრივად, მისი გაზრდილია. მართალია, ჩემი შვილია, მაგრამ ძირითადად მისი გავლენის ქვეშაა. დედაჩემის სიტყვას, ნატალია არ გადავა. მამა წარსულში ბიზნესმენი იყო, ახლა ცოტას ავადმყოფობს.

**— დედმამიშვილები გყავს?**

— ერთი და მყავს, ლიკა, რომელიც 23 წლისაა. გათხოვილია.

**— დედა ალბათ უფრო მკაცრი იყო...**

— მკაცრი კი არა, დედაჩემი ტანჯვაა (*იცინის*). უკვე 32 წლის ვარ და დღემდე მაკონტროლებს, დღეში რამდენჯერმე მირეკავს, სად ვარ, როგორ ვარ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რამეს დავაშავებ, იმიტომ, რომ თვითონ იყოს მშვიდად. მამა პირიქითაა, ბავშვობიდან ყველგან მიშვებდა... მე სხვანაირად ვზრდი ჩემს შვილს, ვცდილობ, არაფერში შევზღუდო, მაგრამ ნატალია დედაჩემს მაინც ვერ ასცდა. ასე რომ, დედა ახლა ნატალიაზე ზრუნვითაა დაკავებული. იმდენადაა ნატაშკაზე გადართული, ხანდახან მეც კი ვავიწყდები (*იცინის*). თავიდან, მოდელობა რომ დავიწყე, სააგენტოში დედა დამყვებოდა, ახალგაზრდა იყო და მსიამოვნებდა კიდეც მასთან ერთად სიარული. ვერ იტყოდი, რომ დედა-შვილი ვიყავით.

**— რომელ სკოლაში დადიოდი?**

— ჩემს სახლთან ახლოს, 78-ე სკოლაში დავდიოდი; რუსული სკოლა იყო. სკოლა რომ დავამთავრე, უცხო ენებზე ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტში ჩავაბარე. მოდელობა იმავე წელს დავიწყე.

**— ორიანი მიგიღია სკოლაში?**

— როგორ არ მიმიღია! იყო საგნები, რომლებიც არ მომწონდა და არ ვსწავლობდი. ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა და მათ კარგადაც ვსწავლობდი. ერთი მასწავლებელი გვყავდა, რომელიც გაკვეთილზე ლაპარაკის გამო ორიანებს უსამართლოდ წერდა. ბევრი ასეთი „უსამართლო ორიანი“ მქონდა მიღებული,



ამ ქორწინებას ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა — ჩემი ნატალია

ამას ძალიან განვიცდიდი და მათ მალევე ვასწორებდი.

**— სცენაზე პირველად როდის გამოხვედი?**

— ეს საბავშვო ბაღში მოხდა, საიდანაც ფილარმონიის სცენაზე მოვხვდი. ბაღებს შორის კონკურსი იყო ცეკვაში. მახსოვს, უკრაინული ცეკვის ნომერი მქონდა და ძალიან მიხაროდა დიდ სცენაზე გამოსვლა. მერე, სკოლაში სპექტაკლებს ვდგამდით და ერთხელ ზღაპარ „რეპკაში" ბებიის როლი ვითამაშე. ყველაზე შთამბეჭდავი გამოსვლა ახალ წელს, ოფიცერთა სახლში მქონდა: ბოშა ქალი ვიყავი, ძალიან ლამაზი კაბა მეცვა და თოვლის პაპასთან ჩემი ინიციატივით ბოშური ვიცეკვე. ამ სითამამისთვის განსხვავებული საჩუქარი დავიმსახურე. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

**— ხასიათით თუ ჰგავხარ ბოშას? თავისუფლების მოტრფიალე ხარ?**

— არ ვიცი, ბოშებს როგორი ხასიათი აქვთ, მაგრამ თავისუფლება მიყვარს... მინდა, ჩემი სახლი, ჩემი კუთხე მქონდეს და თავისუფლებას ვგრძნობდე, შეზღუდული არც ახლა ვარ, მაგრამ... სხვათა შორის, წელს ჩემმა შვილმა გადაწყვიტა, ბოშას დამსგავსებოდა, ბოშურად ჩაიცვა. იმ დღეს სტუმრად ჩემი მეგობარი ფოტოგრაფი გვყავდა და იდეაც გაჩნდა:

— მე და ნატალიამ ფოტოები ბოშურ ფორმებში გადავიღეთ, ძალიან კარგი სერია გამოვიდა. ნატალია ძალზე ბედნიერი იყო.

**— სარკის წინ ტრიალი როდის დაიწყე?**

— სხვათა შორის, ძალიან გვიან. ახლა 13-15 წლის გოგოებს რომ ვუყურებ, გაოცებული ვარ, ტუში და „პომადა" პირველ ჩვენებამდე არ წამისვამს. 32 წლის ვარ და დღემდე სპორტულად ვიცვამ, უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. მაკიაჟსა და ვარცხნილობას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვიკეთებ.

**— თუმცა, ჩემი კოლეგებისგან მსმენია, კრისტი რომ პოდიუმზე გამოდის, ძალიან ბევრ მოდელს ჩრდილავსო.**

— მართლა?! დიდი მადლობა. ალბათ იმის გამოა, რომ ქალურად ჩაცმა მენატრება ხოლმე (*იცინის*).

**— შენს ხასიათზე ვისაუბროთ, ადვილად იღებ გადაწყვეტილებებს, თუ დიდხანს ფიქრობ, სანამ ნაბიჯს გადადგამდე?**

— ძალიან დიდხანს ვფიქრობ, წვრილმანებზეც კი. მაგალითად, საჩუქარს რომ ვყიდულობ, კარგა ხანს ვდგავარ მაღაზიაში და ვერ ვწყვეტ, ვიყიდო თუ — არა. ჩემთვის თუ რამეს ვყიდულობ, ეს სერთოდ „კოშმარია".

**— როცა თხოვდებოდი, მაშინაც ბევრი იფიქრე?**

— მაშინ არავინ არაფერი მკითხა და... ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა. არაფერს ვნანობ, ამ ქორწინებას ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა — ჩემი ნატალია. თუმცა, ყველაფერი არასტანდარტულად მოხდა, ჯერ მომიტაცეს, მერე ქორწილი მქონდა...

**— მეორე ქორწინება?**

— ჯერ კიდევ მეორე ქორწინებაში ვიმყოფები, ჯვარი კი ავიყარეთ, მაგრამ ხელი ისევ მოწერილი გვაქვს.

**— რატომ არ ჩქარობ, რა იცი, რა გელოდება წინ?**

— ახლა გათხოვებაზე არ ვფიქრობ, აღარ მინდა, კიდევ შეცდომა დავუშვა, კარგად უნდა ავწონ-დავწონო ჩემი თითოეული ნაბიჯი და ისე გადავწყვიტო, დავუკავშირო თუ არა ჩემი ცხოვრება კიდევ სხვას, მაგრამ თუ კიდევ გავთხოვდები, ეს ქაღალდი ხელს არ შემიშლის.

**— როგორი დედა ხარ?**

— ჩემი მხრიდან უხერხული თუ არ იქნება, ვიტყვი, რომ კარგი. ნატალიას მოვლასთან დაკავშირებით მე, დედაჩემსა და გიორგის (ყიფშიძე) დედას ფუნქციები განაწილებული გვაქვს. ჩემს გასაკეთებელს პირნათლად ვასრულებ. ბავშვს ბევრი მომვლელი ჰყავს და აქედან გამომდინარე, თუ ძალიან არ გამაბრაზა, არ ვუწყრები. ვცდილობ, არ ვაწყენინო. ჯიუტი ბავშვი არ არის, მთავარია, როგორ მიუდგები. ვცდილობ, მასთან ვიმეგობრო. ისე, დიდი, „ვასასია", სკოლაში ყველაზე ყველაფერი იცის — ვის ვინ უყვარს და ა.შ. თვითონ მგონი, ჯერ არ არის შეყვარებული.

**— შენი ცხოვრებით თუ ინტერესდება?**

— ძალიან უყვარს ჩემი მეგობრები, ყველაფერი იცის ჩემზე, ვისთან ვურთიერთობ, ვის მიმართ ვარ კეთილგანწყობილი... მაგრამ ჩემ მიმართ ეჭვიანი არ არის. ჩემი და რომ გათხოვდა, ძალიან ინერვიულა, მაგრამ ჩემთან დაკავშირებით ასეთი რამ არ გამოუხატავს. პირიქით, ახლა ამბობს, კრისტი უნდა გათხოვდესო... უნდა, რომ ჰყავდეს და ან ძმა. იცის, სხვა შემთხვევაში არ ეყოლება (*იცინის*).

**— დეპრესიული ხარ?**

— არა, რკინის ნერვები მაქვს, ძალიან უნდა გამაგიჟო, რომ გავბრაზდე ან დეპრესიაში ჩავვარდე. ბევრის მოთმენა შემიძლია...

**— როცა ცუდ ხასიათზე ხარ, რას აკეთებ?**

— ასეთი შემთხვევა იშვიათია, ვერც კი ვიხსენებ.

**— მე გაგახსენებ.**

— (*იცინის*) ჰო, მაშინ ძალიან გავბრაზდი ინტერვიუს სათაურზე, დაგირეკე, ვიწივლე, ვიკივლე და დავკიდე ყურმილი. მაგრამ ხომ მალე გადამიარა?!

**— ...ზარმაცი ხარ?**

— არა, ძალიან მოწესრიგებული და ყურადღებიანი ვარ. მაგალითად, ხვალ გადაღება მაქვს და დღეს ყველა საქმე მოვითავე, ხვალ რომ თავისუფალი ვიყო და მთლიანად საქმეზე ვიფიქრო.

**— რა გადაღება გაქვს?**

— გიგა აგლაძე მიღებს ფილმში, რომლის სავარაუდო სახელწოდებაა — „გოგონა სლაიდიდან". ეს არის „ტუტცის" ქართული ვარიანტი. მე მოდელი ვარ, კრისტი მქვია და შესაბამისად საკუთარ თავს ვთამაშობ, თუმცა ოდნავ განსხვავებული ხასიათით, რადგანაც ის ამბიციური, ცინიკოსი და „სტერვაა".

**— ტელეფონზე ლაპარაკი გიყვარს?**

— ძალიან, ბავშვობიდან ვგიჟდები ტელეფონზე; მიყვარს კომპიუტერიც.

**— წეღან მითხარი, ადვილად ვივიწყებ წყენასო. რა არ გავიწყდება?**

— ღალატს ვერ ვივიწყებ. არა მხოლოდ მამაკაცის, მეგობრის ღალატსაც ვერ ვივიწყებ. მისი მტერი არ გავხდები, მაგრამ მასთან ნელ-ნელა ურთიერთობას გავწყვეტ. ■

# განახლებული სერიალი, სეზონის დასაწყისი და „დაქოქილი“ იუმორისტები

**ტელეკომპანია „იმედში“ ახალი სატელევიზიო სეზონისთვის ემზადებიან. ნამდვილად ვერ მოვითმენდი, „ღამის შოუს სტუდიის“ „ოხშივარიან სამზარეულოშიც“ რომ არ შემეჭყრიტა. თუმცა მხოლოდ შეჭყრეტას როდი დავჯერდი, „მზარეულსაც“ გავესაუბრე და ისიც გავიგე, რომ ძველი და საყვარელი ტელესერიალ „შუა ქალაქის“ გარდა, მათ „სამზარეულოში“ კიდევ ბევრი კარგი სიახლე „თუხთუხებს“. გარდა ამისა, ისიც მითხრეს, რომ... თუმცა ამას ინტერვიუში წაიკითხავთ. მოკლედ, ახალ პროექტებსა და „გემრიელ“ სიახლეებზე თავად სტუდიის პროდიუსერი — ირაკლი კაკაბაძე ისაუბრებს.**



*ელენე ბასილიძე*

**— ირაკლი, როგორ ხარ?**

— მუშაობით ცოტა დაღლილი რომ არ ვიყო, კარგად ვიქნებოდი (*იცინის*)...

**— ვიცი, რომ თქვენი სტუდია მაყურებელს ბევრ სიახლეს ჰპირდება. ძველი პროექტები თუ გაგრძელდება?**

— ქალაქში ჭორები ვრცელდება, თითქოს სერიალი — „შუა ქალაქში“ იხურებაო, მაგრამ მეხუთე სეზონის გადაღება უკვე დავიწყეთ და პროექტს დახურვის საფრთხე აღარ ემუქრება. ამ სერიალზე თავადაც კარგად ვხალისობთ, მსახიობებსაც მოსწონთ თავიანთი როლები, მაყურებელსაც ძალიან უყვარს და რატომ უნდა დაიხუროს, როცა ყველაფერი კარგად არის?! იმის გამო, რომ ერთფეროვნება არაფერს უხდება, ამიტომ, მუდმივად ვცდილობთ, მასში სიახლეები შევიტანოთ. მივიჩნევ, რომ ქართულ ტელესივრცეში სერიოზული რეკორდი მოვხსენით, რადგანაც ამდენი ხნის განმავლობაში ასეთი პოპულარული არც ერთი გადაცემა არ ყოფილა. ის პერსონაჟები, რომლებიც სერიალში აქამდე მეორეხარისხოვნები იყვნენ, პირველ პლანზე გადაინაცვლებენ, თავს ახალი ამბები გადახდებათ, რაც მთელი სეზონის განმავლობაში გაგრძელდება.

**— რა ბედი ელით მთავარი როლის შემსრულებლებს?**

— მთავარი გმირები ცოტა ხნით უკან გადავწიეთ. ამით გვინდოდა, პროექტში ცოტა სიახლე შეგვეტანა. „შუა ქალაქში“ ჩვეულებრივ ცხოვრებას ასახავს და ციდან მოტანილ ხუმრობებსა და ამბებს ძალიან ვერიდებით. რატომ არის, რომ საქართველოში ინგლისური იუმორი პოპულარული არაა და დუმბაძის იუმორი ყველას ესმის? იმიტომ, რომ დუმბაძის იუმორი ჩვენი, მშობლიურია... თორემ დები ღლონტებისნაირ მეზობელს სხვა ქვეყანაში უჩივლებდნენ (*ღიმება*). „ღამის შოუში“ რუბრიკა — პრესის მიმოხილვა დარჩება, ოღონდ პროექტს სხვა ახალი რუბრიკა ემატება... მათ შორის, ერთი კონკრეტული თემის გარშემო ვიხუმრებთ.



მთავარი გმირები ცოტა ხნით უკან გადავწიეთ

**— მხოლოდ ერთ თემაზე ხუმრობა არ გაგიჭირდებათ?**

— ის თემა ღერძი იქნება, რომლის გარშემოც ჩვენი ხუმრობები იტრიალებს. დასაწყისში ვცდით და, თუ მაყურებელს მოეწონება სიახლე, აუცილებლად დავტოვებთ. ვიდეორუბრიკებისა და გამოკითხვების დამატებასაც ვფიქრობთ, რაიმე აქტუალურ თემას ავირჩევთ და მოსახლეობის გამოკითხვას ჩავატარებთ. თვით გადაცემის სტრუქტურა არ შეიცვლება, წამყვანი და მისი მონოლოგიც აუცილებლად დარჩება.

**— კიდევ რა ახალ გადაცემას შემატებს თქვენი სტუდია ტელეკომპანია „იმედის“ ეთერს?**

— ახალ პროექტებს რაც შეეხება, გვემატება „ნანუკას შოუ“, რომელზეც ნანუკა ჟორჟოლიანთან ერთად, ჩვენც

ვმუშაობთ. ასე რომ, ამ შოუს გარკვეული ტვირთი ჩვენს კისერზეცაა (*იღიმება*). სცენარის ნაწილს, მონტაჟს, გადაღებას და სტუდიას ჩვენ „ვპატრონობთ“. მთავარი გადაცემაში, რა თქმა უნდა, ნანუკაა და თავისი გუნდიც ჰყავს, მაგრამ შოუს ბევრი რამ სჭირდება და ჩვენც ვეხმარებით...

**— რა ჟანრის გადაცემა იქნება „ნანუკას შოუ“?**

— ტოქშოუა, როგორიც მაგალითად, ამერიკაში — „ოპრას შოუ“... ამერიკული მაგალითი ქართულ რეალობას მოერგება და მჯერა, მშვენიერი შოუ გამოვა.

**— გავიგე, რომ ნანუკას გადაცემაში ჩაწერაზე ძროხა მიუყვანიათ...**

— არაფერი ვიცი (*თავს იქნევს და იღიმება*)! თან წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია (*იცინის*)...

**— „ნანუკას შოუში“ ვინ იქნებიან სტუმრები?**

— შოუში იქნება თემა და ამ თემის მიხედვით იქნებიან შერჩეული სტუმრებიც. მგონია, რომ შოუში საზოგადოებისთვის როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ადამიანებიც იქნებიან, თუმცა ეს ყველაფერი თავად ნანუკას გადასაწყვეტია... მას ჩვენსავით, „რუსთავი 2“-ის ძველი „გვარდია“ აქვს გამოვლილი და იცის, წარმატების მოსაპოვებლად როგორ უნდა იმუშაოს. ვფიქრობ, მისი გადაცემა თანდათანობით მოიხვეჭს მაყურებლის სიმპათიას. გვაქვს კიდევ ერთი ახალი პროექტიც, რომელზეც მაკა ლომიძესთან ერთად ვმუშაობთ (მაკა ადრე „მზის დარტყმაში“ მუშაობდა)... მას თავისი გუნდი ჰყავს და ახალ გადაცემაზე ყველანი ერთად ვმუშაობთ.



„ღამის შოუს“ ახალი რუბრიკები ემატება

ქსი დიდ ქალაქში“. მართალია, არ იქნება ისეთი, როგორიც „შუა ქალაქშია“, მაგრამ ჟანრობრივად მისი მსგავსია. ამ სერიალისთვის სპეციალურად ახალი პავილიონი აშენდა. არაერთი მსგავსი სერიალია გადაღებული, რომელშიც ძირითადი მოქმედება ერთ შენობაში ხდება და ფილმის ეფექტი აქვს. ყველაფერი ძალიან რეალურია და მაყურებელს იმის შეგრძნება არ უჩნდება, რომ დეკორაციას უყურებს.

ბევრს ჰგონია, რომ ეს იქნება „ფარული კამერა“, მაგრამ ასე არ არის. ესეც ამერიკული პროექტია. მასში მონაწილეები კასტინგის გავლის შედეგად ხვდებიან. მონაწილეებს დავალებები ეძლევათ და შესრულების შემთხვევაში, ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან. რა თქმა უნდა, ესეც გასართობ-იუმორისტული გადაცემა იქნება.



მჯერა, ნანუკას მშვენიერი შოუ გამოუვა

**— კასტინგი უკვე გამოაცხადეთ?**

— კასტინგიც გამოვაცხადეთ და მონაწილეებიც გამოვლინდნენ (*იღიმება*)! თავის დროზე, როცა „შუა ქალაქისთვის“ შესარჩევი კონკურსი გვქონდა, იმდენი ხალხი მოვიდა, კასტინგი მოსახლეობის აღწერაში გადაიზარდა (*იცინის*). სწორედ იმ კასტინგის ჩანაწერებიდან ავარჩიეთ ახალი გადაცემის მონაწილეები. კიდევ გვაქვს ახალი პროექტი, რომელსაც მხოლოდ ჩვენ, „ღამის შოუს“ სტუდიის წევრები ვაკეთებთ. ახალი სერიალისათვის კასტინგი გამოვაცხადეთ. ვიღებთ იუმორისტულ სერიალს, როგორიცაა მაგალითად, „სეასეთია, მაგალითად, „ექიმი ჰაუსი“, „სასწრაფო“ და კიდევ ბევრი. ჩვენი ამერიკელი მეგობრები, რომელთაც მსგავსი სერიალების გადაღების დიდი გამოცდილება აქვთ, ჩამოვიდნენ და დაგვეხმარნენ.

**— ახალი სერიალის სცენარზე ვინ მუშაობს?**

— ძირითად ამბავს ყველა ერთად ვწერთ. ლაშა ბუღაძე და ბასა ჯანიკაშვილი კი იმ ამბავს ავრცობენ და საბოლოო სცენარს წერენ.

**— ირაკლი, ერთდროულად ბევრ „ფრონტზე“ გიწევთ „ბრძოლა“. არ გაგიჭირდებათ?**

— ეს ის კითხვაა, რომელსაც ჩვენს შემოქმედებით გუნდში პასუხს ვერავინ გასცემს. წინა ინტერვიუშიც მკითხე, ამდენს როგორ ასწრებთო? მე გიპასუხე, ვერ ვასწრებთ-მეთქი (*იცინის*). იმედი გვაქვს, რომ ახალი პროექტები მაყურებლის მხრიდან დიდ მოწონებას დაიმსახურებს. კარგი იქნება, თუ ისეთივე წარმატებას მოიპოვებს, როგორიც მაგალითად, სერიალმა „შუა ქალაქში“ მოიპოვა.

**— რა გრძნობაა, როდესაც საკუთარი შემოქმედების ნაყოფი წარმატებული პროექტი ხდება?**

— როცა ვუყურებთ, ყოველთვის ხარვეზებს უფრო ვხედავთ... თვით სერიალისა თუ გადაცემის ჩაწერაზეც კი, სადაც ხანდახან ხალხი აღფრთოვანებას ვერ ფარავს, მე სულ უკმარისობის გრძნობა მაქვს. მუდმივად იმას ვფიქრობთ, რომ რაღაც გამოგვრჩა. ხალხი უკვე საკუთარი ოჯახის წევრებად მიიჩნევს სერიალის გმირებს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია, მაგრამ ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობის წინაშეც გვაყენებს. ■

# თვალებფახულა ბიჭები, ჟიურის წევრი შეუვალი ქალბატონები და ჭოლას აღსარება

**მუსიკალური პროექტის — „ჯეოსტარის“ შესარჩევ კონკურსზე იმედგაცრუებული ახალგაზრდები მართალია, „ჯეოსტარელები“ ვერ გახდებიან (ყოველ შემთხვევაში — წელს), მაგრამ ბევრი მათგანი საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს: მათი „უბადლო“ საშემსრულებლო მანერა ქართველ მაყურებელს კარგა ხანს არ დაავიწყდება. უკვე მეორე წელია, რაც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი — ლევან წულაძე, იგივე ჭოლა „ჯეოსტარის“ ჟიურის ერთ-ერთი წევრია და როგორც ამბობს, ნელ-ნელა გონს მოვიდა. თურმე, განცდილი მარცხის შემდეგ, მომღერლობის მოსურნე ახალგაზრდები ჟიურის წევრებს თხოვნით მიმართავენ: ოღონდ „პრიკოლებში“ ნუ „ჩაგვსვამთ“ და ჯანდაბას თქვენი თავიო! კონკურსანტების გულწრფელობით მოხიბლულ ჭოლას კასტინგზე შექმნილი სიტუაცია სასაცილოდ არ ეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ პროექტის შესარჩევი კონკურსის შესახებ გადაღებული „ფილმები“ მართლა სახალისოა. ზოგჯერ გულჩვილ ჭოლასაც კი ეღიმება შეცბუნებულს...**

*ეთო ყორღანაშვილი*

— თავდაპირველად, როცა „ჯეოსტარის“ ინგლისური ვარიანტი მაჩვენეს, ლამის გული გამისკდა: ინგლისში კონკურსანტებს პირდაპირ ლანძღავენ, თუმცა ვინც ქებას იმსახურებს, აქებენ.

**— ანუ ქართული „ჯეოსტარი“ უფრო ლმობიერია?**

— უცხოურთან შედარებით — კი. ქართველები მაინც მგრძნობიარე ხალხი ვართ. ჩვენთან კი არის მარინა ბერიძე, მაგრამ მის სიმკაცრეზე გავრცელებული ხმები მითია. ტელეეკრანზე სხვანაირად ჩანს, თორემ კარგად ვხედავდი, როგორ წვალობდა და იტანჯებოდა, ვიდრე კონკურსანტს მაქსიმალურად ტაქტიანად ეტყოდა: შვილო, წადი სახლში, გენაცვალეო. „ჯეოსტარის“ ჟიურის ყველა წევრი კეთილია. უბრალოდ, ფუნქციები განაწილებული გვაქვს. ქალბატონ მარინას წილად ხვდა ყველაზე მძიმე ტვირთი: რთულია, როცა იმედით აღსავსე ახალგაზრდა მოდის, შენ კი მას ეს იმედი იმავე წამს უნდა „მოუჭრა“.

**— ალბათ ეს კარგიცაა: ადამიანმა ხომ უნდა იცოდეს, რა არის მისი საქმე და რა — არა?**

— როცა საჭიროა, კონკურსანტს აუცილებლად უნდა უთხრა, რომ მომღერლობა მისი პროფესია ვერ იქნება. თუკი ვინმეს რამე შანსი აქვს, ლანაც და მარინაც ეუბნებიან, მაგრამ თუ ადამიანს მუსიკალური სმენა არა აქვს და ამას თავად ვერ ხვდება, სიმართლე დაუყოვნებლივ უნდა უთხრა, მომღერლობაზე ფიქრში დრო რომ არ დაკარგოს. ამის მიუხედავად, კონკურსანტი თუკი მაინც თავისას „გაიტანს“, მაშინაა მაგარი! სხვათა შორის, მინახავს, როცა ბევრი მეცადინეობის შედეგად, ადამიანს სმენა „გაუმოძრავებია“: პროფესიონალურ დონეზე — ვერა, მაგრამ სუფრაზე უმღერია (*იღიმება*). ჟიური დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ვისაც აირჩევს, მისგან ის გამოვა, ვინც ამ პროექტს სჭირდება. ყველა კონკურსანტისთვის ამის ცალ-ცალკე ახსნა ძალიან რთულია, მით უმეტეს — მაშინ, როცა მიაჩნია, რომ კარგად მღერის. ჩემთვის ეს სიტუაცია თეატრალური კასტინგებიდან ძალიან ნაცნობია. მომღერალს კიდევ შეიძლება, აუხსნა, რომ არასწორად აიღო ნოტი ან ხმის პრობლემა აქვს, მაგრამ ძნელია, მსახიობს დაუმტკიცო, რომ ის ამ პროფესიისათვის არაა შექმნილი. ხშირად კონკურსანტის ბედი ერთ წუთზეა დამოკიდებული: შეიძლება, მართლა ნიჭიერი იყოს ადამიანი, მაგრამ კასტინგზე ისე ნერვიულობდეს, რომ არაფერი „ჩანდეს“. მხოლოდ „ჯეოსტარის“ კი არა, საერთოდ, ცხოვრების კანონია: როცა საჭიროა, ნერვიულობა უნდა გადალახო — ესეც ნიჭია! მაგალითად, ერთ-ერთ რეგიონში კონცერტზე საკმაოდ თამამი გოგონა ვნახე და ძალიან მომეწონა. „ჯეოსტარის“ შესარჩევ კონკურსზე რომ მოვიდა, მაშინვე ვიცანი, თუმცა მისთვის არ მითქვამს. მისგან ბევრს ველოდი, მაგრამ ნერვიულობის გამო, თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 30% აჩვენა.

**— მომდევნო ტურში გადასვლით შანსი თუ მიეცით?**

— არა, შემდეგ ტურში ვერ გავიდა — ჟიური მკაცრია. 5 წუთი გეძლევა, რომელშიც თავი უნდა წარმოაჩინო. ვინც ეს ვერ მოახერხა, საკუთარ თავს დააბრალოს და ეს თვისება გამოასწოროს. იმ გოგონას რაც შეეხება, შეუძლია, საკუთარ თავზე იმუშაოს და „ჯეოსტარის“ შემდეგ კონკურსზე ბედი კიდევ სცადოს.

**— „ჯეოსტარის“ შარშანდელ შესარჩევ კონკურსზე იმედგაცრუებული კონკურსანტებიდან წელს ბევრი**



**მოვიდა კასტინგზე?**

— მოვიდნენ და სხვათა შორის — ძალიან მომზადებულები. განსაკუთრებით — ბოლო ტურში ერთმა გოგონამ გამოიჩინა თავი — ჟიურიზე მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. „ჯეოსტარი“ თანდათან ძალას უფრო მეტად იკრებს: ახალგაზრდობას (მით უმეტეს, რეგიონებში მცხოვრებს) კონკრეტული მიზანი გაუჩნდა, სერიოზულად ემზადება.

**— ვოკალის მასწავლებლებიც დასაქმდნენ...**

— აბა, რა! გაცოცხლდა ეს „ამბავი“ (*იცინის*)!.. არ ვამბობ, რომ სხვა მომღერლები არაპროფესიონალები არიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ჯეოსტარელები“ ქართულ ესტრადაზე ახალ „ამინდს“ ქმნიან; მათ წარმატებას დიდი სულიერი ძალისხმევის, გამოცდისა და შრომის ფასად მიაღწიეს, რაც პროფესიულ საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვანია.

**— ხშირად გქონიათ შემთხვევა, როცა კონკურსანტს სმენა არ ჰქონია, მაგრამ მისი არტისტიზმით მოხიბლულხართ?**

— კი, როგორ არა?! ეს ძალიან სამწუხაროა. ჩემი ოჯახის წევრები „ჯეოსტარის“ შესარჩევ კონკურსებზე გადაღებულ „ფილმებს“ ხშირად უყურებენ და ეცინებათ. არადა, კასტინგზე შექმნილი სიტუაცია სასაცილო არაა ხოლმე. მაგალითად: იმ ბიჭს, „დშნ-დშნ“-ს და მსგავს რაღაცებს რომ „მღეროდა“, ვერ დასცინებ, რადგან ის ამას მთელი გულით აკეთებდა — გულწრფელი იყო და არ იტყუებოდა.

**— ბევრს ისეთი რეპერტუარი და შესრულების მანერა აქვს, რომ შეუძლებელია, არ გაგეღიმოს. თქვენც ხშირად გაგცინებიათ...**

— კი, ზოგჯერ მეღიმება, მაგრამ კონკურსანტი თუ გულუბრყვილოა, ამ ღიმილით ეხმარები კიდეც. რა თქმა უნდა, შეცდომე-

ბიც დამიშვია. ერთ-ერთ სტატიაში დაწერეს კიდეც ჩემზე, — ცუდად მოიქცაო. აბსოლუტურად ვეთანხმები: ერთ-ერთ კონკურსანტს სათვალე მოვახსნევინე. თურმე, თვალებთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონდა. კინაღამ მოვკვდი... არადა, ის კონკურსანტიც რა ღირსეული კაცი აღმოჩნდა, სათვალე რომ მოიხსნა?!. შეცდომის გამოსასწორებლად, ვერც ვერაფერი ვუთხარი — მომეჩვენა, რომ ეს მისთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა. თუ დამიჯერებთ, იმ ამბავს 4 დღის განმავლობაში განვიცდიდი. სიკვდილი მინდოდა. ცხოვრებაში ასეთი ტკივილი იშვიათად მიგრძნია. ძალიან დიდხანს მემახსოვრება. მართლა შემეშალა... აი, როცა კასტინგზე ვიღაც აფერისტობს, ეს მართლა სასაცილოა.

— **როგორ აფერისტობს?**

— არის შემთხვევები, როცა დროის გასატარებლად შემოდიან და თვალების ფახულის ხარჯზე, ცდილობენ, „გაძვრნენ“.

— **ბიჭებიც?**

— აბა, რა! მარინა და ლანა თვალს თვალში გაუყრიან ხოლმე, მაგრამ მათი ამ მეთოდით გაცურება ძალიან ძნელია (*იცინის*).

— **ქალბატონი მარინა და ლანა ანკესზე არასოდეს წამოგებულან?**

— არა, მაგრამ როცა ადამიანში სიცოცხლე ჩანს, ეს გსიამოვნებს. კონკურსანტით მოხიბლულს, ზოგჯერ აღმოგვხვდება ხოლმე — ვაიმე, რა კარგიაო! მერე ვნერვიულობთ, რომ რამე არ გააფუჭოს.

— **ჟიურის „მოქრთამვის“ მცდელობა არასოდეს ყოფილა?**

— არა, მაგრამ ვიცი, რომ ამის ცდა მარინასთან აბსოლუტური სისულელეა, რადგან როგორც წესი, ცუდი რეაქცია აქვს.

— **ე.ი. მცდელობა იყო?**

— ვიღაც თუ ეტყვის, — ის ახალგაზრდა ჩემი ნაცნობიაო, — იმ კონკურსანტს მარინა 4-ჯერ უფრო მკაცრად ექცევა. „ჯეოსტარში“ კი არა, საქართველოში ნაცნობობა ბევრგან აღარ ჭრის. ზოგი ტიპაჟი პროექტის პროდიუსერებისთვის მომგებიანია: მაგალითად, ლამაზმა გოგონამ შეიძლება, საზოგადოებაში მეტი ინტერესი გამოიწვიოს, მაგრამ შედეგს ხომ ვერ დამალავს. ერთი თვის განმავლობაში ყველაფერი გამოჩნდება. ამიტომ პროფესიულ თვისებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

— **შესარჩევ კონკურსზე, წელს საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენლებმა ვერ გამოიჩინეს თავი?**

— შარშან ასეთი გურია იყო, მაგრამ წელს გურიიდანაც გამოჩნდა ერთი ყმაწვილი. მთელ საქართველოს ვერ მოიცავ — ჩვენი ქვეყნის ყოველი შესახვევი „ცალკე რესპუბლიკაა“ და...

— **იმედგაცრუებული ადამიანებისგან არასასიამოვნო „კომპლიმენტებს“ ხშირად იღებთ?**

— როცა ადამიანს უიმედოდ უშვებ, მასთან შეხვედრისაც კი გერიდება. შარშან, შესარჩევ კონკურსზე ერთი ძალიან, ძალიან პატარა გოგონა გამოცხადდა. ქვევიდან ამომხედა და მკითხა: ე.ი. შემდეგ ტურში ვერ გავედიო?! — ხომ გითხარით, რომ ვერა-მეთქი?! — ვუპასუხე. კამერისკენ მიტრიალდა და თქვა: ხომ ვამბობდი, აქ ყველაფერი „ჩაწყობილიაო“ (*იცინის*)! ალბათ, სცენიდან რომ გადიან, ბევრ რამეს ამბობენ. შეიძლება, პირადად არ გითხრან, მაგრამ ყველაფერი სახეზე აწერიათ. ზოგს გული ძალიან სწყდება და გაბრაზებულიცაა, მაგრამ ტრადიციული ქართული აღზრდის წყალობით, მარცხს ღირსეულად იღებს; ზოგი კი გასვლისას კარს ისე გაიჯახუნებს, რომ ყველაფერს ხვდები — სიტყვები საჭირო არაა. გარეთ დუტა დარბის ხოლმე და „თავგადასავლები“ მან იცის.

— **კონკურსანტის ამბიციურობას თუ გაულიზიანებიხართ?**

— ზოგჯერ, შესარჩევი კონკურსის მეორე ტურზე მოუმზადებლები მოდიან — ეს მართლა შეურაცხმყოფელია. „ჯეოსტარი“ ბევრ შრომასა და სიმღერისადმი დიდ სიყვარულს მოითხოვს. ამ პროექტში ადამიანი თავისი სიზარმაცით შეურაცხყოფას საკუთარ თავს აყენებს, რადგან დაუდევარი კონკურსანტების გვერდით, ისეთებიც იბრძვიან, ვინც მეცადინეობაში ღამეებს ათენებენ და ბუნებრივია, ჟიურის პატივისცემას იმსახურებენ. ეს პროექტი ძალიან საინტერესოა ჩემთვის — როგორც ადამიანისთვის და როგორც თეატრის რეჟისორისათვის: შრომა ყოველთვის იმარჯვებს! რა თქმა უნდა, ნიჭი აუცილებელია, მაგრამ მერე უკვე მიზნის მისაღწევად დიდი მუშაობა იწყება.

— **დასასრულ, თბილისში გამართულ მსოფლიო თეატრალურ ფესტივალსაც შევეხოთ.**

— უცხოელების ნაწილი ჩამოვიდა, ზოგი — კიდევ ჩამოვა. მე მაგიდა წამართვეს, კაბინეტიდან გამომაძევეს და ოთახ-ოთახ დავბორიალებ (*იცინის*). მხოლოდ ფესტივალის გულშემატკივრობით შემოვიფარგლები. ჩემი სტუდენტობის პერიოდში, თეატრალურ ფესტივალზე ნეკრიოშუსის სპექტაკლმა — „ძია ვანია“ — დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და შეიძლება ითქვას, რომ რეჟისურაში ჩემი ბედი გადაწყვიტა. წელსაც ბევრი ადამიანის ბედი შეიცვლება. ქართველებისთვის ეს ფესტივალი მნიშვნელოვანია: მსოფლიო თეატრალურ ხელოვნებას გაეცნობიან, ქართულს შეადარებენ და მიხვდებიან, რომ მთლად „უკან დასახევი“ ხალხი არ ვართ. ■



# „ლენინგრადის" ნაჯახით გამოჩორკნილი გიტარა, „კოლ ჰოტის წვნიანი" და ქუთაისელი მევიოლინე...

**თუ ერთხელ მაინც მოგიკრავთ ყური იმ გამონათქვამისთვის, რომ სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს — აუცილებლად გაეცანით ინტერვიუს „ქუჩის მუსიკოსებთან". მუსიკალური ინსტრუმენტების ჯადოქრებს იუმორიც მოჭარბებული აქვთ... ბიჭებს რეპეტიციაზე, პირველი სოლო კონცერტის წინ ვესტუმრეთ. ჩვენი რესპონდენტები ამჯერად, ვირტუოზი მუსიკოსები — გუჯა მარდალეიშვილი და ხვიჩა მალლაკელიძე აღმოჩნდნენ. მაღლაკელიძე „დიდი ასოთი" იწერებაო, — საგანგებოდ გამაფრთხილა ხვიჩამ საკუთარი გვარის წარმოთქმისას.**



ჩვენი ანსამბლის სახელი — „ქუჩის მუსიკოსები" ძალიან მოგვწონს

*ნინო მჭედლიშვილი*

**— მომიყევით, როგორ მოხვდით ამ „გაუგებრობაში"?**

**ხვიჩა:**

— იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, აღარც კი გვახსოვს... თავიდან „გაუგებრობაში" მე მოვხვდი, რადგანაც ჩემი დებიუტი „იუმორინაში" 4 წლის წინ შედგა. გიტარით ხელში, წითელ „საროჩკაში" გამოწყობილი, საცოდავი, მორცხვი ბიჭუნა ვიდექი სცენაზე და 18 დღის განმავლობაში ვუკრავდი. იმ სეზონის შემდეგ, ბატონ ჯემალს იდეა გაუჩნდა, მუსიკალური ჯგუფი ჩამოეყალიბებინა, რომლის წევრებიც სხვადასხვა ინსტრუმენტზე დამკვრელი მუსიკოსები იქნებოდნენ, რომელთა ნიჭიერების ამბავი ფართო მასებმა არ იცოდნენ... მერე სახელიც ისეთი შეირჩა, რომ თანადგომა გამოგვეხატა იმ მუსიკოსებისთვის, ვინც სცენის მიღმა დარჩნენ, ვინც მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავს ან სახლში ზის და ვერ ავლენს თავის შესაძლებლობას. ბატონმა ჯემალმა შეგვკრიბა ჯგუფი, რომლის წევრებსაც თამამად შემიძლია, ვუწოდო ვირტუოზები. მე ჯგუფში გუჯას მოყვანა დამევალა. გია ბაღაშვილმა მითხრა, ერთი მაგარი ბიჭია, ვიოლინოს „ბდღვნის" და ის უნდა მომიძებნოო. გუჯას ადგილიდან დაძვრა ადვილი საქმე არ არის... რა უნდა გავაკეთო „იუმორინაზე"? უნდა ვიხუმროოო? — მკითხა გუჯამ.

**— გუჯა, არ გიყვარს ხუმრობა?**

— როგორ არ მიყვარს?! მანამდე სიამოვნებით ვუყურებდი „იუმორინას", მაგრამ როდესაც ხვიჩამ მითხრა, ჩემი თავი იქ ვერ წარმოვიდგინეო, რა შეიძლებოდა, გამეკეთებინა?.. არც ის ვიცოდი, თუ მუსიკალურ ჯგუფს ქმნიდნენ... მერე გიამ დამირეკა, ყველაფერი ამიხსნა.

**— ისე, სულ თავიდან, როგორ დაიწყო თქვენი მუსიკასთან შეხება?**

**ხვიჩა:**

— 13 წლის ვიყავი, გიტარაზე დაკვრა რომ დავიწყე. თუმცა იმას დაკვრა არც ერქვა. თითები აკორდების ძებნით დაჩეხილი მქონდა. მძიმე პერიოდი იყო: შიმშილობის, უშუქობის, უწყლობის და ერთადერთი გასართობი ჩემთვის, ნაჩუქარი (ლენინგრადის ნაჯახით გამოჩორკნილი) გიტარა იყო...

**— ვინ გაჩუქა?**

— ერთმა რუსმა ქალბატონმა, რომელიც დედაჩემის მეგობარი იყო; ის საქართველოდან მიდიოდა და თან რომ ვერ წაიღო, მე დამიტოვა...

**— მას რომ გიტარა არ ეჩუქებინა?..**

— მაშინ დღეს ერთი „ძველი ბიჭი" ვიქნებოდი და, ამ ასაკის გათვალისწინებით, ციხიდან უკვე მესამედ გამოსული: ისეთი ცუდი დრო იყო, ჩემ გარშემო ნარკომანები და „ძველი ბიჭები" ტრიალებდნენ... გიტარამ სახლში ჩამკეტა და შეიძლება ითქვას, გადამარჩინა. მასწავლებელი და არანაირი დამხმარე არ მყოლია, ჩემით, წვალებ-წვალებით გავიკვლიე გზა. ერთი მეზობელი მყავდა, რომელიც გიტარაზე უკრავდა; მეზობლები კოცონს დაანთებდნენ, გარშემო შემოუსხდებოდნენ და ის ბიჭიც — ასეთია ქურდი კაცის ბედიო, — დაამღერებდა. ლა მინორში უკრავდა. ერთხელაც მას ვუყურე და მერე მთელი თვე ლა მინორს ვუკრავდი... რე მინორი კი უკვე სხვამ მასწავლა... მერე სადღაც, მი მაჟორსაც მოვკარი თვალი და ავაწყვე ცხოვრება (*იცინის*). ვისოცკის წიგნიც მქონდა და ასე...

**— დიდი წვალებით გისწავლია გიტარაზე დაკვრა. გუჯა, შენ რას იტყვი საკუთარ განვლილ ცხოვრებაზე?**

— ფოლკლორით დავიწყე, ქუთაისში ხალხურ ანსამბლში ვმღეროდი. მერე ვიოლინოს განხრით, მუსიკალური შვიდწლედი დავამთავრე.

**— მაინცდამაინც ვიოლინო რატომ აირჩიე?**

— მე არ ამირჩევია, ეს დეიდაჩემის გადაწყვეტილება იყო. ქუთაისში რთული იყო ვიოლინოთი სიარული, ძმაკაცები დამცინოდნენ — ბეთჰოვენა ხარო. მერე კონსერვატორიაში ჩავაბარე და დავამთავრე.

**ხვიჩა:**

— ე, ბიჭო, მოუყევი, ჯანო კახიძის ორკესტრშიც რომ უკრავდი. ამათ ჰგონიათ, მართლა „პადზემკაში" უკრავდი...

**— ისე, ბევრს ჰგონია, რომ „ქუჩის მუსიკოსები" მართლა, მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავდნენ. არასდროს დაგიკრავთ იქ?**



ჩვენ „პადზემკაში“ არასდროს ვმდგარვართ

**ხვიჩა:**

— ჩვენ „პადზემკაში“ არასდროს ვმდგარვართ. რესტორანში კი ვუკრავდით და ახლაც ვუკრავთ. ეს ჩვენი შემოსავლის ძირითადი წყარო გახლავთ. თუმცა ჩვენი ანსამბლის სახელი — „ქუჩის მუსიკოსები“ ძალიან მოგვწონს. კარგია, თუ ხალხი ქუჩის მუსიკოსებად აღგვიქვამს...

— **ხვიჩა, როგორი ასატანი ხარ სახლში?**

— სახლში ძირითადად, არა ვარ... შინ რომ ვბრუნდები, შვილი მეკითხება — ვინ გნებავთო? ვერ მცნობს.

— **შვილი რამხელაა?**

— 8 წლის, ოღონდ არ მითხრა ახლა, 8 წლის შვილი თუ ვერ გცნობს, გლახადაა საქმეო (*იცინის*).

— **გუჯა, შენ დაოჯახებული არ ხარ?**

— ცოლი ახლახან მოვიყვანე, შორენა გამსახურდია პროფესიით ფილოლოგია, ჯერ შვილი არ გვყავს.

**ხვიჩა:**

— ესეც ჩემსავითაა — ენატრებათ ოჯახში. ისე, „ბულკივით“ კაცია — უპრეტენზიო; რა საჭმელსაც დაუდებ, შეჭამს, არც იკითხავს, — რისგანაა მომზადებულიო?..

**გუჯა:**

— ერთადერთი, საჭმელში მოხარშული თუ მოხრაკული ხახვი არ მიყვარს.

**ხვიჩა:**

— ხახვზე გამახსენდა: 90-იან წლებში, შიმშილობის პერიოდი რომ იყო, ხალხში ერთი არაჩვეულებრივი კერძის — „კოლჰოტის „სუპის“ რეცეპტი გავრცელდა, რომელსაც „სიგუა“ ერქვა. კოლჰოტში უნდა ჩაგეწყო — ხახვი, მწვანილები, ხორცი, კარტოფილი და, ყველაფერი ერთად, ადუღებული წყლით სავსე ქვაბში უნდა ჩაგეყო; მერე ამოიღებდი და იმ წვნიანს დახვრეპდი, ხოლო კოლჰოტში მოთავსებულ პროდუქტს გააშრობდი და ისევ რომ მოგშივდებოდა, იმავეს გაიმეორებდი...

**გუჯა:**

— ეგ კოლჰოტი ნახმარი იყო?

— თუ ნახმარი იყო, წვნიანი არომატული გამოდიოდა. კაი ქალის ნაცვამ კოლჰოტში გაკეთებულ წვნიანს რა სჯობია?!.

— **შენახული გაქვს ის კოლჰოტი?**

— არა, ერთ-ერთი სადილობის დროს შემომეჭამა.

— **ვისი ნაცვამი იყო?**

— ჩემი.

— **რა?**

**გუჯა:**

— მაგისი ნაცვამი იქნებოდა, ამჯერად არ ხუმრობს. მოჰყევი, ერთხელ სამსახურში ქალის კოლჰოტით რომ მოხვედი.

— **მართალს ამბობს?**

— რა იყო, ახლავე გეტყვი: ზამთარში, მინუს 13 გრადუსი ყინვა იყო და მოულოდნელად დაგვირეკეს — ერთ-ერთ რესტორანში უნდა დაგვეკრა. სახლში შარვლის ქვეშ ჩასაცმელი თბილი შარვალი ვეძებე, ისეთი ყინვა იყო, მის გარეშე გარეთ ვერ გავიდოდი. ვერ ვიპოვე, რადგანაც ჩემს ცოლს გაურეცხავს. მერე მეუღლეს ვუთხარი: შენი სქელი „კალგოტკა“ მათხოვე, შარვლის ქვეშ ჩავიცვამ, რა გამოჩნდება-მეთქი?.. მათხოვა. ჩავიცვი, დავდექი სარკესთან და ჩემი ტანი მომეწონა; სხეულის ყველა ნაკლი დამიფარა... მერე ზემოდან შარვალი ამოვიცვი და წავედი...

— **გუჯა, შენც ხომ არ გცმია ქალის ტანსაცმელი?**

— კი. ამ ზაფხულს მიწისძვრა რომ იყო, მეგობრები ბათუმში ვიყავით. მიწისძვრამდე ერთი საათით ადრე, ვიმაიმუნეთ, ქალის კაბა ჩამაცვეს, ბიუსტჰალტერით; მაკიაჟიც გამიკეთეს და შესაფერისი ვარცხნილობაც... მერე ყველაფერმა ზანზარი დაიწყო, ხალხი გარეთ გაცვივდა, მე კი, გასაგები მიზეზის გამო, შინ დავრჩი...

**ხვიჩა:**

— ერთხელ მახსოვს, მიწისძვრის დროს, მაშინ, როცა ყველა წივილ-კივილით გარეთ გარბოდა, მამაჩემი ლოგინში იწვა და გაზეთით ხელში ნებივრობდა. ერთადერთი მოძრაობა, რომელიც მან მიწისძვრის შემდეგ გააკეთა, ის იყო, რომ „ახალგაზრდა კომუნისტი“ შემდეგ გვერდზე გადაფურცლა... მიწისძვრაზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა: რაჭველს ჰკითხეს, რა ქენი, მიწისძვრა რომ დაიწყოო? — რა და, სახლში ძლივს შევასწარიო, — უპასუხა... მეთექვსმეტე სართულზე ვცხოვრობ და მიწისძვრას სახლში რომ შევხვდე, კიდეც მოვკვდები, ვერ გადავიტან.

— **ახლა იმ კონცერტზეც მიამბეთ, ცოტა ხანში ფილარმონიაში რომ გველოდება.**

**გუჯა:**

— ეს ჩვენი პირველი სოლო კონცერტია და დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. არ უნდა გავაწბილოთ მაყურებელი, ამიტომ, მაქსიმალურად მობილიზებულნი ვართ.

— **ახლა მითხარით, როგორია თქვენი ხელმძღვანელი — გია ბალაშვილი, როდესაც გაბრაზებულია?**

— მტრისას, თუ გაბრაზდა! კახურადაც შემოგვაგინებს ხოლმე, მაგრამ მეორე წუთს აღარ ახსოვს, რატომ გაბრაზდა. ყველაზე მეტად დაგვიანებაზე ბრაზობს.

— **თვითონ არ იგვიანებს?**



ბიჭები ცოცხლად „ვუბერავთ“

— თვითონ არ მოდის (*იცინიან*)...

— **რა იქნება თქვენი სოლო კონცერტის მთავარი კოზირი?**

**ხვიჩა:**

— მთავარი კოზირი ისაა, რომ 2 საათის განმავლობაში ბიჭები ცოცხლად „ვუბერავთ“, ყოველგვარი ეშმაკობისა და აჩქარების გარეშე. ქალაქში ჭორი დადის, ესენი წინასწარ წერენ მუსიკას და მერე აჩქარებენო. ამ ჭორსაც გავუქარწყლებთ მაყურებელს, თუ კონცერტზე მობრძანდება... ■

# მსახიობი, ესქტრემალი და „ქლაბ-შოუს“ „სქელი“ მოცეკვავე

**23 წლის სალი დავითიშვილი იმ 4 მოცეკვავეთაგან ერთ-ერთია, ვინც „ქლაბ-შოუს“ მონაწილე ბიჭებისგან მიღებულ „გამამხნევებელ კომპლიმენტებს“ — დედა, რა სქელები ხართო! — გმირულად უძლებს. სიცილისგან ღონემიხდილი გოგონები კლუბური იუმორის ცეკვით გაფორმებაზე მაინც გულმოდგინედ ზრუნავენ...**

ეთო ყორღანაშვილი



— პირველ კლასში ვიყავი, როცა ქართული ცეკვის წრეზე შევედი. მერე უკვე ველარ ვასწრებდი ინგლისურის, მუსიკის, ქართული ცეკვის სწავლას — ამ ყველაფრის შეთავსება ვერ მოვახერხე. თან, ცოტა „ბიჭური“ ვიყავი (*იცინის*). დედაჩემმა ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში შემიყვანა — კლასიკური ბალეტი შევისწავლე. პარალელურად, „ვერნისაჟში“ დავდიოდი, სადაც უკვე 8 წელიწად-ნახევარია, ვარ. როცა „ვერნისაჟიდან“ 4 გოგონა „ქლაბ-შოუში“ საცეკვაოდ წაგვიყვანეს, განსხვავებულ გარემოში აღმოვჩნდით — „ქლაბ-შოუ“ სხვა სამსახურებს არ ჰგავს: ზოგჯერ ბიჭებს ისეთი სასაცილო რამ უთქვამთ, რომ ცეკვის თავიც აღარ გვქონია. იმის ნაცვლად, რომ „ტიხრებში“ ცეკვა განვაგრძოთ, გულიანად ვიცინით. მერე ბიჭებმა ჩვენც „აგვითვალწუნეს“: სურათები გააკეთეს, თუ როგორი ვიქნებით 100 წლის შემდეგ, პატარ-პატარა სცენარებიც დაწერეს... ვეხვეწებით, რომ ერთხელ „ქლაბ-შოუში“ სტუმრად მიგვიწვიონ. ვნახოთ, რას იზამენ — მათ კაცი ვერაფერს გაუგებს, არაფერია საკვირველი (*იცინის*).

— **სალი, კულისებში რა ხდება ხოლმე, შეგიძლია, მითხრა?**

— ოო... კულისებში სხვა სამყაროა (*იცინის*)! ერთი გასახდელი გვაქვს, სადაც გოგონები ტანისამოსს ვიცვლით, ბიჭები კი გრიმს იკეთებენ. ვერ ვეტევით და ვთხოვთ, რომ გავიდნენ, მაგრამ გვპასუხობენ: არა უშავს, გამოიცვალეთ, რეაქცია არ გვაქვსო. „შემოლაგდებიან“ და დაიწყებენ: ვაიმე, შენ ძალიან გასუქებული ხარ... დედა, დედა, რა სქელები ხართო (*იცინის*)!.. პატარა ოჯახივით ვართ.

— **რაც შეეხებათ გადაცემის სტუმრებს?**

— იმდენ მათგანს ვიცნობთ, რომ გადაცემის ჩაწერისას გველაპარაკებიან: აბა, როგორ ხართ, რა ხდება ახალიო? ნიკა შეახსენებს ხოლმე — ჩაწერაზე ხართო!

— **ჩაწერის შემდეგ, კლუბში არასოდეს რჩებით მოცეკვავე გოგონები?**

— არა, ჩაწერის დასრულებისთანავე მივდივართ — სამსახურია და მორჩა! რომ დარჩე, შეიძლება, ვინმე მთვრალი მოვიდეს, უსიამოვნებას გადაეყარო... რაც ნაკლები პრობლემა გვექნება, უკეთესი არ არის?

— **„ქლაბ-შოუს“ მოცეკვავეთა შემადგენლობა არასოდეს შეცვლილა?**

— ზოგჯერ, დღის განმავლობაში „ვერნისაჟის“ გოგონების ადგილას გვიწევს გამოსვლა. ხომ ვერ „გავიხლიჩებით“? ამიტომ ვნაწილდებით — ცეკვას ვინ სად მოახერხებს. ყოფილა შემთხვევა, როცა „ქლაბ-შოუში“ ჩვენ ნაცვლად სხვას უცეკვია.

— **ძირითადად, რა ტიპის საღამოებზე ცეკვავთ?**

— კალათბურთის თამაშებზე ვცეკვავთ — მხარდამჭერი გოგონები ვართ, ასევე — დახურულ, კორპორაციულ საღამოებზე, ქართველ მომღერლებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ჩავდივართ და მათ კონცერტს ცეკვით ვაფორმებთ.



სხვადასხვა ქალაქში ჩავდივართ და მათ კონცერტს ცეკვით ვაფორმებთ

— **ცეკვაში ყველაზე დიდ ნიჭს რომელი მომღერალი ამჟღავნებს?**

— ასე ვერ გამოვყოფ (*იცინის*)... ძალიან მომწონს თიკა ფაცაცია. ის ყველაფერს იოლად ითვისებს. მონდომებით მუშაობს საკუთარ თავზე და ცდილობს, ისე იცეკვოს, როგორც — ჩვენ. მიზანს აუცილებლად აღწევს, შესაბამისად — მოცეკვავეებისგან ვერ განასხვავებ. მასთან თანამშრომლობა სასიამოვნოა.

— **თქვენი ხელმძღვანელი — თეა გობეჯიშვილი მკაცრი მასწავლებელია?**

— მკაცრი — არა, მომთხოვნია (*იცინის*). ძირითადად, სიმკაცრის გამოჩენა მაშინ უხდება, როცა გადაღლილობისგან ისტერიკული სიცილი აგვიტყდება ხოლმე და ველარ ვჩერდებით. ასეთ შემთხვევაში, ან შენიშვნას გვაძლევს, ან თავადაც იცინის. საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნები ვართ: მართალია, ვიღლებით, მაგრამ ფორმაში რომ ხარ და თავს ჯანმრთელად, კომფორტულად გრძნობ, ხომ სასიამოვნოა?

— **სალი, „ქლაბ-შოუში“ გოგონების სასცენო სამოსზე ვინ ზრუნავს?**

— დიზაინერი არ გვყავს, უფრო





დიზაინერის პროფე-სიაზე ვოცნებობდი, მაგრამ ბოლოს მსახიობობა ვარჩიე

მეტიც — სამოსს ჩვენი ხელით ვკერავთ. კოსტიუმს თეასთან ერთად განვიხილავთ და საქმეს მერე შევუდგებით ხოლმე. სხვათა შორის, მთელი ბავშვობა დიზაინერის პროფესიაზე ვოცნებობდი, მაგრამ ბოლოს მსახიობობა ვარჩიე — თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე. სერიალ „კაბარე 5 ვარსკვლავში“ ბოლოს ახალი პერსონაჟი — ოფის-მენეჯერი დაამატეს და მის როლს ვასრულებდი. თეატრის სცენაზეც ვთამაშობ. ასე რომ, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ცეკვით არ შემოიფარგლება. ზოგჯერ ისეთი დატვირთული გრაფიკი მაქვს, რომ დილის 10 საათზე სახლიდან რომ გავდივარ, შინ მხოლოდ ღამის 4 საათზე ვბრუნდები. სულ „გადარბენაზე“ ვარ. ამ ზაფხულს „ქლაბ-შოუს“ ჩაწერა ბათუმში გვქონდა. ჩაწერის დასრულებისთანავე, მოცეკვავეები გრანდიოზულ კონცერტზე უნდა ვყოფილიყავით, რომელიც პირდაპირ ეთერით გადაიცემოდა. სამოსის გამოცვლას ველარ მოვასწრებდით. ამიტომ მთელი ბულვარი „ქლაბ-შოუს“ ფორმაში „გაბრჭყვიალებულმა“ გავიარეთ. ყველა ჩვენ გვიყურებდა, — რა ხდებაო?! ზოგმა არჩეულ მარშრუტს გადაუხვია და უკან გამოგვყვა. მგონი, იმ კონცერტზე მაყურებლის ნახევარზე მეტი ჩვენ მოვიყვანეთ (*იცინის*). ასე ხშირად გვემართება: სხვა ობიექტზე ვართ წასასვლელი, ჩვენ კი სამოსის გამოცვლას ვერ ვასწრებთ. ხანდახან მარკეტშიც „გაბრჭყვიალებული“ შევდივართ. აბა, რა ვქნათ?!

**— ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის დრო თუ გრჩება?**

— ხანდახან მშობლები დამცინიან — შინ მხოლოდ დასაძინებლად მოდიხარო (*იცინის*). ერთმანეთს ყველაფერში ხელს ვუწყობთ. როცა დრო მაქვს, შინ შევირბენ ხოლმე, თუნდაც — სადილობისას და ვსაუბრობთ. მშობლებს ყველაფერს ვუყვები — ვმეგობრობთ. მეგობრებთან ყოფნაც ძალიან მიყვარს. თუკი დასვენების დღე მაქვს (რაც იშვიათად ხდება), ერთი, 20 კაცი შევიკრიბებით და ერთმანეთს ჩვენს ამბებს ვუყვებით, ვერთობით... მათთან ვერ მოიწყენ: თითქმის ყველა ხელოვანია და ცოტა „აფრენს“ (*იცინის*).

**— მოდი, შენი ოჯახის შესახებ გვიამბე: დედმამიშვილები გყავს?**

— კი, ძმა ვეტექიმია, ნახევარდამ (მამის მხრიდან) კინოსა და თეატრის მენეჯმენტის ფაკულტეტი დაამთავრა. ის უკვე 18 წელია, რაც მოსკოვშია. ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს... ჩემს სახლში ძაღლი, კატა და თუთიყუშიც ცხოვრობს.

**— თან, ძმა ვეტექიმი ყოფილა — აგიწყვია ცხოვრება.**

— (*იცინის*) ძალიან მხიარულად ვცხოვრობთ. ცხოველები მიყვარს, მაგრამ ჩემი ძაღლი მაშინებს: მამაჩემის გარდა, უფროსად არავის ცნობს! ვერაფერი გავუგე: არც ზედმეტი მოფერება უყვარს, არც — უყურადღებობა, სულ მიღრენს. კატას ხელს დავავლებ ხოლმე და ვამბობ: ჩემს ოთახში მივდივარ, თავი დამანებეთ-მეთქი! ახლა ველოდებით, თუთიყუში ლაპარაკს როდის ისწავლის, მაგრამ მგონი, ყეფას უფრო მალე დაიწყებს, ვიდრე — ლაპარაკს, რადგან ძაღლს იქაურობა ყეფით აქვს აკლებული...

**— სალი, კიდევ რით ხარ გატაცებული?**

— ძალიან მიყვარს სპორტის ექსტრემალური სახეობები! როცა საზღვარგარეთ მივემგზავრები, დედაჩემი მეხვეწება — იქიდან არ გადმოხტე, ასე არ მოიქცეო... მეც ვპირდები, რომ ჭკვიანად ვიქნები, მაგრამ ფოტოებს რომ ათვალიერებს, სურათზე ხან პარაშუტით გადმოხტომის მომენტია აღბეჭდილი, ხან — სპორტულ მანქანაში ჯდომის (*იცინის*)... მანქანის ტარება ჩემი ჰობია! გადაცემა „ავტორბოლაში“ გოგონებს შორის, 1-ელი ადგილი დავიკავე, 30 ბიჭს შორის კი მე-4 ადგილზე გავედი. მერე მთხოვდნენ, რომ მანქანის მართვა პროფესიონალურ დონეზე შემესწავლა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიმეღო. დრო არ მაქვს, თორემ მათ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდებოდი და რუსთავიდან ველარც ჩამომიყვანდნენ (*იცინის*)!..

**— რა ასაკის იყავი, როცა საჭეს პირველად მიუჯექი?**

— 16 წლის. მაშინ ერთ-ერთ კლუბში ვმუშაობდი. მეგობრის დაბადების დღე იყო და ჩემს ძმას დალევა მოუხდა. მითხრა: მანქანას აქ ვერ დავტოვებ, შინ შენ უნდა მიმიყვანოო. მართვა მხოლოდ თეორიულად ვიცოდი. საჭეს მივუჯექი და ძმა სახლამდე კანკალ-კანკალით მივიყვანე. მერე ნელ-ნელა გავთამამდი. ამჟამად ჯიპი მყავს. ძალიან მომწონს „მერსედესი“, მაგრამ ჯერჯერობით, მას ჩემს სამსახურს ვერ შევუფერებ: სულ „გადარბენაზე“ რომ ვარ, ჩემთვის ჯიპი უფრო კომფორტული და მოსახერხებელია.

**— სალი, შეყვარებული არ გყავს?**

— არა (*იცინის*).

**— მაშინ შენს თაყვანისმცემლებზე მიამბე.**

— მათგან ყოველთვის საყვედურს ვიღებ, რადგან ჩემთან ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონით შეუძლიათ, ისიც — 2 ან 5 წუთის განმავლობაში. შეხვედრა, ყავის დალევა, უკეთ გაცნობა — ეს გამორიცხულია, რადგან თუ თავისუფალი დრო მაქვს, მინდა, ჩემი მეგობრებისთვის გამოვიყენო. ასე რომ, ჯერჯერობით, არც სერიოზული ურთიერთობისთვის მცალია და არც — თაყვანისმცემლებისთვის. ■




კალათბურთის თამაშებზე ვცეკვავთ — მხარდამჭერი გოგონები ვართ

# „თუ ქალების გულებს დაიპყრობ, მაშინ გაქვს რაღაცის შანსი“...

**დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე გასულ კვირას, კიევში „ფეშენ ვიკზე“ გაემგზავრა. ახლა იქ მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები იკრიბებიან... ქართველი დიზაინერი ცდილობს, საკუთარ შემოქმედებას ბევრი დრო დაუთმოს და მსოფლიო მოდის ტენდენციები მაქსიმალურად გამოიყენოს. ავთანდილი უკრაინიდან ალმა-ატაში ჩავა, სადაც აგრეთვე „ფეშენ ვიკზე“ სტუმრადაა მიწვეული. მას კიევში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი.**



*მერი კობიაშვილი*

— ჩემი ჩვენება თბილისში, 24 ოქტომბერს სასტუმრო „რედისონშია“ დაგეგმილი.

— **ისე, ბოლო დროს შენი ჩვენებით დიდად არც ვართ განებივრებულები.**

— ვერიდები ხოლმე თბილისში ჩვენების გამართვას, რადგანაც ჩვენთან ამ ყველაფრის მაღალ დონეზე ორგანიზება რთულია, მაგრამ ახლა „რედისონი“ კარგ პირობებს მთავაზობს. ჩემ შემდეგ იქ ჩვენებას თამუნა ინგოროყვა გამართავს.

— **რას გვთავაზობ შენს ახალ კოლექციაში?**

— კიევის „ფეშენ ვიკს“ ყოველთვის მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები ესწრებიან. მათი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ ჩემს კოლექციას მოდის მსოფლიო ტენდენციების დაცვით ვაკეთებ... 2010 წელს ქალის კაბა ძალზე დამოკლდება. კაბის სიგრძე მუხლიდან საკმაოდ ზემოთ აიწევს. აქტუალური ხდება მაქმანისმაგვარი ქსოვილი. ასევე მოდური იქნება „სკივრიდან ამოღებული“ ძველი კაბის თანამედროვე ვარიანტიც. ამ სეზონზე პიჯაკებს პატარა მხრები ექნება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ქართველ ქალბატონებს მოეწონებათ. რაც შეეხება ფერებს, გამოყენებული მაქვს: თეთრი, რძისფერი და შავი. ასე რომ, ვფიქრობ, კოლექცია ძალიან საინტერესო უნდა გამომივიდეს.

— **როგორ ფიქრობ, დიზაინერმა წარმატებას როგორ უნდა მიაღწიოს?**

— უპირველესად, დიზაინერი ნიჭიერი და შრომისმოყვარე უნდა იყოს. სათანადო განათლება სჭირდება, სწრაფად უნდა აუღოს ალღო მსოფლიო მოდის ტენდენციებს; ჰქონდეს უნარი, რომ ექვს თვეში ერთხელ, რადიკალურად გარდაქმნას საკუთარი კოლექცია. დიზაინერი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ფეშენინდუსტრიაში, ესწრებოდეს სხვადასხა „ფართის“ და პრესასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ასევე იმეგობროს კრიტიკოსებთან და ყოველთვის მოდურად ჩაცმული იყოს.

— **როგორია შენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**

— ადრე ვიღვიძებ. ბავშვთან ერთად ვთამაშობ, მერე სამსახურში მივდივარ. საღამოობით ვვარჯიშობ და აუზზე მივდივარ. ასეთია ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე. ზოგჯერ ამა თუ იმ „ფართისა“ და ღონისძიებას ვესწრები, პრესასთან ვურთიერთობ.

— **როგორც ვიცი, თუ დიზაინერის ისეთ ჩვენებაზე მოხვდი, რომ არ მოგეწონა, კრიტიკასაც არ ერიდები. მაგალითად, დათუნა სულიკაშვილის ჩვენების შემდეგ თქვი: აქ მოსვლით დრო ტყუილად დავკარგეო.**

— კრიტიკას არ ვერიდები, მაგრამ ვცდილობ, ამ შემთხვევაში ბოლომდე გულახდილი მაინც არ ვიყო, თავი შევიკავო. ძალიან არ უნდა გააკრიტიკო ადამიანი, რომელიც თავის პროფესიაში ახლა დგამს ნაბიჯებს.

— **კარიერის დასაწყისში შენც გაკრიტიკებდა ვინმე? საერთოდ, შენიშვნებს როგორ იღებ?**

— რა თქმა უნდა, კრიტიკას ისეთი ადამიანებისგან ვიღებ, ვინც ჩვენს სფეროში კომპეტენტურია. მოდის სფეროში ჩაუხედავი ადამიანისგან კრიტიკას არ მივიღებ. თუმცაღა მოსმენის კულტურა მაქვს.

— **მაინც არ მიპასუხე — კარიერის დასაწყისში კრიტიკის გამო გული არავის უტკენია?**

— რა თქმა უნდა, კარიერის დასაწყისში გულისტკენა მქონდა... ახლა იმის გახსენება უინტერესოა.

— **მუსიკას რა როლი უჭირავს შენს შემოქმედებაში?**

— ჩვენების დროს მუსიკა ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია.

— **მუშაობის დროს?**

— არც ისე. მუშაობის დროს ყოველთვის ის ატმოსფერო მომწონს, რაც ჩემს სახელოსნოშია. მუსიკას ვარჯიშის დროს ვუსმენ. როცა დავრბივარ, ვცდილობ, ენერგიულ სიმღერებს მოვუსმინო, რომ ვარჯიშის ტემპი არ დავარდეს.

— **მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო თუ გრჩება?**

— ლიტერატურას მგზავრობის დროს ვკითხულობ. ხშირად წიგნისთვის ვერ ვიცლი.

— **ბოლოს რა წაიკითხე?**

— რთული, ფსიქოლოგიური წიგნი ბოლო დროს არ წამიკითხავს. მიყვარს პიროვნებების ბიოგრაფიების კითხვა. ბოლოს შანელის ცხოვრებას გავეცანი. დიდი ადამიანების ბიოგრაფიებიდან რაღაცებს ვსწავლობ ხოლმე. ბევრი რამ, რაც ყველა ადამიანს წაკითხული უნდა ჰქონდეს, დიდი ხნის წინ წავიკითხე და მისი ხელმეორედ გადაკითხვის მომენტი ჯერ არ დამდგომია.

— **კოკო შანელის ბიოგრაფიის გაცნობამ რა გასწავლა?**

— ყველა ცნობილი დიზაინერის ბიოგრაფია ერთმანეთს რაღაცით ჰგავს. მათი წარმატებები ყოველთვის დიდ შრომასთან, ტკივილსა და დიდ სიყვარულთანაა დაკავშირებული. არ ვიცი, რა შეიძლება კოკო შანელისგან ავიღო, მაგრამ ის პერიოდი, რაც მან პოპულარობამდე გაიარა, საკმაოდ დასაფასებელია. მან მოდის სამყაროში აბსოლუტურად სხვა ეპოქა შექმნა. ფუშფუშა კაბების მაგივრად მკაცრი სტილის პიჯაკები და მარტივი ტანსაცმელი შემოიტანა და ფაქტობრივად, ყველა დიზაინერი აიძულა, ამ ხაზით წასულიყო. ახლა ძნელია, მსოფლიო მოდაში რადიკალურად რამე შეცვალო, იმიტომ, რომ ბევრი წამყვანი და „ნაკლებად წამყვანი“ დიზაინერი არსებობს. ყველა რაღაც სიახლეს გვთავაზობს; ამიტომ პერიოდი, როცა რაღაცის რადიკალურად შეცვლის დრო იყო, დამთავრდა.

— **ტელესერიალ — „შუა ქალაქში“ შენი სამსახიობო დე-**

ბიუტი შედგა. მოგეწონა მსახიობობა?

— „შუა ქალაქში“ ძალიან პოპულარული სერიალია. სიმართლე გითხრა, მსახიობობა მაინცდამაინც არ მიზიდავს, მაგრამ აღნიშნული ტელესერიალი იმდენად მიყვარს, მის მსახიობებთან ურთიერთობა მეხალისებოდა. კამერასთან „ურთიერთობაც“ მომეწონა, მაგრამ ვერ ვიტყვი, მსახიობობა „გულში ჩამივარდა“ და ხშირად მინდა, მსგავსი რამ გავაკეთო-მეთქი.

**— ესე იგი, შენს პროფესიას არაფერზე გაცვლი, არა?**

— არა; საქართველოში იმდენი კარგი მსახიობია, რომ ჩემი „გამსახიობება“ მათ ფონზე ზედმეტი იქნება. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს!

**— სიმღერა გეხერხება?**

— პირველად, ერთ საახალწლო პროექტში მე და თიკა ფაცაციამ სიმღერა „არ გაჩერდე“ ვიმღერეთ. ყველაფერი იუმორში იყო გადაწყვეტილი და ძალიან კარგი გამოვიდა. ამას წინათ კი ჯგუფ „კენზოსთან“ ერთად, „კომედი შოუში“ გამოვედი. სიმღერა არ მეხერხება, მაგრამ თუ შოუს სჭირდება, შემიძლია, ორი დღე ვინერვიულო და შოუში მონაწილეობა მივიღო.

**— საინტერესოა, რა რჩევას მისცემ დამწყებ დიზაინერებს?**

— თუ ბევრს იმუშავებ, სიძნელეებს გადალახავ და რაც მთავარია, ქალების გულს დაიპყრობ. არის შანსი, რომ ამ სფეროში დიდხანს დარჩე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაბალი დონის ჩვენებების გამართვა არ არის სასურველი, მაგრამ ბევრმა ალბათ ეს ეტაპიც უნდა გაიაროს. თუმცა არ მინდა, ძალიან კატეგორიული ვიყო... ■



თუ ბევრს იმუშავებ, სიძნელეებს გადალახავ



# „ჩემი ნაკლი ჩემსავე ღირსებად გადავაქციე!“

## კეიტ მოსი – დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნილი კატა

**კეიტ მოსს ცხოვრების ყველა ეტაპზე, ყველაზე მეტად პროვოკაციები უყვარდა. სხვების მიერ გათელილი ბილიკებით არასდროს უვლია და არც სიწმინდის სიმბოლო ყოფილა ოდესმე. პირიქით, საკუთარ თავს არ ღალატობდა და იმად რჩებოდა, რაც სინამდვილეში იყო — ნერვიულ, ისტერიკულ გოგონად, რომელსაც მტაცებლის გამოხედა ჰქონდა. კეიტმა საკუთარი სახის ძვირად გაყიდვა მოახერხა. იგი საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და ამით ბიზნესის უმთავრესი ცნების შესრულება შეძლო.**



კეიტ მოსი პირველად ნიუ-იორკის აეროპორტში შეამჩნიეს და მოდელის ამპლუაში ძალების მოსინჯვა შესთავაზეს. მანაც სცადა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია — კლაუდია შიფერისა და ლინდა ევანგელისტას მსგავსი, აშოლტილი, დიდებული, პოდიუმის დედოფლების ფონზე, ტანმორჩილი (170 სმ-ზე ნაკლები), შეუხედავი და მოუხეშავი გოგონა დაიკარგა, მაგრამ ცოტა ხანში მისი დროც დადგა...

გასული საუკუნის ბობოქარმა, 90-იანმა წლებმა ყველაფერი უარყო, რისი უარყოფაც კი შესაძლებელი იყო და ნარკოტიკები, დაუდევარი ჩაცმულობა და უნისექსის სტილი გააღმერთა. 1992 წელს კეიტი Calvin Klein-ის სუნამოს რეკლამაში გადაიღეს და უეცრად აღმოჩნდა, რომ მოდის სამყარო სწორედ მას — ბიჭუნას მსგავს, ნაზ და შეუხედავ მოდელს ელოდა. აი, რას წერდა მოგვიანებით კეიტ მოსის მშობლიური, პურიტანული ინგლისური პრესა: — „იგი ყველაფერს ეწინააღმდეგება, რასაც სინამდვილეში უნდა წარმოადგენდეს. იგი პატარაა, მკაცრი გამოხედვა და არასწორი ნაკვთები აქვს, მაგრამ სინამდვილეში ეს ყველაფერი უპირატესობას ანიჭებს, რადგან ადამიანები მასში საკუთარ თავს ხედავენ. კეიტი მოდის გაუცხოებულ და ცრუ სამყაროში გამონაკლისს წარმოადგენს“. კეიტს საკუთარი თავის რეკლამირება არ დასჭირდა: Calvin Klein-ის რეკლამის შემდეგ ყველა სამოდელო სახლს მხოლოდ მასთან სურდა მუშაობა. მოსი ძალზე ბევრს შრომობდა. ისეთ ცნობილ ფირმებთან თანამშრომლობდა, როგორებიცაა Christian Dior, Burberry, Chanel, Dior, Yves Saint Laurent, Louis Vuitton და Roberto Cavalli, მაგრამ ამასთან, ძველებურად თავზე ხელაღებულად ცხოვრობდა. მრავალსაათიანი გადაღებების შემდეგ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ეტანებოდა, სახლში გათენებისას მიდიოდა და უთენია დგებოდა, რათა გამოუძინებელი და გამოფიტული მორიგ ჩვენებაზე წასულიყო.

„ნარკომანია და ალკოჰოლი — ყველა მოდელის პრობლემაა. მუდამ რაღაცას განასახიერებ, ავადმყოფობის უფლებაც არ გაქვს. ერთ მშვენიერ დღეს კი ფსიქიკა იმსხვრევა და ძალაუნებურად ფსიქოლოგიური განტვირთვის გზებს ეძებ“, — ასე იმართლებდა თავს კეიტი. რაღაც მომენტში მოდელი მართლაც გატყდა. როდესაც პაპარაცებმა კოკაინის მოხმარებაში გამოიჭირეს, იგი საყოველთაო გაკიცხვის ობიექტი გახდა. Chanel-მა და Burberry-მ მასთან დადებული კონტრაქტები გაწყვიტეს, კეიტი კი იძულებული იყო, სარეაბილიტაციო კლინიკაში დაწოლილ-

იყო... მას მხოლოდ ნარკომანიისგან განკურნება როდი ესაჭიროებოდა, კეიტ მოსი სიყვარულისგანაც უნდა გათავისუფლებულიყო. უნდა ითქვას, რომ მისთვის სიყვარული ხშირად სწორედაც რომ დაავადებად გადაიქცეოდა — მწვავე, ყოვლისმომცველ, გიჟურ დაავადებად... მოდელი საკუთარ რომანებს არასდროს მალავდა და გარყვნილების ბრალდებებს მშვიდად ისმენდა, რადგან მისაბაძ მაგალითად საკუთარი თავის გარდა არავინ მიაჩნდა. 17 წლის ასაკში ნიუ-იორკში ცნობილ ფოტოგრაფ მარიო სორეტისთან ერთად ცხოვრობდა. კეიტს მარიო სიგიჟემდე უყვარდა, მას კი მოდური ჟურნალებისთვის სატრფოს ფოტოსურათების გადაღება იტაცებდა. როდესაც ურთიერთობა სამუშაოში გადაიზარდა, კეიტს სხვა მამაკაცი შეუყვარდა, რომელიც მისი იდეალი გახდა: — „ცუდი“ ბიჭი, მიმზიდველი მზერითა და მოურიდებელი მანერებით. იგი იმ თაობის კერპი და იმ ეპოქის სიმბოლო იყო, რომელსაც კეიტ მოსი მიეკუთვნებოდა. ეს მამაკაცი ჯონი დეპი იყო.

მათ ერთმანეთი 1994 წელს გაიცნეს და 4 წლის მანძილზე ხვდებოდნენ. იმ დროის გახსენება ჯონი დეპს დღესაც კი ტანში ჟრუანტელს ჰგვრის: ისინი ხან შორდებოდნენ, ხან ისევ რიგდებოდნენ... ერთი რამ კი ცხადია: კეიტს ჯონის მსგავსად არასდროს არავინ ჰყვარებია და ვერაფრით აპატია, რომ ჯონმა მასთან ცეცხლოვანი ვნებებით სავსე სიყვარულს ვანესა პარადისთან მშვიდი ოჯახური ცხოვრება ამჯობინა.





„ეს ჩემი ცხოვრების უდიდესი სიყვარული იყო. ერთხანს „კეიტ დეპის“ სახელითაც კი ვაწერდი ხელს. ჯონს ვერავინ შეიყვარებს ისე ძლიერად, როგორც მე მიყვარდა“, — თავდაჯერებით აცხადებდა კეიტი. ჯონი დეპთან დაშორება მისთვის უდიდესი ტრავმა იყო, მაგრამ ამ ტრაგედიიდან მრავალი დასკვნა გამოიტანა და გადაწყვიტა, ყველა დამღუპველი ჩვევისა და დამოკიდებულებისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო. ჯონის შემდეგ კეიტს ბევრი მამაკაცი ჰყავდა, მაგრამ მის გულში კვალი არც ერთ მათგანს არ დაუტოვებია. მოდელმა მხოლოდ 2002 წელს სცადა ოჯახის შექმნა გამომცემელ ჯეფერსონ ჰეკთან, რომელმაც მას ხელი და გული შესთავაზა, მაგრამ კეიტმა ბოლო მომენტში უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ წყვილს გოგონა შეეძინა, ისინი არ დაქორწინებულან... კეიტი ჰეკისგან პატარა ლილა გრეისთან ერთად წავიდა და გამოთხოვებისას განუცხადა, რომ ის მისთვის „მეტისმეტად კარგი“ იყო. ამის შემდეგ მის ცხოვრებაში როკერების ერა დაიწყო. ჯერ ჯგუფის Babyshambles სოლისტი, სკანდალისტი და ალკოჰოლიკი პიტ დოერტი შეიყვარა, შემდეგ კი ასევე ნამდვილ როკერთან, ჯგუფის The Kills გიტარისტ ჯეიმი ჰინსთან გააბა რომანი. „მე ოჯახსა და ურთიერთგაგებაზე ვოცნებობ, ახლობელი ადამიანი მჭირდება“, — გულწრფელად ამბობს კეიტი, მაგრამ პრესა კვლავაც მხოლოდ ჰინსთან დაკავშირებული განხეთქილებისა და ახალი სკანდალების შესახებ წერს.





ალკოჰოლთან, ნარკოტიკებთან და „ცუდ“ ბიჭებთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, კეიტი ძველებურად საბრძოლო ფორმაშია. ყოველთვის, როდესაც ყვითელი პრესა მის დასამარებას ცდილობს, ზღაპრული ფენიქსის მსგავსად ფერფლიდან აღდგომას ახერხებს... ჯონი დეპმა ტყუილად კი არ შეადარა დიდი სიმაღლიდან გადმოვარდნილ კატას, რომელიც მუდამ თათებზე ეშვება და ნებისმიერი სიტუაციიდან გამარჯვებული გამოდის!

35 წლის კეიტ მოსი მტრების ჯინაზე დღესაც წარმატებული მოდელი და სტილის ხატებაა. იგი საკუთარ არომატს Velvet Hour უშვებს, მისი ფოტოსურათები ჟურნალ Vogue-ს გარეკანზე იბეჭდება და ცნობილი ბრენდების სარეკლამო კამპანიების უცვლელი მონაწილეა. კეიტი კვლავ ქმნის საკუთარ კოლექციას Kate Moss for Topshop. წელს კი კოლექციის გაფართოებას და საკუთარი სახელობის ფეხსაცმლისა და ქალის ქვედა საცვლის ხაზის გამოშვებას გეგმავს. მის შესახებ უკვე რამდენიმე წიგნი დაიწერა, ხოლო ერთ-ერთი მათგანის მიხედვით ფილმის გადაღებასაც კი აპირებენ. ასე

რომ, ცოტაც და, კეიტს მშობლიური ლონდონის გარეუბან კროიდონში ძეგლსაც დაუდგამენ...

„ბავშვობაში თავდაჯერებულობა მაკლდა და პატარა მკერდის გამო საშინლად ვიტანჯებოდი. მეუბნებოდნენ, რომ ჭოკს ვგავდი და არასექსუალური ვიყავი. მოგვიანებით კომპლექსებისგან სრულიად გავთავისუფლდი. მივხვდი, რომ ადამიანს სწორედ ის უხდება, რაც ბუნებამ უბოძა. ჩემი ყველა ნაკლი განუმეორებელი ინდივიდუალური სტილის დეტალად გადავაქციე. კეიტ მოსის ტიპის მოდელს კიდევ ბევრს იცნობთ? არა მგონია, ასეთი მხოლოდ მე ვარ!“ — ამაყად აცხადებს კეიტი და ამგვარი თავდაჯერებულობის გამო ძეგლის დადგმას მართლაც იმსახურებს. მან გოგონებს საკუთარი მაგალითით დაუმტკიცა, რომ სილამაზის სტანდარტებს ქედი არ უნდა მოუხარონ, სტერეოტიპები დაამსხვრიონ და ისეთებად დარჩნენ, როგორებადაც ბუნებამ შექმნა.



აი, მაშინ, ერთ მშვენიერ დღესაც, ადამიანები მათზე აიღებენ ორიენტაციას! კეიტ მოსი მოდის ინდუსტრიას კი არ მოერგო, პირიქით, მოდის ინდუსტრია მოერგო მეამბოხე და თავდაჯერებულ ძუ მგელს.

ისევე, როგორც 15 წლის წინ, კეიტი თავის განუმეორებელ სტილს კვლავინდებურად ინარჩუნებს — სტილს, რომელიც უკვე კულტად იქცა. იგი ტანსაცმელს ძველებურად მეორად მაღაზიებსა და იაფფასიან ბაზრობებზე ყიდულობს, დილამდე კლუბებში ერთობა და კვლავ „სექსის, ნარკოტიკებისა და როკ-ენ-როლის“ ეპოქის სულისკვეთებით ცხოვრობს, რომელსაც მან საკუთარი ინტერპრეტაცია მიანიჭა! ■



## მეგან ფოკსი ჟურნალ Nulon Magazine–ს ოქტომბრის ნომერში




პლანეტის ყველაზე სექსუალური გოგონასა და ჰოლივუდის ყველაზე პოპულარული მსახიობის მეგან ფოკსის ფოტოსურათი მორიგი ჟურნალის, კერძოდ კი Nulon Magazine-ს ოქტომბრის ნომრის პირველ გვერდზე დაიბეჭდა. 23 წლის მსახიობმა ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში საკუთარი პოპულარობის შესახებ ისაუბრა: „ვფიქრობ, მედიაში ძალზე ხშირად ვარ წარმოდგენილი. არ მინდა, რომ ყოველ კვირას — ჟურნალებში, ყოველდღე კი — ინტერნეტში ვიყო. არ მსურს, ადამიანები ჩემით მანამდე ავადდებოდნენ, ვიდრე რომელიმე სამუშაოს დავამთავრებ“, — ამბობს მეგანი. ■

## ახალი ფილმი მაიკლ ჯექსონის შესახებ



პოპმუსიკის მეფის ბოლო რეპეტიციებზე გადაღებული ვიდეომასალის საფუძველზე შექმნილი ფილმის This is It ბილეთები 2 საათში სრულად გაიყიდა. 3000-დან თუნდაც ერთი ბილეთის მოსაპოვებლად და იმის სანახავად, თუ როგორ ატარებდა მათი კერპი რეპეტიციებს ლონდონში დანიშნული კონცერტის წინ, ჯექსონის ფანატები ბილეთების რიგში სამი დღე იდგნენ... პოპმუსიკის მეფის შესახებ შექმნილ დოკუმენტურ ფილმში მუსიკოსის რეპეტიციების 100-საათიანი ჩანაწერის საუკეთესო მომენტებია შესული. სურათის პრემიერა ოქტომბრის ბოლოს მსოფლიოს 25 ქალაქში ერთდროულად შედგება, მისი ჩვენება კი მხოლოდ 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ■

## Lady Gaga საკონცერტო ტურნეში კეინი ვესტის გარეშე მიემგზავრება



ამერიკელი მომღერალი Lady Gaga თაყვანისმცემელთა იმედის გაცრუებას და საკონცერტო ტურნეს ჩაშლას არ აპირებს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რეპერ კეინი ვესტისა და Lady Gaga-ს ერთობლივი საკონცერტო ტურნე Fame Kills, რომელიც 10 ნოემბერს ფენიქსში უნდა დაწყებულიყო, აღარ შედგება, მომღერალმა განაცხადა, რომ იგი გეგმებს არ შეცვლის და სოლო კონცერტებს გამართავს. „საკონცერტო ტურნეს გადადება — ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებაა. კეინს მცირე ხნით დასვენება სურს, მე კი ამას არ ვაპირებ“, — განაცხადა 23 წლის მომღერალმა. ტურნეს ჩაშლის მიზეზი ოფიციალურად არ დასახელებულა, მაგრამ ვესტი ადრე მართლაც ამბობდა, რომ რამდენიმე ხნით მუშაობის შეწყვეტას აპირებდა.

Lady Gaga საკონცერტო ტურნეს დაწყებას ნოემბრის შუა რიცხვებში აპირებს, მანამდე კი პუბლიკის შოკში ჩაგდების მოყვარული მომღერალი ჟურნალ Vogue-ს ოქტომბრის ნომრისთვის პოზირებით იყო დაკავებული. უნდა ითქვას, რომ ამ ფოტოსურათებზე Gaga მართლაც რომ ჭეშმარიტ ლედის მოგვაგონებს. მკითხველმა მომღერალი ფოტოსურათზე, ბოლოს და ბოლოს, ჩაცმულიც იხილა! ალბათ სწორედ ამიტომაცაა, რომ ფოტოსესია საკმაოდ ესთეტიკური გამოვიდა. მას ხომ ის ეპატაჟი აკლია, რომელსაც Lady Gaga-ს ფანები არიან შეჩვეულნი. ■



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

# ერაყში გათხოვილი ქართველი ქალის ძალიან ძველი ამბავი

**50 წლის წინ 130 საბჭოთა ქალი ერაყის ქალაქ ბასრაში ჩავიდა. მათ იქ წლების წინ წასული, ქურთი ქმრები ელოდნენ... ქალებს შორის 3 ქართველიც იყო...**

**ამას წინათ ერაყიდან უცნობმა მამაკაცმა დამირეკა და მითხრა, ძალიან საინტერესო ამბავი მაქვს თქვენთვის მოსაყოლი და მითხარით, როგორ შეიძლება, მოგაწოდოთო. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ მართლაც, უჩვეულო შემთხვევასთან მქონდა საქმე. ჩვენი დიალოგი ინტერნეტმიმოწერით გაგრძელდა.**

*მარი ჯაფარიძე*

— უკვე დიდი ხანია, ერაყში ვიმყოფები. აქ მძღოლად ვმუშაობ სატვირთო მანქანაზე. ჯარისკაცი არ გახლავართ და არც ქართულ ჯართან მაქვს შეხება. ახლობელი დამეხმარა იმაში, რომ აქ წამოვსულიყავი, ვინაიდან მაღალი შრომის ანაზღაურებაა და ოჯახის რჩენის შესაძლებლობა მაქვს. აქაურ ჰავას შევეგუე, უკვე აღარ მიჭირს. ხალხსაც შევეჩვიე. ერთ დღეს, ჩემი მანქანით შორ გზაზე გადამქონდა ტვირთი. ქუვეითიდან ბასრაში მივდიოდი. გზად ქალაქი ამარა უნდა გამევლო, რომელიც მდინარე ევფრატის პირასაა გაშენებული. ქალაქის განაპირას პატარა სასტუმროა. სასტუმრო ჰქვია, თორემ ერთსართულიანი შენობაა, სადაც მძღოლები ჩერდებიან. ნომერი დავიკავე და საღამოს იქვე, სასტუმროს სასადილოში სავახშმოდ შევედი. კერძი შევუკვეთე და ვიდრე მომიტანდნენ, საქართველოში დავრეკე და ოჯახი მოვიკითხე. როცა საუბარი დავასრულე, ახალგაზრდა მამაკაცი მომადგა. ქართველი ხართო? — არაბულ ენაზე მკითხა. — კი-მეთქი. — მე ბებია მყავს ქართველი, აქ ცხოვრობს დიდი ხანია, ბაბუაჩემზე 50 წლის წინ გათხოვილა; ოცნებად აქვს გადაქცეული, ქართველის ნახვა და თუ შეგიძლიათ, უარს ნუ მეტყვით, აქვე ვცხოვრობ, წამომყევით, მოხუც ბებიას გაახარებთ, დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენია და ამ ოცნებას დარდად ნუ გააყოლებთო. ძალიან გამიკვირდა, რადგან 50 წლის წინ საბჭოთა წყობილების დროს ქართველი ქალის ერაყში გათხოვება წარმოუდგენლად მომეჩვენა. ვივახშმე და გავყევი ამ უცნაურ ადამიანს. კარგა ხანს ვიარეთ ფეხით. ცოტა შემეშინდა კიდეც. ნახევრად მიწურ სახლთან მივედით. ერთ ოთახში იატაკზე, რომლის მთელ „ავეჯს“ მხოლოდ ხალიჩა და ბალიშები შეადგენდა (ერაყის მთიანი ქურთისტანის სახლების უმეტესობაში ასეა), მოხუცი ქალი იჯდა. ჩემი მეგზური მასთან მივიდა და ხმადაბლა დაელაპარაკა. ქალმა უცებ ამომხედა. წამოდგა და თავდახრილი მომიახლოვდა. მერე შვილიშვილს რაღაც უთხრა და ისიც ოთახიდან გავიდა. როცა მარტო დავრჩით, ორივე ხელი მხრებზე მომკიდა და გულში ჩამიხუტა.



— დაჯექი, — მითხრა ქართულად. საშინელი აქცენტი ჰქონდა. მის წინ, იატაკზე დავჯექი. თვალი გამიშტერა და კარგა ხანს მიყურა. შემდეგ თავისი ცხოვრების შესახებ მიამბო. ხან ქურთულ, ხან არაბულ ენაზე ჰყვებოდა, ქართული თითქმის დავიწყებული ჰქონდა. წარამარა იმეორებდა — „ჰამდულა“ (მადლობა ღმერთს!)...

— ძალიან გამიჭირდა, — *თვალცრემლიანი ჰყვებოდა.* — 1960 წელს, საბჭოთა კავშირიდან ქმართან ჩამოვედი, მას კი აქ უკვე ცოლი ჰყავდა. შენ მეორე იქნებიო, — მითხრა. ძალიან მეწყინა... ღამღამობით რადიომიმღებს ვრთავდი და ვინაიდან თბილისს არ იჭერდა, მოსკოვს ვუსმენდი. ჩემი საქართველო მახსენდებოდა და ვტიროდი, შინ მინდა-მეთქი. შემდეგ ომი დაიწყო... თვითმფრინავები ქალაქებს ბომბავდა, რის გამოც იძულებული გავხდი, მთების გავლით, ირანში გადავსულიყავი. ერთი შვილი კაბის კალთაზე მებღაუჭებოდა, მეორე ხელში მყავდა აყვანილი, მესამე კი მუცელში მყავდა. თავბედს ვიწყევლიდი, მაგრამ რას ვიზამდი?! ჩემი ქმარი ყოფილი პარტიზანი იყო, ქურთების ლიდერის, მუსტაფა ბარზანის მომხრე. მასა და მის თანამებრძოლებს საბჭოთა კავშირში თავშესაფარი სტალინმა მისცა. მოგვიანებით კი ამნისტია შეეხოთ და ყველანი სამშობლოში დაბრუნდნენ. ჩემთან ერთად, 2 ქართველი ქალი იყო; დანარჩენები — რუსე-

ბი. აქ რომ ჩამოვედით და იმ ქართველ ქალებს დავშორდი, იმის შემდეგ ქართულად აღარ მილაპარაკია... თბილისელი ვარ. ჩემი ქმარიც თბილისში ცხოვრობდა მას მერე, რაც სამშობლოდან გადმოიხვეწა. ის რომ გავიცანი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი. აქ რომ ჩამოვედი და ჩემი ქმარი დაქორწინებული დამხვდა, ერთი ამბავი ავტეხე, მაგრამ რას გავაწყობდი? ამათი კანონის მიხედვით, მამაკაცს რამდენიმე ცოლის ყოლა შეუძლია. მერე გავიგე, რომ ჩემთან ერთად ჩამოსული ქალებიდან ბევრი უკან გაბრუნებულა, მაგრამ მე ვერ გავბედე, რადგან იქ სახლი გავყიდე... თან ჩემი ქმარი მიყვარდა. ერაყმა ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ქურთისტანში რომ ჩამოვედი, 25 წლის ვიყავი. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა დავინახე, რომ სახლებს ტალახისგან აშენებდნენ. ისეთი ღარიბები იყვნენ, იატაკზე ეძინათ. ღამღამობით კი საცხოვრებელში კობრები ძვრებოდნენ...



ყველაზე მეტად მეზობლებთან ურთიერთობა გამიჭირდა. აქ ყველა სოფელს თავისი ენა აქვს და სხვადასხვა სოფლის მცხოვრებთ ერთმანეთის არ ესმით. სარეცხი რომ მქონდა გასარეცხი, ტაშტი მეზობლისგან უნდა მეთხოვა. ხელით ვანიშნებდი, რაც მინდოდა და ისინი სიცილით კვდებოდნენ. სამაგიეროდ, მე მათ კიტრის მწნილის, მურაბისა და წვნიანი კერძების გაკეთება ვასწავლე. ამის შემდეგ სხვა თვალით შემომხედეს და პატივსაც მცემდნენ.

1961 წელს ქურთისტანში აჯანყება დაიწყო... ამის შემდეგ, როგორც კი მშვიდობა დაისადგურებდა, ახალი ომი იწყებოდა... ჯერ ირანთან, მერე — ამერიკელებთან... 30 წელია, დაუსრულებლად ომია. სადამ ჰუსეინთან ჩემი ანგარიში მქონდა: მისმა ჯარისკაცებმა საბჭოთა ობლიგაციები წამართვეს, დოლარი ეგონათ. კიდევ, პატეფონი და ქართული ფირფიტებიც წაიღეს. 1980 წელს მე, ჩემი ქმარი და შვილები დაგვაპატიმრეს. სეპარატიზმში დაგვდეს ბრალი. საბჭოთა საელჩოში ვიჩივლე, ბაღდადში, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. 3 წლის შემდეგ საპატიმრო ბანაკიდან სატვირთო მანქანებით, 20-დან 80 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი წაიყვანეს. მათ შორის, ჩემი ქმარშვილიც. ამის შემდეგ მათ შესახებ არაფერი გამიგონია. ჰუსეინის ციხეებიდან ცოცხალი იშვიათად თუ გამოდიოდა ვინმე... თუმცა ბრძანება გასცეს, ქალები არ დაეხოცათ. ახლა ჩემი ქმარ-შვილის საფლავიც კი არ მაქვს, რომ ვიტირო. ვიცი, რომ სიკვდილის წინ ისინი აწამეს, — ცრემლით დანამულ თვალებს ძირს ხრიდა მოხუცი და ტირილისგან მხრები უცახცახებდა.

**— ამ ქალმა, მისი წასვლის შემდეგ რა მოხდა საქართველოში, ამის შესახებ თუ იცის რამე?**

— არა, თითქმის არაფერი იცის. მკითხა, კომუნიზმი კიდევაა საბჭოთა კავშირშიო? არა-მეთქი. — ეს კარგია თუ ცუდიო? — ვისთვის როგორ-მეთქი, — პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე. თურმე, ძმა ჰყავდა თბილისში და რაც წამოვიდა, იმის შემდეგ მასზე არაფერი გაუგონია. მერე ერთ მამაკაცს, რომელმაც ცოტა რუსული იცოდა, მისთვის წერილი მიაწერინა, სადაც ძმას შეატყობინა, რომ მოკვდა: ასე სჯობდა, რადგან იმას მაინც არ იდარდებდა, როგორ ვიყავიო, — ასე ამიხსნა თავისი საქციელი... ოთახის კედლებზე საქართველოდან წამოღებული, ოჯახის წევრების გახუნებული ფოტოები ჰქონდა გაკრული... გამიხარდა, ქართველი რომ ვნახე და ქართული ენა მოვისმინე... ხომ ხედავ, ძლივს ვიხსენებ ქართულ სიტყვებს, მაგრამ მაინც ხომ გაგაგებინე ჩემი სათქმელი, ახლა კი მშვიდად მოვკვდებიო... — მითხრა. და კიდევ, მთხოვა, როგორმე ხმა მიმეწვდინა მისი ოჯახის რომელიმე წევრისთვის, თუ ვინმე გაიხსენებს მერი გამჯანეკაშვილს...

**— ეს სახელი და გვარი გამოვაქვეყნო?**

— დიახ, გამოაქვეყნეთ და თუ ვინმე გამოჩნდება, იქნებ უამბოთ დაწვრილებით, თუ რა გადახდა თავს მათ ნათესავს. თვითონ სურათი არ ალმოაჩნდა, რომ მოეცა... მე კი ფოტოაპარატი არ მქონდა... სამწუხაროა, თუ ნათესავები მის შესახებ წაიკითხავენ, ფოტოს ვერ იხილავენ. მე მანდაც თქვენი მკითხველი ვიყავი და აქაც რალაცნაირად ვახერხებ, ხანდახან მაინც გადავავლო თვალი ძველ „გზას“. ჰოდა, გადავწყვიტე, ეს ამბავი თქვენთვის მომეთხრო. ■

**დაძაბული ურთიერთობის მიუხედავად, ცოლ-ქმარი ხშირად მაინც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს, რათა შვილები სრულფასოვან ოჯახში აღიზარდონ. სამწუხაროდ, ოჯახის პატარა წევრებს არაფერს ეკითხებიან. ჰგონიათ, რომ თავად უკეთესად იციან, თუ რა ჯობს ბავშვებისთვის და გადაწყვეტილებებს მათ დაუკითხავად იღებენ. ამის გამო შვილებს დედის ან მამის (ან ორივეს) მიმართ აგრესიული განწყობილება უყალიბდებათ. საინტერესოა, თავად რას ფიქრობენ მოზარდები, რომელთა მშობლებსაც კონფლიქტური ურთიერთობა აქვთ, როგორ ოჯახში ცხოვრებაზე ოცნებობენ, რა არის მათთვის აუხსნელი და გაუგებარი, დედ-მამის საქციელში...**

*ეთო ყორღანაშვილი*

*სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებიც საკუთარ ოჯახურ პრობლემებზე დაუფარავად მესაუბრებოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მივაგენი ოჯახს, რომლის თითოეული წევრიც გულახდილად მესაუბრა. ვიდრე შვილების აზრს მოგახსენებთ, მანამდე გაგაცნობთ, თუ რითი ხსნიან თავიანთ კონფლიქტურ თანაცხოვრებას ცოლ-ქმარი — მანანა და რეზო (მათ ცალ-ცალკე ვესაუბრე).*

**მანანა,** *45 წლის:*

— ჩემს მომავალ მეუღლეს გაცნობიდან 3 კვირის შემდეგ გავყევი ცოლად. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა: ჩემ მიმართ ყურადღებიანი და ალერსიანი იყო, უამრავ თბილ სიტყვას მეუბნებოდა, მიმტკიცებდა, რომ ვუყვარდი და ქალსაც მეტი რა უნდა? ავდექი და გავთხოვდი. აღმოჩნდა, რომ ჩემი ქმარი ისეთი სულაც არ ყოფილა, როგორადაც თავს მაჩვენებდა. მისი ყურადღება უყურადღებობამ შეცვალა, ალერსი — ლანძღვა-გინებამ და ცემა-ტყეპამ. საყვარელი ადამიანის ასეთი რადიკალური ცვლილებით გაოგნებული ვიყავი. ყოველდღე კამათი და ჩხუბი საშინლად მთრგუნავდა.

**— თუ გახსოვთ, პირველად რაზე იკამათეთ?**

— მაგას რა დამავიწყებს?! სულ უმნიშვნელო რაღაცის გამო გაბრაზდა: ტელევიზორს ვუყურებდით. მთხოვა, მისთვის წყალი მიმეტანა, მე კი სამზარეულოში გასვლა დამეზარა. — მომიტანე, თორემ გაწყენინებო, — დამემუქრა, მაგრამ მისი ნათქვამი ხუმრობად მივიღე. ადგა და წყლის დასალევად სამზარეულოში გავიდა, თან გამომძახა: — მეძავის შვილი ხარო!.. დედაჩემსა და მის საყვარელზე მთელი სამეზობლო ჭორაობდა, რის

# როცა განქორწინება სიკეთის მომტანია...



## შვილების თვალით დანახული მშობლების ურთიერთობა

გამოც ძალიან მრცხვენოდა... ტირილი დავიწყე: — კარგად იცოდი, ვისი შვილიც ვიყავი და ცოლად რატომღა შემირთე-მეთქი? მან კი ხელი სახეში გამარტყა... მერე ბოდიშიც მომიხადა. მას შემდეგ სულ ასეა: ჯერ შეურაცხყოფას მაყენებს, მერე ბოდიშს მიხდის და მიმტკიცებს, რომ ვუყვარვარ. მეც ვპატიობ, მაგრამ მეორე ან, უკეთეს შემთხვევაში, მესამე დღეს ყველაფერი თავიდან იწყება.

— **თქვენი მეუღლე დღემდე გიყვართ?**

— ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიყვარს, მაგრამ ისეთი დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, სიყვარული მეათეხარისხოვანია. ოჯახის შენარჩუნებაზე მხოლოდ ჩემი სიყვარულის გამო ნამდვილად არ ვიფიქრებდი. განქორწინებისგან ყოველთვის შვილების გამო ვიკავებდი თავს. სულ ვცდილობდი, ბავშვებს მამის მიმართ პატივისცემის გრძნობა ჰქონოდათ (სიყვარულზე საუბარი ხომ ზედმეტია!), მაგრამ მასთან ერთ ოთახში ყოფნაც კი უჭირთ. ჩემს გოგონას ახლა უკვე თავისი ოჯახი აქვს, ბიჭიც მალე შეირთავს ცოლს და მარტო ხომ არ დავრჩები?! ავად თუ კარგად, ამდენი წელი მე და ჩემმა მეუღლემ ერთად ვიცხოვრეთ და ამ სიბერის ჟამს ხომ არ გავეყრები?! ეს სასაცილო იქნება.

**რეზო,** *49 წლის (მანანას მეუღლე):*

— ცოლთანაც და შვილებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ზოგჯერ რაღაც-რაღაცებზე ვკამათობთ, მაგრამ ასეთი რამ ყველა ოჯახში ხდება. არ მომწონს, როცა მეურჩებიან. ოჯახის უფროსი ვარ და მე უკეთ ვიცი, რა და როგორ! მართალია, მატერიალურად ჩემი მეუღლე უზრუნველგვყოფს, მაგრამ არ წამომყვა სოფელში და რა ვქნა?! მე სოფლელი კაცი ვარ, ჩემი მეურნეობა მქონდა და იმით ვშოულობდი ლუკმა-პურს, ქალაქში რა უნდა ვაკეთო? მინდოდა, სოფელში გვეცხოვრა, მაგრამ ოჯახის წევრები ჩემს აზრს პატივს არ სცემენ. ერთხელ სადილობისას აღვნიშნე — უგემური ბორშჩია-მეთქი. ეტყობა, ცოლს ჩემი შენიშვნა არ მოეწონა და გაბრაზებულმა მაცივრიდან იმწუთში გამოღებული, გაყინული შოკოლადის „პლიტკა“ თავში მესროლა — შუბლი გამიტეხა... კიდევ აქეთ აქვს პრეტენზიები, — ნუ ლოთობო! როგორ არ დავლიო ასეთი ავი ქალის შემყურემ?! ასეთი ცოლი ღირსია, ხანდახან წაუთაქო ხოლმე.

*საინტერესოა, როგორია ამ წყვილის ურთიერთობა მათი შვილების, ნიკასა და გვანცას აზრით?*

**ნიკა,** *21 წლის:*

— მამა დედას საშინლად ამცირებს, ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს. წლებია, ასე გრძელდება. ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, დედას ვეხვეწები, გაშორდეს, მაგრამ ასე არ იქცევა. წინათ იმედი ჰქონდა, რომ ქმარი გამოსწორების გზას დაადგებოდა, ახლა კი ამბობს, — რაღა დროს განქორწინებააო?! გვიანი არასდროსაა ისეთი უსინდისო ადამიანთან დაშორება, როგორიც მამაჩემია. დედაჩემის წყალობით, ყველაფერი აქვს, რასაც მოისურვებს და იმის ნაცვლად, რომ ცოლს პატივისცემით ექცეოდეს, ლოთობს. დალევს ერთ-ორ ჭიქას და იწყებს „გაჭედვას“. რას ერჩის ქალს, რომელმაც მისი დახმარების გარეშე, ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწია, ვერ ვხვდები. იყო დრო, როცა მატერიალურად, ძალიან გვიჭირდა. დედამ ყველაფერი იღონა, რათა სიღარიბისგან თავი დაგვეღწია — მეტროსთან მაწონსაც კი ყიდდა... ტახტზე წამოკოტრიალებული მამა კი მხოლოდ იმაზე დარდობდა, — ბუზები მშვიდი ძილის საშუალებას არ მაძლევენ და დახოცეთო... ჩემი და რომ გათხოვდა, სიძის სახლში პირველად მე მივედი და აი, მაშინ მოგვივიდა მე და მამას პირველი სერიოზული კონფლიქტი: გვანცა სანზონაში გათხოვდა. ისეთ პატარა ბინაში ცხოვრობდა, შოკში ჩავვარდი: ორი ციცქნა, ოთახი ჰქონდა. როცა მამაჩემმა მკითხა, შენი დის მეუღლეს რამდენოთახიანი ბინა აქვსო? — დაბნეულმა ვუპასუხე, — ორიანი-მეთქი. ხელები კმაყოფილმა მოიფშვნიტა. ჩემი დის საცხოვრებლით ისეთი გაოგნებული ვიყავი, ახსნა-განმარტებების თავი აღარ მქონდა. მოგვიანებით, მამამ, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიტყო. როცა გაიგო, რომ ღატაკი სიძე ჰყავდა და თავისი ქალიშვილი ოროთახიან, უკაცრავად და, სოროში ცხოვრობდა, გულმოსული მომვარდა, — სიმართლე რატომ დამიმალეო?! საშინლად მაგინებდა, მატყუარას მეძახდა. მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის. არც მე ვყოფილვარ ფხიზელი და როცა სახეში ხელი გამარტყა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. დიდი სურვილი მქონდა, „ხურდა“ დამებრუნებინა, მაგრამ თავი შევიკავე. უბრალოდ, დარტყმის მეორე მცდელობისას, ხელი დავუჭირე. გამწარდა. დამეჯაჯგურა და კინაღამ სახლის აივნიდან გადავცვივდით... დედაჩემის არ მესმის, რატომ ცხოვრობს ასეთი უქნარას გვერდით? მისი უდიდებულესობა — მამაჩემი, უკვე ბრძანებებს იძლევა, — ეს მანქანა აღარ მომწონს, სხვა მიყიდეო! დედის ადგილას რომ ვიყო, მანქანას ვუყიდდი კი არა, სიგარეტის ფულსაც არ მივცემდი! სახლიდან სიამოვნებით წავიდოდი — სასმლისგან აწითლებული მამაჩემის სი-

ფათის დანახვა გულს მირევს, მაგრამ დედას ვერ მივატოვებ. მეშინია, მაგ არაკაცმა საბრალო ქალი ცემით არ მოკლას.

**გვანცა,** *18 წლის:*

— ჩემთვის ოჯახური აურზაურისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება გათხოვება იყო და ეს ნაბიჯი ამიტომაც გადავდგი. მეუღლე მიყვარს, მაგრამ ასე ადრე ოჯახის შექმნას არ ვაპირებდი. მშობლების აუტანელ ურთიერთობას ველარ გავუძელი. ლოთი მამა და ქმრის მორჩილი დედა მყავს. სულ ჩხუბობენ. უფრო სწორად, მამა უმიზეზოდ ჩხუბს იწყებს და დედას ხელითაც ეხება. მათი კონფლიქტის მომსწრე არაერთი მეზობელი გამხდარა. ჩვენი კარის მეზობელი, ნანა დეიდა, მას შემდეგ, რაც იატაკზე წაქცეული დედაჩემი და დანამოლერებული მამაჩემი დაინახა, კარგა ხანს შოკში იყო. პოლიცია რომ გამოეძახებინა და მამა ციხეში ჩაესვათ, სულ არ დამწყდებოდა გული.

— **დანით მუქარის მიზეზი რა იყო?**

— ჩხუბისა და მუქარისთვის მამას მიზეზი არ სჭირდება. მაგალითად, კერძი რომ არ მოეწონოს, ქვაბს გაზქურაზევე ამოაყირავებს და აბა, ვინმემ საყვედურის თქმა გაუბედოს! ფულიც დედამ უნდა იშოვოს, სახლიც დაალაგოს, სადილიც მოამზადოს და უსინდისო ქმრის შენიშვნებიც აიტანოს... იცი, დედაჩემი როდის შეცდა? როცა მეუღლემ პირველად მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ქმარს მაშინვე უნდა დაშორებოდა! თანდათან ადამიანი ყველაფერს ეგუება... მართალია, განქორწინებულები არასოდეს ყოფილან, მაგრამ ერთი პერიოდი, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ: მამა — თავის მშობლიურ სოფელში, დედა — ჩვენთან (შვილებთან), თბილისში. იცი, რა კარგად ვიყავით მამის გარეშე?! სახლში მისი ჯუჯღუნი და ღრიალი აღარ ისმოდა! დედაჩემის ინიციატივით, შემდეგ ისევ ჩვენთან ჩამოვიდა და ჯოჯოხეთიც დაიწყო... ამას ნამდვილად ველარ გავუძლებდი. შეყვარებული მყავდა და რომ შემომთავაზა, გავიპაროთო, ბევრი არ მიყოყმანია. მართალია, მატერიალურად მაინცდამაინც არ გვილხინს, მაგრამ სიმშვიდის ფასი არაფერია. ყოველთვის მშვიდ, მოსიყვარულე ოჯახში ცხოვრებაზე ვოცნებობდი და იმედია, ჩემი შვილი სწორედ ასეთ გარემოში გაიზრდება. მეუღლე მიყვარს და მასაც ძალიან ვუყვარვარ, ერთმანეთს პატივს ვცემთ, ყველა პრობლემას ერთად ვწყვეტთ... ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ თუკი ოდესმე ჩემი მშობლების მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდი, ქმარს ზედმეტი ფიქრის გარეშე დავშორდები. ქალმა ღირსება უნდა შეინარჩუნოს, თავი არავის დააჩაგვრინოს. დიდი ამბავი, თუ ბავშვი მამის გვერდით არ გაიზრდება! რაც მთავარია, მშვიდად იქნება და თავის მეგობრებს შინ უშიშრად მოიპატიჟებს. იმის დარდი არ ექნება, ჩემი თანატოლები სახლში მშობლების ჩხუბის დროს არ დამადგნენო.

*სხვა ახალგაზრდებიც გამოვკითხე და გავარკვიე, რას ფიქრობენ ისინი საკუთარი მშობლების ურთიერთობაზე.*

**ანანო,** *18 წლის, სტუდენტი:*

— ხანდახან ყველა კამათობს, მათ შორის — ჩემი მშობლებიც, მაგრამ მათი კამათი კონფლიქტში არასოდეს გადაზრდილა.

— **შენს მშობლებს შორის აზრთა სხვადასხვაობას რა იწვევს?**

— დედა მეტ თავისუფლებას მაძლევს, მამა კი ცოლს ამის გამო საყვედურობს. ის, ცოტა არ იყოს, ძველი ყაიდის კაცია. საღამოს 8 საათზე აუცილებლად სახლში უნდა ვიყო (წინააღმდეგ შემთხვევაში, ტელეფონს „ამიფეთქებს“) და ოდნავ გამომწვევი სამოსი არ უნდა ჩავიცვა... ყოფილა შემთხვევა, შინიდან მამის შერჩეული ტანსაცმლით გავსულვარ, მაგრამ უნივერსიტეტის საპირფარეშოში გამომიცვლია და ის ჩამიცვამს, რაც მე მომწონს. აბა, რა ვქნა?! მონაზონივით მართლა ვერ ვივლი. დედა სულ ეჩხუბება, შვილს ასე ნუ ზღუდავ, ცოდოაო, მაგრამ ყურს არ უგდებს. მათი კამათი ჩემი ბრალია ხოლმე, მაგრამ სხვა რა ვიღონო?! მინდა, დედაჩემმა ჩემს სასარგებლოდ რამეს მიაღწიოს, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოდის...

**მერი,** *15 წლის, მოსწავლე:*

— სამი წლის წინ დედა ისრაელში სამუშაოდ წავიდა. ამიტომ ჩემს მშობლებს ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონით აქვთ. ვიცი, რომ მამას საყვარელი ჰყავს და ეს ძალიან მწყინს. დედა ხომ ჩვენ გამო უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წავიდა, ქმრის ასეთ საქციელს იმსახურებს?! ცოლის გამოგზავნილი ფულით თავის საყვარელს საჩუქრებით ანებივრებს. მინდა, რომ დედა აღარ დაგვეხმაროს, რადგან მამა უფულოდ რომ დარჩება, დარწმუნებული ვარ, საყვარელი მიატოვებს... დედა ცდილობს, მე და ჩემს დებს არაფერი მოგვაკლოს, სინამდვილეში კი გამოდის, რომ ქმრის საყვარლის საჩუქრებით უზრუნველყოფაზე ზრუნავს.

**ბესო,** *13 წლის, მოსწავლე:*

— დედა სულ სახლშია, მამა კი თავისთვის „გულაობს“. კარგა ხანი, რაც ჩემს მშობლებს ერთმანეთი აღარ უყვართ. განქორწინებისგან თავი იმიტომ შეიკავეს, რომ მე გავჩნდი.

— **ეგ ვინ გითხრა?**

— მთელმა სანათესაომ იცის, რომ მამას ვიღაც ქალი უყვარს და დედაჩემთან განქორწინების შემდეგ, მის ცოლად შერთვასაც აპირებდა. ჩემთვის პრობლემა არ იქნებოდა, თუკი დედ-მამა ცალ-ცალკე იცხოვრებდა. უსიყვარულოდ ოჯახის შენარჩუნებაზე ფიქრს აზრი მაინც არ აქვს. დედის ერთადერთი საზრუნავი მე ვარ, მამაჩემი კი, როგორც გითხარი, თავის პონტში „აჯაზებს“, რა.

**გიორგი,** *19 წლის, სტუდენტი:*

— რა კონფლიქტური სიტუაცია?! ჩემს მშობლებს გადასარევი ურთიერთობა აქვთ! ერთმანეთს ისე მზრუნველად ეპყრობიან, მათ შემხედვარეს, გული აგიჩუყდება და შეიძლება, თვალზე ცრემლიც მოგადგეს. ერთმანეთი უზომოდ უყვართ. არ მახსოვს, ოდესმე რამეზე ეჩხუბოთ. ზაფხულობით მამა მთელ ოჯახს დასასვენებლად გვიშვებს, თვითონ კი სამსახურის გამო უმეტესწილად თბილისში რჩება. როცა ცოლს ტელეფონით ურეკავს, მოკითხვის შემდეგ, ასე ეუბნება: ანა, გენაცვალე, შენ არაფერზე ინერვიულო, კარგად დაისვენე, ყველაფერს მე მივხედავო. მერე მიდის ბაზარში, ბლომად ხილს ყიდულობს და მთელი ზაფხულის განმავლობაში კომპოტსა და მურაბას ხარშავს. წარმოიდგინე, ზის ამხელა კაცი (ცოტა ღიპიანი მამა მყავს) და მურაბიან ქილებს ხუფავს!.. ადრე ვეჭვობდი — ალბათ, საყვარელი ჰყავს და ის ეხმარება-მეთქი, მაგრამ როცა



ჩემი თვალით ვნახე, სუპერმარკეტში „ბანკებისთვის“ „კრიშკებს“ რა საგულდაგულოდ არჩევდა, ჩემი ეჭვების გამო შემრცხვა (*იცინის*). დავრწმუნდი, რომ მისთვის კომპოტისა და მურაბის კეთება იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ, ჰობი... ღმერთმა ჩემი მშობლები მურაბასავით ტკბილად და გემრიელად შეაბეროს ერთმანეთს!..

*ოჯახური უთანხმოების პრობლემებზე, დედ-მამას შორის კონფლიქტის შვილებზე გავლენის საკითხზე სასაუბროდ, კომენტარის გაკეთება ფსიქოლოგ* ***სოფიო ვერულაშვილს*** *ვთხოვე:*

— მოძალადე ადამიანი ფსიქოლოგიური პრობლემების ან დაავადებების მატარებელია. ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი ადამიანი სხვას დასცინის, ქედმაღლურად ეპყრობა, ცხვირაწეული ელაპარაკება. ხშირია შემთხვევა, როცა ოჯახში მამაკაცი ქალის მიმართ ძალადობას იჩენს, მაგრამ მსხვერპლად ოჯახის თითოეული წევრი იქცევა. მშობლებს შორის მუდმივი კონფლიქტი შვილის ფსიქიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს. როცა ოჯახის წევრებს ერთმანეთთან არაჯანსაღი ურთიერთობა აქვთ, ბავშვს დაბალი თვითშეფასება უყალიბდება. შეიძლება, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელიც წარმატებით დაამთავროს, მაგრამ ის ზოგადი უნარ-ჩვევები — თავდაჯერება, მაღალი თვითშეფასება, რაც წარმატების მიღწევაში დაეხმარება, არ ჰქონდეს ანუ არაა გამორიცხული, წითელი დიპლომი სახლში დადოს და თქვას, — ვაიმე, რა ცუდ სახელმწიფოში ვცხოვრობო! — ამდენად, საქმიანობაში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიოს.

**— გამოსავალი რაშია?**

— უპირველეს ყოვლისა, ოჯახს, რომელშიც ძალადობა ხდება, უნდა ვუმკურნალოთ, როგორც ავადმყოფური სიმპტომის მატარებელს. მისმა წევრებმა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციის ოფისებს უნდა მიმართონ. მაგალითად, საქართველოში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლი“, რომელიც ასეთ ოჯახებს დახმარებას უწევს. დანგრევისგან ოჯახის გადარჩენა, მასში ძალადობის აღმოფხვრის შედეგად უნდა მოხდეს.

**— თუკი ძალადობის აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა?**

— ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია, ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდეს, რადგან ოჯახში არსებული კონფლიქტური სიტუაცია ბავშვზე უფრო უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მშობლების განქორწინების ფაქტი.

■

# ბედს მინდობილი



**ყველა ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ მაინც დგება მძიმე პერიოდი. თინასთვის ის მაშინ დაიწყო, როცა მისმა მშობლებმა მოტაცებული შვილის უკან დაბრუნებაზე უარი თქვეს („სიკეთის სასწაული — სახლი, სადაც სიყვარული ბუდობს“, „კვირის პალიტრა“, 9 მარტი, 2009 წ.)**

*მარინა ბაბუნაშვილი*

## ამბავი პირველი
## „შინ დაბრუნებას რა აზრი აქვს?!“

თინა ჯერ კიდევ 16 წლის იყო, როცა მასზე 4 წლით უფროსმა ბიჭმა მოიტაცა. ალეკოს სამხედრო სამსახური ახალმოვლილი ჰქონდა, არც სწავლაზე ფიქრობდა და არც მუშაობაზე. ცოლი კი უცებ მოუნდა, ჰყოლოდა. თინა სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩოხატაურის საშუალო სკოლაში გადავიდა. სწორედ მაშინ შეამჩნია ალეკომ ლამაზი გოგონა. ორი კვირა შორიდან უთვალთვალებდა, მერე ბიჭებს მოელაპარაკა, ან ეს გოგო იქნება ჩემი ცოლი, ან არა და, არ ვიცი, თავს რას ავუტეხავო... თქვა და შეასრულა კიდეც.

3 დღე და ღამე ტიროდა მოტაცებული თინა, მშველელი კი არ ჩანდა. ამ პერიოდში, ალეკოს მშობლები თინას ოჯახში მივიდნენ და ქალიშვილის ხელი სთხოვეს. ეშინოდათ, არ გვიჩივლონ პატარა გოგოს მოტაცებისთვისო, თორემ ხელის თხოვა რაღად უნდოდათ, როცა ბიჭს თინა უკვე წაყვანილი ჰყავდა?! უფროსები ქორწილზე შეთანხმდნენ. როცა მამამ თინა მოინახულა, ასე უთხრა: შინ დაბრუნებას რაღა აზრი აქვს? დარჩი შენს ქმართან და ოჯახი არ შეარცხვინოო. რა უნდა ექნა გოგოს? სიკვდილის ტოლფასი იყო უცნობ ადამიანთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, მაგრამ მამას ვერ შეეწინააღმდეგა. მისი სიტყვა თინასთვის კანონი იყო. ბევრი დრო არ გასულა და თინა მიხვდა, ვერასდროს შეძლებდა ალეკოს შეყვარებას. ქმარს საშინელი სიმთვრალე ჰქონდა. დღე არ გავიდოდა, არ დაელია და შინ მისული, მაინცდამაინც ცოლს ერჩოდა.

ამონარიდი წერილიდან: „ერთხელაც, მორიგი ჩხუბის შემდგ, როცა დალილავებულ-დაჟეჟილი ადგილები ცოტა მოუშუშდა, მამამთილმა ხელი მოჰკიდა რძალს და მშობლებს მიუყვანა, — ჩემი ფეთიანი შვილის ხელში ეს ანგელოზივით გოგო მეცოდება, მეშინია, რაიმე უბედურება არ აუტეხოს თავს. თუ ალეკო ჭკუაზე მოვიდა, ხომ კარგი, თუ არადა, გოგო ცემა-ტყეპას მაინც იქნება გარიდებულიო. მიხვდნენ თინას მშობლები, შეცდომა დაუშვეს, იმდღესვე რომ არ წამოიყვანეს შვილი, მაგრამ რაღა ეშველებოდა საქმეს?! თინამ იმდენი ინერვიულა, მუცელიც მოეშალა და დარდსა და ტირილში ატარებდა დღეებს“.

მამამ თინას განსაკუთრებული კონტროლი დაუწესა: ხუმრობა ხომ არ იყო — მის ლამაზ თინიკოს განათხოვრის სახელი ჰქონდა! სოფლად ასეთი ქალის მიმართ ყურადღებაც და ცნობისმოყვარეობაც გაათმაგებულია. მოენეებს რომ ბევრი სალაპარაკო არ მისცემოდათ, თინა გარეთ არც კი გამოდიოდა და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ბოლოს, თბილისიდან ჩასულ ნათესავს შეებრალა 18 წლის გოგო და

მის მშობელს უთხრა: ჩემთან წავიყვან, ჩემს შვილთან ერთად იქნება, მასთან გულსაც გადააყოლებს. თან ვასწავლი და როცა საფერშლოს დაამთავრებს, მუშაობასაც დავაწყებინებო. ციური ქვრივი იყო და თინაზე 3 წლით უფროსი გოგონა, მაგდა ჰყავდა. ციური ექიმი გახლდათ და საავადმყოფოში, თერაპიულ განყოფილებაში მუშაობდა. მაგდა და თინიკო ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ბევრს დებიც ეგონათ, როცა ქუჩაში ერთად დასეირნობდნენ.

ციურიმ პირობა შეასრულა. საფერშლო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ თინას თავისთან დააწყებინა მუშაობა. იქ გაიცნო ნიკა, რომელიც სამედიცინოს ამთავრებდა და საავადმყოფოში ინტერნატურას გადიოდა. ნიკამ იმდენი ქნა, უკარება გოგოს თავი შეაყვარა. თინამ თავისი წარსულის შესახებ უამბო. დაინახა, ნიკას სახეზე როგორ გადაურბინა ჩრდილმა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. მხოლოდ ეს უთხრა: ჩემთვის შენს წარსულს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, ერთმანეთი გვიყვარსო. ბიჭი არწმუნებდა, რომ ერთ წელიწადში, როგორც კი პრაქტიკას დაასრულებდა, თინასთან ხელს მოაწერდა, მაგრამ... გაიგო თუ არა თინა ორსულად რომ იყო, პრაქტიკის დასრულებას აღარც დაელოდა (ალბათ ეს უბრალოდ, მიზეზი იყო, თორემ თავისი საქმე ადრევე ჰქონდა მოკვარახჭინებული), ისე გაქრა საავადმყოფოდან. თინამ ძალიან იდარდა. აბორტი გაიკეთა, მუშაობას თავი დაანება და ისევ შინ ჩაიკეტა. კიდევ კარგი, ციური და მაგდა თბილი და მოსიყვარულე ადამიანები იყვნენ, თორემ სოფელში არაფრის დიდებით არ დაბრუნდებოდა და თავსაც რაიმეს აუტეხდა. ისევ ამ ორი ადამიანის დახმარებით სძლია დეპრესიას. ამჯერად, ციურიმ კერძო კლინიკაში დააწყებინა მუშაობა. გავიდა წლები... უკვე 32-ის იყო, როცა წვეულებაზე რეზოს შეხვდა. ის მშენებელი გახლდათ, საკუთარი კომპანია ჰქონდა და წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა.



**ამბავი მეორე**

## „სასწაულია, აბა, რა!“

არც ეძებდა ახალს და აღარც უნდოდა სიყვარული, რადგან ორჯერ დიდი იმედგაცრუება და ტკივილი გადაიტანა. რეზოს კი ძალიან მოეწონა თინა, მისი ამბავი გაიკითხა, მაგრამ ქალის წარსულმა არ შეაშინა: მერე რა, რომ განათხოვარი ჰქვია?! ალბათ არ შეხვდა ღირსეული და იმიტომაც დაშორდაო. თინა აშკარად გაურბოდა, მასთან მარტო დარჩენას. თავს არიდებდა. რეზოს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მაგდას დაუახლოვდა, იცოდა, რომ იგი თინას მესაიდუმლე იყო. მაგდა მოიხიბლა რეზოთი და თინიკოს წარამარა იმას ეჩიჩინებოდა, — ბედი კარზე მოგდგომია და უარს ნუ ეტყვიო.

ბოლოს და ბოლოს, თინამ შიში დასძლია და ბედს მიენდო.

რეზომ ძალიან მალე მოინადირა ყველას გული. თინაც თანდათან „გათბა“ და მიხვდა, მისი უნდობლობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. მის გვერდით აშკარად ღირსეული მამაკაცი იდგა.

გავიდა 5 წელი. შვილი კი არადა არ უჩნდებოდათ. ამაში თინა საკუთარ თავს ადანაშაულებდა — მას ხომ პირველი ორსულობა მოეშალა, მეორე კი ხელოვნურად თვითონ შეწყვიტა. კვლავ დარდით აივსო: რეზოს ვერ გავაბედნიერებ, არადა, ეს კაცი ბედნიერების ღირსიაო — ეუბნებოდა მაგდას. რეზო მიხვდა, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ცოლის გულში და ასეთი რამ შესთავაზა თინას: მოდი, ბავშვი ვიშვილოთ და გავზარდოთ. განა, მარტო ისაა შენი შვილი, ვისაც გააჩენო?! თინა კარგა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა. ბიჭი აიყვანეს, გიგა დაარქვეს. მათ სახლში პატარის გამოჩენამ დიდი სიხარული მოიტანა, მაგრამ წინ კიდევ უფრო დიდი და სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ.

გიგა 4 წლის იყო (თინა ამ დროს უკვე 40-ის გახლდათ), როცა რეზოს ეჭვი გაუმხილა: მგონი, ორსულად ვარო. ამით იმდენად გაოგნებული იყო, რომ ექიმთან წასვლაც ვერ გადაეწყვიტა... როგორც იქნა, ექოსკოპიაზე მივიდა და — მალე დედა გახდებითო, — უთხრეს. ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ 40 წლისას ბედი თუ გაუღიმებდა და საკუთარ შვილს აღირსებდა, ნამდვილად, ვერ წარმოიდგენდა...

დღეს თინასა და რეზოს ოჯახი მართლაც, ბედნიერია. თინა ღრმად არის დარწმუნებული — რომ არა უდედმამო ბავშვის შვილად აყვანის მადლი, დედობრივ სიხარულს ვერასდროს ეზიარებოდა.

**მაგდა,** *თინას მამიდაშვილი:*

— ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში იყო თინა, სანამ რეზოს შეხვდებოდა. საშინლად სასოწარკვეთილი გახლდათ და არავის დანახვა არ უნდოდა. მიხარია, რომ ღირსეულ ადამიანს შეხვდა. არადა, მას უკვე ყველა კაცი ერთნაირი — ლოთი, აგრესიული, შფოთისთავი და მატყუარა ეგონა. რეზოში კი ყველა საუკეთესო თვისებაა თავმოყრილი. მან აზრადაც არ გაივლო თინიკოს მიტოვება, როცა ცოლმა თავად უთხრა, — ალბათ, შვილს ვერ გაგიჩენ და მოდი, გავშორდეთო... სწორედ, რეზოს კატეგორიული მოთხოვნით მოხდა გიგას შვილად აყვანა. ერთი თვისაც არ იყო, როცა იგი შინ მიიყვანეს. დღეს გიგა 9 წლისაა, მარიამი — 5-ის. მთელი მათი ოჯახი კი სიყვარულითა და სიკეთის მადლითაა სავსე... ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# სტალინის დედის უცნობი დღიური ანუ გაუხმაურებელი ფაქტები ბელადის ცხოვრებიდან

## „აქეთ-იქით ჩურჩული ატეხეს: სოსო ბუნტი კაცი გახდაო...“

**მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა უშიშროების არქივი გაიხსნა, უამრავ საიდუმლო დოკუმენტს შორის, მკვლევრებმა სიძველისგან გაყვითლებულ და დაფურცლულ დღიურს მიაგნეს. აღმოჩენა სენსაციის ტოლფასი იყო, რადგან ხელნაწერი სტალინის დედას — ეკატერინე ჯუღაშვილს, იმავე კეკეს ეკუთვნოდა. ფრაგმენტები კეკეს დღიურიდან, ცნობილი უცხოური გამოცემების ფურცლებზე უკვე მოხვდა და მეცნიერთათვის ახალი განსჯის საგნად იქცა. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სტალინმა არ იცოდა დედის ამ გულახდილი მემუარების არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დღიური ჩვენამდე ვერც მოაღწევდა...**

*ემა ტუხიაშვილი*

## კეკეს მოგონებები

„ჩემი თავი ღამბარეულიდან მახსოვს. აუარებელი ჭაობების გამო იგი ციებ-ცხელების ბუდედ იყო გადაქცეული. ამიტომ თავზე ხელაღებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, იქ რომ ეცხოვრა.

ღამბარეული ჩემი მშობლების სამშობლო არ ყოფილა. ისინი სვენეთელები იყვნენ. მამაჩემი ხელობით მეჭურჭლე იყო. დედაც და მამაც ამილახვრების ყმებად ითვლებოდნენ, მაგრამ მამაჩემმა ბატონის უჯიათობას რომ ვერ გაუძლო, სვენეთიდან გაიქცა და ცოლ-შვილით ღამბარეულს შეაფარა თავი.

მე მყავდა ორი ძმა — გიო და სანდალა. მამა ციებ-ცხელებამ შეიპყრო და საშინელ ტანჯვაში დაალევინა სული. ჩვენს ბედზე ბატონყმობა გადავარდა და დედაჩემის რჩევით გორში გადავსახლდით. დროებით ნათესავებთან ვცხოვრობდით. თუ ღამბარეულში მუდამ თავი მიმძიმდა და გაბრუებული ვიყავი, აქ გამოვცოცხლდი, მოვმაგრდი, ჩემს ტოლებში სახარბიელო და თავმომწონე ქალი შევიქენი.

ძმებს შუამავლებიც მოუვიდა. ბესო ჯუღაშვილს ჩემი თხოვნა უნდოდა. იგი ქარგლად მუშაობდა ფეხსაცმელების სახელოსნოში. ნიშნობამაც არ დააყოვნა. ქორწილიც დიდი გავაჩაღეთ. ორი მეჯვარე გვყავდა. უფროსმა მეჯვარემ, იაკოფ ეგნატაშვილმა დიდი ამაგი დაგვდო ოჯახის შექმნაშიც და მერეც. ბედნიერ ქალად მიმაჩნდა თავი, ჩემი ბესო კარგი მეოჯახე კაცი გამოდგა.

ბესოს წინაპრები მეჯოგეები გახლდნენ, ამიტომაც ჯოგანეებს ეძახდნენ თურმე. ისე, სულ სხვა გვარის, გერელები ყოფილან. გერელები დიდად შეუწუხებიათ მთიდან წამოსულ ოსებს. ბესოს წინაპრები მაჩაბლებს შეუფარებიათ და ლილოში დაუსახლებიათ.

ბესომ თავის საქმე გააუმჯობესა და საკუთარი სახელოსნო გახსნა. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენი ბედნიერება იმით დაგვირგვინდა, რომ ბიჭი შეგვეძინა. ბესო კინაღამ გადაირია სიხარულით და დიდი ნათლობაც გააჩაღა. თუმცა სიხარული მწუხარებით შეგვეცვალა, რადგანაც ბავშვი ორი თვისა გარდაგვეცვალა.

მეორე წლის თავზე მეორე ბიჭი შეგვეძინა, მაგრამ არც ამ ბავშვს ეწერა დღეგრძელობა, ისიც ნაადრევად გარდამეცვალა.

მესამეც ბიჭი მეყოლა. ნათლობა დავაჩქარეთ, მოუნათლავი რომ არ გარდაგვცვლოდა. დედაჩემმა წმინდა გიორგის შანა დაჰკიდა ბავშვს ყელზე და ბესოს უთხრა: გორში წავიდეთ საღმრთოს შესაწირადო.

აი, ეს ამბები გადაგვხვდა ჩემი სოსოს შეძენამდე.



— თუმცა ბავშვი ცოცხალი შეგვრჩა, მაგრამ ძალიან სუსტი აგებულების გამოდგა. მეტად ნაზი იყო, კაკაროტი, ხორცი ვერ მოვაკიდებინეთ. სადმე ავადმყოფობა რომ გაჩენილიყო, პირველი მას დაეტაკებოდა ხოლმე. საჭმელში ეჯავრებოდა ხორცეული, სამაგიეროდ, ლობიოს ჭამდა მადიანად.

ერთხელ ორქარზე ჯდომის გამო ენა ჩაუვარდა. ყველას ეგონა, სოსოს ავი სული დაეცა და კვდებაო, მაგრამ ბავშვი გადაგვირჩა. ეს ავადმყოფობა კი იმის საბაბი გახდა, რომ სოსო გორში სალოცავად წაგვეყვანა. ცხვარი შევწირეთ, პარაკლისიც გადავიხადეთ, მაგრამ ბავშვმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა გასათხოვარი ქალი, „ავი სულით შეპყრობილი“, უფსკრულში გადაჰკიდეს „მოსარჩენად“, სოსომ იკივლა და გულში ჩამეკრა.

სოსომ ნაადრევად აიდგა ენა. უყვარდა ყვავილები, განსაკუთრებით ღიღილო და გვირილა. გვირილა მისთვის „ზიზი“ იყო. ამ ზიზის წყალობით ავადგმევინეთ ფეხი მე და დედაჩემმა.

რამდენადაც ბედნიერი ვიყავი შვილის დღეგრძელობით, იმდენად უბედური ვიყავი იმ მხრივ, რომ ჩემმა ბესომ სმას უმატა. წახდა მეოჯახე კაცი. თავს ველარ დასძლია. ყველაფერი კარში გაჰქონდა, ოჯახი საერთოდ აღარ აგონდებოდა.

ჩემი სოსო მეტად მგრძნობიარე ბავშვი იყო. მამის სიმღერას რომ გაიგონებდა, მაშინვე მომეკვრებოდა და მთხოვდა: მეზობლებთან შევაფაროთ თავი, სანამ მამა დაიძინებს, თორემ ისევ გაგაჯავრებსო.

სოსო მამის საქციელზე ძალიან ნაღვლობდა, გულჩათხრობილი შეიქნა, ტოლებში არც კი გადიოდა. მეზობლისგან არსენას ლექსი გაეგო და მთხოვდა: ჩქარა მასწავლე წიგნი, „არსენა“ წავი-

კითხოო. მეც მინდოდა მისი სკოლაში მიბარება, მაგრამ ბესო სხვანაირად ფიქრობდა: ბიჭს ჩემი ხელობა უნდა ვასწავლოო. ასწავლა კიდეც, მაგრამ ბავშვი ავად გამიხდა, ყვავილმა კინაღამ თან გადაიტანა.

გადამირჩა შვილი სიკვდილს. მეზობლები ხელს მიწყობდნენ, სოსო რომ მომაგრებულიყო და ჩემი ცოდვით იწვოდნენ. ბესოს მისი სახელოსნოში წაყვანა აღარ უხსენებია. მიბრძანა: კარგად ასვი, აჭამე და მოაძლიერეო. იმას კი არ კითხულობდა, რითი და როგორ?..

რამდენი ღამე გამიტარებია ტირილში. დღისით ვერ ვბედავდი, ან კი როგორ გავბედავდი, როცა ბავშვზე ძალიან მოქმედებდა ჩემი ცრემლი. მეტყოდა ხოლმე: დედი, არ იტირო, თორემ მეც ვიტირებო.

სოსო მომჯობინდა თუ არა, წიგნი მოიკითხა. მეც მინდოდა მისი სასწავლებელში მიყვანა, მაგრამ ბესო თავს იკლავდა: ნასწავლი შვილი დაღუპავად მიმაჩნიაო. მთავარია ბავშვი კარგად გყავდეს, ხელობა რომ შევასწავლო, ხომ ხედავ, მე აღარ ვვარგივარო. ბოლოს შევეხვეწე: პურის მცხობლად დავდგები ან მრეცხავად, ოღონდ ბავშვი უსწავლელი არ დამრჩეს-მეთქი, მაგრამ ისევ სასტიკი წინააღმდეგი იყო.

ჩემი ოცნების განხორციელებაში ჩარკვიანის ოჯახმა შემიწყო ხელი. მათი უფროსი შვილი, კოტე სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და თავის დასა და ძმასაც ამეცადინებდა. კოტემ სოსოს სწავლებაც არ დაიზარა და ერთ კვირაში დედაენა სულ გადააბულბულებინა.

ენკენის თვეში ქრისტეფორე მღვდლის დახმარებით, სასულიერო სემინარიაში შევიტანეთ განცხადება. ბავშვი გამოცდებზე დაუშვეს და სოსო იმდენად მომზადებულად ცნეს, რომ „სრედში“ (საშუალო) მიიღეს. ბესომ სულ ცეცხლი მოიკიდა: ბავშვს რატომ მიღუპავთო.

დრო გადიოდა... სოსო პირველი მოსწავლე იყო და გადადიოდა კლასიდან კლასში. ეს არ ახარებდა ბესოს და საერთოდ აიღო ხელი მუშაობაზეც. ოჯახი იაკოფ ეგნატაშვილის წყალობით არ დაგვეღუპა. ბესო სმას არ ანებებდა თავს და ოჯახის გასაწყლების მიზეზად მე მასახელებდა. სულ მეჩხუბებოდა და მაბრალებდა, შვილი წამართვიო. ერთხელაც ძალიან მთვრალი მოვიდა, ჩემზე გამოიწია საცემრად და სოსო ძალით წაიყვანა სახელოსნოში. ჩემი ძმებიც მოვიშველიე, ნათლია იაკოფიც და მასწავლებლებიც. ბესო გაჯიუტდა, ვერავის დავანებებ ჩემს შვილს, ახლაც ისეთი წალები შეკრა, როგორც მირონიო, — ამბობდა. ბოლოს სასწავლებლის უფროსიც ჩაერია. ყველანი არცხვენდნენ, ასეთი ნიჭიერი შვილი გყავს, თავი უნდა მოგქონდეს, შენ კი ხელს უშლი სწავლაშიო. გაჭრა ქვეყნის ხმამ... მაგრამ ბესომ ეს შერცხვენად მიიღო, ითაკილა და სამუდამოდ მოშორდა ოჯახს.

ბესოს წასვლის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ცხოვრება. გარშემო მყოფები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ როდემდე უნდა ვყოფილიყავი სხვის კმაყოფაზე. საკუთარი მარჯვენა ავამუშავე და არავითარ შავ სამუშაოს არ ვერიდებოდი. სარეცხსაც კი არ ვთაკილობდი. შემდეგ უკვე კერვა დავიწყე. ნიჭი აღმომაჩნდა და გორში სახელი გამივარდა, როგორც საბნების საუკეთესო დამლიანდაგებელს. საბნებიდან საცვლების კერვაზე გადავედი, შემდეგ კაბების. ერთი სიტყვით, ნემსის წვერი შეიქნა ჩემი და ჩემი ბიჭის მაცხოვრებელი. სხვა სახსარი მე არ გამაჩნდა.



სწორედ ამ ხანებში გორში ორმა დამ ტანსაცმლის სამკერვალო გახსნა და თავისთან მიმიწვიეს. სრული ჩვიდმეტი წელი დავრჩი იქ და თავჩაღუნული ვმუშაობდი. ნემსის წვერი არ დამიგდია, რაც დამიფასეს. ასე ვინახავდი ჩემს პატარა სოსოს, როცა ბესომ თავი დაგვანება.

ჩემი გარჯილობით ბავშვის გული არ დამიჩაგრია და



ყველაფერს თავის დროზე ვაძლევდი, უმამობა რომ არ ედარდნა. სოსო რამდენჯერმე გადამირჩა სიკვდილს. იყო ასეთი უბედური შემთხვევა, როცა ბავშვი ხელიდან კინაღამ გამომეცალა. მაშინ ის უკვე სკოლაში დადიოდა. საღ-სალამათი გავისტუმრე სასწავლებელში და ხელზე გადასვენებული მომიყვანეს ჩემი შვილი. თურმე გაკვეთილებიდან შინ რომ წამოსულა, დუქნის მახლობლად, კოპინოვს მეორე ტროტუარიდან დაუძახნია: გადმოდი, რაღაც უნდა გითხრაო. სოსოც ქუჩის რუზე გადამხტარა და კოპინოვისკენ წასულა. ამ დროს გამოქანებულა ფაეტონი, დასჯახებოდა და კინაღამ ცხენებს გადაეთელა. ბავშვი გრძნობადაკარგული მოიყვანეს. მთელი ორი კვირის განმავლობაში ენაჩავარდნილი მყავდა. დიდი ამაგი დამდო ფერშალმა, რომელმაც ექიმი ლუბომუდროვი მოიყვანა. ორივენი ყოველდღე დადიოდნენ, მანუგეშებდნენ. შემდეგ თავისით მოვიდა ექიმი სააკოვი, ისიც კეთილი კაცი იყო. გაეგო თუ არა, ასეთი და ასეთი ბავშვი უკვდებათო, მაშინვე ჩვენთან გაჩნდა. არც ერთ ექიმს არ აუღია გასამრჯელო. ყველანი გულწმინდად მეხმარებოდნენ და ბავშვის სიცოცხლე მაჩუქეს. სოსო მესამე კვირაში უკვე სკოლაში გავისტუმრეთ. სააკოვმა ჯიბის ფულად მანეთიანი აჩუქა ჩემს ბიჭს.

როგორც ვთქვი, ჩემი და ბესოს ცხოვრება ერთად შეუძლებელი იყო, ბესო თვითონვე მიხვდა და აკი ამიტომაც გადასახლდა თბილისში. თუმცა იქ ბავშვის სიყვარულს შეუწუხებია და რამდენჯერმე ჩემი გულის მოსალბობად, გროშებიც კი გამომიგზავნა ბავშვის სახელზე. ბოლოს შერიგებასაც მეხვეწებოდა. ფიცს დებდა, ბიჭს თავზე დავადგები და არც სასწავლებლიდან გამოვიყვანო.

ეს რომ ჩემმა ძმებმა გაიგეს, დატრიალდნენ და ცდილობდნენ შევერიგებინეთ. ყველაფერში მე მადანაშაულებდნენ: რადგან ბესოს არ უნდა, ნუ ასწავლი ბავშვს, ვინ ვის გამოსდგომია, რომ ეგ თავისი სწავლით შენ გამოგადგესო.

მე ტირილი წამსკდა, გადაჭრით ვუთხარი უარი: ისევ კარის მავალ გლახად ვივლი და შვილს სკოლიდან არ გამოვიყვან-მეთქი. ვუმტკიცებდი: თუნდაც ბესოს შევურიგდე, სმაზე ხელს არ აიღებს-მეთქი. მერედა რა ჩინებულად სწავლობს ბავშვი, მთელი სასწავლებელი სულ მაგის ქებაშია. დედას გვერდით ასეთი შვილი ჰყავდეს და სასწავლებლიდან გამოიყვანოს? რა სისულელეა. მაგან უნდა ისწავლოს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ ვუღალატებ-მეთქი.

ან როგორ ვუღალატებდი, მასწავლებლები სულ ჩემი შვილის ქებაში იყვნენ. სვიმონ გოგლიჩიძემ იცოდა თქმა: შენი შვილი ისეთი ხმის პატრონია, რომ ქვეყანას გააკვირვებსო. რაკილა სოსოში ნიჭიერ ბავშვს ვხედავდი და ყველანი მის ქებაში იყვნენ, ჩემი თავისთვის ბევრი რამ დამიკლია, მაგრამ მისთვის არასდროს მიღალატნია.

რამდენჯერ ჩემი შვილის თავთან მითენებია ღამე. სულ იმას ვნატრობდი, შვილი მოსწრებული გამეხადნა, დამევაჟკაცებინა, ვიდრე ძალღონე მიმტყუნებდა და სიბერე გამტეხდა წელში. ამისრულდა ნატვრა, შვილი დამივაჟკაცდა, ამხანაგების თვალი შეიქმნა. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ყველანი მილოცავდნენ, პირველ მოსწავლედ ითვლებოდა ყოველთვის. ახლა ის მაფიქრებდა, სემინარიაში როგორ შემეყვანა ჩემი შვილი. წვადაგვაში გამოზრდილი ბიჭიკო ვაჟკაცივით წამომადგა თავზე და უკვე ქალაქისკენ უნდა გამესტუმრებინა. ჩემი სოსო ისე მოიჩიტა და დამივაჟკაცდა, ერთხელაც არ მომშორებია. ის უჩემოდ ვერ ძლებდა, მე კი უიმისოდ, მაგრამ მას უყვარდა სწავლა და მისდამი წყურვილმა ბოლოს ჩემი თავიც დაათმობინა.

სოსოსთვის ეს პირველი ამბავი იყო, რომ გორიდან გარეთ გავიდა. ძალიან მოეწონა მატარებელი. ეჩქარებოდა ქალაქში მისვლა. ავჭალას რომ მივუახლოვდით, უეცრად მოიწყინა და ატირდა. გული გამისკდა, ავად ხომ არ გამიხდა-მეთქი. თურმე მას სხვა დარდი აწუხებდა:

— დედილო, ქალაქში რომ მივალთ, მამა მომნახავს, მომიტაცებს და მეჩექმეობას მომინდომებს, მე კი სწავლა მწყურია. თუ ასე მომექცევა, თავს მოვიკლავ და მეჩექმეობას არ ვინდომებ.

დავამშვიდე, რომ ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ქალაქში ჩასვლისთანავე ბინის შოვნას შევუდექი. მართალია, ნათესავები ბლომად მეგულებოდნენ, მაგრამ არავის შეწუხება არ მინდოდა. სახლი არც ისე ადვილად ვიშოვე, როგორც მეგონა. დღე თავზე მათენდებოდა, როცა ერთმა სომხის ქალმა დამითმო ბინა.

ახლა სემინარია უნდა მომენახა. ნათესავები დამეხმარნენ და სოსო გამოცდებზე დაუშვეს. დაიწყო გამოცდები, ძალიან ვღელავდი. გორში წავედი, ნემსის წვერი დავატრიალე. ვცდილობდი, საჩქაროდ მომეგროვებინა ერთი ასიოდე მანეთი და გადამეგზავნა სემინარიაში შესატანად, მაგრამ ორი დღეც არ იყო გასული, დეპეშით მაცნობეს: თქვენმა შვილმა ისე გასახელათ, სახელმწიფო ხარჯზე მიიღესო. ერთი თვის შემდეგ, სოსო სემინარიის ფორმაში გამოწყობილი ვნახე და სიხარულით ბევრი ვიტირე.

პირველ ხანებში დიდად ვდარდობდი უმისობას. მთელ ღამეებს ვათევდი ფიქრებსა და ცრემლში. ჩემი სოსო ჰგრძნობდა, რა ძნელი იქნებოდა ჩემთვის მარტოობა, ამიტომაც კვირაში ორ-ორჯერ მწერდა წერილებს, მამხნევებდა, მანუგეშებდა: მალე ამოგიყვან გაჭირვებიდანო. თითოეული წერილი ასი წლის სიცოცხლეს მმატებდა. ჩავიკრავდი გულში და ღამითაც ერთად ვიძინებდით. ყოველდღე უნდა გადამეკითხა ხოლმე.

სოსო სემინარიაშიც კარგად სწავლობდა. ნემსის წვერით გამოზრდილი ვაჟკაცის დანახვაზე, თავს როდი ვუჯერებდი, ჩემი შვილი რომ იყო. მახსოვს, პირველად რომ მეწვია საშობაოდ, თავის ულუფიდან გადარჩენილი შაქარიც კი მომიტანა ხელსახოცში გახვეული. სულ მუჭანახევარი იქნებოდა. მაგრამ ისე გამახარა ამ პატარა ძღვენმა, მთელი წელიწადი გამოვიზოგე. პატარ-პატარა კვნიტით პირს ვიმტკბარებდი, რომ ჩემი შვილის სურნელი მეგრძნო.

დრო გადიოდა... ვატყობდი, სოსო რაც ვაჟკაცდებოდა, იმდენად გულჩათხრობილი ხდებოდა. ნელ-ნელა აქეთ-იქით ჩურჩული ატეხეს და ბოლოს აშკარად გამაგონეს: სოსო ბუნტი კაცი გახდაო. გავქანდი ქალაქში, ვინახულე შვილი. გამწყრალი დამხვდა: რა მოგარბენინებდა, ან რა შენი საქმეა, რას ვიზრახავ და რას არაო. მეწყინა ასეთი მკვახე პასუხი. ეს პირველი შემთხვევა იყო, შვილმა გული რომ მატკინა. ბოლოს სოსომ თავს დასძლია, შუბლზე მაკოცა და დამამშვიდა: არც ვბუნტობ და არც არაფერიო. ეს კი მისი პირველი ტყუილი იყო.

მაგრამ გამართლდა მეზობლების ჩურჩული. სოსომ სხვა გზა აირჩია, რისთვისაც სემინარიას ფეხი ჰკრა და ქვა მიაყარა. შემდეგ მუშებში სიარულით გაერთო და საერთოდ აღარ მნახულობდა. ბოლოს ისიც გავიგე: ბუნტისთვის ციხეში მიაბრძანესო. ისევ ქალაქში გავიქეცი.

ქალაქში შეზარხოშებულ ბესოს გადავეყარე. გაავებული მეჩხუბებოდა: რად წამართვი ჩემი შვილი, შენ რომ სასწავლებელში არ მიგეყვანა, ახლა „გაჩესტილი" უსტაბაში მეყოლებოდა, ახლა კი ციხეშია გამომწყვდეული, რად მინდა ასეთი შვილი, მე თვითონ მოვკლავო.

ძლივს დავაღწიე მისგან თავი. ციხეში არ შემიშვეს, მაგრამ ერთი კაცის პირით სოსომ შემატყობინა: არ შეშინდე, კარგად ვარ და სულ მალე გინახულებო. როცა კი უბედურება



დამტეხია, ან დაუჭერიათ, ან გაუციმბირებიათ, ყოველთვის ახერხებდა და თავის ამბავს მატყობინებდა იგი. მოვრჩეთ უბედურებებს...

რა ბედნიერებაა, გულის წადილი რომ აისრულა ჩემმა სოსომ ყველა ჩაგრულის მეთვალყურე და მფარველი შეიქნა. ნეტავი, ბესოც მოსწრებოდა ამ ჩვენი სიამაყის ნახვას. ენაცვალოს დედა, სოსო დიდად დატვირთულია, მაგრამ არც ახლა მივიწყებს და პატარა დროს იპოვის თუ არა, გამამხნევებს ხოლმე. აი, ახლაც, ნათელას სურათი მივიღე... მე კი კაკლის მურაბა გავუგზავნე. ახლა ეს პატარა სურათი სულ გულთან მაქვს მიხატული. ესაა ჩემი ტკბილი სიზმრების მომგვრელი, რომ ჩემი დამტირებელი ნათელა იქნება...

1935 წელი".

*P.S. იბეჭდება შს სამინისტროს ჟურნალ „საარქივო მოამბის" მასალების მიხედვით.*

■

# „დ’არტანიანის“ დაშნიდან ქირურგის სკალპელამდე

## ანუ ქართველი წარმატებული ქირურგი მოსკოვში



**რუბრიკა „ემიგრანტის“ არსებობის გრძელ გზაზე ვის აღარ გადავყრივართ — მასწავლებლებს, მუსიკოსებს, დედებს, შვილებს, სტუდენტებს და მოკლედ ვის — არა... ახლა კი „გზის“ სტუმარი არც მეტი, არც ნაკლები ემიგრანტი ქირურგია, თანაც წარმატებული ქირურგი, რომელიც დღეს მოსკოვში მოღვაწეობს. ბევრი საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, ნელ-ნელა მივყვეთ დავით დოლიძის საინტერესო ცხოვრების გზას.**

**ბავშვობიდან ტანმაღალს სპორტი ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით კალათბურთი და ფარიკაობა. მონაცემებიც ჰქონდა და შეიძლება, ამ სფეროში მიეღწია კიდეც სერიოზული წარმატებისთვის, რომ არა, დედის ჩარევა. ქალბატონი რუსიკო ალბათ დუმბაძისეული ოლღა ბებიასავით ფიქრობდა — ჩემი ვაჟიშვილი ექიმი უნდა გამოვიდეს, რომ მოვხუცდები მომივლისო... ასე მივიდა დავით დოლიძე „დარტანიანის“ დაშნიდან ქირურგის სკალპელამდე.**

***ანი აგულავა***

### ანგელოზი მხარზე და ფარნის შუქზე გაკეთებული ოპერაცია

წარმატებით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა და შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. ერთი წელი მეორე კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგად იმუშავა. საერთოდ, ქირურგობისთვის, მარტო სწავლა არ ყოფილა საკმარისი, კარგი ქირურგი ხელით ფასდება. სწორედ ქირურგის ხელებზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობაც და სიცოცხლეც.

„მედიკოსებში გამოთქმა არსებობს: როცა ოპერაციას პირველად აკეთებ, მხარზე ანგელოზი გაზის და ის ოპერაცია ყოველთვის წარმატებულიაო. ალბათ ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო — პირველი ოპერაცია წარმატებით ჩავატარე, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ, 90-იან წლებში, ამ პროცესისთვის არ იყო ყველა საჭირო პირობა; ქვეყანას უშუქობა, უგაზობა და ბევრი რამის უქონლობა აწუხებდა; მახსოვს, ერთი ოპერაციის დროს ჩვეულებრივი ნათურა მეჭირა ხელში, ვუნათებდი, ოპერაციას მის შუქზე ვაკეთებდით“, — იხსენებს დავით დოლიძე.

### ქართველობის პასუხისმგებლობის ფაქტორი

ცხადია, არეულ ქვეყანაში პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის არ არსებობდა ხელსაყრელი პირობები და ჩვენმა რესპონდენტმაც მოსკოვს მიაშურა. სწავლა და მუშაობა რუსეთის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, ბოტკინის სახელობის საავადმყოფოს ბაზაზე არსებულ ქირურგიის კათედრაზე გააგრძელა. დღეს უკვე პროფესორია.

*— მოსკოვში რომ გადავედი, კათედრის ხელმძღვანელი — ბატონი რობერტ მუმლაძე აკადემიკოსი იყო (დღესაც ის არის), რომელმაც პირდაპირ გამაფრთხილა — სხვებზე მეტად შენ მიმართ უფრო მომთხოვნი ვიქნები, რადგანაც ქართველი ხარო. მოსკოვურ სამედიცინო აკადემიაში ქირურგისთვის ყველა ეტაპი გავიარე, ჩემი მიზანი ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბება იყო. საქმეს ყოველთვის პასუხისმგებლობით ვეკიდები, კარგად ვიცი, რომ პაციენტის სიცოცხლე ჩემზეა დამოკიდებული.*

### სკალპელი და... დაშნა

ფარიკაობა მოსკოვშიც ვერ დაივიწყა, 25 წლის შემდეგ კვლავ დაშნა აიღო ხელში და თქვენ წარმოიდგინეთ, წარმატებასაც მიაღწია — შარშან რუსეთის თასის მფლობელი გახდა!

„ფარიკაობა სამეფო სპორტია. ის მეხმარება სიძნელეების გადალახვაში და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში“, — ამბობს ბატონი დავითი. სწორედ რეგულარული ვარჯიშის წყალობაა, რომ ჩვენი რესპონდენტი წარმატებით ატარებს მრავალსაათიან ოპერაციებს.

შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობის ფონზე, რუსი მოქალაქეებისგან ქართველ ქირურგს არ უგრძნია უარყოფითი დამოკიდებულება. ეს გასაგებიცაა, რადგანაც დავითს მოსკოვში როგორც ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ისე აფასებენ.

### მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი

დაბრუნებაზე დავითი ჯერჯერობით არ ფიქრობს, რადგან თბილისში ისეთი სამუშაო პირობები არ არის, როგორიც ჩვენი მეზობელი ქვეყნის დედაქალაქში. თუმცა სასიკეთო საქმეს უკვე შესდგომია. დავით დოლიძე მომავალში დროდადრო მოსკოვსა და თბილისშიც ოპერაციების ჩატარებას აპირებს. ის კი არა, შესაბამისი უმაღლესი კატეგორიის კლინიკის ჩამოყალიბებაც აქვს გადაწყვეტილი...

■





# სამყარო

## სენი, რომელიც შესაძლოა, როკმუსიკამ დაგმართოს

### ფერადი მინის ნამსხვრევები და გიტარომანია

**„ნიჭიერებით დაავადებულმა“ გიორგი ჯაფარიძემ 7 წლის ასაკში სათამაშოების დამზადება სცადა და გამოუვიდა კიდეც; წლების შემდეგ როკმუსიკის სიყვარულმა ელექტრონულ გიტარაზე დაკვრისკენ, მერე კი ინსტრუმენტის დამზადებისკენ უბიძგა. უდავოდ, ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს ადამიანი, რომ თანაბარი პროფესიონალიზმით შეუთავსოს ერთმანეთს მუსიკის წერა და ინსტრუმენტის სხვადასხვა მასალისგან დამზადება, მასწავლებლობა და დიზაინერობა.**

*სოფო მინაშვილი*



**სიამოვნებას მხოლოდ გიტარაზე მუშაობის პროცესი მანიჭებს**

— ბავშვობიდან სულ რაღაცას ვჭრიდი და ვაწებებდი, ვშლიდი და ვაწყობდი, მეორე კლასიდან კი სათამაშოების დამზადება დავიწყე. თუ მაღაზიაში რაიმე მომეწონებოდა, ამას ხმამაღლა არ ვიტყოდი, არავის ვთხოვდი, მიყიდე-მეთქი, შინ მოსული კი ვცდილობდი, მსგავსი რამ თავად შემექმნა. მახსოვს, ერთხელ მეზობლის ბავშვმა ჩემთან კალეიდოსკოპი შემოიტანა. მას ვთხოვე, ცოტა ხანს ეთხოვებინა, მერე კი კარგად დავაკვირდი — გარედან ჩვეულებრივი მუყაოს მილი იყო, შიგნით რომ ჩავიხედე, ლამაზი ნახატები ტრიალებდა. ვერ მოვითმინე და დავშალე — მასში ფერადი მინის ნამსხვრევები ეყარა და 3 გრძელი შუშა იყო ჩადგმული. მსგავსი მუყაოს მილის გაკეთება არ გამჭირვებია, შუშა მეზობლის კაცმა დამიჭრა და ფერადი ბოთლების ნამსხვრევებიც შევაგროვე... მეზობელს თავისი კალეიდოსკოპი უვნებლად დავუბრუნე, მე კი ახალი ავაწყვე. ჩემი ნამუშევარი დედას ძალიან მოეწონა, რამაც ერთგვარი სტიმული მომცა და სხვა რაღაცის გაკეთების სურვილიც გამიჩნდა.

— **როგორ დაიწყეთ ელექტროგიტარების შექმნა?**

— ყველაფერი როკმუსიკის სიყვარულით დაიწყო. მუსიკა ჩემთვის უცხო არასდროს ყოფილა — დედა შვიდსიმიან გიტარაზე უკრავდა, ბებია — ფორტეპიანოზე. ერთხელ მეგობარმა როკჯგუფის Deep Purple სიმღერის ჩანაწერი მომასმენინა და ძალიან მომეწონა. სწორედ ამის შემდეგ გამიჩნდა გიტარაზე დაკვრის მოთხოვნილება, მაგრამ მის ყიდვას არ ვჩქარობდი — შეიძლებოდა, ეს ყველაფერი დროებითი გატაცება აღმოჩენილიყო. ინსტრუმენტი მეგობარს გამოვართვი და რომ დავათვალიერე, ვიფიქრე, — ასეთ ყუთს მეც გავაკეთებ-მეთქი. 17 წლის ვიყავი, როდესაც პირველი ინსტრუმენტი დავამზადე და მასზე მუშაობის პროცესი ძალიან მომეწონა. ახლა, როგორც ხედავთ, ძირითადად, ელექტროგიტარებს ვაკეთებ.



**რასაც აქ ხედავთ, ნიმუშის სახით მაქვს — არ ვყიდი**

— **როგორც ვიცი, თქვენი საქმიანობა მხოლოდ ელექტროგიტარების შექმნით არ ამოიწურება...**

— მიმუშავია კაფელისა და პარკეტის დაგებაზე, სხვადასხვა სახის ავეჯიც დამიმზადებია — ძირითადად, კარადებს ვაკეთებ, მაგრამ სიამოვნებას მხოლოდ გიტარაზე მუშაობის პროცესი მანიჭებს. კარადის კეთება და ამგვარი სამუშაო, ასე ვთქვათ, ჩემი საარსებო წყაროა.

— **რომელი ხისგან დამზადებული გიტარაა ყველაზე ხარისხიანი?**

— ყველაზე კარგი მაკაგონია. სამწუხაროდ, ეს ტროპიკული მცენარე საქართველოში არ ხარობს და ძვირფას მასალად მიიჩნევა. კარგია ასევე, მურყანი, ნეკერჩხალი და წიფელსაც არა უშავს.

— **გიტარებს არ ყიდით?**

— რასაც აქ ხედავთ, ნიმუშის სახით მაქვს — არ ვყიდი. აქედან ერთერთს 4 წლის განმავლობაში ვამზადებდი. მუზისა და განწყობილების ამბავი ხომ იცით... ჩემთვის თუ ვაკეთებ გიტარას, რა თქმა უნდა, მასთან განშორება მიჭირს, ხოლო თუ სხვისთვის — პირიქით, მიხარია, როდე-

საც ადამიანს ჩემი ნამუშევარი მოსწონს.

— **გიტარების დამზადებას სხვებს თუ ასწავლით?**

— სხვათა შორის, მყვანან მოწაფეები, რომელთაც არა მარტო ინსტრუმენტის დამზადებას, არამედ დაკვრასაც ვასწავლი. ჩემმა მოწაფეებმა ჯგუფიც კი შექმნეს — „ალუბალი". ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ გიტარის ყიდვა სურდა. მე ვურჩიე, თავადვე გაეკეთებინა — ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ყველაფერს მალე ითვისებს. ჰოდა, ისიც „დაავადდა" ამ საქმით — ჯერ ერთზე მუშაობა არ ჰქონდა დასრულებული, როცა მეორეს შექმნაზე დაიწყო ფიქრი.

— **გიტარაზე დაკვრაც დამოუკიდებლად ისწავლეთ?**

— მასწავლებელთან 1 წლის განმავლობაში დავდიოდი. მან მასწავლა, რა არის გრიფი, დეკა, გიტარის აწყობა და ა.შ. მაგრამ ის ყველაფერი, რაც ახლა ვიცი, ძირითადად, თავადვე ვისწავლე.

— **რომელიმე როკჯგუფში გაწევრებაზე არ გიფიქრიათ?**

— ჯარში ყოფნისას იქაურ ანსამბლში ვუკრავდი. ჩვენი ჯგუფის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა, ყოველი მომდევნო კონცერტისთვის ახალი კოლექტივი იკრიბებოდა. მერე უფროსი გამოგვიცვალეს. თურმე, ახალ შეფს ასეთი ჟანრის მუსიკა არ მოსწონდა და ამიტომაც, დაგვითხოვა, აპარატურა ჩამოწერა და გაყიდა... ერთი პერიოდი საფეიქრო ქარხანაში ვმუშაობდი და ფაბრიკის ანსამბლ — „ექოში" დავიწყე დაკვრა. საფეიქრო ფაბრიკის სახელით კონცერტს სხვადასხვა რაიონში ვმართავდით... ახლა ხშირად ამბობენ, — იმ დროს ყველაფერს გვიშლიდნენო, მაგრამ 16-17 წლის ასაკში მე ბაჩი ქიტიაშვილის, „ისანისა" და სხვა ჯგუფების კონცერტებზე დავდიოდი, სადაც ვცეკვავდით, ვყვიროდით და რომ იტყვიან, ყირაზეც გადავდიოდით. ე.წ. „ანდერგრაუნდში" ეს დაშვებული იყო, უბრალოდ, ამ ყველაფერს ტელევიზიით არ უჩვენებდნენ. თავიდან, როდესაც მუსიკამ გამიტაცა, მეც არ ვიცოდი, რომელი ჯგუფი იყო Deep Purple ან Led Zeppelin და წარმოდგენა არ მქონდა, რა მომწონდა. უბრალოდ, მომწონდა ბრახაბრუხი და ვამბობდი, — როკი მიყვარს-მეთქი. შემდეგ მითხრეს, რომ ეს მძიმე როკი იყო (*იცინის*). მოკლედ, მუსიკის სხვადასხვა ჟანრი უამრავი ნიუანსით განსხვავდება ერთმანეთისგან.

— **რას უსურვებთ ახალგაზრდებს?**

— ნუ იქნებიან ცინიკურები და არასდროს შეეცადონ ერთმანეთის დაჩაგვრას. ■



# „აუდის" ელექტროსუპერავტო



კომპანია „აუდიმ" ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ ელექტროსუპერავტოს — E-tron — სერიულ წარმოებაში ჩაშვებას აპირებს. ფირმის ამერიკული განყოფილების პრეზიდენტ იოჰან დე ნისშენის თქმით, აშშ-ში მანქანა 2-3 წელიწადში გამოჩნდება, ხოლო პირველი ტესტ-ეგზემპლარები უახლოეს 24 თვეში აიწყობა. კონცეპტუალური სუპერავტო Audi E-tron, რომელიც მოდელის — R8 — ბაზაზეა აწყობილი, 4 ელექტრომოტორით აღჭურვეს — ჯამური სიმძლავრით — 313 ცხ.ძ. ელექტრომოტორები ენერგიას ლითიუმ-იონური ბატარეებიდან იღებენ. ავტომობილის სვლის მარაგი 248 კმ-ია, ხოლო საყოფაცხოვრებო დენის წყაროდან მისი დატენისთვის 6-8 საათია საჭირო. Audi-ს მონაცემებით, ამ მანქანის პროტოტიპი 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,8 წამში ავითარებს, ხოლო 60-დან 120 კმ/სთ-ს — 4,1 წამში. E-tron-ის მაქსიმალური სიჩქარე 200 კმ/სთ-ია. ამ ეტაპზე უცნობია, იქნება თუ არა აღჭურვილი სერიული მანქანა იმავე აგრეგატით, რომელიც კონცეპტ-ავტოზე გამოიყენება. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, კომპანია „აუდის" გამაში, ელექტროსუპერავტოს გარდა, კიდევ რამდენიმე ელექტრომობილი გამოჩნდება, მათ შორის, როდსტერი და კომპაქტური მანქანა, რომელიც კონცეპტ-ავტოს — VW Upi — ბაზაზეა შექმნილი. ■

# საჭესთან მაკიაჟის კეთება სახიფათოა!

დიდ ბრიტანეთში ყოველწლიურად, 500 ათასი ავტოსაგზაო ინციდენტი იმ ქალების გამო ხდება, რომლებიც საჭესთან ჯდომისას მაკიაჟის კეთებით არიან დაკავებულნი. სადაზღვევო კომპანია Diamond-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის დროსაც ყოველმა მეხუთე ქალმა აღიარა, რომ ავტომობილში ჯდომისას თავს ერთხელ მაინც ილამაზებს; გამოკითხულთა 3%-მა განაცხადა, რომ ამ მიზეზით უკვე გამოუწვევიათ ავტოსაგზაო შემთხვევა. ყველაზე ხშირად, მანქანის მართვისას, 17-21 წლის გოგონები იწესრიგებენ თავს. ამ ასაკის ყოველმა მეოთხე გოგონამ განაცხადა, რომ იგი მაკიაჟის კეთებით მანქანის მართვისას იყო დაკავებული და თანაც, უყურადღებობის გამო ავტოსაგზაო შემთხვევა ყოველ მეათე გოგონას ჰქონია... ადრე ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ 10-დან 7 მძღოლი (გათვალისწინებული იყო მამაკაცთა აზრიც) საჭესთან მაკიაჟის კეთების აკრძალვას აუცილებლობად მიიჩნევს. ■



# „ოპელის" სიახლე

ბრიტანულმა ჟურნალმა — Auto Express — Opel Meriva-ს ახალი თაობის პირველი არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა, რომელზეც ავტომობილი ყოველგვარი კამუფლიაჟის გარეშეა ასახული. მანქანის მსოფლიო პრემიერა 2010 წლის მარტში, ჟენევის საერთაშორისო გამოფენაზე შედგება. წარმოდგენილი სურათების მიხედვით, სიახლე მისივე სახელწოდების მქონე კონცეპტ-ავტოს სტილშია შესრულებული, რომლის დებიუტიც შარშან, ჟენევის მოტორშოუზე შედგა. პროტოტიპსა და სერიული მოდელის ძარას უკანა ნაწილის ერთნაირი გაფორმება აქვთ. გარდა ამისა, სერიული კომპაქტვენი, ისევე, როგორც კონცეპტი, Rolls-Royce Phantom-ის სტილის კარით იქნება აღჭურვილი. სავარაუდოდ, სერიულ Opel Meriva-ს ახალი 4-ცილინდრიანი, 1,4-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორი დაუმონტაჟდება, რომლის სიმძლავრეც 120-140 ცხ.ძ. იქნება. წინასწარი მონაცემებით, სიახლე ევროპელი დილერების სალონებში მომავალი წლის ბოლოდან გამოჩნდება. ■

# ვერცხლისფერი კვლავაც ლიდერობს



ამერიკულ გამოფენაზე — Automotive Colour Trend Show — საღებავების მსხვილმა კომპანიამ — PPG Industries — განაცხადა, რომ უკვე 9 წელიწადია, რაც ვერცხლისფერი პირველობას ინარჩუნებს. ჩრდილოეთ ამერიკაში ყოველი მეოთხე მანქანა სწორედ ვერცხლისფრადაა შეღებილი და თანაც, გასულ წელთან შედარებით, ამ ფერის პოპულარობა დაახლოებით, 5%-ით გაიზარდა. მეორე-მესამე ადგილებს თეთრი და შავი ფერები იყოფს — შესაბამისად, 18 და 16%-ით. შედარებისთვის: 15 წლის წინ, ამერიკაში ყველაზე დიდი მოთხოვნილება მწვანე მანქანებზე იყო, ხოლო თეთრად ავტომობილთა დაახლოებით, 8% იყო შეღებილი. PPG Industries-ის წარმომადგენელთა განცხადებით, აშშ-ში კომპაქტური ავტომობილების სეგმენტში ყველაზე პოპულარული ვერცხლისფერი და შავი მანქანებია, ხოლო დაახლოებით 21% ცისფრად ან წითლადაა შეღებილი. ამასთან, ევროპულ ბაზარზე მცირე მანქანების მყიდველთა უმრავლესობა (დაახლოებით, 37%) წითელს, მწვანესა და ცისფერს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო ლუქს-ბრენდების ავტომობილების კლიენტთა შორის ყველაზე პოპულარული შავია. ევროპასა და აზიაში ვერცხლისფერი და მუქი რუხი ყველაზე პოპულარული საავტომობილო ფერებია. ■

## ყველაზე სწრაფი ავტომობილი-ამფიბია

ამერიკულ ავტომობილ „პითონს“ წყალში მძლავრი კატერების გასწრება შეუძლია, ხმელეთზე კი ის 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,5 წუთში ავითარებს. ახალი პროექტი WaterCar კალიფორნიაში შეიქმნა და 200 ათასი დოლარი ღირს. „პითონი“ არც ერთ მანქანას არ ჩამოუვარდება.

„პითონთან“ ერთად WaterCar-მა შეიმუშავა ამფიბიური ყველგანმავალი.

ხმელეთზე მისი მაქსიმალური სიჩქარე 137 კმ/სთ-ია, წყალში კი — 13 კმ/სთ. მართალია, ეს საკმაოდ ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ ავტომობილი კარგი გამტარობისაა და სულ რაღაც, 29 ათასი დოლარი ღირს.

შეგახსენებთ, პირველი ავტომობილი-ამფიბია 2004 წელს გამოჩნდა და ის წყალში მხოლოდ 72 კმ/სთ-ს ავითარებდა. ყველაზე სწრაფი ამფიბია Sealegs კი წყალში 105 კმ/სთ-ს ავითარებს, მაგრამ ის ავტომობილი კი არა, მძლავრი კატერია, გამოსაწევი შასით — ხმელეთზე სამოძრაოდ. ■



## წლის ულამაზესი ყველგანმავალი

ავტორიტეტულმა ევროპულმა გამოცემამ — Auto motor und sport ჩაატარა კონკურსი, სადაც ავტომოყვარულებმა წლის ულამაზესი ყველგანმავალი დაასახელეს. გამოცემის მკითხველთა უმრავლესობამ ყველგანმავლის კატეგორიაში საუკეთესოდ ახალი Range Rover Sport მიიჩნია და მას გერმანულ ავტომობილებზე უკეთესი შეფასება მისცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმის მიცემის პროცესში 10 ათასი მკითხველი მონაწილეობდა.

Range Rover Sport ახალი თაობის ძრავათია აღჭურვილი. მძლავრი 5-ლიტრიანი, LR-V8 ტიპის ძრავა 510 ცხ.ძ-ს ავითარებს. ავტომობილის ფასი 123.000 დოლარიდან იწყება. ■



## Toyota-მ ქსელიდან 3,8 მილიონი ავტომობილი ამოიღო

სააგენტო „ბლუმბერგი“ იტყობინება, რომ მძღოლის სავარძლის წინ განთავსებულ ხალიჩებთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის გამო, Toyota-მ Lexus-ის და Toyota-ს მარკის 3,8 მლნ ავტომობილი სავაჭრო ქსელიდან ამოიღო. აღმოჩნდა, რომ გარკვეულ ვითარებაში ამ ხალიჩებს „გაზის“ სატერფულის დაბლოკვა შეუძლია, რაც შესაძლოა, ავარიის გამომწვევი მიზეზი გახდეს. ამგვარი ინციდენტი უკვე არაერთხელ დაფიქსირდა. მაგალითად, პოლიციის ოფიცერი, ოჯახის წევრებთან ერთად, Lexus-ის მარკის ავტომობილით ავარიაში მოჰყვა. ამ უბედურების მიზეზი სწორედ გაზის სატერფულის დაბლოკვა გახდა. ■



რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

# რა ასაკის უნდა იყოს თქვენი რჩეული

**დაოჯახების პრობლემა კვლავაც აქტუალურია და ბედის ჭირვეულობას უამრავი ადამიანი უჩივის. თუმცა ბევრიც არ ეპუება ცხოვრებისეულ სიძნელეებს და მიზანმიმართულად ეძებს ცხოვრების თანამგზავრს. იმ შემთხვევაში კი თუ მიზანი ზუსტი და გარკვეული არ არის, ძიება აზრს კარგავს, რადგან წარმატების მიღწევის შესაძლებლობა ნულამდე დადის. და კიდევ: მტკიცე გადაწყვეტილებების მიღებაში, ზოგს, საზოგადოებაში დამკვიდრებული მითებიც უშლის ხელს.**



## მამაკაცი მაიმუნზე ოდნავ სიმპათიური უნდა იყოს

ყველამ ვიცით, რომ გარეგნობა ხშირად მაცდურია. ყველაზე თვალსაჩინო სილამაზეც კი დროთა განმავლობაში იცრიცება. გარდა ამისა, საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ მამაკაცისთვის გარეგნობა მთავარი არ არის.

**სინამდვილეში:** საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების თვალში ფიზიკურად ლამაზი ადამიანები არა მხოლოდ მიმზიდველები, არამედ უფრო კეთილები, მომხიბვლელები და თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო კომპეტენტურებიც არიან. ეს მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ხელაღებით უგულებელვყოთ ყველა, ვინც ბუნებამ ალენ დელონის გარეგნობით არ დააჯილდოვა, მაგრამ მორიდებულობამ არ უნდა გაიძულოთ, არასასურველ მამაკაცთან ერთად ცხოვრებაზე იფიქროთ.

## ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის ადამიანები ერთმანეთს იზიდავენ

ბევრი ქალი დაახლოებით ასე მსჯელობს: „დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, უმეტესწილად, მიჭირს. ამიტომ გაბედული და შეუპოვარი მამაკაცი მჭირდება გვერდით“; ან „ხშირად ცუდი განწყობილება მეუფლება, ამიტომ ისეთ მამაკაცს ვეძებ, ვინც გამამხიარულებს“.

**სინამდვილეში:** მსოფლმხედველობის, ინტერესებისა და ცხოვრებაზე შეხედულებების მსგავსება პარტნიორთა სიახლოვის საწინდარია. გაცნობის საწყის ეტაპზე პარტნიორებს შორის ძლიერი კონტრასტი დამაინტრიგებელია, მაგრამ შემდგომში, ხშირად თავს იჩენს კონფლიქტები. მამაკაცი და ქალი ისედაც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და დამატებითი განსხვავებების ძიება საჭირო არ არის.

## მამაკაცი უფროსი უნდა იყოს

„ოჯახის უფროსის“ ტრადიციული როლი გულისხმობს, რომ მამაკაცი ისეთ თვისებებს უნდა ფლობდეს, როგორიცაა სიბრძნე და პასუხისმგებლობა. ეს კი მოწიფულობის ასაკთან ასოცირდება.

**სინამდვილეში:** ფსიქოლოგები განასხვავებენ „პასპორტის ასაკსა“ და „ფსიქოლოგიურ ასაკს“. ხშირად ახალგაზრდა ადამიანი ასაკოვანს მოგაგონებთ, ასაკოვანი კი — ახალგაზრდასავით იქცევა. პარტნიორის ფსიქოლოგიური წლოვანების განსაზღვრა ძალიან ადვილია: სთხოვეთ, გაიხსენოს მოვლენები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მისი პიროვნება, ცხოვრების სტილი, და ისინი ქაღალდზე წერტილებით აღნიშნოს. იგივე გააკეთეთ თქვენც. შემდეგ წერტილების რაოდენობა შეადარეთ. ვის ფურცელზეც მეტი წერტილი იქნება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფროსიც ის არის.

საუკეთესო ვარიანტია, თუკი ერთმანეთს ბედს დაუკავშირებენ ფსიქოლოგიური და არა კალენდარული თანატოლები. ■

# პომადა და ქალის ხასიათი

**ამბობენ, რომ ქალის ხასიათის მეტ-ნაკლები სიზუსტით ამოცნობა იმის მიხედვითაც შეიძლება, რა ფერის პომადას იყენებს და როგორ ისვამს მას...**

♦ **თუ თქვენ ტუჩებს ილებავთ იშვიათად, მსუბუქად და ფერმკრთალი პომადით** — მორიდებული, თავშეკავებული, ეკონომიურად მხარჯველი მანდილოსანი ბრძანდებით. გიძნელდებათ ადამიანებთან კონტაქტი, განსაკუთრებით — მამაკაცებთან. იშვიათად გამოხატავთ გრძნობებს.

♦ **საათობით დგახართ სარკის წინ და პომადას წამდაუწუმ იმატებთ, ისე, რომ იგი სქელ ფენად რჩება ტუჩებზე** — თავმოყვარე, მფლანგველობისკენ მიდრეკილი ადამიანი ხართ; გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებით — მამაკაცების წრეში. ცხოვრობთ მხოლოდ გრძნობებით.

♦ **გაკვრით, ულაზათოდ ისვამთ, ისე, რომ პომადა ზოგჯერ ტუჩის კონტურსაც სცილდება** — უზრუნველი ხართ. არცთუ დიდ ყურადღებას უთმობთ საკუთარ გარეგნობას. გამოირჩევით იმპულსურობითა და გულკეთილობით.

♦ **გულდასმით ისვამთ; იყენებთ არა მარტო პომადას, არამედ კონტურისთვის განკუთვნილ ფანქარსაც** — თავდაჯერებული ხართ. ყველანაირ სიტუაციაში ინარჩუნებთ გამბედაობასა და იშვიათად კარგავთ წონასწორობას. თქვენი გული ემორჩილება გონებას, ამიტომ მამაკაცებთან ავანტიურა გამორიცხულია.

♦ **პომადას ყოველთვის ტანსაცმლის ფერის მიხედვით არჩევთ** — ოპტიმისტი და კეთილი ხართ. გყავთ ბევრი მეგობარი, თუმცა ამასთანავე, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალურიც უნდა იყოთ. თქვენს სისუსტედ მიიჩნევა მოგონებები „წარსულ“ მამაკაცებთან.

♦ **პომადას ბოლომდე ხარჯავთ, ისე, რომ შიგ აღარაფერი რჩება** — ემოციური ქალბატონი ბრძანდებით. განწყობილება ხშირად რადიკალურად გეცვლებათ — სიცილსა და ტირილს შორის. თუმცა კარგი მეგობრობა შეგიძლიათ.

♦ **წლების განმავლობაში ხმარობთ ერთსა და იმავე ფერის პომადას** — გულმავიწყი ხართ. ცხოვრებაში არცთუ ცოტა პრობლემა გქონიათ. უზუსტობის, გულმავიწყობის და არათანამიმდევრულობის გამო ხშირად გიწევთ დამატებითი საქმის კეთება და მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევა.

♦ იშვიათად, მხოლოდ საღამოობით, საგანგებო შეხვედრისთვის ისვამთ — ენერგიული და მიზანდასახული ხართ, ისწრაფვით კარიერისკენ.

♦ **სინჯავთ ყველანაირ პომადას, რაც კი მოდურია** — იმპულსური ხართ, თქვენთვის უცხოა სიმშვიდე და მოთმინება. მუდამ მოძრაობასა და მოქმედებაში ხართ. იოლად შეგიძლიათ მეგობრების აყოლიება, საზოგადოების სული და გული ხართ და ირგვლივ მყოფთა სიყვარულსაც იმსახურებთ. ■

# როგორ მოვუაროთ ფრჩხილებს

**ფრჩხილების მტვრევა უამრავი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ჰიპოვიტამონოზი (1 ან რამდენიმე ვიტამინის ნაკლებობა), ნივთიერებათა ცვლის მოშლა, მავნე ქიმიურ და ფიზიკურ ფაქტორთა ზემოქმედება...**

დერმატოლოგები ფრჩხილებს ჯანმრთელობის სარკედ მიიჩნევენ — მათი უჩვეულო ფორმა, ფერი, სისქე და სხვა მახასიათებლები ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიურ პროცესებზე მიუთითებს.



ფრჩხილების ქსოვილი მეტისმეტად მგრძნობიარეა ფიზიკურ და ქიმიურ ფაქტორთა მიმართ. ძალიან ცხელ წყალში რეცხვა უარყოფითად მოქმედებს ზედაპირული შრის უჯრედებზე — ისინი ზიანდება და იფიტება. ფრჩხილების დაზიანებას ხშირად სარეცხი საშუალებებისა და უხარისხო ლაქის გამოყენებაც იწვევს.

თუკი ფრჩხილებთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, ლაქის ხშირად წასმას არ გირჩევთ. ფრჩხილებს სუნთქვის საშუალება უნდა მისცეთ და გამაღიზიანებელ ფაქტორებთან კონტაქტსაც მოერიდოთ. ამ მიზნით კოსმეტოლოგები სპეციალური დამცავი ლაქის გამოყენებას გირჩევენ.

**გაითვალისწინეთ:**

- ხელი გლიცერინის შემცველი საპნით დაიბანეთ. მიიღეთ ვიტამინების და მიკროელემენტების შემცველი კომპლექსი.
- დღეში ორჯერ (დილა-საღამოს) მარილიანი აბაზანები გაიკეთეთ: 1 ჩ/კ თბილ წყალს დაუმატეთ 3-4 წვეთი იოდის ხსნარი და ამ ნარევში 15-20 წუთი გააჩერეთ თითები (ფრჩხილის შემცველი ფალანგები ბოლომდე უნდა იფარებოდეს წყლით). ასეთი აბაზანა ამაგრებს ფრჩხილებს.
- ძილის წინ, თითები 10 წუთით ქაცვის ნაყენის აბაზანაში გააჩერეთ. აბაზანის შემდეგ, თითებზე შერჩენილი ზეთი ინტენსიური მასაჟით, კანში შეიზილეთ.

■

# მასაჟები ყელისათვის

**კოსმეტიკური თვალსაზრისით, ყელი ადამიანის სხეულის ყველაზე რთულად მოსავლელი ადგილია. ყელზე კანი ძალზე მალე ბერდება. კოსმეტოლოგები ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც სახეზე პირველი ნაოჭი ჩნდება, ყელს უკვე ცხადად ემჩნევა „წრიული რგოლები“.**

იმისათვის, რომ ყელის არეში კანი არ მოიმჩვაროს, საჭიროა მისი ყოველდღიური დაზელა გვირილის, ცაცხვის ყვავილის, პიტნის, არყის კვირტების ან სალბის ნახარშით. ამ ნახარშში დასველებული ბამბის ტამპონით უნდა გაიწმინდოთ ყელი, ზევიდან ქვევით მოძრაობით, ნიკაპის ქვეშ კი პირიქით — ქვემოდან ზევით.



ბალახების ნახარშის ნაცვლად, შესაძლებელია, აგრეთვე კიტრის ლოსიონის გამოყენებაც. ქორფა კიტრი გახეხეთ სახეხზე. მიღებულ ფაფისებურ მასას დაუმატეთ 20-30 გრამი არაყი და გადაწურეთ. ლოსიონი მაცივარში შეინახეთ. მისი გამოყენება ყოველდღიურად შეგიძლიათ. ლოსიონით გაწმენდის შემდეგ აუცილებელია მკვებავი კრემის წასმა, რომლის მომზადების წესი ასეთია: 1 კვერცხის გული, 1 ჩ/კ თაფლი, 2 ჩ/კ მცენარეული ზეთი, 1 ჩ/კ გვირილის ყვავილის ნაყენი, 15 მლ ქაფურის სპირტი, 15 მლ ლანოლინი ან ვაზელინი უნდა აურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე.

ხანგამოშვებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კანი ყელის არეში დამჭკნარია, სასარგებლოა კონტრასტული კომპრესების დადება. ცხელი კომპრესი 1-2 წუთით უნდა გაიჩეროთ ყელზე, ცივი — 5 წუთით. ცხელი კომპრესის გაკეთება უმჯობესია პიტნის ფოთლების ნაყენით ან სალბის ნახარშით. სასარგებლოა აგრეთვე ცხიმოვანი კომპრესები. ყელზე, 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ 40-



50 გრადუსამდე გაცხელებული მცენარეული ზეთით გაჟღენთილი ბამბა ან დოლბანდი. სასურველია, კომპრესს ზემოდან პოლიეთილენი დააფინოთ და მარლით შეიხვიოთ.

კვირაში ერთხელ შეიძლება ე.წ. „კლეოპატრას აბაზანის“ მიღებაც: 1 ლ რძე გააცხელეთ, მაგრამ არ აადუღოთ. მეორე ჯამში წყლის ორთქლზე გააცხელეთ 1 ჩ/ჭ თაფლი. თაფლი რძეში კარგად გახსენით და დაუმატეთ 2 ს/კ ნუშის ზეთი. მიღებული ნარევი ჩაასხით წყლით სავსე აბაზანაში. ამგვარი აბაზანის რეგულარული მიღების შემდეგ კანი საოცრად ნაზი, ელასტიკური და გლუვი ხდება. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა*



# საოცრება, რომლითაც ადამიანებმა ცაში აფრენა შეძლეს

1782 წელს ფრანგი მეცნიერი, მათემატიკოსი და ასტრონომი ლალანდი წერდა: „საბოლოოდ დამტკიცებულია, რომ ადამიანის ჰაერში აფრენა და გაჩერება შეუძლებელია. ამას ვერც გიგანტური ფრთების ქნევით შეძლებს და ვერც რაიმე ნივთის გამოყენებით“.

ძმებმა მონგოლფეებმა საწინააღმდეგოს დამტკიცება შეძლეს, თუმცა ამას რამდენიმეწლიანი შრომა მოანდომეს.

ფრანგი ძმები — ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიები ქალაქ ანონში, ქაღალდის ფაბრიკას ფლობდნენ. ძირითადი საქმიანობის გარდა, ფიზიკასა და ქიმიას სწავლობდნენ. ერთხელ სამზარეულოში შესულმა ჟოზეფმა შენიშნა, რომ ღუმლიდან გამოსული ცხელი ჰაერი მის ცოლს კაბას მაღლა უწევდა. მეორე დღეს ძმებმა ცხელი ჰაერით სავსე ქაღალდის კონვერტები სამზარეულოს ჭერში გაუშვეს. პატარა ქალაქში სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ მონგოლფეები ქაღალდის ფიგურებს კვამლით ავსებდნენ და ჰაერში უშვებდნენ. 1783 წლის 5 ივნისს, ძმების სახლთან მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი. აინტერესებდათ, ქსოვილისგან დამზადებული საჰაერო ბუშტი მართლა აფრინდებოდა თუ არა. საფრენი აპარატი 200 კგ-ს იწონიდა. ცხელი კვამლით გავსებული ბუშტი, რომელსაც „ად ასტრა“ (ლათ. „ვარსკვლავებისკენ“) ეწერა, ღრუბლებისკენ გაფრინდა. ახალი აღმოჩენის შესახებ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ს აცნობეს. თავდაპირველად, მხოლოდ ცარიელ ბუშტს უშვებდნენ ჰაერში. ვერსალში, სპეციალურად მეფისთვის საჰაერო ბუშტის დემონსტრირება მოეწყო და ბუშტზე თოკებით მიმაგრებულ კალათში ცხვარი, მამალი და ბატი მოათავსეს. 1783 წლის 21 ნოემბერს საჰაერო ბუშტით ადამიანებიც — პილატრ დე როზიე და მარკიზ დ'არლანდი გაფრინდნენ.

დროთა განმავლობაში საჰაერო ბუშტების ხარისხი გაუმჯობესდა. მეფის კარის ფიზიკოსმა ჟაკ შარლმა ბუშტის გასავსებად ყველაზე მსუბუქი გაზი — წყალბადი გამოიყენა, ხოლო ძმებ რობერების დახმარებით, რომლებმაც კაუჩუკის ხსნარი გამოიგონეს, ბურთის ნაჭერს რეზინის თხელი აპკი დაუმატა... ძმებმა მონგოლფეებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჰაერნაოსნობაში და ამიტომაც, ცხელ ჰაერს, რომლითაც ბუშტებს ავსებდნენ, „მონგოლფური“, ხოლო წყალბადს — „შარლური“ უწოდეს. ■

# მტირალა ნიანგი თავს მიწაში იმარხავს

ნიანგები 120 მლნ წლის წინ გაჩნდნენ. მათი უახლოესი ნათესავები ფრინველები არიან. ნიანგების სიგრძე 2-5,5 მეტრია. ისინი დაახლოებით, 80-100 წლამდე ცოცხლობენ. საკმაოდ პატარა ფეხები აქვთ და წინა კიდურებზე 5-5, ხოლო უკანაზე — 4-4 თითი აქვთ. რეპტილიას ჭამის დროს მსხვერპლის დაღეჭვა არ შეუძლია და მას მთლიანად ყლაპავს. მუცელში ქვები — გასტროლიტები აქვს, რაც საჭმლის მონელებაში ეხმარება.

არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც, როცა ნიანგი ადამიანის ან საქონლის ხორცს ჭამს, ტირის. აქედან მოდის გამოთქმაც: ნიანგის ცრემლები გადმოყარა. ლეგენდა პირველად წიგნში — „სერ ჯონ მანდევილის მოგზაურობა“ (წიგნი დაახლოებით, 1357-1371 წლებში, ლონდონშია დაბეჭდილი) იყო აღწერილი, ცოტა ხნის წინ კი ეს მოსაზრება ფლორიდელმა ზოოლოგებმა დაამტკიცეს. მათ 4 კაიმანსა და 3 ალიგატორს საქონლის ხორცი აჭამეს. შვიდიდან ხუთს, ჭამის დროს ცრემლი სდიოდა.



ნიანგს ერთი უჩვეულო თვისება აქვს — თუ გრძნობს, რომ გვალვა და შიმშილობა ემუქრება, რამდენიმე თვით თავს მიწაში იმარხავს, უკეთესი პერიოდის დადგომისთანავე კი მიწიდან ამოდის. გარდა იმისა, რომ კუდი წყალში გადაადგილებისას ეხმარება, მასში ცხიმები უგროვდება, რითაც მიწის ქვეშ ყოფნისას იკვებება. ნიანგები საკმაოდ აგრესიულები არიან და ერთმანეთს ხშირად აზიანებენ, მაგრამ მათი სისხლი ანტიბიოტიკისმაგვარ ნივთიერებას შეიცავს, რაც ანთებისა და განგრენისგან იცავს.

ნიანგი მუნჯი არაა. იგი უჩვეულო ხმას გამოსცემს, საშუალოს — ყეფასა და ღრიალს შორის. რეპტილიას საშუალოდ, 20-100 კვერცხის დადება შეუძლია.

ისინი ხშირად ესხმიან თავს ადამიანებს, მაგრამ არც ადამიანები რჩე-

# ადამიანები, რომლებმაც სიკვდილი დაამარცხეს




• 1972 წლის 26 იანვარს ტერორისტებმა თვითმფრინავი ააფეთქეს. ნაწილებად დაშლილი ლაინერიდან მხოლოდ ერთი ადამიანი, ბორტგამცილებელი **ვესნა ვულოვიჩი** გადარჩა. ის 27 დღე კომაში იყო, 16 თვის შემდეგ კი ჰოსპიტლიდან გამოწერეს. მას დაზიანებული ჰქონდა თავის ქალა, ფეხები და სამი ნეკნი. იგი დღესაც ავიაკომპანიაში მუშაობს, მაგრამ აღარ დაფრინავს. ვესნა იუგოსლავიის ეროვნული გმირი და გინესის რეკორდსმენია — მან 10160 მ სიმაღლიდან, უპარაშუტოდ იფრინა.

• ინჟინერ-მექანიკოს **არონ რელსტონის** ჰობი მთამსვლელობაა. ის შტატ იუტას მთებს იკვლევდა, როდესაც ხელზე ქვის ლოდი დაეცა. არონი მიხვდა, რომ დაიღუპებოდა, თუ ხელს ვერ გაითავისუფლებდა და დანით ხელი მოიკვეთა, დარჩენილი ხელის ნაწილი კი მაგრად შეიხვია და შინისკენ გასწია. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, არონმა გადაჭრილ ხელზე მთამსვლელისთვის ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტი დაიმაგრა.

• **ფლოიდ ჯეიმს (ჯიმი) ტომპსონი** ვიეტნამის ომის დროს ტყვედ ჩავარდა. დაჭრილი იყო და ხერხემლის მოტეხილობა ჰქონდა. იგი ხის გალიაში მოათავსეს, ჯუნგლებში ამყოფებდნენ და აწამებდნენ, შემდეგ კი ციხეში გადაიყვანეს. ჯეიმსმა 5-ჯერ დააპირა გაქცევა, რათა შიმშილსა და ანტისანიტარიას გაჰქცეოდა, ბოლოს კი ნერვიულობის ნიადაგზე, გულის შეტევა დაემართა. ტომპსონი 1973 წელს გაათავისუფლეს. სამშობლოში დაბრუნებისას 40,8 კგ-ს იწონიდა.

• 1942 წლის 19 ნოემბერს ინგლისური გემი კეიპტაუნიდან ბრაზილიისკენ დაიძრა და კატასტროფა განიცადა. გადარჩა მხოლოდ გემის მზარეული **პუნ ლიმი**. მარტოდ დარჩენილი კოკი წვიმის წყალს აგროვებდა, თევზებითა და თოლიებით იკვებებოდა. სხვათა შორის, ერთხელ გაუმართლა კიდეც და თვითნაკეთი ანკესით ზვიგენი დაიჭირა... კოკი 1943 წლის 5 აპრილს, ბრაზილიელმა მეზღვაურებმა იპოვეს და გადაარჩინეს. ბრიტანეთის ხელისუფლებამ ის გამძლეობისთვის მედლით დააჯილდოვა. კოკი გინესის რეკორდსმენიცაა, რადგან მარტომ 133 დღე შუა ზღვაში გაატარა. დაჯილდოებისას პუნ ლიმ თქვა: „იმედი მაქვს, ჩემი რეკორდის გაუმჯობესებას არავინ შეეცდება“.

• **ძმები მენგ ქსიანჩენი და მენგ ქსიანიუ** პეკინის მახლობლად, არალეგალურ ქვანახშირის შახტაში მუშაობდნენ და ერთ დღეს ცოცხლად დაიმარხნენ. 2-დღიანი ძებნის შემდეგ, მაშველებმა ძმები დაკარგულებად მიიჩნიეს, ოჯახმა კი ისინი გამოიტირა. მიწის ქვეშ გამომწყვდეულები 6 დღის მანძილზე იკვლევდნენ გზას, ნახშირით, შარდით იკვებებოდნენ და სამშვიდობოს გააღწიეს თუ არა, პირობა დადეს, რომ შახტაში აღარასდროს იმუშავებდნენ.



• 29 წლის კევინ ტილმა იმ მანქანის გატაცება გადაწყვიტა, რომელშიც 7 წლის **ალექსის გოტინსი** და დედამისი (კევინი მისი ყოფილი ბოიფრენდი გახლდათ) ისხდნენ. როცა ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე ქალმა პოლიციის გამოძახება სცადა, კევინმა მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. გოგონა დედას გადაეფარა და გამტაცებელმა ბავშვს 6 ტყვია დაახალა. პატარას ერთი ტყვია თვალში, მეორე — ნიკაპში, მესამე კი ყბაში მოხვდა. ალექსისს უკვე 6 ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა და კიდევ რამდენი დასჭირდება, უცნობია... ■

ბიან ვალში. მალაიზიაში სიამოვნებით მიირთმევენ ნიანგის ხორცს (მიაჩნიათ, რომ ის პოტენციას აძლიერებს), კვერცხებსა და ცხიმს. მისი ტყავისგან კი ჩანთასა და ფეხსაცმელს კერავენ.

## ნიანგი, რომელმაც სოფოკლე „გადაარჩინა“

ფარაონების დროს ნიანგებს წმინდა ცხოველებად მიიჩნევდნენ. 1899 წელს, ეგვიპტეში გათხრების დროს მუმიფიცირებული ნიანგები აღმოაჩინეს. მეცნიერებმა რეპტილიების მუმიებს ქაღალდები შემოახსნეს (ფორმის შესანარჩუნებლად მუმიას ქაღალდში ახვევდნენ) და სწორედ მაშინ, სხვადასხვა იურიდიულ საბუთს (ყიდვა-გაყიდვის ცნობა, ანდერძი, საქორწინო ხელშეკრულება) შორის სოფოკლეს ტრაგედიის ფრაგმენტებსაც წააწყდნენ. ■



რუბრიკა მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

# პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება და მწვალებლური მოძღვრების განქარვება

**ქვეყნიური დიდებით გამორჩეული ადგილობრივი ეკლესიები, ეპოქა, რომელმაც წარმოშვა 5 საეპისკოპოსო საყდარი, კანონებისა და უფლის აღდგომის აღნიშვნის დამდგენი საერთო წესი — ასეთია ამჯერად ჩვენი რუბრიკის მთავარი თემები. გვესაუბრება არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე).**



*შორენა მერკვილაძე*

**— იმპერატორ კონსტანტინეს დროს კონსტანტინოპოლის ეკლესია რომის ეკლესიას გაუტოლდა. გამორჩეული პატივით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს იერუსალიმის ეკლესიაც; იგი იწოდება „დედად ყოველთა ეკლესიათა“. მკითხველს განვუმარტოთ, რით იყო გამორჩეული ეს ეკლესიები სხვა ადგილობრივი ეკლესიებისგან?**

— ეკლესია ის ადგილია, სადაც ადამიანი უნდა ცხონდეს. არ შეიძლება, რომელიმე კონკრეტულ ეკლესიაზე ვთქვათ — ადამიანს იქ ცხონების მეტი შესაძლებლობა აქვსო, — მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს იერარქიული წყობა, რომელსაც დიპტიხი ეწოდება. დიპტიხში XI საუკუნემდე, ვიდრე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდებოდა და დასავლეთის ეკლესია მწვალებლობის გზით წავიდოდა, პირველ ადგილზე მოხსენიებული იყო რომის ეკლესია, რადგან რომი გახლდათ დედაქალაქი, სადაც იდგა საიმპერატორო ტახტი და ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელადაც იქ იყრიდნენ თავს. ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შემდეგ, იმპერატორმა კონსტანტინემ ქალაქი კონსტანტინოპოლი დააარსა და იქაურმა ეკლესიამაც შეიძინა მიწიერი ავტორიტეტი. მართალია, ეს ქალაქი გვიან დაარსდა, მაგრამ რადგან სატახტო გახდა, ქვეყნიური დიდების გამო, მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, კონტანტინოპოლის ეკლესიას გარკვეული მიწიერი უპირატესობა მიენიჭა. რომის ეკლესიის შემდეგ, დიპტიხში კონსტანტინოპოლის ეკლესია იხსენიებოდა. რაც შეეხება იერუსალიმის ეკლესიას: იმის გამო, რომ მიწიერი ცხოვრების, დედამიწაზე ხორციელად ყოფნის დროს იქ უფალი მოღვაწეობდა, იქიდან გამოვიდნენ მოციქულები და იქვე დაარსდა პირველი ეკლესია, — იწოდება „დედად ყოველთა ეკლესიათა“, მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, მასაც მიენიჭა პატივი ქვეყნიური დიდებისა. ასე და ამგვარად, ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის გარკვეული დროებითი თუ სამარადჟამო უპირატესობები იყო და არის მიწიერი და არა — ზეციური.

**— ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მსოფლიოში სულ რამდენი ადგილობრივი ეკლესია არსებობდა?**

— ქრისტიანობის პირველ ხანებში არსებობდა წარმმართველი საეპისკოპოსო საყდრები, რომლებიც შემდგომში — V საუკუნიდან და უფრო მეტად, რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ადგილობრივ ავტოკეფალიურ ეკლესიებად ჩამოყალიბდა. ამ დრომდე, რომის იმპერიის ტერიტორიაზე, როგორც ვთქვით, არსებობდა 5 საეპისკოპოსო საყდარი — მძლავრი საეკლესიო ცენტრი: რომის, კონსტანტინოპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის ეკლესიების სახით; იმპერიის ტერიტორიის გარეთ კი — საქართველოსა და სომხეთის ეკლესიები. სომხეთის ეკლესია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მწვალებლობაში ჩავარდა — მონოფიზიტობისკენ მიიდრიკა და დედაეკლესიას ჩამოშორდა.

**— IV საუკუნის პირველ ნახევარში, რომის იმპერატორის — კონსტანტინე დიდის საგანგებო ბრძანებით, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება გაიმართა. რა იყო კრების მოწვევის უმთავრესი მიზეზი?**

— არიოზის მწვალებლობა, რომელმაც IV საუკუნის 10-იანი წლებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო და ფაქტობრივად, მთელი იმპერიის ტერიტორიები მოიცვა, ეკლესიაში შფოთი შეიტანა. 324 წელს, ბიზანტიის იმპერიის ქალაქ ნიკეაში გამართულ საეკლესიო კრებას მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიის წარმომადგენელი 318 მღვდელმთავარი ესწრებოდა. საქართველოს ეკლესიას ბიჭვინთის ეპისკოპოსი — სტრატოფილეც წარმოადგენდა. კრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი იმპერატორმა კონსტანტინემ გაიღო. თავყრილობა ეკლესიის სასახლის ერთ-ერთ პალატაში მიმდინარეობდა. სასულიერო პირების გარდა, დასწრების უფლება საერო პირებსაც ჰქონდათ, ამიტომ დარბაზში ზოგჯერ, 2000-მდე ადამიანი იყრიდა თავს (კრება ორთვე-ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა). სხდომებს იმპერატორი კონსტანტინეც ესწრებოდა. როგორც ვთქვით, საეკლესიო კრების მოწვევის უმთავრესი მიზეზი და განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი ალექსანდრიელი მღვდლის — არიოზის მწვალებლური მოძღვრების უარყოფა გახლდათ: კრებამ განიხილა არიოზის სწავლება და შეაჩვენა იგი, როგორც მწვალებლური; თავად არიოზი და მისი მიმდევრები ეკლესიიდან განიკვეთნენ. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ დღის წესრიგში დააყენა აღდგომის დღესასწაულის საკითხიც: ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში აღდგომის დღესასწაულს სხვადასხვა ეკლესიაში სხვადასხვა დროს აღნიშნავდნენ. მაგალითად, ზოგან ზეიმობდნენ ერთსა და იმავე რიცხვში — როდესაც მაცხოვარი აღდგა და არა — კვირადღეს. ნიკეის საეკლესიო კრებაზე საერთო წესი დადგინდა: აღდგომა ყველა ეკლესიაში გაზაფხულის სავსემთვარეობიდან პირველ კვირადღეს უნდა აღინიშნოს; ეს დღე არ უნდა ემთხვეოდეს ებრაელთა პასექს. ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი წესით გამოანგარიშებულ აღდგომას ყოველთვის, უფლის საფლავზე ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა ემთხვევა. პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე შეიმუშავეს სარწმუნოების სიმბოლოს (კრედოს) ანუ, როგორც ქართულად ეწოდება, — მრწამსის ტექსტი (სარწმუნოების სიმბოლოს ქართული სახელწოდება წარმოდგა მისი პირველი სიტყვიდან — „მრწამს“), რომელმაც საბოლოო, ჩამოყალიბებული სახე მიიღო მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე — ჩამოყალიბებული სიტყვებში, თორემ თავისი აზრით, მრწამსით მანამდეც და მას შემდეგაც ისეთივე დარჩა, როგორიც მოციქულებს ჰქონდათ ჩამოყალიბებული (სარწმუნოების სიმბოლოს საფუძველი მოციქულებიდან მომდინარეობს, რომლებსაც თავად უფალმა მისცა). თვით სიტყვა „მრწამსი“ მიგვანიშნებს მის მნიშვნელობაზე, თუ რა მრწამსის, რა შეხედულების ვართ,

როგორი სახით ვაღიარებთ ღმერთს. ეს ყველაფერი თავმოყრილია სარწმუნოების სიმბოლოში („სიმბოლო“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს — „ვაერთებ“, „ერთად მოვიცავ“). ე.ი. მრწამსში მოკლედ, შეკუმშულადაა გადმოცემული, შეიძლება ითქვას, შეჯამებულიც, მართლმადიდებლური სარწმუნოება, მისი მსოფლმხედველობა და სწავლება-მოძღვრება... ნიკეის კრებამ ასევე დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული და ადმინისტრაციული ნორმები, ურთიერთშორის, პატივისა და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. კრებამ სულ 20 კანონი მიიღო.

**— საინტერესოა, რატომ გახდა საჭირო მრწამსის ერთ-ერთ მუხლში ეკლესიის თვისებათა დაფიქსირება — რომ ეკლესია არის ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო?**

— ეს არის ერთ-ერთი სარწმუნოებრივი საკითხი. მრწამსში ეკლესიის თვისებათა ხაზგასმით დაფიქსირება წმინდა მამებმა იმის გამოც მიიჩნიეს საჭიროდ, რომ გამოჩნდა მწვალებლური მიმდინარეობები, რომლებიც თავიანთ ცრუკრებულებს ეკლესიად იხსენიებდნენ. ცხადია, არც ერთი მათგანი არ იყო ეკლესია, რადგან, როგორც არ შეიძლება ერთ საკითხში იყოს ორი ჭეშმარიტება, ასევე არ შეიძლება იყოს ორი ან მეტი ჭეშმარიტი ეკლესია. ჭეშმარიტი ეკლესია ერთია და მისი თავი არის უფალი იესო ქრისტე. მწვალებლურ მიმდინარეობათა კრებულის, ცრუეკლესიის თავი კი არის ეშმაკი და მისი ეკლესიად წოდება დაუშვებელია, რადგან ერთობა და შეკრება მხოლოდ უფალშია, ეშმაკთან კი არის განცალკევება და მტრობა.

**— რატომ იწოდება მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკედ და სამოციქულოდ?**

— სიტყვა „კათოლიკე“ ნიშნავს მსოფლიოს, საყოველთაოს. ჭეშმარიტად კათოლიკე, მსოფლიო, საყოველთაო თავისი არსით, მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიაა, რადგან ის მთელ მსოფლიოშია განფენილი. ქრისტეს ეკლესია კათოლიკეა იმიტომაც, რომ არ განისაზღვრება ადგილით, იგი მოიცავს ცასა და ქვეყანას, რადგან ეკლესიას ეკუთვნიან არა მხოლოდ დედამიწაზე მყოფი მორწმუნენი, არამედ გარდაცვლილებიც, რომლებიც ჭეშმარიტი უფლის რწმენითა და სასოებით მიიცვალნენ, ღვთის წინაშე გამართლდნენ და ზეციური ეკლესიის წევრობა მოიპოვეს. მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულოა იმიტომ, რომ გავრცელებულია ქრისტეს მოციქულთა ქადაგებით და უცვლელად და მტკიცედ იცავს მოციქულთაგან გადმოცემულ სწავლა-მოძღვრებას.

**— რატომ არის მართლმადიდებელი ეკლესია ჭეშმარიტი და როდის გაჩნდა ტერმინი „მართლმადიდებელი“?**

— ერთადერთი ჭეშმარიტი — მართლმადიდებელი ეკლესიაა, მაგრამ არამართლმადიდებელი მიმდინარეობის წარმომადგენლებიც ამტკიცებენ, რომ მათი კრებული, მათი რწმენა და სწავლა-მოძღვრება ჭეშმარიტია, თუმცა ყველა აღიარებს, რომ მართლმადიდებლობა არის ის შტო, რომელმაც უწყვეტად შეინახა მსახურების ის წესი და დოგმები, რომლებიც თავად უფალ იესო ქრისტედან მოდის. ამასთანავე, სხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შემდეგ მათ რაღაც ახალი და უფრო ჭეშმარიტი აღმოაჩინეს. შეუძლებელია, იმაზე მეტი ჭეშმარიტება აღმოაჩინოს ვინმემ, ვიდრე თავად უფალმა და მოციქულებმა გვასწავლეს. ქრისტეს ჭეშმარიტ მიმდევრებს, როგორც ვიცით, პირველად ანტიოქიაში ეწოდათ ქრისტიანები, მაგრამ შემდგომში, როდესაც სხვადასხვა მწვალებლური მიმდინარეობა გაჩნდა, დამკვიდრდა ტერმინი „მართლმადიდებელი“ — იმის აღსანიშნავად, თუ ვინ აღიარებდა მართლად, სწორად უფალს. სიტყვა „მართლმადიდებელი“ ნიშნავს ღმერთის მართლად, სწორად დიდებას. თავისი არსით, მართლმადიდებლობა ქრისტიანობამდეც, ადამიანის გაჩენამდეც არსებობდა — მანამდე ანგელოზები ადიდებდნენ მართლად უფალს. ძველი აღთქმის მამამთავრებიც მართლად ადიდებდნენ უფალს — ისე, როგორც უნდა ედიდებინათ. პირველი საუკუნის ქრისტიანებიც მართლად ადიდებდნენ უფალს. რაც შეეხება დანარჩენ რელიგიურ მიმდინარეობას, ისინი საერთოდ არ ადიდებენ უფალს, რადგან ის, ვინც უფალს მართლად, სწორად არ ადიდებს, არა უფალს, არამედ ეშმაკს ადიდებს.

**— არიოზის სწავლება პირველი მასობრივი სახის ერესი, მწვალებლური მოძღვრება იყო. რას ასწავლიდა არიოზი, რაში გამოიხატებოდა მისი ცდომილება?**

— არიოზის მწვალებლურმა სწავლებამ შფოთი შეიტანა იმდროინდელ ეკლესიაში და ფაქტობრივად, მთელი ეკლესია აღაშფოთა. ამ სწავლებით განსაკუთრებით, ანტიოქიის ეკლესია დაზარალდა, რადგან არიოზი და მისი მიმდევრები — ევსევი ნიკოდიმელი, თეოგნოსტი ნიკიელი და მარისი ქალკედონიელი — ანტიოქიის ეკლესიის აღზრდილები იყვნენ და თავიანთი სწავლებით თითქოს, ანტიოქიის ეკლესიის სწავლებას იცავდნენ. ხალხში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს, ალექსანდრიის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას ებრძოდა, ამიტომ რომის, იმავე ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ადვილად მიიღეს არიოზის ცრუსწავლებები და მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. არიოზი ასწავლიდა, რომ ძე ღვთისა, იესო ქრისტე არ იყო ბუნებით ღმერთი; იყო დრო, როდესაც ძე ღვთისა არ არსებობდა, იგი არ არის მარადიული და დაუსაბამო, იგი ღმერთია არა არსით, არამედ სახელით და მამა ღმერთის ქმნილება — ანუ არიოზის ცრუსწავლების ძირითადი არსი იყო მაცხოვრის ღვთაებრიობის დაკნინება. არიოზს ავიწყდებოდა ერთი რამ: არ შეიძლება, მამა ეწოდოს მას, ვისაც ძე არ ჰყავს. მიწიერი თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ, გამოდის, რომ ღმერთი იყო ცვალებადი, რაც აბსოლუტური სიცრუეა, მაგრამ მათი გონება ამას ვერ სწვდებოდა. არა მარტო მათი, საერთოდ, ადამიანის გონება სრულად ვერ ჩასწვდება საღმრთო ჭეშმარიტებას: არსებობს ისეთი საღმრთო ჭეშმარიტებებიც, რომლებიც პირდაპირ, განუსჯელად უნდა მივიღოთ, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს. სურდათ, ყველაფერი მიწიერად აეხსნათ და მივიდნენ ამგვარ საშინელ მწვალებლურ აზროვნებამდე — მაცხოვარს ღვთის ქმნილებად მიიჩნევდნენ.

პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, არიოზის მოძღვრება, არიანელობა განქარვდა, მაგრამ არიოზის მიმდევრები, მისი სწავლებები ამის შემდგომ ათწლეულების მანძილზე კვლავ არსებობდა. იყო პერიოდები, როდესაც ისინი ეკლესიის მმართველობაშიც მივიდნენ და მართლმადიდებელთა დევნა დაიწყეს, თუმცა საბოლოოდ, მართლმადიდებლობამ იზეიმა და არიოზის მწვალებლური მოძღვრებები საბოლოოდ განქარვდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თანამედროვე პერიოდში არსებულ რასელისტთა — იეღოველთა სექტას, რომელიც ფაქტობრივად, არიოზის სწავლებას მისდევს. ■



ანტიდეპრესანტი

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. გალილეო გალილეი ქალაქ პიზაში დაიბადა.

2. ბრედ პიტი ანჯელინა ჯოლის მესამე ქმარია.

3. კობზა ძველებური უკრაინული სიმებიანი საკრავია.

4. ნიუ-იორკს ფინანსთა მსოფლიო დედაქალაქს ეძახიან.

5. დედამიწაზე 450 სახიფათო ვულკანური ზონა არსებობს.

6. ინოკენტი სმოკტუნოვსკის სამსახიობო განათლება არ მიუღია.

7. რეცეპტის პირს, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს ახლავს, სიგნატურა ჰქვია.

8. რეაქტიული გამანადგურებელი ავიამზიდზე პირველად ერიკ უინგ ბრაუნმა დასვა.

9. გია ყანჩელს 50 ფილმისთვის აქვს დაწერილი მუსიკა და აქედან 7 გიორგი დანელიას გადაღებულია.

10. სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავის, რომან რურუას მიერ მოპოვებული მედლებიდან მხოლოდ ერთია ვერცხლის, ყველა დანარჩენი კი ოქროსი გახლავთ.

11. მატარებლის მაქსიმალურ სიჩქარედ 550 კმ/სთ რჩება. უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ ელმავლებს მეტი სიჩქარის



განვითარებაც შეუძლია, მაგრამ ამ შემთხვევაში, მგზავრებს დისკომფორტი ექმნებათ.

12. სიკომორო ფიკუსის ნაირსახეობაა, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში ხარობს და ლეღვის მსგავს ნაყოფს ისხამს. ჩვენში მას ლეღვ-სულელს ეძახიან.

13. ავტომობილების გამონაბოლქვი მავნე გაზების საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენს. მეცნიერთა ვარაუდით, გლობალური დათბობის შედეგად, მსოფლიო კლიმატური ლტოლვილებით გაივსება.

14. ძველად ინგლისელი დიასახლისები მოდუღებული ხილითა და კენკრით სავსე თიხის ქილებს ახალდაკლული ღორის ბუშტით ხუფავდნენ — ბუშტი ზედ ახმებოდა ქილის თავს და შიგთავსს ჰერმეტულად ინახავდა.

15. „არ ვიცი, რა უფრო მნიშვნელოვანია — ქრისტიანობა თუ როკ-ენ-როლი. ქრისტე ნორმალური იყო, ოღონდ მოწაფეები ჰყავდა არანორმალური. დღეს „ბითლზი“ უფრო პოპულარულია, ვიდრე იესო ქრისტე“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯონ ლენონმა. ამ სიტყვებისთვის მოგვიანებით, მას ბოდიშის მოხდა და ახსნა-განმარტების მიცემა დასჭირდა.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# მხედველობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშები



**სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის მესამედს მხედველობის პრობლემა აქვს. თუ თქვენ ახლომხედველობა, შორსმხედველობა ან ასტიგმატიზმი გაწუხებთ და მასთან შეგუება არ გსურთ, იცოდეთ, ყველაფერი თქვენზეა (და არა ექიმზე) დამოკიდებული. მხედველობის შენარჩუნების ან გაუმჯობესების, ახლომხედველობის და თვალის სხვა დაავადებების პროფილაქტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თვალის რეგულარული ვარჯიში.**

**კომპიუტერთან მუშაობის, დიდხანს კითხვის ან თვალის დაძაბვასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულების დროს აუცილებელია:**

* ყოველ 1-2 საათში მხედველობის სხვა საგანზე გადატანა;

* დასვენების მიზნით, 1-2 წუთის განმავლობაში თვალების დახუჭვა;

* თვალების ვარჯიში: გააკეთეთ 4-5 მარტივი ვარჯიში. მაგალითად — ჩაატარეთ თვალის, კისრის, ზურგის, მხრის სარტყლის კუნთების ვარჯიში. ბავშვებისთვის რეკომენდებულია იგივე, მაგრამ მათ უფრო ხშირად უნდა შეისვენონ. კერძოდ: 12-14 წლის ასაკში ყოველ 45 წუთში, ხოლო 15-17 წლის ასაკში ყოველ საათში ერთხელ აუცილებელია 15-წუთიანი შესვენება.

თვალის დაძაბულობის მოსახსნელი, ახლომხედველობის საპროფილაქტიკო და მხედველობის გასაუმჯობესებელი ვარჯიშები:

თვალის ვარჯიში დღეში 2-ჯერ მაინც უნდა ჩაიტაროთ. აირჩიეთ ვარჯიშების ის კომპლექსი, რომელიც უფრო გაგიადვილდებათ. უკეთესი იქნება, თუ მათ მონაცვლეობით შეასრულებთ.

**I კომპლექსი — მხედველობის გასაუმჯობესებელი ვარჯიში:**

1) თვალების მოძრაობა ჰორიზონტალური მიმართულებით — მარჯვნიდან-მარცხნივ;

2) თვალის კაკლების მოძრაობა ვერტიკალურად — ზემოთ-ქვემოთ;

3) თვალების წრიული მოძრაობა: საათის ისრის და მის საწინააღმდეგო მიმართულებით;

4) თვალების სწრაფ ტემპში ინტენსიური დახუჭვა-გახელა;

5) თვალების მოძრაობა დიაგონალზე: თვალების დახრა მარცხენა ქვედა კუთხეში, შემდეგ მისი მარჯვენა ზედა კუთხეში გადატანა. ანალოგიური მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით;

6) მხედველობის ცხვირზე მიპყრო-


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

| გამოცემის დასახელება | 1ეგზ. ფასი | 3 თვე |
|---|---|---|
| 1. ИТОГИ | 3.00 | 39.00 |
| 2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА | 2.00 | 117.00 |
| 3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА. | 32.00 | 32.00 |
| 4. КАРАВАН ИСТОРИЙ | 8.00 | 24.00 |
| 5. НОВАЯ ГАЗЕТА | 1.50 | 39.00 |
| 6. ВОКРУГ СВЕТА | 9.00 | 27.00 |

პრესის და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

ტელ: 38-26-73; 38-26-74

ფაქს: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail:elva@kvirispalitra.com

ბა — ცხვირის ძგიდეზე დაიდეთ თითი და შეხედეთ მას;

7) თვალების ხშირი ხამხამი;

8) მიდით ფანჯარასთან, ყურადღებით შეხედეთ ფანჯრის მიღმა, ახლომდებარე რაიმე საგანს ან მინაზე ფლომასტერით გაკეთებულ ნიშნულს, შემდეგ შეეცადეთ ყველაზე შორეული საგნის ან ობიექტის დანახვას.

თითოეული ვარჯიში შეასრულეთ 6-6-ჯერ, ყოველი მიმართულებით.

**II კომპლექსი — ახლომხედველობის პროფილაქტიკა:**

1) დაჯექით, თავი უკან გადასწიეთ, ღრმად ჩაისუნთქეთ, შემდეგ წინ გადმოიხარეთ და ამოისუნთქეთ;

2) მიეყრდენით სკამის საზურგეს, დახარეთ ქუთუთოები, შემდეგ კი მაგრად დახუჭეთ თვალები და გაახილეთ;

3) შემოირტყით დოინჯი, თავი მოაბრუნეთ მარჯვნივ და შეხედეთ მარცხენა იდაყვს; შემდეგ თავი მოაბრუნეთ მარცხნივ, შეხედეთ მარჯვენა იდაყვს და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას;

4) ასწიეთ თვალები მაღლა და გააკეთეთ თვალებით მოძრაობა ჯერ საათის ისრის, შემდეგ კი მისი საწინააღმდეგო მიმართულებით;

5) ხელები გასწიეთ წინ, შეხედეთ თითის წვერებს, ასწიეთ ხელები მაღლა (თან, ჩაისუნთქეთ), მხედველობა გააყოლეთ თითებს ისე, რომ თავი არ ასწიოთ. ბოლოს ხელები თანდათანობით დაუშვით და ამოისუნთქეთ.

ამ ვარჯიშების გაკეთება სასურველია კომპიუტერთან მუშაობის დროს, ყოველ 40-50 წუთში ერთხელ. ყოველი ვარჯიში გაიმეორეთ 5-6-ჯერ.

**III კომპლექსი — ხსნის თვალების დაღლილობას:**

1) იცქირეთ პირდაპირ 2-3 წამი. თვალებიდან 25-30 სმ დაშორებით გააჩერეთ თითი, უყურეთ მას 3-5 წამი. დაუშვით ხელი, კვლავ პირდაპირ იცქირეთ. გაიმეორეთ 10-12-ჯერ;

2) ფანქარი მიიტანეთ ცხვირის წვერთან, შემდეგ სწრაფად გასწიეთ წინ და სწრაფადვე მიიტანეთ ცხვირის წვერთან. შეეცადეთ, ამ დროს ფანქრის მოძრაობას ადევნოთ თვალი. გაიმეორეთ 10-12-ჯერ;

3) ფანჯრის მინას მიაკარით 3-5 მმ დიამეტრის მქონე ქაღალდის ნიშნული. მხედველობა მონაცვლეობით მიაპყარით ხან ფანჯრის მიღმა არსებულ საგნებს, ხან მინაზე მიკრულ ქაღალდის ნიშნულს. გაიმეორეთ 10-12-ჯერ;

4) სივრცეში თვალებით ნელ-ნელა (სუნთქვის ტემპში) დახატეთ რვიანი ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად და დიაგონალურად. ყოველი ვარიანტი გაიმეორეთ 5-6-ჯერ;

5) ხელის ცერა თითი თვალებიდან 20-30 სმ მოშორებით გააჩერეთ, ორივე თვალით უყურეთ თითის წვერს 3-5 წამი, დახუჭეთ ცალი თვალი 3-5 წუთით და კვლავ ორივე თვალით შეხედეთ თითს. შემდეგ დახუჭეთ მეორე თვალი და ა.შ. გაიმეორეთ 10-12-ჯერ;

6) თვალის დონეზე წინ გაშვერილი მარჯვენა ხელის ცერა თითს უცქირეთ 5-6 წამი. ნელ-ნელა გასწიეთ ხელი მარჯვნივ და ცერა თითს თავის გაუნძრევლად გააყოლეთ მზერა. იგივე შეასრულეთ მარცხენა ხელით. ვარჯიში ყოველი მიმართულებით 10-12-ჯერ გაიმეორეთ;

7) თავის გაუნძრევლად გადაიტანეთ მხედველობა მარცხენა ქვედა კუთხიდან მარჯვენა ზედა კუთხეში, შემდეგ — მარჯვენა ქვედა კუთხიდან მარცხენა ზედა კუთხეში. გაიმეორეთ 5-7-ჯერ, შემდეგ იგივე შეასრულეთ უკუმიმართულებით.

**IV კომპლექსი — ვარჯიშები დაღლილი თვალებისთვის:**

1) ღრმად ჩაისუნთქეთ და რაც შეიძლება მაგრად დახუჭეთ თვალები. დაძაბეთ ყელის, სახისა და თავის კუნთები. შეაჩერეთ სუნთქვა 2-3 წამით, შემდეგ სწრაფად ჩაისუნთქეთ და თვალები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ;

2) დახუჭეთ თვალები, გაიკეთეთ წრიული მასაჟი წარბების რკალისა და თვალბუდის ქვედა ნაწილის გარშემო — ცხვირიდან საფეთქლებამდე;

3) დახუჭეთ თვალები, მოადუნეთ წარბები. ამოძრავეთ თვალის კაკლები მარცხნიდან მარჯვნივ და მარჯვნიდან მარცხნივ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

4) ცერა თითი გააჩერეთ თვალებიდან 25-30 სმ-ის დაშორებით, თითის ბოლოს უცქირეთ ორივე თვალით 3-5 წამის განმავლობაში, შემდეგ დახუჭეთ ცალი თვალი 3-5 წამით და კვლავ ორივე თვალით შეხედეთ თითს. მერე დახუჭეთ მეორე თვალი და ა.შ. გაიმეორეთ 10-ჯერ.

5) დაიდეთ თითის წვერები საფეთქლებზე და ოდნავ დააჭირეთ. 10-ჯერ სწრაფად და მსუბუქად დაახამხამეთ, შემდეგ დახუჭეთ თვალები, ჩაისუნთქეთ 2-3-ჯერ ღრმად და დაისვენეთ. გაიმეორეთ 3-ჯერ.

*ჩვენ მიერ შემოთავაზებული თვალის ვარჯიშის თითოეული კომპლექსის შესრულება სულ რაღაც, 5 წუთს წაგართმევთ, მისგან მიღებული სარგებელი კი ძალიან დიდია.*

■



ანტიდეპრესანტი

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

16. „ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი, თუმცაღა, საზოგადოებამ კაენის დაღი დამასვა. ხალხს რომ ჩემი კეთილი ზრახვებისა რაიმე გაეგებოდეს, ეს გასროლა ვარსკვლავებამდე ამამაღლებდა“, — წერდა საკუთარ დღიურში აბრაამ ლინკოლნის მკვლელი, ჯონ უილკს ბუტი.

17. გრიგოლ რობაქიძეს ორივე ცოლი რუსი ჰყავდა. მას აკაკით არასდროს უთქვამს, უცხოელს არასდროს შევირთავო. აკაკი წერეთლის შვილმა, ალექსიმ ქართული არ იცოდა.



18. „გამოცდილება ძალზე ძვირად ღირებული სკოლაა, მაგრამ რა გაეწყობა, თუკი ბრიყვთათვის სხვა სკოლა არ არსებობს“, — წერდა თავის ავტობიოგრაფიაში ბენჯამინ ფრანკლინი.

19. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, ტოკიოში თვითმფრინავით ჩასულმა გენერალმა მაკარტურმა იოკოჰამამდე ავტომობილით იმგზავრა. მთელი ამ გზის გაყოლებაზე, იაპონელი ჯარისკაცები იყვნენ ჩამწკრივებულნი და გზას პატრულირებდნენ. პატივისცემის ნიშნად, ყველა მათგანი კორტეჟისაკენ ზურგშექცევით იდგა, რითაც ამერიკელ გენერალს ისევე მიაგებდნენ პატივს, როგორც საკუთარ იმპერატორს.

20. პეტრე პირველის შვილიშვილმა, ნიკოლოზ პირველმა ბაბუის ფავორიტს, კნიაზ მენშიკოვს ყველა პატივი აჰყარა, ტიტულები, ქონება, მამულები ჩამოართვა და მიყრუებულ გუბერნიაში გადაასახლა. თავადს 13 მილიონი რუბლი გადაახდევინეს, ბრილიანტის თვლები და სხვა მრავალი ძვირად ღირებული ნივთი წაართვეს. ესეც არ აკმარეს, გზაში წამოეწივნენ, ტანისამოსი გახადეს და მდაბიოთა სამოსელი მიუყარეს. რუსეთის ახალგაზრდა იმპერატორმა მენშიკოვს მამამისის სიკვდილით დასჯაში მონაწილეობა არ აპატია. P.S. გადასახლებაში მენშიკოვმა მორებისგან სახლი საკუთარი ხელით ააგო (ხელობა ახალგაზრდობაში პეტრე პირველის ბრძანებით ისწავლა) და თან, ოხრავდა: ასე ვიწყებდი ცხოვრებას და ვინ იფიქრებდა, თუ ასევე დავამთავრებდიო.

21. ვერიკო ანჯაფარიძემ „ურიელ აკოსტაში“ 306-ჯერ ითამაშა ივდითის როლი. ერთხელ სპექტაკლის დროს წაიქცა და ხელი მოიტეხა. გულწასული მსახიობი საავადმყოფოში წაიყვანეს. გონზე მოსვლისთანავე მოითხოვა, თეატრში დამაბრუნეთო. თაბაშირში ხელჩასმული მსახიობი თეატრში წაიყვანეს, სადაც ერთსაათიანი ანტრაქტის მიუხედავად, დარბაზი არავის დაუტოვებია და მსახიობმა სპექტაკლი ბოლომდე ითამაშა.

# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის





2 ჩანართი ჟურნალში





# ადამიანი

## „თბილისური მონმარტრი", უფულო ქალაქელები

## და პოლიტიკის გამო დაკარგული რუსი კლიენტები

**ჩვენი ქალაქისთვის უცხო სულაც აღარ არის, რომ ზემელზე, მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან, თბილისელმა მხატვრებმა წლებია, რაც ბინა დაიდეს და ყოველდღიურად საოცარ გამოფენა-გაყიდვებს აწყობენ; ამ ადგილისთვის პირადად მე გულგრილად არასდროს ჩამივლია; ყოველთვის ყურადღებით ვათვალიერებ და ვეცნობი ქართველ ხელოვანთა შესრულებულ ქუჩაში გამოტანილ შემოქმედებას... ქალბატონი სოფიკო ხატიაშვილი იქ უკვე 16 წელიწადია, დგას და როგორც თავად ამბობს, ცდილობს, ყოველდღიურად უკეთესი და უკეთესი ექსპოზიცია მოაწყოს...**



*ლალი ფაცია*

— ჩვენ ამ ადგილს თბილისის „მონმარტრს" ვეძახით... თავიდან, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან მხატვრების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა დაიწყო, მეც მოვედი. იმ დროისათვის გამოუცდელი ხელოვნებათმცოდნე გახლდით, თუმცა თეორიული ცოდნა, კომუნიკაბელურობა, ზოგადად, უნივერსიტეტში შეძენილი განათლება დამეხმარა იმაში, რომ ხელოვნებათმცოდნედ ძალიან სწრაფად ჩამოვყალიბებულიყავი. ჩემი მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყოველდღიურად უკეთესი და უკეთესი გამოფენა მოვაწყო...

— **მხოლოდ გამოფენა?**

— კი, ეს ხომ გამოფენაა, ვერნისაჟი! ყოველ შემთხვევაში, ის კუთხე, რომელიც აქ მიკავია, აკადემიური გამოფენის ნიმუშია!.. ჩემთან თავს იყრის პროფესიონალი, მაღალი დონის მხატვრების სურათები, თუმცა შეიძლება — მოყვარულების ნამუშევრებიც იყოს (ლაპარაკია, მხოლოდ ორიგინალებზე).

— **იქნებ დამისახელოთ მხატვრები, რომელთა ნამუშევრები თქვენს გამოფენაზე იფინება?**

— თენგიზ მირზაშვილი, ირაკლი ოჩიაური, ავთო პოპიაშვილი, ალექსანდრე სლოვენსკი... ისინი ტიტულოვანი მხატვრები არიან, სახალხო მხატვრის წოდება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აქვთ მინიჭებული. ჩემთან არის ასევე ნიკო ცეცხლაძის, სოსო ძამუკაშვილის სურათებიც.

— **ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორებიც არიან: ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი, სოლიკო ვირსალაძე?.. მათი სურათები თქვენთან თუ ხვდება?**

— როგორ არა, მაგრამ ამ მხატვრების ნამუშევრები ყოველდღიურ, მუდმივ გამოფენაზე ხშირად არ არის. ეს უფრო შემთხვევითი მოვლენაა. შესაძლოა, ისინი აქ მაშინ მოხვდეს, თუ ვინმემ გაჭირვებული ოჯახიდან მომიტანა. თუმცა ნამუშევრები მაშინვე იყიდება.

— **როგორც მითხარით, უკვე 16 წელია, რაც აქ დგახართ. ეს არის ადგილი, სადაც უამრავი ადამიანი მიდი-მოდის, მუდმივად ბევრი მნახველი და დაინტერესებული პირი ტრიალებს. ნამუშევრები როდის უფრო იყიდება ან საერთოდ, იყიდება თუ — არა? და ვინ ყიდულობს მათ?**

— რაც დრო გადის, ადამიანების მატერიალური მდგომარეობა თანდათან უარესდება. სურათები ადრეულ წლებში უკეთ იყიდებოდა...

— **მაინც როდის?**

— როდესაც რუსეთთან სავიზო რეჟიმი არ გვქონდა. მას მერე, რაც სავიზო რეჟიმი გამოცხადდა, რუსები საქართველოში ნაკლებად ჩამოდიან. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მაგრამ ჩემგან სურათებს უმეტესად, მოსკოველი ტურისტები ყიდულობდნენ. ჩემი ყველაზე კარგი კლიენტები ისინი იყვნენ.

— **ამერიკელებსა და ევროპელებზე რას გვეტყვით?**

— ისინი ძირითადად, „რიუგზაკით" მოსიარულე ადამიანები არიან, რომლებიც ტყე-ღრეში — სვანეთში, ხევსურეთში დადიან და უფრო ეგზოტიკურ ადგილებს ეტანებიან. შემთხვევით, როცა აქ მოხვდებიან, შეიძლება, რაიმე სუვენირი: ქართული დროშა, ქართული ჯვრებით შემკული ქუდი,

წინდა, ხანჯალი, ვერცხლით მოვარაყებული ყანწი ან მინანქარში შესრულებული ნამუშევრები შეიძინონ. ისინი სურათებს ნაკლებად ეტანებიან.

**— თბილისელები რას ყიდულობენ?**

— იმ კოლექციონერებსა და მოყვარულებს, რომლებიც ჩემგან ადრე აქტიურად ყიდულობდნენ, გაუჭირდათ, ხელმოკლედ ცხოვრობენ და სურათის შეძენას ვეღარ ბედავენ. ისე, გამოგიტყდებით და, კარგი სურათის გაყიდვა ყოველთვის ჭირდა... დიდი სანაცნობო წრე უნდა გყავდეს, კოლექციონერებთან კონტაქტებიც გჭირდება და უნდა ეცადო, რომ როგორმე სურათი ვინმეს მოაწონო და გაყიდო. შემთხვევითი



**სულხან მერაბიშვილის მიერ შექმნილი ქალბატონი სოფიკოს პორტრეტი**

გამვლელები ჩემთან ნამუშევრებს პრაქტიკულად, არ იძენენ. თუ ყიდულობენ, უმთავრესად 10-20-ლარიანი სურათი უნდათ ხოლმე.

**— გამოდის, რომ დღე შეიძლება, ისე გავიდეს, სურათი ვერც გაყიდოთ?**

— დღე კი არა, შეიძლება, რამდენიმე კვირამაც ისე ჩაიაროს, რომ არც ერთი სურათი არ გაიყიდოს. (*ვსაუბრობდით, ქალბატონი სოფიკოს მოწყობილ გამოფენასთან სამი მამაკაცი რომ შეჩერდა; ძირძველი თბილისელები ჩანდნენ; სურათების ფასები იკითხეს; ლადო გუდიაშვილის ნამუშევრებს დიდხანს უტრიალეს და წავიდნენ. — ავტ.*) ხომ ხედავთ, მათ მაშინვე შენიშნეს ჩემს გამოფენაზე გუდიაშვილის ნამუშევრები და ფასი იკითხეს. ეტყობათ, რომ მხატვრობაში ერკვევიან, მაგრამ უსახსრობის გამო მყიდველები ვერ აღმოჩნდნენ.

**— რა ღირს მათი მოწონებული ნამუშევრები?**

— 500-600 დოლარი. ეს გუდიაშვილის ფანქრით გაკეთებული ჩანახატები გახლავთ, გრაფიკაა, ქალის პორტრეტია — „მუზა“ ჰქვია. არის „მევენახე გოგონები“ და „შოთა რუსთაველის“ პორტრეტიც...

**— ქალბატონისთვის ძნელი არ არის ყოველდღიურად, ნებისმიერ ამინდში აქ დილიდან საღამომდე დგომა?**

— აქ, როგორც სამსახურში, ქარშიც, წვიმაშიც, მზეშიც და ყინვაშიც ყოველდღე ვცხადდები. გამოფენას, შეიძლება ითქვას, რომ 2 საათიდან ვხსნი. 7 საათამდე აქ ვარ და ჩემს ყველა ნაცნობსა თუ მეგობარს აქვე ვიღებ, რადგანაც ყველამ იცის, რომ ჩემი ნახვა დღის ამ მონაკვეთში სწორედ აქ შეიძლება. როგორც ამბობენ — „მესტო ვსტრეჩი იზმენიტ ნელზია“... სიძნელეებზე მკითხეთ. გიპასუხებთ: რა თქმა უნდა, მძიმეა ყოველდღე აქ დგომა, რადგან მარტოს მიწევს სურათების ტარება, სიმძიმის აწევა, ფიზიკური შრომა... ამ პერიოდში შეიძლება, გავცივდე და ავად გავხდე... მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც საინტერესო სამუშაოა. წლების განმავლობაში აქ დგომით საოცარი ფსიქოლოგიც გავხდი; წარმოიდგინეთ, რომ გამვლელებისა და მყიდველების ფსიქოპორტრეტებსაც კი ვადგენ ხოლმე...

**— როგორ?**

— იმის მიხედვით, თუ რომელი სურათი აინტერესებთ. რომ დაილაპარაკებენ და რაღაცას იკითხავენ, ჩემთვის უკვე გასაგები ხდება იმ პიროვნების ინტელექტი, მოთხოვნილება, გემოვნება და ფინანსური საშუალებაც. ბევრი ასეთი პორტრეტი შემიდგენია. ამრიგად, კარგად ვიცნობ ჩემს თანაქალაქელებს...

**— მყიდველებს შორის, ინტელექტუალები ჭარბობენ?**

— ვინც აქ მოდის, ინტელექტუალები და პროფესიონალები არიან... აქვთ დახვეწილი გემოვნება, ზოგჯერ მიკვირს კიდეც, ისეთი. როდესაც საუკეთესო სურათს აირჩევენ, მიხარია, რადგან ვგრძნობ, რომ საქმე კარგ პიროვნებასთან მაქვს. საკუთარი თავისთვის მითქვამს კიდეც: შეხედე, როგორ კარგად ერკვევა-მეთქი!..

**— რომელიმე ახირებულ კლიენტს ხომ არ გაიხსენებთ?**

— ახირებულს მაინცდამაინც ვერ ვიტყვი და რატომ: როგორც გითხარით, ჩემთან ძირითადად, ინტელექტუალები მოდიან და მათგან ახირება თითქმის გამორიცხულია. ასეთ შემთხვევას კი მართლა გავიხსენებ: ერთხელ პარიზიდან ცნობილი კოლექციონერი, გვარად შერემეტიევი ჩამოვიდა. ფრანგულად აღზრდილი, გრაფების შთამომავალი რუსი გახლდათ და რუსულად ცუდად ლაპარაკობდა. ის ჩემთან საუბრისას გაიხსნა, რადგანაც თბილად მივიღე. ჩემგან ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრის — სოსო ძამუკაშვილის სურათები (დაახლოებით 10 ცალი) ძალიან იაფად შეიძინა. აღფრთოვანებული იყო მხატვრის ოსტატობით და შემპირდა, რომ ნამუშევრების შესაძენად კიდევ ჩამოვიდოდა... მაგრამ აღარ ჩამოსულა. ალბათ ომის შემდეგ ცოტათი დაფრთხა... საინტერესო პიროვნება იყო, საოცრად განათლებული. როდესაც ვკითხე, — რუსული სად ისწავლეთ-მეთქი? — მიპასუხა: მე უკვე არავინ დამრჩა საფრანგეთში, რუსული კი ნიკო ბაგრატიონის დეიდამ (რომელიც პარიზში ცხოვრობდა) მასწავლაო (ის ნიკო ბურის და იყო). ამ ინფორმაციის მოსმენამ ძალიან გამახარა, რადგანაც ნიკო ბაგრატიონი ჩემი ახლობელი იყო, რომელიც ნიკო ბურის შვილიშვილი გახლდათ. გრაფისთვის პარიზში სწორედ ამ ნიკოს დეიდას უსწავლებია რუსული. ასე რომ, ზოგჯერ აქ ისეთ საინტერესო ადამიანს ვხვდები, რომ სასიამოვნოდ გაოცებული ვრჩები ხოლმე.

**— თქვენთან ცნობილი ადამიანები თუ მოდიან?**

— მხატვრობაში ძალიან კარგად ერკვევიან და კარგი გემოვნება აქვთ: ივლიანე ხაინდრავას და გია კობახიძეს; მათ ჩემგან სურათებიც უყიდიათ. სხვათა შორის, მხატვრობაში კარგად არიან გათვითცნობიერებული იურისტები. მათ მართლა მაღალი კლასის გემოვნება აქვთ. რამდენიმე იურისტი ჩემთან სწორედ იმის გამო მეგობრობს, რომ იცის, აქ იაფად კარგ სურათს შეიძენს. ესენი ძალიან ცნობილი პიროვნებები არიან და ახლა არ ღირს მათი გვარების დასახელება.

**— სულ ვერავის დაასახელებთ?**

— შემიძლია, ჯემალ გახოკიძის, გურამ ახალაიას დასახელება. ბატონი გურამი საინტერესო პიროვნებაა. ის ფონდ „იავნანას“ აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ ყოფილი პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლებიც შესანიშნავი გემოვნებით გამოირჩევიან. აქვე შემიძლია, აჩიკო გოგელიას დასახელებაც...

**— დაბოლოს: არ მეთანხმებით იმაში, რომ აქ „თბილისური მონმარტრისთვის“ შეუსაბამო ექსტერიერია?**

— რაც უფრო გაუარესდა ცხოვრების პირობები, აქაური ექსტერიერიც გაფუჭდა. ის ესთეტიკა, რომელიც ამ გამოფენას შეესაბამება, ნამდვილად არ არის დაცული... ეს კი მართლაც რომ გულდასაწყვეტია... ■

# პირველობით გამორჩეული აბაშიძეები და დიდი არტისტი, რომელმაც შვილს მის კვალზე დადგომა აღუკვეთა

**„ბოლო 3 წლის განმავლობაში ძალიან უჭირდა — მძიმედ დაავადებული, საწოლს იყო მიჯაჭვული. მამას მე ვუვლიდი და ამ სამმა წელმა განსაკუთრებით დაგვაახლოვა. მიყვებოდა წარსულზე, მეგობრებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე... სახლში ბევრი ლაპარაკი არასოდეს ჰყვარებია, უნდა გამოგეწვია, რაიმე რომ მოეყოლა...“ — ასე იგონებს გამოჩენილ მსახიობს, დაუვიწყარი საეკრანო სახეების შემქმნელს — დოდო აბაშიძეს მისი შვილი, ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე, რომელსაც დიახაც შეუძლია იამაყოს სახელოვანი წინაპრების მრავალრიცხოვნობით...**

*თამუნა კვირკველია*



დოდოს დროს ტარება და ქეიფი უყვარდა

— მამაჩემის მამა, ვანიკო აბაშიძე მსახიობი იყო. რუსთაველის თეატრში მას 15-16 როლი ჰქონდა შესრულებული. ვანიკო სანდრო ახმეტელის მოწაფე გახლდათ, მას ახმეტელი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. 1937 წელს ვანიკო სანდრო ახმეტელთან ერთად დახვრიტეს... ბებიაჩემი, ნინო ანდრონიკაშვილიც მსახიობი იყო. მას დიდხანს არ უმოღვაწია თეატრში: ქმრის დახვრეტის შემდეგ არ აძლევდნენ უფლებას, ემუშავა (მოგვიანებით, მუსკომედიის თეატრში მიიღეს). აღსანიშნავია ისიც, რომ ვანიკო აბაშიძის ბებია — ეფროსინე ყიფიანი-კლდიაშვილისა, პირველი ქართველი პროფესიონალი მსახიობი იყო. მასზე გამოჩენილი ქართველები — აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და სხვები წერდნენ. აკაკი მისი პარტნიორიც იყო სცენაზე. ეფრო დიმიტრი ყიფიანის ძმისწული გახლდათ. მასა და რუსეთის არმიის პოლკოვნიკს — გრიგოლ კლდიაშვილს 6 შვილი ჰყავდათ. ეს პიროვნებები უდავოდ, ღირსი არიან იმისა, რომ მათზე ცალკე შევჩერდეთ. უფროსი — სიმონ კლდიაშვილი პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი იყო, რომლის პროექტითაც დღევანდელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პირველი კორპუსი აიგო. მეორე ვაჟი — ალექსანდრე (საბა) — ცნობილი ქიმიკოსი გახლდათ. საბა ოდესაში მუშაობდა უნივერსიტეტში; 1905 წელს მან დარბევას გადაარჩინა ებრაელთა ოჯახი, რასაც თვითონ შეეწირა: შავრაზმელებმა ხიშტზე წამოაგეს!.. მესამე ვაჟს ანდრეა ერქვა; ის ერთ-ერთი პირველი ელექტროინჟინერი იყო, პურის ელექტროსაცხობი გამოიგონა... ასეთ ცნობილ ოჯახში დაიბადა ბებიაჩემი — ქალბატონი ნუცა. თუ ქუთაისში პატივსაცემი ვინმე ჩამოვიდოდა, აუცილებლად გრიგოლ კლდიაშვილისა და ეფროსინე ყიფიანის ოჯახში მიჰყავდათ.

**— ნამდვილად შესაშური წინაპრები გყოლიათ. ამბობენ, შვილის ძარღვებში 70% დედის სისხლი ჩქეფსო... თუ შეიძლება, დედათქვენზე — ქალბატონ მარინესა და მის წარმომავლობაზეც გვიამბეთ.**

— დედაჩემი მარინე ახვლედიანია. მისი ბაბუა ანუ ჩემი დიდი ბაბუა ცნობილი სამხედრო ექიმი იყო. მან საკუთარი სახსრებით გახსნა ლაზარეთი კურდღელაურში, თელავთან ახლოს და იქ უფასოდ მკურნალობდა ავადმყოფებს. დედაჩემის მამიდა — ცნობილი ქართველი მხატვარი ელენე ახვლედიანი გახლდათ.

**— თუ იცით, როგორ გაიცნო ერთმანეთი თქვენმა დედ-მამამ და რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად, მშობლების ურთიერთობიდან? როგორი მეუღლე იყო ბატონი დოდო?**

— დედა და მამა ერთმანეთს ეროსი მანჯგალაძემ გააცნო 1948 წელს. მაგრამ მხოლოდ 1956 წელს დაქორწინდნენ, ფილმის — „მე ვიტყვი სიმართლეს“ — გადაღების დროს, რომელშიც ორივენი მონაწილეობდნენ. ერთადერთი პრობლემა ჰქონდათ: დოდოს დროს ტარება და ქეიფი უყვარდა, დედა, რასაკვირველია, უკმაყოფილო იყო ამით. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ნაქეიფარი მამა შინ მანქანით მოიყვანეს. იმ დროს მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდით. სანამ მაღლა ამოვიდოდა, მეორე მანქანამ მოაკითხა, რომ ისევ საქეიფოდ წაეყვანა... ამ დროს დედამ დაუძახა ზემოდან: ამოდი, კაცო, ბავშვს 38 აქვს სიცხეო (მე მგულისხმობდა)! მამამ ქვემოდან ამოსძახა: ჩემს შვილს ნორმალური სიცხე 40 უნდა ჰქონდესო! — და წავიდა... ქეიფი უყვარდა და ცნობილი თამადაც იყო, მაგრამ ბევრი ღვინის სმას ერიდებოდა; ლეგენდები დადის, — დოდო აბაშიძე დიდი მსმელი იყოო, მაგრამ ეს ტყუილია.

**— ფილმში — „როცა აყვავდა ნუში“ — დოდო აბაშიძე, შვილის კარიერისთვის ყველაფერზე წამსვლელ გაიძვერას განასახიერებს. თავად ბატონი დოდო როგორი მამა იყო?**

— ჩვენ შორის ექსცესი არასდროს ყოფილა. მამა არასოდეს იტვირთავდა თავს დიდაქტიკური საუბრებით, არასოდეს მარიგებდა ჭკუას. მეც არ ვაძლევდი საამისო საბაბს. ბოლო 3 წლის



ზაზა აბაშიძე ვაჟთან ერთად

განმავლობაში მას ძალიან უჭირდა — მძიმედ დაავადებული, საწოლს იყო მიჯაჭვული. მამას მე ვუვლიდი და ამ სამმა წელმა განსაკუთრებით დაგვაახლოვა. მიყვებოდა წარსულზე, მეგობრებზე, მსახიობებზე, რეჟისორებზე... სახლში ბევრი ლაპარაკი არასოდეს ჰყვარებია, უნდა გამოგეწვია, რაიმე რომ მოეყოლა... შინ როლებზე მუშაობდა, ძალიან ბევრს კითხულობდა. თუ რაიმე არ მოსწონდა, არაფრით მეტყოდა პირდაპირ — უბრალოდ, თავისი ქცევით მიმახვედრებდა, რომ უკმაყოფილო იყო ჩემი საქციელით. არ მახსოვს, მამას ჩემთვის შენიშვნა მოეცეს... ილია ჭავჭავაძის სახელობის, თბილისის 23-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. ეს სკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა ცნობილი პედაგოგებით. ასევე გამორჩეული იყო მოსწავლეთა კონტინგენტით. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან, შემდგომში ბევრი ცნობილი მოღვაწე გამხდარა. სკოლა 1974 წელს დავამთავრე. კარგი სწავლით არ გამოვირჩეოდი. არ მიყვარდა ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა. საშემოდგომოებიც კი მქონია ამ საგნებში...

— **თქვენი საქმიანობა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორობის პერიოდიდან უფრო ცნობილი. მანამდე რა გზა გამოიარეთ?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი მოსკოვში ვსწავლობდი, სახელმწიფო არქივმცოდნეობის ინსტიტუტში. შემდეგ თბილისში დავბრუნდი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა, სპეციალობით — ევროპის ახალი და უახლესი ისტორია, მაგრამ შემდეგ საქართველოს ისტორიის კათედრაზე დავიწყე მუშაობა. ამ კათედრასთან 25 წლის განმავლობაში — 1980-დან 2005 წლამდე ვიყავი დაკავშირებული. კათედრის გამგემ, ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ, იმის გამო, რომ უმაღლესი სხვა სპეციალობით დავამთავრე, მაიძულა, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ოთხი ტომი ჩამებარებინა მისთვის, ასევე — ივ. ჯავახიშვილის და ნ. ბერძენიშვილის ძირითადი ნაშრომები. 1983 წლიდან ვატარებდი სემინარებს, შემდეგ კი ვკითხულობდი ლექციებს საქართველოს ისტორიაში. 1988 წელს ახალი სალექციო კურსის — საქართველოს ეკლესიის ისტორიის კითხვა დავიწყე. ქალბატონმა მარიკამ კომუნისტური რეჟიმის პირობებში პირველად შემოიღო ისტორიის ფაკულტეტზე ეს კურსი... ერთი პერიოდი, საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, ჯერ სამმართველოს უფროსის მოადგილე ვიყავი, შემდეგ — უფროსი. მერე, ერთი წლის განმავლობაში ოქსფორდის უნივერსიტეტში, რელიგიის ისტორიის სფეროში გავდიოდი სტაჟირებას. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად 2005 წელს დამნიშნეს.

— **როგორც ვიცი, მეუღლე თქვენი კოლეგაა...**

— დიახ, ჩემი მეუღლე — ნინო ჩიკვილაძეც ისტორიკოსია, კერძოდ — ეთნოგრაფი. ის ჩემი მოსწავლე იყო სკოლაში და შემდეგ — სტუდენტი. უფროს ქალიშვილს ნუცა ჰქვია, ის 25 წლისაა და დაოჯახებულია. ნუცამ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. კიდევ, 2 ვაჟი მყავს — დათო და სანდრო. დათუნამაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დაამთავრა, ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი; სანდრო ჯერ 10 წლისაა და მეხუთე კლასის მოსწავლეა. ბაბუის კვალს არც ერთი შვილიშვილი არ გაჰყოლია, ვნახოთ, სანდრო რას იზამს.

— **საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში თქვენს მოღვაწეობას თავად როგორ შეაფასებთ?**

— ვფიქრობ, ჩემი მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა შეცდომა იყო... მთავარ მიღწევად კი ის მიმაჩნია, რომ „ქართუ ჯგუფთან“ მოლაპარაკების შედეგად (რომელიც ჯერ კიდევ ჩემს დირექტორობამდე დაიწყო), ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას ბიბლიოთეკაში კაპიტალური რემონტისა და რეკონსტრუქციის შესახებ. დღეს უკვე ამის რეზულტატი მივიღეთ — ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი დამთავრებულია და მისი დიდი დარბაზი თბილისის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ისტორიული შენობების სრული რეკონსტრუქცია მოხდება — ანუ კორპუსებსაც ჩაუტარდება. ერთ-ერთ მიღწევად ისიც მიმაჩნია, რომ მე და ჩემი მოადგილე, ლევან თაქთაქიშვილი მოსკოვში გავემგზავრეთ და დიდი რაოდენობით ლიტერატურა ჩამოვიტანეთ. ამ ყველაფრისთვის 50 ათასი ლარი გამოიყო. საქმე ისაა, რომ მანამდე ბიბლიოთეკას წლების განმავლობაში ასეთი დიდი შევსება არ ჰქონია. ეს ძალიან დიდი შენაძენი იყო ბიბლიოთეკის ფონდებისთვის. ასევე მოხდა ბიბლიოთეკის სტრუქტურული რეორგანიზაცია. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას შეუერთდა ყოფილი წიგნის პალატა. სამწუხაროდ, შემდგომში, ვიღაცების გაუგებარი აჩემების გამო, ეს სტრუქტურა დაშალეს.

— **ბატონო ზაზა, ამჟამად რითი ხართ დაკავებული?**

— საეკლესიო-საენციკლოპედიო ცენტრის ხელმძღვანელი გახლავართ. ამ ცენტრმა „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედია“ უნდა გამოსცეს. სამწუხაროა, რომ უსახსრობის გამო, ამ საქმის სრულყოფილად შესრულება ვერ ხერხდება. შედარებისთვის ერთ ფაქტს მოვიშველიებ: მოსკოვში გამოდის მრავალტომეული — „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“; თითოეული ტომისთვის ნახევარი მილიონი დოლარი გამოიყოფა. ჩვენი ენციკლოპედიისთვის სულ 50 ათასი ლარი გამოიყო, რაც, თავისთავად ცხადია, საკმარისი არ არის.

— **ამჟამად, რამდენად აქტიურად ხართ ჩართული პოლიტიკაში?**

— პარტიული არასდროს ვყოფილვარ. საზოგადოებრივი მოძრაობის — „დაიცავი საქართველო“ მონაწილე გახლავართ.

— **ბავშვობაში არ გიოცნებიათ, მამის პროფესიას დაუფლებოდით, მსახიობი გამხდარიყავით?**



— არა. ერთადერთხელ ვთქვი მამასთან, — თეატრალურში ხომ არ ჩამებარებინა-მეთქი? — და კატეგორიული უარი მივიღე. შემდეგ ამ თემას აღარ დავბრუნებივართ...

— **დოდო აბაშიძის შესრულებული როლებიდან, რომელიმეს განსაკუთრებულად ხომ არ გამოარჩევთ?**

— სოსანას როლი ფილმში — „დიდი მწვანე ველი“ — განსაკუთრებულია; ასევე გამოვარჩევდი „პირველ მერცხალში“ იასონის როლს და „ყვარყვარე თუთაბერში“ — ყვარყვარეს. ყვარყვარე თვითონაც განსაკუთრებით უყვარდა... ■



# ნეკით გადაგდებული 2-ფუთიანი გირისა და „დიდი პედაგოგიური საბჭოს“ ამბავი

**80 წელს გადაბიჯებული ჩვენი სტუმარი ისტორიკოსი გახლავთ, სახელი და გვარიც კი ისტორიული აქვს — ჯუანშერ ჯურხაძე. კინომცოდნე გოგი დოლიძე წერს: „თუ ქუჩასა და საზოგადოებაში ქალსაც მოექცევა კისერი და კაცსაც, დიდსაც და პატარასაც, აქაურსაც და უცხოელსაც, მაშინ უნდა იცოდე, რომ სადღაც, ახლომახლო დგას ჯუანშერ ჯურხაძე ან მოდის იგი მისთვის ჩვეული დინჯი, დარბაისლური, ამპარტავნული ნაბიჯებით, თითქოს შუა საუკუნეებიდან გადმოუტყორცნიაო დროის მანქანას“... ასაკის მიუხედავად, დღესაც მხნედ გამოიყურება — ერთ-ერთი პირველი ჩოხოსანია და სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად, თურმე ყოველდღიურად 4 კილომეტრს ფეხით გადის.**

*ირმა ხარშილაძე*

— მეამაყება, რომ ჯურხა-ძე ანუ ჯურხას ძე ვარ — საუკუნეების წინ ალბათ, ასე წარმოთქვამდნენ ამ გვარს. ქართული ფილმი რომ გადაიღეს და რატომღაც, „ჯურღაის ფარი“ წააწერეს, არასწორია — ხალხურ მწერლობაშიც, ვაჟა-ფშაველასთანაც და ლადო ასათიანთანაც სახელი „ჯურხაა“ მოხსენიებული. ჯუანშერი კი დეიდამ დამარქვა — მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ ერთ-ერთი გმირი მოსწონებია და — მის პატივსაცემად. თანაც, ძალიან ესადაგება გვარს. ჩემი წინაპრები ქუთათურები იყვნენ. პაპაჩემს ღვინის ქარხანა ჰქონია. მამა — დავით ჯურხაძე ქუთაისში ცნობილი პედაგოგი და სკოლის დირექტორი იყო. დედაც, ნინა ობოლაძე მასწავლებელი გახლდათ. მშობლების მსგავსად, მეც პედაგოგობა ავირჩიე, კეთილშობილური საქმეა და იმიტომ. ჩემი მეგობრები „ფულებს“ რომ ატრიალებდნენ, მანქანებს ყიდულობდნენ და გარაჟებს აშენებდნენ, მე სკოლაში საქართველოს ისტორიას ვასწავლიდი. მეუღლე, რუსუდან ნატროშვილიც მასწავლებელია, ოღონდ — ქართული ენისა და ლიტერატურის. მახსოვს, 60-იან წლებში ჩვენს ოჯახზე პრესაში სტატიაც დაიბეჭდა: „დიდი პედაგოგიური საბჭო“ (*იცინის*). ფიზიკურად ძალიან ძლიერი ვიყავი, მაგრამ ჩხუბი არ მიყვარდა. თბილისში, ვერაზე ვარ გაზრდილი, ყველანაირ ხალხთან მქონია საქმე, ქურდთანაც და პროფესორთანაც, მაგრამ არც არავინ გამილახავს და არც არავის დავუჩაგრივარ — იცოდნენ, ვერ მომერეოდნენ (*იცინის*).

— **რომელ სკოლაში სწავლობდით?**

— VII ვაჟთა სკოლა დავამთავრე — ახლანდელი 53-ე საჯარო სკოლა. ჩემს კლასში სწავლობდნენ: მეცნიერი ლაშა ჯანაშია, ვასო გოძიაშვილის შვილი — დათო, ფეხბურთელი ავთო ჭკუასელი... ოთარ მეღვინეთუხუცესიც ჩემი სკოლელია, ოღონდ ჩემზე 3 კლასით უკან იყო. ესენი წესიერი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ხულიგნებიც ხომ გვყავდნენ, სულ მუშტებზე რომ იყურებოდნენ!

— **თქვენ მაინც ვერაფერს გაგიბედავდნენ...**

— ომის შემდგომი წლები იყო და ან ქურდი უნდა ყოფილიყავი, ან მოჩხუბარი — აბა, სხვა გასართობი არაფერი ჰქონდა ხალხს. ერთადერთი, კინოში თუ წახვიდოდი. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, დედამ ტყიბულის რაიონის სოფელ ხრესილში წამიყვანა სასწავლებლად — ხრესილის ომზე ხომ გსმენიათ? სწორედ ჩემს სოფელში მოხდა. სხვათა შორის, იქ ვარ დაბადებული და ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, 40 წელიწადია, არ ვყოფილვარ — დედამ და დეიდამ სოფლის სახლი გაყიდეს და მხოლოდ მოგონებები შემომრჩა. ამას წინათ ჩემი შვილთაშვილი მოვიდა სკოლიდან და ღიმილით მომახარა: იცი, ბაბუა, მასწავლებელმა „ხრესილის ომი“ აგვიხსნაო... მოკლედ, ორი წელი ვისწავლე ხრესილში. მერე მამამ ახალქალაქში წაგვიყვანა ოჯახი — სამხედრო დივიზიის მაღალჩინოსანი იყო, სპეციალური სასწავლებელი დაამთავრა და სამუშაოდ იქ გადაიყვანეს.

— **და-ძმა არ გყავდათ?**

— ერთადერთი შვილი ვიყავი და იმიტომაც გამოვედი ასეთი მაგარი (*იცინის*). 3 წელი ვცხოვრობდით ახალქალაქში, მერე ომიც დამთავრდა და 1945 წელს თბილისში დავბრუნდით. კვლავ ჩემს სკოლაში მივედი. მერვე კლასში უკვე იმდენად მხარბეჭიანი ვიყავი და ულვაშიც მამშვენებდა, რომ მილიციელები მაჩერებდნენ — ჯარის ასაკის ვეგონე და მამოწმებდნენ, სამხედრო სამსახურს ხომ არ ვარიდებდი თავს. ომის პერიოდში ბავშვები ძალიან დაიჩაგრნენ, საჭმელ-სასმელი აკლდათ და უფრო გალეულებიც იყვნენ, მე კი ახალქალაქში ახალ ხორცს ვჭამდი, არც კარაქი მაკლდა და ყოველდღე თხილამურებით დავსრიალებდი, ამან გამაჯანსაღა. 53-ე სკოლაში მასწავლებელი აღარ მიღებდა — ეს კაცი მერვეკლასელებთან როგორ დავსვაო?!. ორი კლასის დამრიგებელმა დედა უარით გამოისტუმრა, მესამეს კი თვითნებურად დავუჯექი კლასში და რაღას იზამდა (*იცინის*)?.. ჩემთვის საამაყო ამბავი მინდა, მოგიყვეთ, სწორედ მერვე კლასში სწავლისას შემემთხვა: ვერაზე, ქურდი ანდოს ეზოში ჩემი თანაკლასელი ბიჭები 2-ფუთიან ანუ 32-კილოგრამიან გირს წააწყდნენ. ჯურხა — კლასელები ასე მეძახდნენ — გირი ხომ გჭირდება, წამო, მოვიპაროთო, — შემომთავაზეს. იმხანად სად იშოვიდი გირს?! ვედროში ვყრიდი ათას ხარახურას და ისე ვვარჯიშობდი. მივედით. უბანში ერთი ღონიერი ბიჭი იყო, დენის ვადაჭკორია, რომელიც იმ გირს თურმე, ორი ხელით

სწევდა. მამაჩემს ნათქვამი ჰქონდა — 2-ფუთიან გირს ნეკით ვწევდიო. ამას არ შევსწრებივარ, მაგრამ ის კი მინახავს, ხელისგულის დარტყმით ლურსმანი რომ გაიყვანა ფიცარში. ისიც ვიცოდი, რომ ქუთაისის სპორტულ კლუბ „შევარდენში“ აქტიურად ვარჯიშობდა, ტატუც კი გაეკეთებინა — ფრთებგაშლილ არწივს ძელი მიჰქონდა. სხვათა შორის, მამა ყოველთვის მიშლიდა ტატუს გაკეთებას და არც არასდროს გამიკეთებია. მოკლედ, ქურდი ანდოს ეზოში მივედი 53-ელების ფალავანი და იქაურობა ვერელი ბიჭებით სავსე დამხვდა. ყველა შემომცქეროდა და რაღას ვიზამდი?! გირი წაქცეული იყო და ნეკით წამოვაყენე, მერე კი ნეკითვე ავწიე და შორს გადავისროლე. არ გჯერათ?

— **ბატონო ჯუანშერ, მგონი, ფანტასტიკის სფეროში შევიჭერით!..**

— ამას ჰგონია, ვატყუებ (*სიცილით მიუბრუნდა ბატონი ჯუანშერი მეუღლეს*)... მამამ ისე გამზარდა, ტყუილს ვერ ვიტან, არც გაზვიადება მიყვარს. ისეთი ღონიერი ვიყავი, შაურიანს (5-კაპიკიანს) ვღუნავდი; ჩემს ნამოწაფრებს კომაროვის სკოლა-ინტერნატიდან დღემდე შენახული აქვთ ის გაღუნული შაურიანები და თუ გინდათ, ჰკითხეთ. ის გირი კი მისმა პატრონმა მაჩუქა, ოღონდ მე კი არ წამომიღია, მონაცვლეობით, ბიჭებს მოჰქონდათ; მომიტანეს სახლამდე და ახლაც შინ მაქვს — ხომ დავიმსახურე (*იცინის*)?! ასე, ნელ-ნელა გავითქვი სახელი არა მარტო ვერაზე, არამედ მთელ თბილისში. სხვადასხვა უბნის ბიჭები საჩხუბრად რომ შეიკრიბებოდნენ, ჩემი უბნელები კი მე წამიყვანდნენ, მოწინაალმდეგეებიდან ვიღაც მაინც მიცნობდა, ჩემთან შერკინებას თავს არიდებდა და ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდებოდა — ბიჭებს ვარიგებდი. ბოლოს „მშვიდობის რაინდიც“ კი მიწოდეს.


კონსტანტინე გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენის“ ჩვენების შემდეგ კოლხურ კოშკში მიმიწვია

— **ნუთუ წონასწორობიდან არაფერს გამოჰყავდით? ნუთუ თუნდაც ბავშვობაში გამეტებით არავისთვის დაგირტყამთ?**

— სხვათა შორის, ძალიან ნერვიული ვარ, მაგრამ თავის მოთოკვა შემიძლია და ამიტომ ვჩანვარ მშვიდი. მამა სულ მარიგებდა — პირველმა არ გაარტყა, ვინმე შემოგაკვდება და დავიღუპებით; რომ გაგარტყამენ, თუ ფეხზე დარჩი, მერე გაარტყიო. ერთხელ რუსთაველის პროსპექტს მოვუყვებოდით ოთხნი; სკოლის მოსწავლეები ვიყავით; შემხვედრად ექვსი მოდიოდა და ერთმა მხარი გამარტყა. ავიჯაგრე. ჩემმა მეგობრებმა, ზანდი (თეიმურაზ) ბოცვაძემ, მსახიობ ზეიკო ბოცვაძის ძმამ და ირაკლი წერეთელმა მითხრეს, ჩვენ გვადროვეო. მოაბრუნეს ის ბიჭები და დასცხეს. ოპერის პირდაპირ წიგნების მაღაზია იყო, ბროლითა და ხის ჩარჩოებით გაწყობილი ვიტრინა ჰქონდა, მის წინ კი ჯიხური იდგა (დღესაც დგას), რომელსაც მივეყრდენი და მშვიდად ვუმზერდი მოჩხუბრებს. ირაკლიმ ნელ-ნელა უკან დაიხია და რომ მომიახლოვდა — ჯუანშერ, მიშველეო, — ამოთქვა (*იცინის*). ორი ნაბიჯით წინ წავიწიე და ერთ-ერთს ისე გავარტყი, ვიტრინაში შევაგდე. ცოცხალი გადარჩა. სიმართლე გითხრათ, მაშინ არ გავბრაზებულვარ, მხოლოდ მეგობარს მივეშველე... მაგალითად, დოდო აბაშიძე საჩხუბარს ეძებდა ხოლმე — რუსთაველზე ზიგზაგებით გადი-გამოდიოდა, ვინმეს შემთხვევით მხარი რომ გაერტყა. ისე, იმ დროს თბილისში ერთ-ერთი პირველი მაგარი გამრტყმელი გახლდათ. ჟორჟიკა იაშვილი იყო კიდევ ძალიან მაგარი. მინდოდა, გავჯიბრებოდი, მაგრამ თქმას ვერ ვუბედავდი — ჩემზე 17 წლით უფროსი გახლდათ... ერთხელ მეგობრებთან ერთად, მატარებლით ვმგზავრობდი. მცხეთაში ცნობილი გოლიათი — სანდრო კანდელაკი დაგვემგზავრა. კუპეში ბიჭებმა ბატონ სანდროსთან ვაჟკაცობა და ძალა შემიქეს. ბატონი სანდროს გაოცება იოლი არ იყო, არადა, ძალიან მინდოდა. უეცრად ზედა თაროს რკინის საბჯენი შევნიშნე, ისე მიემაგრებინათ ვაგონის კედლისთვის, ჩვეულებრივი ადამიანი ვერაფრით მოჰგლეჯდა. ვერ ვისვენებდი და გადავწყვიტე, მეცადა. მივხვდი, კუპეს დაზიანება არ მოეწონებოდა ჩვენს სახელოვან თანამგზავრს, მაგრამ რაკი ძველი და შესაკეთებელი ვაგონი იყო, მე კი ძალიან მინდოდა თავის გამოჩენა, შევგულიანდი, მთელი სულიერი და ფიზიკური ენერგია მოვიკრიბე, დავეჭიდე რკინის საბჯენს, კედელსა და თაროს ავაცალე და ბატონ სანდროს გავუწოდე. აშკარად კმაყოფილმა გამომართვა და ღიმილით მითხრა: ყოჩაღ, ყმაწვილო, კარგია, კარგიო. სანდრო კანდელაკის ეს სიტყვები ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყო... ერთხელაც ორმა მეგობარმა რუსთაველზე, რესტორან „თბილისში“ დამ-


ზვიად სპასალარს მე გავუთქვი სახელი, ზვიად სპასალარმა კი – მე


ჩემი და დოდოს კინოდებიუტი „მაგდანას ლურჯაში“ შედგა

პატიჟა. სუფრას მივუსხედით თუ არა, მალევე გვერდით მაგიდისკენ გაგვექცა თვალი — იქ ცნობილი რუსი გოლიათი, ფალავანი ჟერებცოვი იჯდა, რომელიც იმხანად ცირკის არენაზე გამოდიოდა და მაყურებელს თავისი ძალით აოცებდა: ჩოგბურთის ბურთივით ათამაშებდა 3-ფუთიან გირებს, მაღლა სწევდა საგანგებო ფიცარზე მოთავსებულ ორ ვეებერთელა ბუღას და კიდევ რა ილეთს აღარ ატარებდა!.. როგორც ჩანს, ჟერებცოვმა რესტორანშიც მოისურვა ძალის დემონსტრირება — მაგიდაზე ხელი (ამას მსუბუქად ვამბობ, თორემ ტორს უფრო ვუწოდებდი) დადო და მსურველები მკლავჭიდში საასპარეზოდ გამოიწვია. ერთი ქართველი ოფიცერი შეეჭიდა, მაგრამ რუსმა წამში გადაუწია ხელი. მეგობრები შემომიჩნდნენ — საქართველოს ღირსების საკითხი დგას, უნდა გვასახელოო, — და რაღას ვიზამდი?! ფალავნის მაგიდას მივუახლოვდი თუ არა — სამ არსენ პოიავილსიაო! — შესძახა ჟერებცოვმა: ალბათ სმენოდა არსენა ოძელაშვილის შესახებ. მოკლედ, დაჯდომაც არ მაცალა, ხელში ისე „ჩაიგდო" ჩემი მარჯვენა. ასე ძნელი იყო შეჭიდება, მაგრამ აღარ ვიკადრე პოზიციის გამოსწორება და... წუთში დავუგდე ხელი მაგიდაზე. გაგიჟდა ეს გიგანტი, კიდევ ერთხელ დამეჭიდეო, — მომთხოვა. მეორედაც იგივე რომ განმეორდა, გაოგნებული ჟერებცოვი წამოდგა, გამეცნო და დააყოლა, — 43 წლის კაცი ვარ და ჯერ არავის გადაუწევია ჩემთვის ხელიო; მერე სულ გამაოცა — ცალ მუხლზე დაიჩოქა და ხელზე მეამბორა. მაშინვე წამოვაყენე და გადავეხვიე. მეორე დილით კი დოდო აბაშიძე გადამეხვია: ყოჩაღ, რომ გვასახელეო! იმ საღამოს ჩემი გამარჯვების აღსანიშნავად, კვლავ რესტორან „თბილისს" ვეწვიეთ... ჟერებცოვმა კი შემადარა არსენას, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა ცნობილ ქართველ მხატვარ ალექსანდრე (შურა) ბანძელაძეზე, რომელმაც ჩემი პორტრეტის დახატვა მოინდომა და ძლივს დამიყოლია ერთადერთი არგუმენტით — არსენა ოძელაშვილის ტიპაჟისთვის მჭირდებიო. კარგი დამთხვევა გამოვიდა, არა?.. კინოშიც ბევრს სურდა, გადაველე, მეპატიჟებოდნენ ხშირად. მაგალითად, ჩემი და დოდოს კინოდებიუტი „მაგდანას ლურჯაში" შედგა: მე მჭედლის როლში ვარ, დოდოს კადრები კი მონტაჟის შემდეგ ამოჭრეს. ლანა ღოღობერიძემაც მათამაშა ეპიზოდური როლი ფილმში — „თბილისი 1500 წლისაა"... ყველაზე მნიშვნელოვანი კი ჩემს ცხოვრებაში ზვიად სპასალარის როლი გახლდათ — რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის „დიდოსტატის მარჯვენაში". იცით, რა თქვა ბატონმა ვახტანგმა? — ჯუანშერ ჯურხაძის სპასალარის გარეგნობაში საქართველოს ძლიერება იკითხებაო. როგორია?! პირველმა მე აღვნიშნე, რომ ზვიად სპასალარის პროტოტიპი — მეფე ბაგრატ მესამის სპასალარი, დიდი ვაჟკაცი ზვიად ერისთავია. ხომ ხედავთ, ზვიად სპასალარს მე გავუთქვი სახელი, ზვიად სპასალარმა კი — მე (*იცინის*). „დიდოსტატის მარჯვენის" პირველი სერიის ჩვენებისას დარბაზში მჯდომმა კონსტანტინე გამსახურდიამ ჯერ ჭრიჭინების ჭრიჭინის კადრის გამო გამოხატა მოწონება, შემდეგ იმ მეძებარი ძაღლით დაინტერესდა, რომელსაც ფილმში წამლავენ, — ვისია, არ გაყიდისო?.. ბოლოს კი ზვიად სპასალარის გამოჩენისას შესძახა: იფ, რა მშვენიერი ზვიადია! ვინ არისო? ჩვენების შემდეგ, რა თქმა უნდა, მასთან წარმადგინეს. მერე, ერთხელ კოლხურ კოშკშიც მიმიწვია... საერთოდ, ძალიან კომპლექსიანი ვიყავი და სითამამე მაკლდა, თორემ კიდევ უფრო უკეთ გამოვჩნდებოდი კინოში. მით უმეტეს, კინო გამორჩეულად მიყვარდა და მიყვარს. 30 წლის განმავლობაში თვითონ ვწერდი სცენარებს, ჯერ 8-მილიმეტრიანი, შემდეგ კი 16-მილიმეტრიანი აპარატით ვიღებდი ფილმებს, ვამჟღავნებდი, ვამონტაჟებდი, ვახმოვანებდი, ხმაურებს ვადებდი. მოკლედ, შინ საოჯახო კინოსტუდია მაქვს. 2001 წელს ფესტივალ „თბილისურ აისზე" 1968 წელს გადაღებულ ჩემს ორ ფილმს — „არ გაიხაროს მტერმა ჩვენზედა" და „პროგრესი" — საუკეთესო ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების ნომინაციებში დიპლომები მიანიჭეს. ხედავთ? ამდენი წლის შემდეგ გამიმართლა!.. ბევრი მასალა დამიგროვდა, ძველიც და ახალიც, სცენარიც გავამზადე და ახლა, სპონსორი თუ გამომიჩნდა (ვიდეომონტაჟი დიდ ხარჯებს მოითხოვს) ჯუანშერ ჯურხაძეზე ავტობიოგრაფიული ფილმის გადაღებას ვაპირებ.

**— კი, მაგრამ თუ კინო ასე გიყვარდათ, ისტორიკოსობა რატომღა აირჩიეთ?**

— ოჯახური ტრადიცია არ დავარღვიე. ისე კი ყველაფერი მაინტერესებდა და ყველაფერი გამომდიოდა ხელიდან. 25 წლის განმავლობაში ხმლის ქარქაშებს ვამზადებდი და ვერცხლის, ხისა და ტყავის ძველი ნიმუშების რესტავრაციასაც საუკეთესოდ ვაკეთებდი. ასე კარგად ალბათ, სომხებიც ვერ აკეთებენ (*იცინის*). მერე ეს საქმე მივატოვე: მომბეზრდა, მუშტარიც აღარ არის. ერთ დროს იარაღის საუკეთესო კოლექციაც მქონდა, მაგრამ იძულებული გავხდი, გამეყიდა. სხვათა შორის, სასინჯ გადაღებაზე ყოველთვის საკუთარ ჯაჭვის პერანგს ვიცვამდი. მერე ზურაბ წერეთელი შემომიჩნდა: პარიზში ქართული ეთნოგრაფიული ნივთების გამოფენას ვაწყობ და მომყიდეო. ვიუარე. რამდენჯერმე მომიგზავნა კაცი. ვიეშმაკე და ისეთი ფასი დავადე — 50.000 მანეთი, თვითონ რომ ეთქვა უარი. წარმოგიდგენიათ?! — მეორე დღესვე სულ ტკიცინა ასმანეთიანები ჩამითვალა. არადა, ფული ძალიან გვჭირდებოდა, ცდუნებას ველარ გავუძელი და გავატანე (დაღონდა)... ვხატავდი კიდეც, მაგრამ ნამუშევრებიდან მხოლოდ გიორგი სააკაძის პორტრეტი შემოვინახე — ეს კაცი ჩემთვის, ბავშვობიდან, გმირობისა და ვაჟკაცობის იდეალად იქცა... ახლა პენსიაზე ვარ. „დიდი პედაგოგიური საბჭოს" მეორე უცვლელ და ურთგულეს წევრს, ჩემს მეუღლე რუსუდანს, ქალიშვილ მანანასა და მის ოჯახს შევხარი; ხშირად მსტუმრობენ მეგობრები, მოსწავლეები, განსაკუთრებით ხშირად, თენგიზი მოდიოდა არჩვაძე, მაგრამ ახლა მოსვლას ისე ხშირად ველარ ახერხებს... სიბერე მოვიდა, მაგრამ მაინც არ ვტყდები — სულ ვვარჯიშობ. ხომ იცით, კაცი თუ მოდუნდა, უქმად დაგდებულ რკინასავით დაჟანგდება...

■



„დიდი პედაგოგიური საბჭო"
შთამომავლებთან ერთად

# „სენსაციური მასალის გამო შეიძლება, გარისკო და საფრთხეც შეუქმნა საკუთარ თავს“...



**რუბრიკაში — „კოლეგა“ ამჯერად სტუმრად ტელეკომპანია „საქართველოს“ ჟურნალისტი, ტოქშოუ — „სამხედროს“ წამყვანი კახა ესებუა გახლავთ. კახა თავის პროფესიასა და საქმეზე (რომელსაც დღეს სიამოვნებითა და დიდი ინტერესით ემსახურება), უზომოდ შეყვარებული ადამიანია. სანამ მის ტოქშოუს შევეხებოდით, საუბარი ოდნავ შორიდან დავიწყეთ.**

*ლალი ფაცია*

— სკოლის პერიოდში ტექნიკური საგნები მიზიდავდა, მერე მეთერთმეტე კლასში ჟურნალისტობა გადავწყვიტე და სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლის პარალელურად, ტელეკომპანია „იმედში“ პროექტ „დუბლიორში“ ვმონაწილეობდი. მერე ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტი გახლდით. ორი წლის წინ კი მეგობარმა, გიორგი თუხარელმა, რომელიც უკვე ტელეკომპანია „საქართველოში“ მუშაობდა, იქვე სამსახურის დაწყება შემომთავაზა: ჟურნალისტი სჭირდებათ და ხომ არ წამოხვიდოდიო? იმ პერიოდში ინტენსიურად მუსიკით ვიყავი დაკავებული. ალბათ ვიღაცებს ახსოვთ კიდეც, ჯგუფი „Yellow“. თავიდან ჩვენი ვოკალისტი ნინი შერმადინი იყო, მერე — ლიკა შუბითიძე. მონაწილეობა ბევრ სატელევიზიო შოუში მიგვიღია. მუსიკა ტელეფილმებისთვისაც გვაქვს დაწერილი. სერიოზული გეგმები გვქონდა...

**— გიორგის წინადადებას მაშინვე დათანხმდი?**

— თავიდან დავფიქრდი, რადგანაც სამხედრო სფერო იმ პერიოდისთვის ჩემთვის ცოტა უცხო იყო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ვხვდები, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ტელეკომპანია „საქართველოში“ მუშაობა რომ დავიწყე შეხება მქონდა სამხედროებთან, თავდაცვის სამოქალაქო ოფისთან და ამ საკითხებით ძალიან დავინტერესდი. რა დაგიმალოთ და ამ სფერომ ძალიან გამიტაცა. მერე ჩემი ინტერესები და იდეები გამიჩნდა...

**— დღეს კი უკვე ტელეკომპანია „საქართველოზე“ გიორგი თუხარელთან ერთად, ტოქშოუ — „სამხედრო“ მიგყავს...**

— კი, ასეა. ერთმანეთს ვენაცვლებით: ერთი კვირა მე მიმყავს, მეორე კვირა — მას. გადაცემა ეთერში გასული ზაფხულიდან გადის.

**— ზაფხულში უმეტესად ყველა ტელევიზიაში სატელევიზიო სეზონი იხურება, თქვენ კი ახალი გადაცემა დაიწყეთ.**

— კი, ცოტა უცნაურად მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, დირექტორმა მე და გიორგი დაგვიბარა და გვითხრა, რომ უნდა გაკეთდეს ასეთი გადაცემა, რომლის წამყვანებად თქვენ შეგარჩიეთ და მასზე მუშაობა უნდა დავიწყოთო. ჩვენც დავთანხმდით და საქმეს შევუდექით. ვიცოდით სამხედრო სფეროში არსებული პრობლემატიკის შესახებ: რა აწუხებდათ სამხედროებს, რა აინტერესებდა საზოგადოებას სამხედროებზე; საბოლოოდ, შევჯერდით და დავიწყეთ გადაცემაზე მუშაობა. გიორგი კონკრეტულად უფრო სამხედრო თემებს ამზადებს. მე კი უფრო სამხედრო-სამოქალაქო კუთხით ვმუშაობ.

**— როგორ ფიქრობ, გაამართლა სპონტანურად ეთერში გაჭრილმა ტოქშოუმ?**

— ეს უფრო მაყურებლის შესაფასებელია და პირველ რიგში, ალბათ სამხედროების... თუმცა სამხედროებს, შეიძლება ითქვას, რომ მოსწონთ გადაცემა, რადგანაც ვინც კი მხვდება — მაღალი თანამდებობის პირი იქნება თუ რიგითი, ყველა მეუბნება, რომ გადაცემამ გაამართლა. საკუთარ აზრებსა და იდეებსაც გვთავაზობენ. უკუგება არის და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩვენ მათთვის ვმუშაობთ. ტელეკომპანია „საქართველოსაც“ ხომ ასეთი დევიზი აქვს: „ვემსახურებით მათ, ვინც მსახურობს“...

**— სფეროში, რომელმაც სამუშაოდ ასე მოგმართა და აგანთო, დღესდღეობით რა მდგომარეობაა? განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა ვითარებაა ამ სფეროში ომის შემდეგ?**

— სიახლე არ იქნება იმის თქმა, რომ სამხედრო სფერო ქვეყნის არსებობის ქვაკუთხედია. შეიარაღებული ძალები კი ქვეყნის არსებობის უმთავრესი გარანტი. დღევანდელ სამყაროში არავის აქვს იმის ილუზია, რომ ძალის გარეშე, მხოლოდ გამჭრიახი დიპლომატიით რამე ხდება. ადმირალ ნელსონს (მართალია, ის ჩვენი თანამედროვე არ არის) აქვს ასეთი ფრაზა: „ევროპაში ვერავინ აწარმოებს მოლაპარაკებებს იმაზე უკეთ, ვიდრე ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ფლოტი“. ეს ნიშნავს იმას, რომ დიპლომატია და, რა თქმა უნდა, სხვა სფეროებიც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, მაგრამ თუ მას სამხედრო ძლიერება არ გააჩნია, დღევანდელ მსოფლიოში ანგარიშს არავინ გაგიწევს. რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ჯარს და ჯარისკაცს, მათზე აუგის თქმა ულირსი საქციელია; დღეს სამწუხაროდ ასეთი ფრაზები ხშირად ისმის. არადა, ჯარი და ჯარისკაციც ჩვენი არ არის?! ისინი ხომ ჩვენი ოჯახების უსაფრთხოებას იცავენ. ამიტომ მის ღირსებას პატივი უნდა ვცეთ. საჭიროა, რომ საზოგადოება კიდევ უფრო პატივისცემით მოეკიდოს თავის სამხედროებს, ოფიცრებსა და სამხედრო ხელმძღვანელობას. საერთოდ, სამხედრო საკითხები ძალზე ფაქიზი თემაა და ვინც ამ სფეროში კომპეტენტური არ არის, ნაკლები უნდა ილაპარაკოს.

**— შარშან, ომის დროს სად იყავი, რას საქმიანობდი?**

— სანამ ომი დაიწყებოდა, მოგეხსენებათ, დაძაბული სიტუაცია იყო და იმ ყველაფერს ჩვენი ტელეკომპანიის ეთერით ვაშუქებდით. ომის დაწყებისას ცხელ წერტილში ვიყავით. მხოლოდ მცირედი პაუზები გვქონდა, როცა ჩამოვდიოდით და ისევ უკან ვბრუნდებოდით. როგორც ბევრი სხვა, მე იქ რეპორტიორი გახლდით და ჩვენი ტელევიზიის მაყურებლისთვის ომს ვაშუქებდით... ომი, რა თქმა უნდა, საშინელებაა და ის არავის უნდა, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც მას თავიდან ვერაფრით აიცილებ და უნდა იომო. რაც შეეხება ჟურნალისტური თვალით დანახულ ომს, ეს ჩემი ცხელ წერტილში მუშაობის პირველი გამოცდილება იყო. რა თქმა უნდა, რაღაცები არ ვიცოდი და უფროს კოლეგებს — ვისაც ამის გამოცდილება ჰქონდა, ვეკითხებოდი. შევდიოდით სოფლებში, დაბომბილ სახლებს ვნახულობდით, მოსახლეობას ვესაუბრებოდით... ჩემთვის დაუვიწყარია ის ემოცია, როდესაც ვნახე, მოსახლეობა

თუ როგორი აღფრთოვანებით ხვდებოდა თავის სამხედროებს. ამის შემყურე საოცრად ამაყი ვიყავი. ისინი მათ გულში იხუტებდნენ, ყველანაირად მხარში ედგნენ. ჟურნალისტური თვალსაზრისით, საინტერესოა ცხელ წერტილში მუშაობა, მაგრამ ადამიანური კუთხით, ომში ყოფნას ერთგვარი შიშის მომენტიც ახლავს, მაგრამ ის უნდა დაიძლიო. უნდა გაიხსენო პროფესიული მოვალეობა: რომ შენ იქ უპირველესად ჟურნალისტი ხარ!..

**— დღესდღეობით რამდენად არიან ქართველი ჟურნალისტები მზად იმისთვის, რომ საგანგებო სიტუაციებში იმუშაონ? სწორად იმოქმედონ?**

— ჟურნალისტებისთვის პერიოდულად ტარდება ხოლმე ინსტრუქტაჟები. ახლა რაღაც ინიციატივაც არსებობს, რომ სამხედრო აკადემიაში ექსპერტმა ირაკლი ალადაშვილმა ჟურნალისტებისთვის ლექციები წაიკითხოს... ასევე აუცილებელია უსაფრთხოების საკითხების ცოდნაც.

**— ამ მიმართულებით მაინც რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა?**

— არის ელემენტარული ნორმები: მოგეხსენებათ, რომ კამერას აქვს წითელი სინათლე, ის არ უნდა გამოჩნდეს, მას ზემოდან რაღაც უნდა გადაეკრას, რომ ვთქვათ, სნაიპერისთვის შესამჩნევი არ იყო. ცხელ წერტილში სიგარეტის მოწევა არ შეიძლება... საერთოდ კი, ჟურნალისტის პირად გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, ჩაიგდებს თუ არა ის თავს საფრთხეში. ეს ასევე დამოკიდებულია იმ კომპანიაზეც, რომელთანაც ის თანამშრომლობს. თუმცა სენსაციური მასალის გამო შეიძლება, გარისკოს და საფრთხეც შეუქმნას საკუთარ თავს. პირველ რიგში უნდა ახსოვდეს, რომ არიან ადამიანები, ვისთვისაც ის მუშაობს, ვინც ტელეეკრანებთან სხედან და ცხელი წერტილიდან უახლეს ინფორმაციას ელოდებიან. მან სწორედ მათზე უნდა იფიქროს, რადგანაც ისინი ხომ ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან...

**— თქვენს ტელეკომპანიაში პირველი ტოქშოუ გაჩნდა, რომელიც გიორგი თუხარელთან ერთად შენ მიგყავს. რას განიჭებს ეს?**

— ტელეკომპანია „საქართველოს" ეთერში, ჩვენამდე ერთი ტოქშოუ გიორგი ცხვიტავას მიჰყავდა. ამიტომ ამ მიმართულებით ჩვენ არ ვართ პირველები. ჩემი აზრით, ასეთი გადაცემის არსებობა, თუნდაც სამხედროების სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით, ძალზე მნიშვნელოვანია... ჩემს გადაცემაში მოწვეული სტუმრებიდან ერთი სამხედრო პირია ხოლმე, მეორე — სამოქალაქო. მნიშვნელოვანია, რომ მათ, ექსპერტმა და სამხედრომ ერთმანეთი გაიცნონ, დაახლოვდნენ და ერთმანეთს აზრები გაუზიარონ. პირადად ჩემთვის კი მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ ადამიანებს შორის მედიატორი მე ვარ და ყველანი ერთად ასეთ თემებზე ვსაუბრობთ.

**— შენს ყველაზე საინტერესო გადაცემას ხომ ვერ გაიხსენებ?**

— პირველი გადაცემა მივუძღვენი თემას — ოფიცრის ადგილი საზოგადოებასა და სახელმწიფოში. მასზე მუშაობისას სამუელ ჰანტინქტონის წიგნით — „ჯარისკაცი და სახელმწიფო" ვხელმძღვანელობდი. ამ წიგნს სამხედროების „ბიბლიას" ეძახიან. ის სამაგიდო წიგნია და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებზე ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი გახლავთ, რომელიც თორნიკე შარაშენიძემ თარგმნა. იმ გადაცემაში თორნიკე და ლაშა ბერიძე (მაიორი, ოფიცერი, გაერთიანებული შტაბის განათლებისა და წვრთნების სარდლობის ხელმძღვანელი) მყავდნენ სტუმრად. საინტერესო გადაცემა გამოგვივიდა. ის გადაცემა ერთ-ერთი ნიმუში იყო იმისა, რისი გაკეთებაც მინდოდა: ერთსა და იმავე თემაზე, ერთი და იმავე კომპეტენციით თუ როგორ საუბრობდა ოფიცერი და სამოქალაქო პირი... მას შემდეგ, რაც დასავლურ მოდელზე გადასვლა დავიწყეთ, ჩვენს ჯარში სერჟანტის ახალი კონცეფცია შეიქმნა და გადაცემა ამ საკითხსაც მივუძღვენი. საბჭოთა მოდელი კი სერჟანტს მცირე ფუნქციებს ანიჭებდა. დღეს ყველა სერჟანტს საფუძვლიანი განათლება აქვს, ბევრი დასავლეთში სწავლობდა.

**— როგორ აფასებ დღესდღეობით სამხედროების მდგომარეობას?**

— სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სამხედრო სოციალურად დაცული იყოს, ჰქონდეს შესაბამისი პირობები, რაც თანამედროვე შეიარაღებულ ძალებში მყოფ ჯარისკაცს სჭირდება; მას აქვს ასევე საშუალება, რომ განათლება დასავლეთში მიიღოს, აქვს სოციალური გარანტიები. ამიტომ, მიმაჩნია, რომ საზოგადოებას სამხედროების იმედი უნდა ჰქონდეს. ისინი ხომ ჩვენს ქვეყანას იცავენ?!.

**— ამ დარგისა თუ სფეროს ძირითად ხარვეზად რას მიიჩნევ?**

— პრიორიტეტად გამოცხადებულია განათლება და ამ მოსაზრებას მთლიანად ვიზიარებ. განათლება ზედმეტი არასდროს არის. ჩემი აზრით, განათლება შეგვაძლებინებს იმას, რომ უკეთ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა: განათლებული სამხედრო ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე — გაუნათლებელი. ის კარგად უნდა ერკვეოდეს თავის საქმეში. ამავე დროს უნდა იყოს მორჩილიც, ექვემდებარებოდეს ზემოდან მიღებულ ბრძანებებს. ასე რომ, მორჩილება და კომპეტენცია — ეს სამხედროს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც მას სჭირდება.

**— რას იტყვი კომპანიაზე, რომელშიც მუშაობ?**

— ტელეკომპანია „საქართველო" კარგი ტელევიზიაა, ის ნატოს სტანდარტებით მუშაობს; მართლაც ქვეყანაში უნდა არსებობდეს ასეთი ტელეკომპანია, რომელიც დროს მთლიანად სამხედრო საკითხებს დაუთმობს. ჩვენი ტელეკომპანია აშუქებს ყველაფერ იმას, რაც თავდაცვის სტრუქტურაში სამხედრო კუთხით ხდება; ჩვენთან მზადდება ასევე ისტორიული ფილმებიც. ასე რომ, ვაშუქებთ ყველაფერს, რაც საზოგადოებას სამხედრო საკითხების შესახებ აინტერესებს და რაც თავად სამხედროებს აინტერესებთ. ამიტომ ვცდილობთ, სამხედროებს მივაწოდოთ ყველაფერი ის, რაც მათ აღელვებთ. ტელეკომპანიას საკმაოდ კარგი გეგმები აქვს. გვინდა, რომ გავხდეთ მეტად პოპულარულები. თუმცა ჩვენი ნიშა გვაქვს დაკავებული, კონკურენციას არავის ვუწევთ და შესაბამისად, არც კონკურენტები გვყავს. სპეციფიკური არხია და ასეთივე მაყურებელი ჰყავს. სახელიც მიმაჩნია, რომ სწორად არის შერჩეული; მას „საქართველო" ჰქვია. საქართველო ჩვენი ქვეყანაა და ჯარიც ხომ ქვეყანასთან ასოცირდება...

**— მოდი, ახლა შენს პირად ცხოვრებაზეც გვითხარი რამე. დაოჯახებული ხარ?**

— არა, მაგრამ მყავს შეყვარებული, რომელთანაც სერიოზული ურთიერთობა მაქვს და ალბათ გადავწყვეტთ, როდის დავქორწინდებით...

**— ისე, როგორც გატყობ, სულ საქმეზე ხარ ორიენტირებული და შეყვარებულისთვის როდის იცლი?**

— ვცდილობ, რომ ყველაფერი ერთმანეთთან შევათანხმო. ამისთვის არსებობს თუნდაც შაბათ-კვირა, მაგრამ შეყვარებულიც მიგებს. იცის, რომ ჩემს კარიერასაც უნდა მივხედო და ამისთვის საჭიროა, რომ ვიმუშაო.

**— ვინ არის შენი შეყვარებული?**

— ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს ყოფილი მოდელი. ახლა ისევ აპირებს, მიუბრუნდეს თავის საქმიანობას. ისე, ჯერჯერობით სტუდენტია (მომავალი ეკონომისტი).

**— დროს კიდევ რას უთმობ?**

— თავდაცვის სამინისტროს ჟურნალისთვის სტატიებსაც ვწერ. არის კიდევ რაღაც საქმეები, რომლებითაც დაკავებული ვარ. ასევე მაინტერესებს საგარეო პოლიტიკა. ზოგადად კითხვა მიყვარს. არ არსებობს პერიოდი, რაიმეს რომ არ ვკითხულობდე. ეს ჩემი პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი რამ არის. ■


განათლებული სამხედრო ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე — გაუნათლებელი

# ასაკი და სიყვარული

## დედის ტოლი ცოლი, მამის ტოლი ქმარი და კამათი სიყვარულზე



**ხშირია შემთხვევა, როდესაც ბიჭი ასაკით უფროს ქალზე ქორწინდება და მშობლები ერთ ვაი-უშველებელს ტეხენ, — რას ჰქვია, ჩვენმა შვილმა უფროსი ქალი შეირთოო! მოგეხსენებათ, უფრო მიღებულია, როცა ასაკით უფროსი კაცია, მაგრამ მათ შორის სხვაობა არც იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ ქმარი ცოლს მამად შეეფერებოდეს. სწორედ ამ თემაზე ლაპარაკის სურვილი გაუჩნდა რამდენიმე ჩვენს მკითხველს და ახლა სწორედ მათ ცხოვრებაში ჩაგახედებთ.**

*ლიკა ქაჯაია*

**შარლოტა,** *24 წლის:*

— 18 წლის ვიყავი, როცა 34 წლის კაცი შემიყვარდა. ამ ფაქტმა ჩემი ოჯახის წევრები აღაშფოთა, მაგრამ მათ განვუცხადე: მე ლეოს ცოლად მაინც გავყვები და თუ დამკარგავთ, ეს თქვენს სინდისზე იქნება-მეთქი. დედამ უკან დაიხია, მამა კი შეუვალი იყო. თუმცა, როცა გავთხოვდი, ჩემი ქმარი მანაც გულში ჩაიკრა. პირველი ბარიერი, რომელიც ლეოს შეექმნა, ის იყო, რომ მამაჩემს „მამას“ ვერ დაუძახებდა, რადგან მასზე სულ რამდენიმე წლით უმცროსი გახლდათ. მოკლედ, სასაცილო სიტუაციაში აღმოჩნდა (*იცინის*).

— **და ახლა რას ეძახის?**

— გამოსავალი იპოვა — ივანიჩს ეძახის.

— **ახლა შენ 24 წლის ხარ, ის — 40-ის. ერთმანეთს ისევ კარგად უგებთ?**

— სიმართლე გითხრა, ბევრი რამის დათმობა მიწევს, რათა ჩვენი ურთიერთობა არ გაფუჭდეს. მაგალითად, მას სულაც არ ხიბლავს კინოთეატრებში სიარული, მე კი ქუჩაში გასვლა და სულიერი საზრდოს მიღება ძალიან მინდა.

— **კი, მაგრამ ხომ შეიძლება, კინოთეატრში მის გარეშე წახვიდე?**

— ნურას უკაცრავად, არ მოსწონს, როცა სადმე მარტო მივდივარ. მეუბნება, თუ სადმე წასვლა მოგინდება, მე მითხარი და ამისთვისაც მოვიცლიო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყოველთვის ცდილობს, რაიმე მოიმიზეზოს. 6 წელია, ცოლ-ქმარი ვართ, მაგრამ ერთხელაც არ გასჩენია სურვილი, ჩემთვის სიურპრიზი მოეწყო... ამ ყველაფერს მივეჩვიე და აღარც ვუბრაზდები. საცოდავი, სამსახურში ისე იღლება, რომ სხვა რაღაცების თავი არ აქვს.

— **ეი. მიუხედავად ყველაფრისა, შენი ცხოვრებით კმაყოფილი ხარ?**

— ნუ, როცა გათხოვდები, იმით უნდა დაკმაყოფილდე, რაც იმ ოჯახში დაგხვდება. მეგრელმა ქალმა კახური ქუდი დავიხურე და მოვირგე კიდეც. მთავარია, არ მღალატობს, შვილებსაც არ აკლებს სითბოსა და ყურადღებას.

— **ჰო, მაგრამ ამის სანაცვლოდ საკუთარ მოთხოვნილებებზე უარის თქმა რომ გიწევს...**

— ეგ არაფერი. ბევრ ქართველს აქვს ეს პრობლემა: საკუთარ სიამოვნებაზე უარს ზოგი უსახსრობის, ზოგი დროის ნაკლებობის გამო ამბობს, მე კი სურვილების მოთოკვა მხოლოდ იმიტომ მიწევს, რომ ჩემი ქმარი ასაკოვანი და თან, ძალიან დაკავებულია. სულ სახლში რომ იჯდეს, ალბათ, თავადაც გაუჩნდებოდა სადმე წასვლის სურვილი.

— **შენ გამო ის თუ თმობს რამეს?**

— კი. როცა ვთქვათ, წვეულებაზე ვართ, ისე არასდროს დათვრება, გული რომ მატკინოს. სახლშიც დროულად მოდის ხოლმე. ძმაკაცებს უკვირთ და მეუბნებიან: ეს კაცი ასე როგორ მოარჯულე, ნამდვილი ჩხუბისთავი ბუნჩულა კაცად რომ აქციეო (*იცინის*)?! მოკლედ, ოჯახის შესანარჩუნებლად მსხვერპლი ორივემ გავიღეთ.

**მარინა,** *42 წლის:*

— შვილებო, მამისტოლა კაცს ცოლად არ უნდა გაჰყვეთ. რატომ? შეიძლება, მან სამყარო სხვანაირად დაგანახვოთ და ამით დროებითი ბედნიერება განიცადოთ, მაგრამ წლებს მოაქვს სიბერე, ეჭვიანობა და შეიძლება, ამის გამო ოჯახი ჩემსავით დაგენგრეთ.

— **თქვენი ქმარი თქვენზე რამდენი წლით უფროსია?**

— მას კარგა ხანია, დავშორდი. 20 წლის ვიყავი, როცა 39 წლის კაცს გავყევი ცოლად და როცა ამ ცხოვრების აზრზე მოვედი, აღმოვაჩინე, რომ ჩემი რჩეული ბებერი იყო. არა, გარეგნულად კი არაფერი ეტყობოდა და არც ბევრი ნაოჭი ჰქონდა, მაგრამ ხასიათი აუმჟავდა, ეჭვიანობა დაიწყო, საკუთარ ძმაკაცებსაც კი სხვანაირად უყურებდა და ცდილობდა, სახლიდან არსად გავეშვი. ერთხელ, ეჭვიანობის ნიადაგზე ხელიც კი გამარტყა. 30 წლის ქალს ცხოვრება მიხაროდა, ის კი მბოჭავდა მხოლოდ იმიტომ, რომ გართობის თავი აღარ ჰქონდა და ეგონა, თუ ჩემს ნებაზე ოდნავ მაინც მიმიშვებდა, აუცილებლად ვუღალატებდი.

— **იქნებ, მისი ეჭვი საფუძვლიანი იყო?**

— არ გამოვრიცხავ, რომ დროთა განმავლობაში მისთვის მეღალატა კიდეც, რადგან გარდა იმისა, რომ დაბერდა, არაადამიანურად მექცეოდა. ღალატის შანსიც ბევრჯერ მქონია, მაგრამ ასეთი ნაბიჯი არ გადამიდგამს. მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც მიყვარდა და პატივს ვცემდი. ძალიან რომ არ შევებოჭე, მთელი ცხოვრება მასთან დავრჩებოდი და უსიხარულოდ ვიცხოვრებდი.

— **რატომ დაშორდით?**

— როგორც გითხარით, არაფრის გამო ხელიც კი გამარტყა და ეს ვერ ავიტანე... ერთხელ მეგობართან საქორაოდ მივდიოდი. რომ უნდა წავსულიყავი, 2 დღით ადრე იცოდა. როცა ტანისამოსი გამოვიცვალე და მაკიაჟი გავიკეთე, მკითხა, — სად მიდიხარო? — მაკასთან-მეთქი. — არსადაც არ წახვალ, ბაზარში უნდა წავიდეთ, სურ-

სათი ვიყიდოთო. — კვირაში ერთხელ მაინც ხომ მაქვს უფლება, სადმე გავიდე, ისიც, ცოტა ხნით-მეთქი? — ხმის შემობრუნებას როგორ მიბედავო და ხელი გამარტყა. აბა, მითხარით, მისთვის ეს როგორ უნდა მეპატიებინა? მერე, როცა ვშორდებოდით, მითხრა: იმ დღეს ქვევით, სადარბაზოში ვიღაც კაცი იდგა, ჩვენი ბინისკენ იყურებოდა და მეგონა, შენ გელოდებოდაო. მოკლედ, ბოლოს მოლანდებები დაეწყო.

— **რამდენი შვილი გყავთ?**

— საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, შვილი არ გვეყოლა. როგორც ექიმები მეუბნებოდნენ, ეს ჩემი ქმრის ბრალი იყო, მაგრამ ის ექიმთან მისვლას არ კადრულობდა და დავრჩით ასე, უშვილძიროდ... 6 წელია, რაც ქმარს გავშორდი. 2 წლის წინ თაყვანისმცემელი — ჩემი თანატოლი კაცი გამომიჩნდა და მას ცოლადაც გავყევი. ახლა ბედნიერი ვარ. ის არანაირად არ მბოჭავს და არც მეგობრებთან წასვლას მიკრძალავს.

— **თავიდან ხომ თქვენი პირველი მეუღლეც არაფერში გზღუდავდათ? წლების შემდეგ მეორე ქმარმაც ეჭვიანობა რომ დაიწყოს...**

— (*მაწყვეტინებს*) მწყევლი? არა მგონია, ასე მოხდეს. ჩემი ქმარი ჩემივე ასაკისაა და ვიდრე თავი ჯერ კიდევ ახალგაზრდებად მიგვაჩნია, ერთად ვერთობით, ურთიერთს ვენდობით, მერე კი სიბერეც ერთდროულად მოგვიკაკუნებს და როცა ის დაბერდება, ჩემზე ვერ იეჭვიანებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეც ბებერი ვიქნები (*იცინის*)... ვიდრე მე და ჩემს პირველ ქმარს ასაკობრივი სხვაობა ძალიან შეგვეტყობოდა, კარგად ვცხოვრობდით, მერე კი, როცა თავად დაძაბუნდა, ეჭვიანობა დაიწყო და ცდილობდა, მეც დავებეჩავებინე. არ გამოუვიდა!.. უთავმოყვარეო რომ არ ვყოფილიყავი, მამის ტოლ კაცს ცოლად არ გავყვებოდი. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე მამაჩემზე 5 წლით უმცროსი იყო.

— **თქვენმა მშობლებმა არ გააპროტესტეს, ცოლად მას რომ მიჰყვებოდით?**

— გააპროტესტეს რომელია, მაგრამ ჯიუტ ქალიშვილთან ვერაფერს გახდნენ (*იცინის*). საოცრად თავნება ვიყავი და მათ არ დავუჯერე. ჰოდა, ისე დამემართა, როგორც დედის წინ მორბენალ კვიცს — მგელმა არა, მაგრამ ბებერმა კაცმა შემ-ჭა-მა (*იცინის*). ასე რომ, გოგონებო, ჩემს საქციელს ნუ გაიმეორებთ, ნურავის შეაჭმევინებთ თავს...

**მამუკა,** *34 წლის:*

— თინეიჯერულ ასაკში, ჩემი თანატოლებისგან განსხვავებით, ასაკოვანი ქალები არ მომწონდა, მაგრამ როცა მათ ამ გატაცებამ გადაუარათ, მე გავგიჟდი. თანაც, ერთი ქალის სიყვარულმა ისე გამაგიჟა, რომ ის ცოლადაც შევირთე.

— **თქვენ შორის სხვაობა რამდენი წელია?**

— ის ჩემზე 14 წლით უფროსი იყო...

— **და აღარ არის?**

— ჩემ გვერდით არაა, თორემ ისე ძველებურად, მშვენივრად გამოიყურება.

— **თავის დროზე მან რითი მოგხიბლა?**

— თავისი ქალურობით. 20 წლის ვიყავი, როცა გავიცანი. მადონა მართლაც, ქალღმერთივით გამოიყურებოდა და თაყვანისმცემლებიც ბუზებივით ეხვეოდნენ, მაგრამ რატომღაც, მე ამომარჩია. ჩვენ თავდავიწყებით შეგვიყვარდა ერთმანეთი. იმ პერიოდში სტუდენტი გახლდით. როცა ჩემებმა მადონას არსებობის შესახებ შეიტყვეს, ჩემი დაფინანსება შეწყვიტეს. ეგონათ, ის ჩემთან მხოლოდ ფულის გამო იყო და ასე თუ ჩამომაშორებდნენ, მაგრამ მწარედ შეცდნენ — საყვარელმა ქალმა სწორედ ამის შემდეგ შემომთავაზა: შენები, ფაქტია, ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგ წავლენ. გირჩევ, წახვიდე და დამივიწყო, მე მართლა ბოზი კი არ ვარო. ის მართლა ძალიან მიყვარდა, მის დაკარგვას ვერ გადავიტანდი და ამიტომაც, ვუთხარი: შენთან ერთად მინდა და შენი სახლიდან ფეხსაც არ გავადგამ მანამ, ვიდრე თავად არ გამაგდებ-მეთქი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მადონა ცოლად მოვიყვანე, მაგრამ ჩვენს ქორწილს მისი მეგობრებისა და რამდენიმე ნათესავის გარდა, არავინ დასწრებია. არა მარტო მშობლებმა, არამედ ძმაკაცებმაც ვერ გამიგეს. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან საყვარელი ქალი გვერდით მყავდა.

— **და ეს ბედნიერება რამდენ ხანს გაგრძელდა?**

— სხვათა შორის, საკმაოდ დიდხანს — 9 წელიწადს და მთელი ამ დროის მანძილზე მშობლები ახლოსაც არ მიკარებდნენ, არც ჩემმა დამ მიმიღო. მართალია, სიძეს ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ აშკარა იყო, ჩემთან ურთიერთობა მასაც არ ეპიტნავებოდა. თითქოს, სულ რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ მეუბნებოდა, ერიდებოდა. ახლობელი ადამიანები მხოლოდ მას შემდეგ დავიბრუნე, რაც მადონას დავშორდი.

— **ცოლს რატომ დაშორდი?**

— სამსახურის დაწყების სურვილი რომ გამიჩნდა, მითხრა: — რას ამბობ, შენ თითს როგორ გაგანძრევინებ, მე რისთვის გყავარო?.. მადონას მშვენიერი სამსახური და კიდევ უფრო მშვენიერი ანაზღაურება აქვს. მის ხარჯზე ცხოვრებას მივეჩვიე და ბევრმა ფულმა „გამაფუჭა“ კიდეც — ქალებში დავიწყე სიარული, სმასაც მოვუმატე. ერთხელ ვიღაც ჭორიკანამ შეატყობინა, გღალატობსო და ეს ვერაფრით მაპატია, შინიდან მომისროლა. სხვა გზა არ მქონდა და სახლში წავედი. მშობლებმა მიმიღეს, მაგრამ იმ პირობით, რომ იმ ქალის გამო მათ არასდროს მივატოვებდი.

— **მადონა შენთან დაბრუნებას არც ცდილობდა?**

— როგორ არა, ბევრჯერ დამირეკა, მაგრამ ვერ ვაპატიე, სახლიდან ძაღლივით რომ გამომაგდო. თან, მივხვდი, რომ დრო იყო, საკუთარი ცხოვრებისთვის მიმეხედა. მშობლიურ სახლში დაბრუნების შემდეგ სულ სხვა საფიქრალი გამიჩნდა — წლების განმავლობაში ჩემი მშობლები დაბერებულიყვნენ, საოცრად მოტეხილები მომეჩვენნენ. ამასთან, ძმაკაცებმა როგორც კი გაიგეს, ცოლს გაშორდაო, შინ მომაკითხეს და გახარებულებმა გულში ჩამიკრეს: თქმას ვერ გიბედავდით, მაგრამ ის საშენო ქალი არ იყო და მის გვერდით რომ გხედავდით, გული გვტკიოდაო. ყველაზე პირდაპირი ჩემი სიძე აღმოჩნდა, რომელმაც მადონას ცხოვრების შესახებ ბევრი ისეთი რამ მიამბო, რომ მასზე შთაბეჭდილება საერ-



თოდ დამეკარგა. ის კი არა, სიძეს ვუსაყვედურე: ამდენი რამ თუ იცოდი, ადრე როგორ არ მითხარი-მეთქი?.. ისე, რომც ეთქვა, ცოლის სიყვარულით ისე ვიყავი დაბრმავებული, ამას არც დავიჯერებდი და სიძესაც სამუდამოდ შევიძულებდი.

**— ასეთი რა გითხრა?**

— ისეთი რამ, რაც მხოლოდ მადონას პირადი საქმეა, მისი ცხოვრებაა და ყველაფრის აფიშირება საჭიროდ არ მიმაჩნია... უბრალოდ, მასთან დაშორების შემდეგ მივხვდი, რომ მთელი 9 წელი ოქროს გალიაში გავატარე და საუკეთესო დრო ტყუილად დავკარგე.

**— ახლა შეყვარებული გყავს?**

— ერთი ულამაზესი გოგო შემიყვარდა, მაგრამ მან ჩემი ცხოვრების შესახებ ყველაფერი იცის და ამის გამო თავს მარიდებს. იმედია, ჩემი შეცდომის პატიებას შეძლებს. ბოლოს და ბოლოს, ერთი შეცდომა ხომ ყველას გვეპატიება!

**— ანუ შენი და მადონას ქორწინება შეცდომად მიგაჩნია?**

— რა თქმა უნდა, უდიდესი შეცდომა იყო ცოლად ისეთი ქალის მოყვანა, რომელიც ასაკით არ შემეფერებოდა. მას შვილი არ ჰყავდა და ჩემზე საკუთარი პირმშოსავით ზრუნავდა — მაჭმევდა, მასმევდა, მაცმევდა. განსხვავება ის იყო, რომ მე ქმრის მოვალეობასაც ვასრულებდი. ეს ყველაფერი ამაზრზენია!

*ჩემი რესპონდენტების სასიყვარულო ამბების მოსმენის შემდეგ გადავწყვიტე, სატელეფონი გამოკითხვა ჩამეტარებინა და გამერკვია, რას ფიქრობს ამ თემასთან დაკავშირებით საზოგადოება. გამოკითხულთა უმეტესობამ, მამისტოლა და დედისტოლა ადამიანთან ურთიერთობა გააპროტესტა და ამას უზნეობა უწოდა, ხოლო ზოგმა აღნიშნა, რომ დღეს მსგავსი რამ არავის უკვირს და რომ ყველას თავისი ცხოვრება აქვს.*

**გიო,** *19 წლის:*

— XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და ისევ კომუნისტური აზრები გვაწუხებს. რა პრობლემაა, რამდენიმე წლით უფროსი გოგო რომ შევირთო ცოლად? ეს დედაჩემმა რატომ უნდა გააპროტესტოს? ბოლოს და ბოლოს, ის ჩემი ცოლი იქნება, ჩემი ოჯახის წევრების კი არა.

**— რასაც ახლა მე მეუბნები, ეს დედაშენთანაც ნათქვამი გაქვს?**

— რა თქმა უნდა და ის უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ შეიძლება, შინ ასაკოვანი ქალი მივუყვანო. თუმცა, ამას ჯერჯერობით, არ ვაპირებ. შეყვარებული არ მყავს და არ ვიცი, მომავალში ვინ ან როგორ შემიყვარდება.

**— ისე, შენს ყურადღებას უმეტესად, რა ასაკის ქალები იქცევენ?**

— ჩემი ასაკის გოგონები დიდად არ მომწონს. 2-3 წლით უფროსი ქალები უფრო მომწონს. ისინი თითქოს, მეტად ჩამოყალიბებულები არიან და თინეიჯერი გოგონებივით არ ცანცარებენ.

**— შენზე 10 წლით უფროს ქალს თუ შეირთავდი?**

— თუ შემიყვარდება, არც დავფიქრდები. 10 წელი ბევრს არაფერს ნიშნავს. აი, 20 წელი სხვაობა კი მეტისმეტია, ასეთ ასაკოვან ქალს ვერც გავუგებ.

**სალი,** *21 წლის:*

— რა სისულელეა! რატომ უნდა გავყვე ცოლად 10 წლით უფროსს? რა, ასეთი მახინჯი ვარ? ის რომ დაბერდება, მე ისევ ახალგაზრდა ვიქნები და მერე რომ ვუღალატო, არ შეეშინდება? ღმერთმა დამიფაროს ასეთი საქციელისგან. ჩემი ქმარი ჩემზე მაქსიმუმ, 5 წლით უფროსი უნდა იყოს.

**— შენზე პატარას თუ გაჰყვები ცოლად?**

— ნუ, თუ ჩვენ შორის სხვაობა თვეები ან 1 წელი იქნება, არც კი დავფიქრდები, მაგრამ 2-3 წლით უმცროსს არაფრით გავყვები — ბავშვი გამოვზარდო, თანაც — უფასოდ, ტვინგამოლეული ძიძა კი არ ვარ...

**ზაზა,** *42 წლის:*

— ჩემმა შვილმა ლამის ჩემხელა ქალი რომ შეირთოს, სახლში არ შემოვუშვებ. რა იყო, გოგონები დაილია ქვეყანაზე? მირჩევნია, თავისი ასაკისთვის შესაფერისი და მახინჯი გოგო შეირთოს, ვიდრე ლამაზი, მაგრამ ბებრუხანა.

**— თქვენ ბებერი ხართ?**

— 20-25 წლის გოგოსთვის, წესით, ბებერი უნდა ვიყო.

**— ამ ასაკში 20 წლის გოგონას შერთვის შანსი რომ მოგეცეთ, უარს იტყვით?**

— გინდა, ოჯახი დამენგრეს?

**— რას ბრძანებთ, ეს რატომ უნდა მინდოდეს? უბრალოდ, კითხვა დაგისვით.**

— რა თქმა უნდა, ოჯახს არავის გამო არ დავანგრევ!

**— ოჯახი რომ არ გქონდეთ შექმნილი, ასეთ პატარა გოგოს ცოლად მოიყვანდით?**

— (*იცინის*) გულახდილად გიპასუხო?

**— კარგი იქნება.**

— თუ გოგოს ჭკუა არ ექნებოდა და ჩემზე უარს არ იტყოდა, რა თქმა უნდა, მოვიყვანდი. წიწილის ხორცი ყველას მოსწონს.

**— ჰოდა, ალბათ, ასაკოვან ქალებსაც მოსწონთ ყვინჩილების ხორცი...**

— გასაგებია, მაგრამ ეს მიუღებელია. ქალმა თავისი ადგილი უნდა იცოდეს.

**— და მამაკაცს თავისი ადგილის ცოდნა არ მოეთხოვება?**

— მამაკაცი სუსტი ნებისყოფისაა და თუ ქალმა წინააღმდეგობა არ გაუწია, მახეში ადვილად ებმება. მოკლედ, მანდილოსნები ეშმაკზე ოდნავ ადრე დაიბადეთ და ამიტომაც მიიჩნევით მაცდუნებლებად (*იცინის*).

**გიზო,** *35 წლის:*

— ნუ, ასაკით დიდი ქალები მეც მომწონს, მაგრამ 10 წლით უფროსს ცოლად ვერ მოვიყვან, ქვეყნის სასაცილო ვერ გავხდები. ისედაც, რა სასიამოვნოა, 35 წლის კაცს სახლში 50 წლის ქალი რომ გეყოლება? რა, დედის მაგივრობა უნდა გაგიწიოს? ბებერ ცოლს ვერაფრით შევეგუები. მე ახლა სისხლი მიჩქებს და თავში რაც მომივა, იმას ვაკეთებ, ჩამოყალიბებული ქალი კი ვერაფრით გამიგებს. თუ გამიგო, მაშინ დარტყმული იქნება. ის კი არა, ჩემი ასაკის ქალებიც მობერებულები არიან ბუნებაში ხეტიალისა და აქტიური გართობისათვის, შედარებით პატარებს კი, ჩემი არ იყოს, ხიბლავთ მთა-მთა ძრომიალი.

**— ე.ი. ასაკით უმცროსი გოგონას შერთვას აპირებ?**

— რა თქმა უნდა!

**— და შენი რჩეული მაქსიმუმ, რამდენი წლის უნდა იყოს?**

— ის მაქსიმუმ, ჩემზე 10 წლით უმცროსი უნდა იყოს. უფრო პატარა რომ შევირთო, მისი გაზრდა მომიწევს, ამის ნერვები და დრო კი ნამდვილად არ მაქვს. გვერდით ისეთი ქალი მჭირდება, რომელიც სახლის პრობლემებს ისე მოაგვარებს, რომ ამას არც გამაგებინებს, მე კი მას კაცურ საქმეებს არ მივაკარებ და მატერიალურადაც უზრუნველვყოფ. ისე, მაგარი რეკლამა გავიკეთე და იმედია, ჩემი გაცნობის სურვილიც ბევრს გაუჩნდება (*იცინის*).

**მანანა,** *50 წლის:*

— ეს მკრეხელობაა. არ მესმის, შვილისტოლა ბიჭს სხვანაირად როგორ უნდა შევხედო? ვაი, ჩვენი ცოდვა, ამ სერიალებმა ხალხი სულ გარყვნა.

**— ვიდრე ქართულ არხებზე სერიალები გავიდოდა, მსგავსი ამბები ჩვენთან არ ხდებოდა?**

— ყოველ შემთხვევაში, ისეთი გარყვნილება არ იყო, როგორიც ახლაა.

**— მაგრამ ბევრი ისეთი შემთხვევა ვიცი, როცა გოგონებს გარიგებით ძალიან ასაკოვან, არა მარტო მამისტოლა, არამედ ბაბუისტოლა კაცებზეც ათხოვებდნენ...**

— მსგავსი რამ ჩემს საახლობლოში რომ მომხდარიყო, ამას აუცილებლად გავაპროტესტებდი. ვის გაუგონია ახალგაზრდა სისხლის ბებერთან შერწყმა? ასეთი ოჯახი მყარი ვერ იქნება. სხვა თუ არაფერი, მოხუცი ეჭვიანობას დაიწყებს ახალგაზრდა ცოლზე, ცოლი კი აუცილებლად გააპარებს თვალს ახალგაზრდა მამაკაცისკენ და მას ვერც გაამტყუნებ. ■

# წვეთი პოეზია



## სამეფოს სიმღერა

ქალო, გნახე ფეხშიშველა,
გადაჰგოგდი ეზოშია;
გენაცვალე – ჯაჯაბს ჰგვანდი,
მოსეირნეს ფერდობშია.
ვისი ძუძუ გიწოვნია,
იისა თუ ვარდისაო!
გენაცვალე, შავ-თვალწარბავ,
გულო ჩემის დარდისაო!
გამიგონე, სად მირბიხარ,
შე უჯიშოს გვარისაო?!
შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა, –
სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;
ერთხელ კიდევ დამენახვე,
ღმერთი დედას გიცოცხლებსა!..

*ვაჟა-ფშაველა*

### პატარა ლექსიკონი

ბოლო დროს გახშირდა ერთ სიტყვად ორ-ორი სიტყვის გაერთიანება, მაგალითად:

**სხვათაშორის, არცერთი, არამარტო.**

არადა, სწორი ფორმებია:

**სხვათა შორის**

**არც ერთი**

**არა მარტო**

# მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

**დასაწყისი იხ. „გზა“ №40-41**

ვაჟა საღამოს ცხრა საათისთვის დაბრუნდა. ისევ რესტორანში დამპატიჟა, მაგრამ უარი ვუთხარი. ნომერში ამოვატანინეთ ვახშამი და მერე გვიანობამდე ვუყურებდით ტელევიზორს.

...ეს ფილმი რამდენჯერმე მქონდა ნანახი და ისიც ვიცოდი, რომ მალე ეროტიკული სცენა დაიწყებოდა. როგორც ჩანს, ვაჟამაც იცოდა. ხელით მჭიდროდ მიმიკრა მკერდზე და როცა კი ეკრანზე ინტიმური სცენის კულმინაცია მოახლოვდა, იმავეს გამეორება სცადა. კოცნისას კიდევ არა მიშავდა, თითქოს მეც ავყევი, მაგრამ როგორც კი უფრო შორს წავიდა საქმე, ისევ გამოვფხიზლდი და ისევ უაზრობად მომეჩვენა ყველაფერი. ისიც შევამჩნიე, რომ ვაჟა გამოცდაზე გასული თინეიჯერივით დაძაბულ-აღელვებული იყო, ამიტომ ჩემი ტყუილი უფრო შორს წავიდა და თავად რომ გამიკვირდა, ისე გავითამაშე კმაყოფილი ქალის როლი, მაგრამ კაცს არც ამან უშველა და როცა თავი დამანება, მივხვდი, ისევ ვერ მაქცია ქალად...

უფრო მეტიც, შევამჩნიე, რომ პიჯაკის გულის ჯიბიდან რაღაც აბები ამოიღო და დალია. მძიმედ სუნთქავდა.

— გული ხომ არ გაქვს ცუდად?! — დავფრთხი მე.

„ეგლა მაკლია, „სასწრაფოს“ გამოძახება დამჭირდეს ან უფრო უარესი — ზედ დამაკვდეს და ქვეყნის სალაპარაკო გავხდე!“ — გავიფიქრე და მივხვდი, რომ ჩემს სიყვარულს მისდამი წყალი შეუდგა...

— არა, კარგად ვარ! — მიპასუხა და თვალი ამარიდა. მერე გვერდით მომიწვა და ჩამეხუტა. — მიყვარხარ და არ შემიძლია ჩვეულებრივი, რიგითი ქალივით მოგექცე! — თავის მართლებასავით გამოუვიდა.

ლოყაზე ვაკოცე. თითქოს ამით ვცადე მისი დამშვიდება და, წინა ღამისგან განსხვავებით, უცებ დამეძინა...

ცხრა საათი იყო, ვაჟამ რომ გამაღვიძა:

— ნაშუადღევს აუცილებლად ქალაქში უნდა ვიყო, საღამოს უცხოელ სტუმრებს ველოდებით. დროა, წავიდეთ...

— თუ არ გეწყინება, მე კიდევ დავრჩები, ორი-სამი დღე! — უცებ მივიღე გადაწყვეტილება.

— რაიმე ხომ არ გეწყინა?! — შეშფოთდა ვაჟა და საწოლზე ჩამომიჯდა. ჩემკენ მოვიზიდე და რაკი ერთხელ უკვე ვიკადრე, მორიგი ტყუილი აღარ გამჭირვებია:

— იცი, როგორ მიყვარხარ? — ჩავჩურჩულე ყურში. მერე ალერსში ავიყოლე და როცა ისევ სცადა, დამუფლებოდა, უკვე შევაჩერე:

— არა, რა!.. არ შემიძლია... ტკივილის შიშს ვერ მოვერიე. მაპატიე...

დამემორჩილა. მერე მკითხა:

— აქ რა უნდა აკეთო მარტომ?

— რა ვიცი. ზღვა აქაა და ადამიანები ისედაც არ მაინტერესებენ...

— კარგი, დაგტოვებ. ოღონდ ბარემ შაბათამდე დარჩი და მერე მე ჩამოგაკითხავ წასაყვანად. აბა, „მარშრუტკით“ ხომ არ იჩაქჩაქებ...

— სიხარულით და უცნაურის მოლოდინით დაგელოდები! — გავუღიმე მრავალმნიშვნელოვნად და მიმიხვდა:

— პირობას გაძლევ — ტკივილს სიამოვნებად გიქცევ...

ერთად ვისაუზმეთ და როცა ვაჟა გავაცილე, მივხვდი, შვებით ამოვისუნთქე. სიყალბემ დამღალა და გამაღიზიანა, თუმცა მასზე ფიქრი კარგა ხანს ვერ მოვიცილე და რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს ნაფიქრი სულაც არ იყო სასიამოვნო. უფრო მეტიც: მივხვდი, ვაჟა ჩემში „მოკვდა“ და როგორც მამაკაცი, მე ის აღარ მაინტერესებდა: რაღაცნაირად გაცვეთილი და, სხვა პრობლემებთან ერთად, გულის „ფრიალის“ გამო წამლებზე დამოკიდებული. ამის გამო მებრალებოდა კიდეც. მაგრამ როგორც მეგობარს, ადვილად ვერ გავიმეტებდი და უნდა მეფიქრა იმ ოქროს შუალედზე, რომელიც ჩვენს ურთიერთობას ტკივილს აარიდებდა.

...კარგა ხანს ვიხეტიალე სანაპიროზე და პატარა კაფეში მივირთვი ყავა, რომელსაც ზღვისპირეთში ყოველთვის განსხვავებულად გემრიელი არომატი აქვს. ხალხი ბევრი არ იყო და ეს მსიამოვნებდა...

სასტუმროში მიბრუნებამდე ისევ პლაჟზე გავედი და მზის ჩასვლას ვუცქირე. მერე ფეხით დავუყევი ნაპირს და მოხუც მეთევზეს გადავაწყდი, რომელმაც ძლივს ამოათრია ნავი წყლიდან. მიხმარება ვცადე და არ დამანება:

— არა, ბაბუ, არ ქნა მაგი... ნავს რომ ვეღარ მოვერევი, მოვმკვდარვარ და ეგაა! — მერე დაკვირვებით შემომხედა. — აქოურს არ გავხარ. ქართულად რომ არ დამლაპარიკებოდი, რუსი მეგონებოდა და გული დამწყდებოდა.

— რატომ? არ გიყვართ რუსები? — გამეღიმა.

— არც მძულს, მარა რეიზა უნდა მიყვარდეს?! თან, ყველა ლამაზი ქალი მაგენის ხო არ უნდა იყოს... რუსი ქალი რაც უფრო ლამაზია, მით უფრო ადვილად იღებს ნამუსზე ხელს და არც უნამუსო დედაკაცები მიყვარს! — მოხუცმა გულის ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი და თუთუნის ქისა ამოიღო. გულდაგულ შეახვია. ნავზე ჩამოჯდა და ხარბად გააბოლა. ხველება აუტყდა:

— მკლავს და მაინც ვერ ვეშობი...

— ოქროს თევზი თუ დაგიჭერია, ბაბუ?.. — ვკითხე რატომღაც.

— რამდენიც გინდა! — ეშმაკუნები ჩაუსახლდა თვალებში.

— მატყუებთ?! — არ დავუჯერე, რა თქმა უნდა.

— ოქროს თევზი რომ არ დამეჭირა, 92 წლის კაცი მარტვა გავბედავდი ზღვაში შესვლას?!..

— არც ეგ მჯერა. დიდი-დიდი, 70 წლის იყოთ.

— ოქროს თევზის საჩუქარია ჯანის სიმრთელე, ჩემი 7 შვილი და სამჯერ მეტი ბადიში. ჩემი ბებერი ქალის სიყვარული და კარგად ყოფნობაც! — ისევ თვალებით იცინოდა მოხუცი. თუთუნის მოწევას რომ მორჩა, ნავიდან ვედრო ამოიღო. ყველაზე დიდ თევზს დასწვდა. ჯერ ისევ ცოცხალი იყო. გამომიწოდა:

— გაჩუქებ, აფერი არ მინდა შენი...

უკან დავიწიე:

— ვერ მოვკიდებ ხელს, მეშინია, თანაც, სასტუმროში ვცხოვრობ...

— რამფერები ხართ ახლანდელები! — არ ესიამოვნა ჩემი პასუხი. — ტაფაზე დაბრაწულს ხომ კარგად მიირთმევთ... წამო, აპა, ჩემთან, სტუმრად და მეგვემსახურება ჩემი ბებერი...

თავაზიანად ვუთხარი უარი და დავემშვიდობე.

— რა გქვია? — დაინტერესდა რატომღაც.

— ეკა...

— ეკატერინე... კაი სახელია და კაი გვარიშვილიც იქნები, იმფერი ჯიშიანი ხარ! — ისე შემავლო თვალი, მივხვდი, ბოლომდე კაცად დარჩენილიყო. შიგნიდან ასხივებდა მისი ვაჟკაცური ბუნება... ეჰ, ახლანდელი კაცები ახლოსაც ვერ მივლენ ძველი თაობის ვაჟკაცებთან...

ნომერში შესულმა, პირველ რიგში, ვახშამი შევუკვეთე და სანამ ამომიტანდნენ, შხაპის მიღება გადავწყვიტე.

ის იყო, სააბაზანოდან გამოვედი, მოკლე ხალათითა და თმაზე პირსახოცმოხვეული, რომ კარზე დააკაკუნეს. მაშინვე გავაღე და როცა ნაცნობმა ოფიციანტმა შემომცინა, ვიგრძენი — ვწითლდებოდი...

გაეღიმა.

— მაპატიეთ... დარწმუნებული ვიყავი, ქალი იქნებოდა...

უსიტყვოდ შემოაგორა გორგოლაჭი და სუფრის გაშლა დაიწყო.

— არ დამეწვევით? — შევთავაზე რატომღაც.

— ახლა არ მცალია! — ისე უბრალოდ მიპასუხა, თითქოს ჩვეულებრივი რამ შემეთავაზებინა. — დაახლოებით ორ საათში მოვრჩები საქმეს და შემიძლია, სასმელიც ამოვიტანო...

— რომ არ ვსვამ?! — მხრები ავიჩეჩე.

— რატომ არ დამირეკე? — მოულოდნელად მკითხა პირდაპირ და არც მე „დამიჭერია პოზა“,

— ყვავილებისთვის — მადლობა... სხვათა შორის, მინდვრის ყვავილები მიყვარს მხოლოდ და თითქოს იცოდი...

— მე ყვავილებს ვადარებ ქალებს და შენ ის ყვავილები მომაგონე!

არ მალიზიანებდა ის, რომ დისტანციის დაჭერას აღარ ცდილა და მივხვდი, რომ ეს ბიჭიც საკუთარი თავის „საჩუქრად“ მინდოდა.

— დაგელოდები! — ვუთხარი მოკლედ.

გამიღიმა. ნაბიჯი უკან გადადგა, მერე შებრუნდა და კარს მიუახლოვდა.

— რა გქვია?

— ნიკა.

... ვივახშმე და ტელევიზორი ჩავრთე, თან საწოლში ჩავწექი, მინდოდა დაღლილობის შეგრძნება საბოლოოდ მომეხსნა.

... ნიკამ 2 კი არა, ღამის 3 საათი დააგვიანა. ისიც ვიფიქრე, რომ მოსვლა გადაიფიქრა და თავს გამოვუტყდი — გული დამწყდა...

— საქმეს ვერ მოვრჩი დროზე! — მითხრა, როცა ბოლოს და ბოლოს, ჩემამდე მოაღწია. — შამპანური მოიტანა, ხილიც და ტკბილეულიც. უნიფორმაც გაეხადა და ისევ ჯინსი ეცვა.

— ის კაცი სადაა, შენთან ერთად რომ იყო?! — მაინც დაიზღვია რაღაცისგან თავი.

— ის კაცი არც ქმარია ჩემი და არც საყვარელი. ასე რომ, შიშის საფუძველი არ გაქვს... საერთო საქმე გვაქვს. იმას ეჩქარებოდა, მე კი თავს კიდევ რამდენიმე დღით დარჩენის უფლება მივეცი. შაბათს ჩამომაკითხავს წასაყვანად და მაშინ ნამდვილად არ მინდა ჩემ სიახლოვეს გაჭაჭანდე...

— ამაღამ დამტოვებ შენთან? — მკითხა უეცრად.

არ დავიბენი, სიტყვა ბანზე ავუგდე:

— მერე, სახლში არ გაგიბრაზდებიან? ჩემი ირონია „გაატარა“:

— მე თბილისელი ვარ. აქ არავინ მყავს. ცოტა ხნით გამორიდება მჭირდებოდა და რადგან უცხო ქალაქში უფულოდ ვერ ვიარსებებდი, სამსახური დავიწყე.

— თბილისში რა გადაგხდა?

— ისეთი არაფერი, მაგრამ უნდა დავმალულიყავი... დანარჩენს ნუ მკითხავ, რა...

— იქნება კრიმინალი ხარ და შენთან განმარტოება საშიშია!?. — ავიჩეჩე მხრები.

— მართლა გეშინია? — შემომხედა გაოცებულმა.

წამიერად ჩავფიქრდი, მაგრამ ვერანაირი შიში ვერ განვიცადე:

— შენ წარმოიდგინე, წამითაც არ შემშინებია. თანაც, არც მე ვაპირებ ჩემ შესახებ რაიმე ინფორმაციის მოცემას. თბილისში რომ ვიყოთ, არც მოახლოების უფლებას მოგცემდი. ჩვენი ურთიერთობა აქ დამთავრდება, ალბათ...

— შეიძლება! — არ შემეწინააღმდეგა ბიჭი და სუფრა ხელახლა გააწყო. შამპანურიც გახსნა და ბოკალი მომაწოდა: — შემთხვევითობას გაუმარჯოს, ჩვენი შეხვედრის შემთხვევითობას!..

— და ახდენილ სიზმრებს! — დავამატე, რადგან ისევ სიზმრისეული ინკასატორი გამახსენდა.

ბუშტუკებმა ცხვირში მომილუტუნა. ბევრი ვერ დავლიე.

— ნიკა, რამდენი წლის ხარ?! — ვკითხე. თუმცა ეჭვიც არ შემპარვია, რომ ჩემზე უმცროსი იქნებოდა.

— ოცდაოთხის! — მითხრა და ლამაზად დაჭრილი ხილით სავსე თეფში დადგა განიერი ტახტის ბოლოში, რომლის ერთ მხარეზე მაღალ ბალიშებზე ნახევრად წამოწოლილი ვიყავი...

ჯინსის პიჯაკი გაიხადა და მაისურში კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა მისი სხეულის კონტურები. ხელით ვანიშნე, გვერდით მომჯდომოდა.

არც ეს გაჰკვირვებია.

ხილი ჯერ მე ჩამიდო პირში და მერე თავადაც გემრიელად ჩაკბიჩა ატმის ნაჭერი.

— რას უყურებ? — გახედა ტელევიზორს.

— შენ გიყურებ მხოლოდ! — ვუთხარი გამომწვევად და გაეცინა:

— ე.ი. ჩემი ბრალი არაფერი იქნება?..

— რა თქმა უნდა! მე რომ არ მნდომოდა, ცხვირსაც ვერ შემოყოფდი ჩემს ოთახში! — ვუთხარი და სინათლის ამომრთველს მივწვდი... ახლა მხოლოდ ტელევიზორის ეკრანი ასხივებდა მოცისფრო შუქს.

ნიკამ ხილის თეფში მაგიდაზე გადადო, მერე მაისური გაიხადა...

მკერდზე ხელი დავუსვი და ისეთი რამ განვიცადე, რაც ვაჟასთან არ მიგრძნია: სიგიჟემდე მომინდა, ერთ სხეულად ვქცეულიყავით...

ხალათის ერთადერთი ღილი გამიხსნა და ისე მომისრისა ძუძუსთავი, დავიკვნესე...

მერე რა იყო, ამის სიტყვებით გადმოცემა არ შემიძლია; გონება აღარ მემორჩილებოდა და რატომღაც, ზღვაში ჩამავალ მზედ წარმოვიდგინე თავი, თითქოს ნებიერად ვირხეოდი საოცრად თბილ და მშვიდ ტალღებზე...

— შენ რა, ქალწული იყავი?! — გაკვირვებული დამცქეროდა ბიჭი ზემოდან.

— ჰო... ასე მოხდა... ახლა უცებ გადავწყვიტე, რომ ასე გაგრძელება სისულელე იქნებოდა... ჰოდა, გმადლობთ, რომ საკუთარი თავისთვის ასეთი საჩუქარი გამაკეთებინე.

— გიჟი ხარ! — რაღაცნაირად, აღფრთოვანებული მიცქერდა ბიჭი — რამდენი წლის ხარ?

— ოცდაათის გავხდი გუშინწინ! — უყოყმანოდ ვუპასუხე.

დაუსტვინა:

— ასეთი ტემპერამენტის პატრონი 30 წელი რამ გაგაჩერა კაცის გარეშე?!. უამრავი ქალი მყოლია და ასეთი სიამოვნება თითქმის არც ერთთან არ მიმიღია! — შემომხედა კმაყოფილმა.

ავდექი და სააბაზანოში გავედი.

სიმართლე ვთქვა, აღარც მეგონა, თუ ქალწულად დავრჩი ვაჟასთან გატარებული ორი ღამის შემდეგ და ის, რაც ნიკასთან მოხდა, ჩემთვისაც მოულოდნელობა იყო. შეიძლება ითქვას — სასიამოვნო მოულოდნელობა...

ნიკა კმაყოფილი ღიმილით მიცქერდა.

— რა იყო? — ვკითხე დაბნეულმა.

— ახლა უკვე ვიცი, რომ ადვილად ვერ შეგელევი და ყველაფერს გავაკეთებ, შენ გვერდით დარჩენის უფლება რომ მომცე... მოდი ჩემთან! — გაშალა ხელები და უარი არ მითქვამს...

მერე, უცოდველი ბავშვის ძილს მივეცი თავი და არც სიზმრებს შევუწუხებივარ. თვალი რომ გავახილე, უკვე გათენებული იყო. ნიკა საწოლთან ახლოს, დედიშობილა იდგა და რატომღაც, გავიფიქრე, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდა: მამაკაცს, რაც უნდა სრულყოფილი სხეული ჰქონდეს, ვერ იტყვი, ლამაზიაო...

შემდეგ შევამჩნიე, რომ ხელში ჩემი ტელეფონი ეჭირა და ნომერს კრებდა. არ მესიამოვნა. არ მიყვარს, როცა ჩემს ტელეფონს ეხებიან და ეს ჩემმა ახლობლებმა იციან. მეგონა, სხვასთან რეკავდა, მაგრამ როცა წამიერად განათებული მეორე ტელეფონის ეკრანს დახედა, მივხვდი — თავის ნომერზე გაუშვა ზარი, რომ ჩემი ნომერი შეენახა. იმწამსვე ჩემმა ტელეფონმა დარეკა და როცა ბიჭმა ჩემკენ გამოიხედა და თვალგახელილი დამინახა, უხერხულად გაიღიმა:

— გირეკავენ... ■

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**






**ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით**
*gza.fantazia@gmail.com*

**დასაწყისი**
**იხ. „გზა“ №37-41**

## გოჩა მანველიძე

— ძმა?! — სუნთქვა შეეკრა გოგას.

— ჰო... ძმა... — ყრუდ ჩაილაპარაკა თამარმა.

— როგორ... როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ?!

— ადამიანის ბარბაროსობას საზღვარი არა ჰქონია. ჩვენ არასოდეს დაგაშორებდით ერთმანეთს. მაგრამ როცა ვახტანგმა ამის შესახებ შეიტყო, უკვე გვიანი იყო. შენი ტყუპისცალი უკვე წაყვანილი ჰყავდა სხვა ოჯახს. ვხვდებოდით, რა საშინელებასთანაც გვქონდა საქმე, მაგრამ რა უნდა გვეღონა?! სამშობიაროში პირდაპირ გვითხრეს: თუ გინდათ, დატოვეთ, სხვა ოჯახი იშვილებსო!.. როგორ... როგორ უნდა დავთანხმებოდი ამას?! როგორ უნდა დამეთმო უმწეო ახალშობილი, რომელიც უკვე საკუთარ შვილად მიმაჩნდა... ეს საშინელება ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა, მაგრამ მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს. საშინელი იყო იმის წარმოდგენა, რომ სადღაც, შეიძლება შორს, შესაძლოა, თბილისშიც ცხოვრობდა შენი ტყუპისცალი... შენი ძმა, შენი სისხლი და ხორცი, და ჩვენ არაფერი ვიცოდით მის ყოფაზე!.. ეს ცოდვა იყო, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევდა. შენ ყველაფერი იყავი ჩემთვისა და ვახტანგისთვის, ის შუქურა, რომელსაც ნათელი შემოჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში. იმის წარმოდგენაც კი გვიჭირდა, თუ რა მოხდებოდა, იმ ოჯახს, შენი ძმა კი არა, შენ რომ წაეყვანე!.. ვახტანგმა რამდენჯერმე სცადა შენი ძმის მოძებნა. იმედი ჰქონდა, რომ ასე მაინც გამოვისყიდდით თქვენ წინაშე ჩადენილ დანაშაულს. მაგრამ ვერ მოახერხა. სამშობიაროში ის ოჯახი არ მიასწავლეს. თვითონაც არ უნდოდათ ამ ამბის გახმაურება, ჩვენც გვეშინოდა — არ ვიცოდით, როგორ მიიღებდით შენ და შენი ძმა რეალობას. მერე კი გადავწყვიტეთ, მოგვეცადა, დრო მოგვეცა თქვენთვის, ვიდრე გაიზრდებოდით და სხვა თვალით შეხედავდით მომხდარს. მაგრამ არ დაგვცალდა... ვისაც ვეძებდით, თვითონ მოგვაკითხა!..

— მოგვაკითხა?! რისი თქმა გინდა, დედა?!

— ზოგისთვის ცოდვა — ტვირთია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ატაროს, ვისთვის კი — ხარკი, რომელიც სიცოცხლეშივე უნდა გადაიხადოს!.. ჩვენთვისაც ასე ყოფილა დადგენილი: განგებამ საკუთარი სიცოცხლით გვაზღვევინა ახალგაზრდობაში ჩადენილი ცოდვა!.. — თამარმა თვალები დახუჭა და ისე განაგრძო ლაპარაკი: — ამბობენ, ადამიანი წინასწარ გრძნობს უბედურების მოახლოებასო!.. მე კი იმ დილით არაფერი მიგრძნია. ყველაფერი ისე იყო, როგორც წინა დღეებში... როგორც ერთი კვირის, ერთი თვის წინ. შენ სამსახურში წახვედი. ვახტანგი არ ჩქარობდა. შუადღისთვის აპირებდა სახლიდან გასვლას. ამ დროს კარზე ზარი დარეკეს. სამზერიდან გავიხედე და შენ დაგინახე. ვიფიქრე: რაღაც დარჩა და ამიტომ მობრუნდა-მეთქი. მაგრამ კარი გავაღე თუ არა, გაოგნებული გავშეშდი — ვერ მივხვდი, ვინ იდგა ჩემ წინაშე, შენ თუ ვიღაც სხვა. გარეგნობით ძალიან გგავდა... გგავდა კი არა, შენი ორეული, სარკის ანარეკლი იყო: იგივე აღნაგობა, თმის, თვალების ფერი... ხალიც კი!.. მაგრამ ერთი რამ ძალიან განასხვავებდა შენგან — გამოხედვა!.. არასოდეს მინახავს ასეთი ცივი, ბოროტებითა და ზიზღით აღსავსე თვალები...

— ვინა ხარ? — ვკითხე შეშინებულმა. მეტის თქმა ვერ მოვასწარი. სიტყვა დამთავრებულიც არ მქონდა, სახეში გამარტყა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ წავიქეცი, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. ხმაურზე დერეფანში ვახტანგი გამოვარდა. შენი ორეული მზად დახვდა. პისტოლეტი სახეში დაუმიზნა და თქვა: ხმას თუ ამოიღებ, ორივეს დაგხოცავთო!.. არა მგონია, ვახტანგს მისი სიტყვები გაეგონოს. მუქარაზე მეტად, მისმა სახემ დაზაფრა. ვგრძნობდი, რომ ჩემსავით გაოგნებული იყო.

— ეს ბებერი ბოზი აქედან გაათრიე და დივანზე დაეგდეთ! — ყინულივით ცივი ხმით ბრძანა.

ვახტანგი ჩემთან მოვიდა, ფეხზე წამომაყენა და სასტუმრო ოთახში შემიყვანა. ის ბიჭი უკან მოგვყვა. თან პისტოლეტის ლულას არ გვაშორებდა.

— ხატი! — მოკლედ წამოისროლა, სასტუმრო ოთახში შემოსვლისას.

მაშინ კი მივხვდით, რომ ყაჩაღთან გვქონდა საქმე.

ვახტანგმა ხელით ანიშნა საპირისპირო კედლისკენ, სადაც ხატი ეკიდა. ყაჩაღმა იქით გაიხედა და ადგილზე გაქვავდა. ამჯერად მისი გაოცების ჯერი დადგა: იმავე კედელზე ხომ შენი სურათიც ეკიდა!.. — თამარმა ისევ მოსვა წყალი და ლაპარაკი განაგრძო: — სურათმა ისე გააოცა, რომ მცირე ხნით საერთოდ, დავავიწყდით. ზურგი შეგვაქცია, სურათს მიუახლოვდა, ყურადღებით დააკვირდა, მერე კი სწრაფად შემობრუნდა და გვკითხა: ეს ვინ არისო?

— ჩვენი შვილი, — უპასუხა ვახტანგმა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ პასუხმა არნახულად გააშმაგა:

— ტყუი!.. არ შეიძლება, ეს თქვენი შვილი იყოს!..

— დამშვიდდი... ყველაფერს აგიხსნით, — უპასუხა ვახტანგმა.

— რას ამიხსნი?! რა გაქვს საერთოდ, სათქმელი?! თქვენი დედაც!.. — იყვირა მოულოდნელად, მერე კი ადგილს მოსწყდა, ვახტანგი დივანზე წააქცია და პისტოლეტის ტარი რამდენჯერმე სახეში ჩაარტყა. ვახტანგს ცხვირიდან სისხლი წასკდა. მაინც არ შესწინააღმდეგებია. ისევ უმეორებდა: დამშვიდდი, ყველაფერს აგიხსნიო!.. ის კი არ უსმენდა. გააფთრებული გაიძახოდა: ჯერ თქვენ დაგხოცავთ, მერე კი იმ ნაბიჭვრებსაც მივხედავო!.. ამას განუწყვეტლივ იმეორებდა და ცემას აგრძელებდა. მე ველარ შევძელი ამის ატანა, მხრებში ჩავაფრინდი და უკან მივიზიდე, რომ ვახტანგისთვის მომეშორებინა. ის სწრაფად შემობრუნდა და მთელი ძალით გამარტყა სახეში. თავის შეკავება ველარ შევძელი და დივნიდან იატაკზე გადმოვვარდი. ამ დროს უცნაური ხმა ჩამესმა: მოგუდული ხმა იყო, თითქოს ძალიან ფრთხილად დოლს

შემოჰკრესო... გაჭირვებით ავწიე თავი და ვახტანგს გავხედე. ის გაოცებული შესცქეროდა იმ ბიჭს, მკერდზე კი წითელი ლაქა აჩნდა, რომელიც სწრაფად ფართოვდებოდა... მერე მე გამომხედა... ჩვენი თვალები წამით შეხვდა ერთმანეთს. რა არ ამოვიკითხე მის მზერაში: ტკივილი... თანაგრძნობა... გაოცება... ტუჩებს ამოძრავებდა. ვერაფერი თქვა, მაგრამ ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რომ ჩემი სახელის თქმას ცდილობდა... მერე კი... ყველაფერი ერთ წამში დამთავრდა. ვახტანგი უეცრად მოეშვა, ცალი ხელი ჩამოუვარდა... ხელს სწრაფად ჩამოჰყვა სისხლის ნაკადი, რომელიც იატაკზე თანდათან გუბედ დადგა... ამის მერე აღარაფერი მახსოვს: თვალთ დამიბნელდა და გონი დავკარგე... ექიმი ხარ და ჩემზე კარგად უნდა იცოდე, გრძნობს რამეს უგონოდ მყოფი ადამიანი თუ — არა. ადრე მეგონა, ვერაფერს გრძნობდა — გონება გაითიშებოდა და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი, სამყაროს ვეღარ აღიქვამდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. ის, რომ ადამიანი ხმას არ გცემს, სულაც არ ნიშნავს, რომ ვერაფერს გრძნობს. ტანჯვა... ესაა ერთადერთი სიტყვა, რომლითაც ამ მდგომარეობის გადმოცემა შეიძლება... გონება ერთიმეორის მიყოლებით აცოცხლებდა წარსულის სურათებს. ვხედავდი იმასაც, რაც მართლა მოხდა და იმასაც, რაზეც მხოლოდ მიფიქრია: დედაშენს, რომელიც მშობიარობისას დაიღუპა; მამაშენს, რომელიც ხარბად ითვლიდა შვილების გაყიდვისას აღებულ ფულს... შენ და შენს ძმას, რომლებსაც ერთმანეთს აშორებდნენ... დროდადრო ამ სურათებს შენი ბავშვობა ენაცვლებოდა... ის დღეები, რომლებიც მე, შენ და ვახტანგს ერთად გაგვიტარებია. შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მაგრამ ყველა ხილვა ერთი და იმავე სურათით მთავრდებოდა: ვახტანგი წევს დივანზე, მკერდზე წითელი ლაქა აქვს, მის მკლავზე კი სისხლის ნაკადული მოედინება და იატაკზე გუბდება... და თვალები... ნაცნობი სახე და — აქამდე უცნობი თვალები... შენი სახე, ნაცნობი და საყვარელი, რომელშიც ბოროტებით მომზირალი თვალები „ჩაუსვამთ“!.. ეს საშინელებაა. არ შემიძლია და ვერც შევძლებ ამით ცხოვრებას. მე და მამაშენმა ბედისწერის შეცვლა ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა და აი, საზღაურიც...

— დედა, თქვენ ცუდი არაფერი ჩაგიდენიათ, — მძიმედ თქვა გოგამ, — თავს ნუ იტანჯავ... იბრძოლე... მამისგან მიტოვებული, შენც არ მიმატოვო!

— ეს განწმენდაა, გოგა. ჩემი ცხოვრება ორად იყო გაყოფილი: შენამდე და — შენ შემდეგ. წლები ველოდი იმ დღეს, როდესაც საშუალება მომეცემოდა, ჩემი შვილი მკერდში ჩამეკრა და მერე, კიდევ წლები — იმ დღეს, როდესაც შენთვის სიმართლის თქმას შევძლებდი. ეს ყველაფერი უკვე მოხდა, — ჩაილაპარაკა თამარმა და თვალები დახუჭა.

— დედა!.. — გოგა ფრთხილად შეეხო ლოყაზე.

თამარს თვალები არ გაუხელია. მძიმედ ასწია ხელი, თმაზე მოეფერა და თქვა:

— ვიცი, რომ შენთვის ძალიან მძიმე იყო ამის მოსმენა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. სიმართლეს სამარეში ვერ ჩავიყოლებდი. შენ ყველაფერი უნდა გცოდნოდა. ეს უბედურება ჩვენს ოჯახში შენთვის ყველაზე ახლობელმა ადამიანმა შემოიტანა, მაგრამ მტრად ნუ მოეკიდები. მუდამ გახსოვდეს, თქვენ ერთმა დედამ გშობათ, ერთნაირები მოევლინეთ ამ ქვეყანას და თუ ის მკვლელად იქცა, მხოლოდ გარემოს ბრალია და არა მისი. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: პირობა მომეცი, რომ დევნას არ დაუწყებ, ნურც პოლიციას მოუყვები ამის შესახებ. იმასაც დამპირდი, რომ თვითონ მოძებნი და ძმობას შესთავაზებ...

— რაა?! — დაიბნა გოგა. — ძმობა შევთავაზო ადამიანს, რომელმაც ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია?!

— არა... ძმას! — შეუსწორა თამარმა. — დღეს შენ უბედურად გრძნობ თავს, მაგრამ იფიქრე იმაზე, თუ რაოდენ უბედური უნდა ყოფილიყო ის, როდესაც მკვლელად ყალიბდებოდა!

— არა, ამას ვერ შევძლებ!.. — სწრაფად თქვა გოგამ.

— მისი სიკვდილი ან დაპატიმრება შვებას ვერ მოგანიჭებს, შვილო. ამ ტკივილს ვეღარსად გაექცევი და რაც უფრო მეტი დრო გავა, უფრო და უფრო ცუდად იგრძნობ თავს. გთხოვ, მომეცი პირობა, რომ არაფერს დაუშავებ. ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა!

გოგა დიდხანს დუმდა. მერე მძიმედ ჩაილაპარაკა:

— გპირდები.

— გმადლობ... — ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა თამარმა.

„რატომ? რატომ? რატომ?.. — გოგას სწრაფად გაუელვა გონებაში. — რატომ მოვატყუე? მე ხომ ვერ შევძლებ ამ პირობის შესრულებას! მთელი ცხოვრების მანძილზე არ მომიტყუებია და ახლა ვატყუებ, — მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად უჭირს! როგორ უნდა მივილო ძმად არაკაცი, რომელმაც ამდენი ტკივილი მოგვაყენა?!. მაგრამ რატომ უნდა მომხდარიყო ეს? თუ ასე ვგავართ ერთმანეთს, რატომ გახდა ის მკვლელი? მხოლოდ გარემოა ამაში დამნაშავე?! — საკუთარ თავს ჰკითხა გოგამ. მერე კი თავად უპასუხა: — რაში მაინტერესებს, რა გარემოში აღიზარდა და რატომ იქცა მკვლელად?! იმ არაკაცმა მამა მომიკლა და დედის მოკვლასაც ცდილობდა. ის მტერია... მოსისხლე მტერი, რომელსაც პირველივე შეხვედრისას, გველივით უნდა გავუსრისო თავი!..“

პალატაში წყვეტილი სიგნალი გაისმა. გოგამ თავი ასწია და სარეანიმაციო აპარატურას გახედა. თამარის წნევისა და პულსის მაჩვენებლები სწრაფად ეცემოდა.

— დედა!.. — გოგა სწრაფად დაიხარა საწოლისკენ და ოდნავ შეაჯანჯღარა თამარი. მაგრამ მას ხმა არ გაუცია. აპარატიდან გაბმული სიგნალი გაისმა.

— ექიმი!.. — მთელი ხმით იყვირა გოგამ და კარისკენ გაიქცა.



გიორგი დერეფანში ბოლთას სცემდა, როცა რეანიმაციულ განყოფილებაში ხმაური ატყდა. მალე რამდენიმე ექიმიც გამოჩნდა. მათ სირბილით ჩაუარეს გვერდით და კარს მიღმა მიიმალნენ.

— რა მოხდა? — გიორგი სწრაფად მიუახლოვდა კართან მდგომ სანიტარს.

— ეეჰ, — უპასუხა მან, — რამდენი წელია, აქ ვმუშაობ და მაინც ვერ შევეჩვიე: ქალი კვდება.

— კილაძე?! — სუნთქვა

შეეკრა გიორგის.

— რამედ ხომ არ გეკუთვნის? — თანაგრძნობით შეხედა სანიტარმა.

— შემიშვი! — კარის სახელურს წაეტანა გიორგი. მაგრამ სანიტარი სწრაფად გადაუდგა წინ და შეაჩერა. გიორგიმ ჯიბიდან პირადობის მოწმობა ამოიღო.

— ქალაქის სამმართველოს გამომძიებელი ვარ!

— ჰოდა, ეგ საბუთი იქ გამოიყენეთ. აქ კი რეანიმაციაა და ექიმების მეტს ვერავის შევუშვებ!

— ის მაინც გამიგე, გადარჩება ის ქალი თუ არა? — სთხოვა გიორგიმ.

— გაგიგებ, მაგრამ მოგვიანებით. ხომ ხედავ, რა ხდება! ვის სცალია ახლა ჩემთვის?! — უპასუხა სანიტარმა და კარი დაკეტა.

გიორგი კარგა ხანს ელოდა სანიტრის გამოჩენას. მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე რეანიმაციიდან არავინ გამოსულა. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და კარს მიადგა, სანიტარი რომ გამოეძახებინა. ამ დროს რეანიმაციიდან გოგა და მორიგე ექიმი გამოვიდნენ. გოგას სახე გაჰფითრებოდა, თვალები ჩასწითლებოდა და ფეხარეული მოდიოდა... მათ გამომძიებელს უხმოდ ჩაუარეს და საორდინატოროში შევიდნენ. ცოტა ხანში კი რეანიმაციიდან სანიტარმა გამოაბიჯა.

— უკვე იცი? — ჰკითხა გიორგის.

— გარდაიცვალა?

— გარდაიცვალა, — ამოიოხრა სანიტარმა, — ამდენ ხანს იბრძოლა და მაინც ვერ მოერია სიკვდილს. ეჰ, რა ხდება ქვეყანაზე: ცხოვრობდა ხალხი თავისთვის, არავის არაფერს უშავებდა და ვიღაც არაკაცმა მთელი ოჯახი მოსპო... რად უნდა ასეთს სასამართლო?! სახალხოდ უნდა ჩაქოლო, რომ სხვამაც არ გაიმეოროს იგივე!..

მაგრამ გიორგი სანიტარს აღარ უსმენდა. ვიდრე ის სიტყვას დაამთავრებდა, ზურგი შეაქცია და საორდინატოროში შევიდა.

გოგა სავარძელში იჯდა. სახე ხელებში ჩაერგო.

ექიმი მცირე ხანს დასცქეროდა მის მოცახცახე მხრებს. მერე აბი და ჭიქა წყალი მიაწოდა: დალიე, დაგამშვიდებს და მოგამაგრებსო.

გოგამ აბი გადაყლაპა, წყალი დააყოლა და გამომძიებელს მიაპყრო მზერა.

— ვიზიარებ შენს მწუხარებას, — უხერხულად თქვა გიორგიმ.

— შეგიძლია, დაგვტოვო? — მიმართა გოგამ ექიმს.

მან თავი დაუქნია და მაშინვე გავიდა საორდინატოროდან.

— დედაჩემი გარდაიცვალა, — უთხრა გამომძიებელს გოგამ.

— ვიცი და ძალიან მწყინს, — უპასუხა მან.

— რა უფრო გწყინს — მისი გარდაცვალება თუ ის, რომ საქმეს ვეღარ გახსნი?..

— რა თქმა უნდა, მისი გარდაცვალება. ყველა ადამიანის სიკვდილი უდიდესი ტრაგედიაა.

— ლამაზად ლაპარაკი გყვარებია, — ცივად მიუგო გოგამ, — ესე იგი, საქმე აღარ გადარდებს?!

— საქმე მაინც გაიხსნება. სამწუხაროდ, ეს შენი მშობლებისთვის ვეღარაფერს შეცვლის...

— არ გაინტერესებს, რა მითხრა დედაჩემმა სიკვდილის წინ? — იკითხა გოგამ.

— ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მეჩვენება, — შენიშნა გიორგიმ.

— რატომ? — დამცინავად თქვა გოგამ. — მამაჩემის სიკვდილს ხელი არ შეუშლია შენთვის: ამოცნობებიც ჩამიტარე და ხატის გაყიდვაცა და ვინმე პაპაშვილის მკვლელობაც მე მომაწერე!.. ახლა რა გაქვს მოფიქრებული? იქნებ, დაკითხვა გეუხერხულება? რაც უნდა იყოს, რამდენიმე წუთის წინ დედა გარდამეცვალა. თუ უხერხულად გრძნობ თავს, სამმართველოში გამოგყვები და იქ მომიწყვე დაკითხვა. თუ გინდა...

— დამშვიდდი, გოგა, — შეაწყვეტინა გიორგიმ, — მესმის, რასაც განიცდი, მაგრამ არაფრის შეცვლა შემიძლია.

— მე კი შემიძლია!

— რისი შეცვლა შეგიძლია? — დაიბნა გიორგი.

გოგა ადგა, მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა და უთხრა:

— მართლა არ გაინტერესებს, რა მითხრა დედაჩემმა?

გიორგიმ დუმილით უპასუხა.

— იცოდე, ნაღდ შანსს უშვებ ხელიდან... ხვალ შეიძლება, აღარ მოვინდომო ამაზე ლაპარაკი, — გააფრთხილა გოგამ.

— რა გითხრა? — ცდუნებას ვეღარ გაუძლო გიორგიმ.

— მკვლელის სახელი!

— ესე იგი, დედაშენი მას იცნობდა?!

— შენ წარმოიდგინე, იცნობდა!

— რახან დაიწყე, ბოლომდე თქვი! ვინაა ის არაკაცი?

— შენ ვინ გინდა, რომ იყოს?

— ეს უკვე მეტისმეტია!.. — ბრაზი მოერია გიორგის. — არ გინდა ასე ლაპარაკი. კმარა. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!

„რა მოხდება, ახლა დედის ნაამბობი რომ გავუმხილო?.. — გაიფიქრა გოგამ. — რა უნდა მოხდეს?.. რა თქმა უნდა, არ დაიჯერებს. ბოდვად... არა, უფრო უარესად — თავის დაძვრენის ყველაზე იდიოტურ მცდელობად მიიღებს... ამ ყველაფერს პოლიციის ავანტიურად მივიჩნევდი და თურმე რაში ყოფილა საქმე! ტყუპისცალი ძმა!.. არა! ის არ არის და არც შეიძლება იყოს ჩემი ძმა!.. ეს აღარ არის პოლიციის საქმე. ეს მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება — მე და მას! მოვძებნი... მე თვითონ მოვძებნი და...“

— რამის თქმა ხომ არ გინდა? — გიორგის სიტყვებმა გოგა ფიქრს მოსწყვიტა.

— ესე იგი, სამმართველოში წამიყვან?

— სხვას რას ელი ჩემგან? პროკურორს ჯერ არ გადაუწყვეტია შენი საკითხი. ყველაფერი დედაშენის ჩვენებაზე იყო დამოკიდებული. ვწუხვარ, ასე რომ მოხდა, მაგრამ პროკურორს სხვა მითითება არ მოუცია. ცოტა დროს კიდევ მოგცემ, გონების მოსაკრებად, მერე კი სამმართველოში უნდა დაგაბრუნო!

— დედის დასაფლავებასაც არ მაცლით?!

— ამ საკითხს მე არ ვწყვეტ, — უპასუხა გიორგიმ.

— თქვენი დედაც!.. — გოგამ ბრაზით გაახრჭიალა კბილები და ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს...

პროკურორი დიდხანს ათვალიერებდა გიორგის ჩალურჯებულ თვალს და შესივებულ ყვრიმალს. მერე კედელთან გამწკრივებულ პოლიციელებს მიუბრუნდა და ისევ აყვირდა:

— ამის მერე სადღა გამოგეყოფათ თავი?! ყაჩაღებს და ბანდიტებს რა ფეხებს მოსჭამთ, როცა ერთმა უბრალო ექიმმა ოთხი კაცი გათოხლათ!

— უკვე გამოჩნდა, რომ უბრალო ექიმთან არ გვქონია საქმე... — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

— კიდევ ბედავ ხმის ამოღებას?! — ხმას აუწია პროკურორმა. — რა დავალება მიიღე ჩემგან?

— მომეხდინა ეჭვმიტანილის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ბადრაგირება, — უხალისოდ უპასუხა პოლიციელმა.

— დედის მოსანახულებლად მიმავალ „უბრალო ექიმს“ ბადრაგს გავაყოლებდი?..

— არა.

— ის კაცი არც ყაჩაღი იყო და არც ბანდიტი. იყო ეჭვმიტანილი! შენ კი — მისი ბადრაგი, რომელსაც საავადმყოფოში უნდა მიეყვანა და მერე უკან მოეყვანა. ყველაფერზე შენ იყავი პასუხისმგებელი! მას არც კოჭი უნდა ელრძო, არც სურდო შეჰყროდა და ვერც გაქცევა მოეხერხებინა!.. რა გააკეთე საამისოდ?!

პოლიციელს აღარაფერი უპასუხია.

— ბატონო კოტე, ბიჭები დამნაშავეები არ არიან... — ჩაურთო გიორგიმ.

— მაშ, ვინაა დამნაშავე? — სწრაფად მიუბრუნდა პროკურორი.

— მე...

— შენი ცოტნედადიანობა არავის სჭირდება! პასუხს ყველა ერთად ვაგებთ — მეც და შენც. მაგრამ ვიდრე ჩემამდე მოაღწევენ, ამ ბრიყვებს მაინც გავყრი სამსახურიდან!.. და იცი, რატომ?.. ამ სამსახურში მე, შენ და ჩვენნაირები ფიქრობენ, ესენი კი ჩვენს ნაფიქრს ასრულებენ. ფიქრისას შეიძლება, ნებისმიერი შეცდეს, შესრულებისას — არა!

— ხომ გითხარით, ყველაფერი ჩემი ბრალია. ბიჭები მე დავტოვე ფოიეში. რას ვიფიქრებდი, კილაძე ასეთ რამეს თუ გაბედავდა?!



— მაგრამ გაბედა!.. კარგი, მაგაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ... თქვენ თავისუფლები ხართ, — პოლიციელებს გახედა პროკურორმა, მერე კი ისევ გიორგის მიუბრუნდა: — შენ კი დაჯექი და ყველაფერი ნორმალურად მომიყევი!

როგორც კი პოლიციელები კაბინეტიდან გავიდნენ, გიორგი მაგიდას მიუჯდა და ლაპარაკი დაიწყო:

— რაშიც გინდათ, დამადანაშაულეთ; გინდათ, სამსახურიდანაც გამაგდეთ. თავის მართლებას არ ვაპირებ, მაგრამ ერთ კითხვას მაინც დაგისვამთ: თქვენ თუ ელოდით კილაძისგან ასეთ საქციელს?

— არ ველოდი, — გულწრფელად უპასუხა პროკურორმა, — ამის მოლოდინი რომ მქონოდა, სამს კი არა, ათ პოლიციელს გაგაყოლებდი.

— მეც არ ველოდი, — ამოიოხრა გიორგიმ, — მაგრამ ნათქვამია — ზოგი ჭირი მარგებელიაო... აქამდე ყველა მიმტკიცებდა, რომ კილაძე წესიერი, პატიოსანი ახალგაზრდაა. ახლა მაინც ხომ გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. მე მგონი, ეჭვის ქვეშ აღარ დგას მისი დანაშაულში მონაწილეობა.

— მაგაზე ლაპარაკი ნაადრევად მეჩვენება. ჯერ ის მიამბე, რა მოხდა საავადმყოფოში, — თქვა პროკურორმა.

— ეგ ჩემთვისაც გაუგებარია. დედის გარდაცვალების შემდეგ, ექიმმა კილაძე საორდინატოროში შეიყვანა. მომხდარმა გაურკვევლობაში ჩამაგდო. აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ამოცნობის შემდეგ, საავადმყოფოში ვერ დავტოვებდი, მაგრამ მისი სამმართველოში წამოყვანაც არ გამოდიოდა: რაც უნდა იყოს, ადამიანს დედა გარდაეცვალა და სადაც უნდა წამეყვანა, მის დაკითხვას მაინც ვერ შევძლებდი. თქვენთან დარეკვაც არ მინდოდა: ღამის 3 საათზე ხომ არ შეგაწუხებდით!..

— ბავშვივით მსჯელობ. ჩვენმა სამსახურმა დრო და ამინდი არ იცის. როცა საჭიროა, მაშინ უნდა დამირეკო! — შენიშნა პროკურორმა.

— ასე თავიდან ვფიქრობდი. მერე კი კილაძემ მაგრად გაუტია. მაშინვე გადავწყვიტე თქვენთან დაკავშირება, მაგრამ ველარ მოვასწარი.

— რატომ დაგესხა თავს?

— თავიდანვე შევატყვე, რომ ძალიან აგზნებული იყო, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, ყველაფერი დედამისის დალუპვას მივაწერე. მერე მივხვდი, რომ მხოლოდ ამაში არ იყო საქმე. აგდებულად, გამომწვევად მელაპარაკებოდა. ბოლოს მართლაც, ღრმად შეტოპა. დასაშოშმინებლად ვუთხარი, — თუ ასე გააგრძელე, სამმართველოში მოგვიწევს ლაპარაკის გაგრძელება-მეთქი!.. ეს იყო და ეს. მაშინვე გააფთრებული მეცა...

— რაა სათქმელი — კარგი ჩხუბი სცოდნია... — ჩალურჯებულ თვალზე მიანიშნა პროკურორმა.

— არ ველოდი, თორემ... — შეიშმუშნა გიორგი. — ერთი დარტყმით გამთიშა. მერე იარაღი ამართვა და წავიდა.

— ჩვენს ხალხს როგორ აუარა გვერდი? — გაუკვირდა პროკურორს.

— ექიმის ხალათი ჩაუცვამს და პირბადეც აუფარებია. ჩვენი ბიჭები ფოიეში იდგნენ. რაა გასაკვირი იმაში, რომ რეანიმაციის მხარიდან წამოსულ ექიმს ყურადღება არ მიაქციეს?! იქ მხოლოდ ერთი დერეფანია. კილაძე სხვა გზით ვერ წავიდოდა და მათაც მშვიდად გაატარეს თეთრხალათიანი და პირბადიანი ექიმი... ისე, კმაყოფილიც კი ვარ, ასე რომ მოხდა: ჩვენს ბიჭებს კილაძე რომ ეცნოთ, უბედურება დატრიალდებოდა. ის უკან დამხევი აღარ იყო და ამის გამკეთებელი კაცი იარაღსაც გამოიყენებდა!..

— ესე იგი, შენი იარაღი გაიტაცა.

— მარტო იარაღი — არა, მანქანაც ზედ მიაყოლა. გასაღები ამომაცალა ჯიბიდან და საავადმყოფოდან გასულმა ჩემი მანქანით გაქუსლა.

პროკურორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ასეთი საქმე არასოდეს მქონია. მომკალი და, კილაძის საქციელში ლოგიკას ვერ ვხედავ. საავადმყოფოში წასვლამდე აშკარად ვაგრძნობინე, რომ მისი ციხეში ჩასმით კი არა, საქმის გახსნით ვარ დაინტერესებული. ადვოკატიც ესაუბრა; მანაც აგრძნობინა, რომ პატიმრობაში აყვანას არ ვაპირებდით. შემდეგ დედას შეხვდა... დავუშვათ, ეს ყველაფერი მართლაც მან ჩაიდინა. დავუშვათ, ოჯახის წევრებთან შეუთანხმებლად გაყიდა ხატი, რაც მოგვიანებით კონფლიქტის მიზეზად იქცა. დავუშვათ, იმავე ხატის მიზეზით, პაპაშვილთან ჩხუბი მოუვიდა, რასაც ამ უკანასკნელის მკვლელობა მოჰყვა. დავუშვათ, დედამისი არ აპირებდა ამის დამალვას და საკუთარი შვილის წინააღმდეგ ჩვენებას მოგვცემდა, მაგრამ ის მოკვდა. რაღა საშიშროება უნდა ეგრძნო ამის შემდეგ კილაძეს?.. რატომ უნდა დაგესხმოდა თავს, გაეტაცებინა იარაღი, მანქანა?!. ეს ხომ აშკარა კრიმინალია, დანაშაული, რომლის გამოც ის ძალიან დიდი ხნით წავა ციხეში!..

— მაგაზე ვერაფერს ვიტყვი, ბატონო კოტე. კილაძისგან ჯერ არც ნორმალური საქციელი მინახავს და არც სიტყვა მომისმენია. ჩემი საქმე მისი დაჭერა და ბრალდების წაყენებაა. მერე კი სასამართლომ იმსჯელოს, ნორმალურია ის თუ — შეშლილი, ალოგიკურად მოქმედებს თუ — გააზრებულად... ახლა თქვენგან მხოლოდ ერთს ველი — კილაძეზე რესპუბლიკური ძებნის გამოცხადებას!..

— ჰო, მაგაში მართალი ხარ, — ამ სიტყვებთან ერთად, პროკურორმა მაგიდის უჯრიდან რამდენიმე ბლანკი ამოიღო და გიორგის გაუწოდა, — ახლავე შეადგინე დადგენილება მისი ძებნაში გადაცემის შესახებ. მე ხელს მოგიწერ!..

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# წინასწარმეტყველება

მარი ჯაფარიძე

ინგა სადაცაა, 21 წლის გახდებოდა. მისი მეგობრები სკოლიდანვე გათხოვდნენ, ის კი იჯდა და თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ელოდა. თითქოს ჯიბრზე, წესიერი მთხოვნელიც არ გამოუჩნდა.

მეზობელი გოგა უხსოვარი დროიდან იყო ინგაზე უიმედოდ შეყვარებული, მაგრამ გამხდარი, „გრძელი“ ბიჭი იყო და არ მოსწონდა. თანაც, ის ხომ მისი თანატოლი და მეზობელი გახლდათ. გოგონას უფრო სოლიდური მამაკაცები მოსწონდა, ისეთი, ქალის პატივისცემა რომ შეუძლიათ და ფეხზეც მყარად დგანან; ძვირფასი ავტომობილიც რომ ჰყავთ და კარგად მოწყობილი სახლ-კარიც. გოგას ეს „ნაკრები“ არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ყოველ საღამოს ინგას სადარბაზოსთან იდგა და დარაჯობდა. გოგონას ეს აღიზიანებდა, გვერდით ჩაუვლიდა და მხარს ზემოდან გადასძახებდა — „გოგა, რამდენჯერ გითხარი?!“

ინგა ლამაზი და მხიარული გოგო იყო, კარგადაც სწავლობდა, მაგრამ ისეთი საქმრო, როგორზეც თვითონ ოცნებობდა, რატომღაც, არა და არ გამოუჩნდა.

— შენ ან თვალი გეცა, ან ვინმემ ჯადო გაგიკეთა, — უთხრა ერთ დღეს თანაკურსელმა ნათიამ.

თავად ნათია 17 წლის ასაკში გათხოვდა და ასეთ საკითხებში თავი ექსპერტად მიაჩნდა.

— ხვალ თინიასთან წავიდეთ, შეგილოცავს და რაღაცებს გიწინასწარმეტყველებს კიდეც.

— მკითხავთან წავიდე?! არავითარ შემთხვევაში! ამ თაღლითების არ მჯერა! — მტკიცე უარი აჯახა ინგამ.

— ვერ გავიგე — გინდა გათხოვება თუ არა?

— მინდა.

— არ მინდა, ღრუბლებიდან დაეშვა და მიწას დაენარცხო, მაგრამ ერთი რამ იცოდე: საქმრო თავისით ზევიდან არ ჩამოვარდება, — გაიღიმა „ბრძენმა“ ნათიამ, — თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი ისეთივე მითია, როგორიც თოვლის ბაბუა ან ჯადოსნური ჯოხით „შეიარაღებული“ ფერია. IX კლასში ვიყავი, როცა მაგ თინიამ მიწინასწარმეტყველა, რომ ჩემს მომავალ ქმარს მაღაზიაში, საიუველირო განყოფილებაში ვიპოვიდი.

— მერე? — სკეპტიკურად იკითხა ინგამ.

— მერე, მთელი ნახევარი წელი ვირბინე მაღაზიებში, სადაც საიუველირო განყოფილებები იყო, გამყიდველები უკვე სახეზე მცნობდნენ. მერე დავიღალე და გავიფიქრე, რომ ეს ყველაფერი სისულელეა... დრო გადის, მე წლები მომემატება და მერე ვიღას დავჭირდები?! ჰოდა, ჯანდაბას, უკანასკნელად შევალ და ეგ იქნება-მეთქი.

— მერე? — ინგას თვალებში ინტერესი გაჩნდა.

— მაღაზიაში შევედი და ოქროულობის სექციასთან შევჩერდი. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. შევბრუნდი და სიმპათიური მამაკაცი შემრჩა ხელში. საუცხოო სუნამოს სურნელს აფრქვევდა. მოგწონთ ეს საყურეო? — ლამის გული წამივიდა... — დიახ-მეთქი, — ვუპასუხე და გავიფიქრე, რომ თინიამ სიმართლე მითხრა. თმა უკან გადავიყარე, რომ დაენახა, ყურები გახვრეტილი არ მქონდა.

— მერე, რაო?

— აღმოჩნდა, რომ თავისი საცოლისთვის საქორწილო საჩუქარს არჩევდა.

— მდააა... და ასე წამოხვედი?

— ჰო, მაგრამ მარტო კი არა, მასთან ერთად წამოვედი, ყურების გასახვრეტად, — ნათიას ტუჩის კუთხეები ღიმილმა შეურხია.

— აკი — საცოლეო?!

— საცოლე ცოტა ფხიზლად უნდა ყოფილიყო... ახლა ჩემს ქმარს მარტო არსად ვუშვებ: რა იცი, რა ხდება?! მართალია, მისი ცოლი ვარ, მაგრამ ჩემი სურათი გულის ჯიბით არ დააქვს! სამაგიეროდ, ახლა მე დავაბიჯებ სპარსულ ხალიჩებზე, პირადი სტილისტიც მყავს და ყოველ დილით საუზმეზე ხიზილალას მივირთმევ.

— არ შეგეცოდა?

— ვის? — ვერ მიხვდა ნათია. — საცოლე? ძვირფასო, ჩემსა და სათვალიან გველს შორის ის ერთადერთი განსხვავებაა, რომ მე 2 ფეხი მაქვს...

ინგა იძულებული გახდა, „კაპიტულაცია“ გამოეცხადებინა.

მეორე დღეს მეგობრები მკითხავ თინიასთან გაეშურნენ. მისი „ოფისი“ სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც წესი და რიგია: ყველაფერს იდუმალების ელფერი დაჰკრავდა. კედლები შინდისფრად იყო შეღებილი, ფანჯრებს წითელი, ფოჩებიანი ფარდები ამშვენებდა, კედლებზე უამრავი სარკე ეკიდა. უზარმაზარ, ანტიკვარულ მაგიდაზე კომპიუტერი, პრინტერი და „ქსეროქსის“ აპარატი იდგა. ინგამ მიმოიხედა. კედელზე პრეზიდენტის სურათსა და იატაკზე — კალათში ჩასმულ გველს ეძებდა, მაგრამ ვერ აღმოაჩინა...

თინიამ გოგონები „მეფური უბრალოებით“ მიიღო და ეთიოპიური ჩაი შესთავაზა. ის ორმოციოდე წლის, ქერა ქალი გახლდათ, რომელსაც სახე გრიმის სქელი ფენით ჰქონდა დაფარული. მკითხავი არომატიზებულ სიგარეტს ძვლის მუნდშტუკით ეწეოდა.

— გამარჯობა, ქალბატონო თინია, — მიესალმა ნათია, — აი, ჩემი მეგობარი მოგიყვანეთ. რა უბედურება სჭირს, ვერ გავიგეთ, — ვერ თხოვდება.

თინიამ კრიტიკული თვალით შეხედა ინგას, რომელიც უხერხულად იშმუშნებოდა.

— ამ საქმეს ვუშველით, — დამაიმედებლად თქვა ქალმა, — მოდი, აქ დაჯექი, — მკითხავმა გაქუცულ, ტყავის სავარძელზე მიუთითა. ინგა ნაპირზე ჩამოჯდა და მეგობარს შეშინებულმა შეხედა. ნათიას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეუბნებოდა, ნუ გეშინიაო.

— ხელი დადე! — უბრძანა თინიამ. — მარჯვენა, — დააზუსტა და „ქსეროქსს“ თავსახური ახადა.

— აქ? — გაუკვირდა ინგას, მაგრამ ხელი მაინც დადო.

თინიამ თავსახური ხელს ზემოდან დაადო, ტუჩები გააწკლაპუნა და ღილაკს ხელი დააჭირა.

„ქსეროქსი“ ამუშავდა და რამდენიმე წამში გამოსრიალდა ფურცელი, რომელზეც ინგას ხელისგულის შავ-თეთრი ანაბეჭდი იყო გამოსახული.

თინიამ ვიწროჩარჩოიანი სათვალე მოირგო და ქაღალდს ყურადღებით დააკვირდა.

ინგა დაძაბული აკვირდებოდა სახეზე მკითხავს და ცდილობდა, მისი სახის გამომეტყველებით საკუთარი მომავალი ამოეცნო. ის კი დროგამოშვებით მარჯვენა წარბს ასწევდა და ბურტყუნებდა: „აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ... საინკუბაციო პერიოდი... ძაღლი“...

ინგა ცოტა შეშინდა.

— ქალბატონო თინია, რამეს ხედავთ? — აცახცახებული ხმით ჰკითხა.

მკითხავმა პასუხის ღირსად არ ჩათვალა. ქაღალდი გვერდზე გადადო და კომპიუტერის კლავიატურაზე თითები აკაკუნა.

ინგას სულ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი მკითხაობის პროცესი.

— ნუ ღელავ, — ჩურჩულით დაამშვიდა ნათიამ.

— აი, ჩემო კარგო, — თინიამ სათვალე მოიხსნა და პრინტერზე რაღაც ამობეჭდა. — ახლა გაიგებ, რა გელის მომავალში. გამომართვი ეს „ბედისწერის სფერო“, — მკითხავმა რაღაც „კუბიკრუბიკის“ მსგავსი ნივთი გაუწოდა.

ინგას გაუკვირდა, მაგრამ „ბედისწერის სფერო“ მაინც გამოართვა.

— მაშ, ასე, — თქვა თინიამ და მისი მზერა პრინტერზე ამობეჭდილ, ჯერ კიდევ თბილ ქაღალდს „დაერჭო“, — შენ გათხოვდები მამაკაცზე, რომლის სახელიც „გ“-ზე იწყება.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მას ძაღლით იცნობ! ძაღლი შენს ბედზე დიდ გავლენას ახდენს... ნახვამდის! — თინია წამოდგა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მკითხაობის პროცესი დასრულდა.

— კი, მაგრამ... — ინგამ სცადა, შეეჩერებინა.

— მე ყველაფერი გითხარი. ფული სალ-

აროში გადაიხადე და მისაღებში, ვისი რიგიცაა, უთხარი, შემოვიდეს.

ინგა გაოცებული გავიდა გარეთ.

— ვერაფერიც ვერ გავიგე...

— აბა, რა გინდოდა? შენი მომავალი ქმრის მისამართსაც ხომ ვერ გეტყოდა?! — გაბრაზდა ნათია.

— შენ ხომ უფრო ზუსტად გითხრა!

— სამაგიეროდ, შენ სახელის პირველი ასო გითხრა. ეს უკეთესი არაა? გყავს ვინმე ნაცნობი, ვისი სახელიც „გ“-ზე იწყება?

— „გ“-ზე? არა, ასეთი არავინ მახსენდება, — თვალზე ცრემლი მოადგა ინგას.

— ნუ ბღავი! მკითხავმა ისიც ხომ გითხრა, ძაღლით იცნობო? ძაღლი თუ ჰყავს, ალბათ ფულიც ექნება.

— დამცინი?! — ცრემლნარევი ხმით უთხრა ინგამ.

— მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოთ! — ნათიას ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გენიალური იდეა გაუჩნდა.

— რა? — ცრემლი მოიწმინდა ინგამ.

— იცი, რა ვქნათ?.. კინოლოგთან მივიდეთ ან ვეტექიმთან. იქ მიჰყავთ ძაღლები და იქნებ ვინმე სწორედ იქ გამოჩნდეს?.. ძაღლების გამოფენაზეც შეიძლება წასვლა, — ნათია ცოტა ხანს გაჩუმდა, რომ ენერგია მოეკრიბა, — მოკლედ, უნდა ვიმოქმედოთ, ასე გაჩერება არ შეიძლება. დასანანია, რომ „გ“-ზე ნაცნობი არ გყავს, მაშინ უფრო იოლი იქნებოდა...

— არა, „გ“-ზე კი მყავს... მეზობელი, გოგა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, რომ შევუყვარდი.

— ეგ რომელია, „გრძელი“ ბიჭი რომაა, მიამიტი გამომეტყველებით?.. ბიზნესმენია თუ მშობლები ჰყავნან მდიდრები?

— სტუდენტია, მესამე კურსზე სწავლობს. დედა მასწავლებელი ჰყავს, მამა მძღოლად მუშაობს, რომელიღაც თანამდებობის პირთან. თანაც, ძაღლი არასოდეს ჰყოლია, რადგან როგორც ვიცი, ბეწვზე ალერგია აქვს.

— აჰა-ა, გასაგებია-ა, — ჩაილაპარაკა ნათიამ, — მაშინ, თინიამ ალბათ სხვა ვინმე იგულისხმა. ხვალიდან დავიწყებთ ძებნას. ვინც ეძებს, პოულობს კიდეც, ხომ გაგიგონია?

...მართლაც, ორთვიანი, გიჟური ძებნის, ძაღლების გამოფენებზე სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, „გ“-საქმროს მიაგნეს.

ერთხელ, გამოფენაზე ახალი ლეკვი, ფელიქსი გამოჩნდა, რომელიც დიდი ჯიპით მოაბრძანეს. ავტომანქანის საჭესთან შავგვრემანი, სიმპათიური, ჰალსტუხიანი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა.

ინგა ამ დროისთვის უკვე, გამოფენის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი იყო. ის მამაკაცს მიუახლოვდა და ღიმილით უთხრა:

— გამარჯობა! რა გქვიათ? — თან, თავისი „საფირმო“ მზერა ესროლა. — გამოფენის ტერიტორიაზე მანქანით შემოსვლა მხოლოდ განსაკუთრებული საშვითაა დაშვებული.

— საშვი გიორგი მხეიძის სახელზეა, — უპასუხა მამაკაცმა.

ინგას გული შეუფართხალდა. შინაგანმა ხმამ კი უკარნახა, რომ ის სწორედ „ის“ იყო — „გ“, მისი ბედი.

მამაკაცი მანქანიდან გადმოვიდა, ძვირფასი ფეხსაცმელიც „გაამარიაჟა“ და უკანა კარი გამოაღო. ფელიქსი ყეფით გამოვარდა გარეთ. მას უკან... პატრონი მიჰყვა, რომელიც ხვნეშით გადმოვიდა მანქანიდან.

ინგა ცალი თვალით უყურებდა ამ ყველაფერს, რადგან ორივე თვალით დანახვის ეშინოდა: ფელიქსის პატრონი, გიორგი, მსუქანი, წითური, თითზე ბრილიანტისთვლიანი ბეჭდით „მორთული“ მამაკაცი იყო... მან გოგონას თვალი ჩაუკრა, გვერდით მედიდურად ჩაუარა და შენობაში შევიდა.

— გიორგი თქვენ არ ხართ? — იმედგაცრუებულმა ჰკითხა იმ მამაკაცს,



რომელიც საჭესთან იჯდა.

— არა, მე გიორგის მძღოლი ვარ. შენ აქ მუშაობ? რა გქვია? — მამაკაცს თავისი სიმპათიის დამალვა არ უცდია.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?! — მიუგო ინგამ და ამ ადამიანის მიმართ ყველანაირი ინტერესი დაკარგა.

— ეს „გ“ საშინელი შესახედავია, — წუწუნებდა მოგვიანებით, ნათიასთან საუბრისას, — სულ რაღაცას ჭამს. პირი კანფეტებით აქვს გამოტენილი. მასთან არანაირი ურთიერთობა არ მინდა.

— ხომ არ გაგიჟდი?! ეს შენი ბედია, რომელსაც ვერ გაექცევი! — ბრძნულ აზრებს აფრქვევდა ნათია. — ხომ ხედავ, თინიას ტყუილი არ უთქვამს. ეგაა შენი ბედი და ეს ისევე ნათელია, როგორც ის, რომ დღეს ღამე მოსდევს. მაგ მამაკაცის შესახებ გაზეთებშიც წამიკითხავს; საქმიანი, ჭკვიანი ადამიანია.

რამდენიმე ხნის შემდეგ ინგა გიორგის შეხვედრაზე დათანხმდა.

ლექციების შემდეგ მამაკაცი უნივერსიტეტში აკითხავდა, ჯერ მაღაზიებში მიჰყავდა, მერე — რესტორანში. გიორგი ხელგაშლილი ადამიანი აღმოჩნდა და ინგას საჩუქრებით ხშირად ანებივრებდა. გოგონა საჩუქრებს იღებდა, მაგრამ გული ეკუმშებოდა. ამ მამაკაცის ცოლობის პერსპექტივა არ ხიბლავდა. ყველაფერი აღიზიანებდა — ჭამის მანერით დაწყებული, უგერგილო ხუმრობებით დამთავრებული. თავისი „არმანის“ პიჯაკით გიორგი ისევე ამაყობდა, როგორც ველური ინდიელი — ცხვირში გაყრილი, ახალი რგოლით. მაგრამ ნათიას გავლენით, ინგამ დაიჯერა, რომ ბედისწერას ვერსად წაუვიდოდა.

2 თვის შემდეგ, გიორგიმ ბრილიანტისთვლიანი საქორწილო რგოლი აჩუქა და ხელი სთხოვა. ინგა დათანხმდა.

როდესაც ამ ფაქტის აღსანიშნავი ვახშმის შემდეგ გიორგიმ საცოლე შინ მიიყვანა და ინგა სადარბაზოში მარტო დარჩა, ემოციებმა სძლია.

რა ხდება?! მას ხომ ასე უნდოდა გათხოვება და ახლა, როდესაც ამ მდიდარი კაცის საცოლე გახდა, თავს ბედნიერად რატომ არ გრძნობს?.. ასეა თუ ისე, ბედი უსამართლოდ მოექცა. ინგა სადარბაზოში იჯდა და გულამოსკვნილი ტიროდა. არ უნდოდა, დედას მისი ცრემლები დაენახა. ამ დროს კიბეზე გოგამ ამოიარა.

— ინგა, შენ ხარ? — სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია ბიჭმა.

— მე ვარ, — უპასუხა ინგამ და სახე მიაბრუნა, ბიჭს მისი ცრემლები რომ არ დაენახა.

— რა გატირებს? — მხარზე ხელი დაადო გოგამ.

— შენი საქმე არაა!

— ვიფიქრე, რომ დაგეხმარებოდი, — მშვიდად უპასუხა ინგას უხეშობას შეჩვეულმა გოგამ.

ამან გოგონას გული აუჩუყა და უფრო ატირდა. მოულოდნელად, გოგას სიმართლე გაუმხილა — თინიას წინასწარმეტყველების, ძაღლისა და გიორგის შესახებ.

— რა სულელი ხარ, მკითხავების დაჯერება შეიძლება?! რატომ იუბედურებ თავს? შენ ხომ ის არ გიყვარს! — თანაგრძნობით სავსე ხმით უთხრა ბიჭმა.

გოგას კეთილმა ღიმილმა, გულწრფელმა თანაგრძნობამ და სიმართლემ ინგას გული დაუმძიმა.

— ეჰ, შენ რა გესმის?! გიორგი ჩემი ბედია და მე მასზე უნდა გავთხოვდე.

ამ ნათქვამს დუმილი მოჰყვა. მერე გოგას სახიდან ღიმილი წაეშალა.

— წადი, — ხელი ჰკრა ბიჭს მსუბუქად.

...ქორწილი თვის ბოლოს იყო დანიშნული. მზადებამ და ფაციფუცმა ინგას თავბრუ დაახვია. სტუმრების სია იყო შესადგენი, კაბაც — საყიდელი... წესით, ეს ძალზე სასიამოვნო პროცედურებია პატარძლისთვის, მაგრამ ინგას არ უხაროდა. გიორგის ნათქვამმაც კი, — თაფლობის თვეს იტალიაში გავატარებთო, — ვერ მოჰგვარა სიხარული.

გოგასთან კიბეზე შეხვედრა და თავისი უხეში საქციელი მოსვენებას არ აძლევდა. ინგას იმედი ჰქონდა, რომ ბიჭს კვლავ შეხვდებოდა, მაგრამ ის სადღაც დაიკარგა.

გოგონამ სიამაყეს სძლია და ერთ საღამოს გოგას კარზე დააკაკუნა.

— ინგა?! — ძალიან გაუკვირდა გოგას დედას.

— გამარჯობა, მაია დეიდა, გოგა შინაა? — უხერხულად შეიშმუშნა გოგონა.

— შინაა, — მოკლედ უპასუხა მეზობელმა, მაგრამ არ შეიპატიჟა.

— დაუძახეთ, თუ შეიძლება, — ინგა მიხვდა, რომ დედამ შვილის უპასუხოდ დარჩენილი გრძნობის შესახებ იცოდა.

— დე-ე, ვინაა? — გაისმა ბიჭის ხმა და მერე ის თვითონაც გამოჩნდა.

— რატომ ადექი? ექიმმა ხომ გითხრა, რომ უნდა იწვე!

ინგა გაოცებული უყურებდა გოგას: ბიჭს ხელები და სახე წითელი ბუშტუკებით ჰქონდა დაფარული.

— რა გჭირს? — როგორც იქნა, ენა მოაბრუნა, გაოცებულმა.

— არაფერი, მალე გამივლის, — დარცხვენით მიუგო გოგამ.

— არაფერიც არ გაგივლის, ვიდრე ამ შენს ახალ მეგობარს შინიდან არ გააგდებ! აი, ნახე, ვინ ჰყავს სახლში?! არადა, ბეწვზე ალერგია აქვს და ძაღლი მოიყვანა. ვეუბნები, გააგდე-მეთქი და არ ესმის! — ქალმა ბუთქუნა ლეკვი ხელში აიყვანა; ლეკვი ღრმად სუნთქავდა და პატარა, წითელ ენას გარეთ ყოფდა, თან ინტერესით ათვალიერებდა ინგას.

— მაია დეიდა, მე წავიყვან ლეკვს, შეიძლება? — შესთავაზა ინგამ. — ცოტა ხანს ჩემთან იყოს, მაინც ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ და როცა მოგესურვებათ, ნახავთ. გოგა, შეიძლება, ლეკვი წავიყვანო?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, — გოგას მაგივრად დედამისმა უპასუხა და ლეკვი გაუწოდა, — მოიცა, მის საყელურსა და საჭმელსაც გაგატან, — მაია შინ შებრუნდა.

— ასე ჩემ გამო მოიქეცი, ხომ? — ინგამ გოგას სხვა თვალით შეხედა.

გაუკვირდა, რომ მის წინ ის აწოწილი ბიჭუნა კი არა, სიმპათიური, მაღალი მამაკაცი იდგა, რომელიც ძალიან კეთილი თვალებით უყურებდა და თბილად უღიმოდა.

გოგა ხმას არ იღებდა.

— გამოჯანმრთელდი, ხვალ კიდევ გინახულებ, იმ კვირაში კი შეიძლება, გავისეირნოთ კიდეც.

— ქორწილი? — გოგამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და ინგას შეხედა.

— ქორწილი? — გოგოს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ — მხოლოდ რამდენიმე წამით. — ქორწილამდე შენც გაგივლის ალერგია და მეც ყველაფერი დამავიწყდება... — გაუღიმა მამაკაცს და ლეკვი გულზე მიიხუტა. ■



# შეხვედრები სტალინთან

## ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"




**საბჭოთა კავშირის ბრალდების ნოტას 29 ნოემბერს ფინეთის მთავრობამ საპასუხო ნოტა აახლა მის ელჩს. აი, რამდენიმე ამონარიდი ამ დოკუმენტიდან:**

**„საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ფინეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ ჩაატარა გამოძიება. ამის შედეგად დადგენილია, რომ საზარბაზნე ცეცხლი, რომლის შესახებაც თქვენს ბარათშია ლაპარაკი, ფინეთის მხრიდან არ გახსნილა. პირიქით, ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული სროლები 26 ნოემბერს, 15 საათსა და 45 წუთიდან, 16 საათსა და 6 წუთამდე დროის მონაკვეთში, სოფელ მაინილის მახლობლად მდებარე, საბჭოთა სასაზღვრო ზოლის მხრიდან იყო განხორცილებული"...**

*დასაწყისი იხ. „გზა", №27-41*

## ომი ფინეთთან

ფინურმა მხარემ აგრეთვე წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოთა სასაზღვრო კომისრებს, ფინელებთან ერთად, ადგილზევე შეესწავლათ საქმის ვითარება, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სწორედ მათი ტერიტორია აღმოჩნდა ცეცხლის ობიექტი. ბოლოს ნოტაში ჯარის გაყვანის მზადყოფნაც იყო გამოთქმული, ოღონდ თუ ამას ორივე მხარე შეასრულებდა.

მარშალი მერეცკოვი თავის მოგონებებში წერდა:

„1939 წლის ივნისის ბოლოს სტალინმა გამომიძახა. მის კაბინეტში კომინტერნის ერთ-ერთი ლიდერი, ბოლშევიკთა პარტიისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე კუუსინენი დამხვდა... დეტალურად აღმიწერეს შექმნილი პოლიტიკური ვითარება და გამიზიარეს შეშფოთება, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ფინეთის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამო განიცდიდა..."

ამის შემდგომ მერეცკოვი მსჯელობს ცნობილ კონცეფციაზე, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „ფინეთი შეიძლებოდა, ორი მთავარი — გერმანული და ინგლისურ-ფრანგულ-ამერიკული — ბურჟუაზიული იმპერიალისტური დაჯგუფების ანტისაბჭოთა მოქმედების პლაცდარმად ქცეულიყო". მარშალს დაავალეს, მოემზადებინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნებოდა „აგრესიისგან საზღვრის დაცვის და, მათგან სამხედრო პროვოკაციის შემთხვევაში, ფინეთის შეიარაღებული ძალებისთვის კონტრდარტყმის მიყენების გეგმა".

როგორც ვხედავთ, სტალინი მერეცკოვს მხოლოდ ფინეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმაზე ელაპარაკებოდა; მას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის დარ გიგანტზე მომცრო ფინეთის იერიში ნაკლებად შესაძლებელი იყო და ამდენად, კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ თავად აპირებდა პირველი დარტყმის მიყენებას. ალბათ სწორედ ამიტომ, როცა მერეცკოვს შესაძლო თავდასხმისგან თავდაცვითი გეგმის შედგენა დაავალა, სწორედ ამ დროს, სამხედრო მოქმედების დაწყებისთვის მზადების საიდუმლო ბრძანება გასცა.

აი, მერეცკოვის მოგონებების გაგრძელება:

„ივლისის მეორე ნახევარში კვლავ მოსკოვში გამომიძახეს. ჩემი მოხსენება სტალინმა და ვოროშილოვმა მოისმინეს. ფინეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში საზღვრის დაცვისა და მისთვის კონტრდარტყმის ჩემეული გეგმა მოიწონეს და მირჩიეს, იმაზე მეზრუნა, რომ ეს კონტრიერიში რაც შეიძლება მოკლე ხანში განხორციელებულიყო. როცა ვთქვი, თავმოყრილი ძალები ამ მასშტაბის ოპერაციისთვის საკმარისი არ იქნება-მეთქი, მიპასუხეს, რომ მე ლენინგრადის სამხედრო ოლქის შესაძლებლობებზე დაყრდნობით ვმსჯელობდი, არადა, მთელი საბჭოთა კავშირის ძალები უნდა გამეთვალისწინებინა. შევეცადე, შევწინააღმდეგებოდი — ფინეთის გარდა, ანტისაბჭოთა პრო-

ვოკაციაში სხვა ქვეყნების მონაწილეობის შესაძლებლობა ვახსენე. მიპასუხეს, ამაზე სხვებიც ფიქრობენო და გამაფრთხილეს, რომ შემოდგომის დამდეგს კვლავ მომიწევს იმის მოხსენება, თუ როგორ მიმდინარეობს თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება“.

თავის მოგონებებში მერეცკოვი აღნიშნავს, რომ „არსებობდა კონტრდარტყმის სხვა ვარიანტებიც. სტალინს ყველა როდი გამოუტანია მთავარ სამხედრო საბჭოზე განსახილველად, არამედ ის თითოეულს ცალკე-ცალკე, ადამიანთა განსაზღვრულ, უმეტეს შემთხვევაში — განსხვავებულ ჯგუფთან განიხილავდა“. ერთ-ერთი მათგანი — გენერალ შაპოშნიკოვის გეგმა გახლდათ. მერეცკოვის თქმით, გენშტაბის უფროსს ფინეთის მორევა რთულ ამოცანად მიაჩნდა და დარწმუნებული იყო, რომ საკმაოდ დაძაბული, მძიმე, თვეებზე გაწელილი ომი მოგვიწევდა იმ შემთხვევაშიც კი, დიდი იმპერიალისტური ქვეყნებიც რომ არ ჩაბმულიყვნენ პირდაპირ კონფლიქტში...

ასე იყო თუ ისე, მაინილასთან მომხდარი ინციდენტისა და საპროტესტო ნოტების ურთიერთგაცვლის შემდეგ, 30 ნოემბერს, დილის 8 საათზე წითელი არმიის ნაწილები იერიშზე გადავიდნენ.

ახლა კი მოვიტან კიდევ ერთ შტრიხს, რომელიც სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიას არ შვენის, მაგრამ სიმართლე ყველაზე მნიშვნელოვანია.

1939 წლის 30 ნოემბერს — სამხედრო მოქმედების დაწყების დღეს — გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „დაზვერვითი ღონისძიების შედეგად, ცნობილი გახდა ფინელი ხალხისადმი ქვეყნის კომპარტიის ცეკას მოწოდება — მემარცხენე ძალებისგან მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ“...

1939 წლის 1-ელ დეკემბერს საბჭოთა ჯარით დაკავებულ დაბა ტერიოკიში სწორედ ასეთი მთავრობა შეიქმნა და მას ფინელი კომუნისტი, კომინტერნის აღმასკომის მდივანი კუუსინენი ჩაუდგა სათავეში. ამ ჯგუფმა „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის“ დროებით სახალხო მთავრობად გამოაცხადა თავი.

იმ დღესვე საბჭოთა მთავრობამ კუუსინენის მთავრობა აღიარა, მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ გამოაცხადა, ხოლო უკვე 2 დეკემბერს მასსა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება „მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“.

ვერსია — „დაზვერვითი ღონისძიების“ შესახებ იმისთვის იყო საჭირო, რათა ყველას დაეჯერებინა, რომ საბჭოთა კავშირს კუუსინენის მთავრობის შექმნასთან არაფერი აკავშირებდა.

მაგრამ ყველაფერი ნათელი ხდება, როგორც კი ამ „ფინური მთავრობის“ დოკუმენტების დუბლიკატებში ჩავიხედავთ (ისინი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის არქივში ინახება): თითოეულ მათგანს მოლოტოვის ხელით გაკეთებული შესწორებები ახლავს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „დაზვერვით ღონისძიებამდე“ ეს დოკუმენტები საბჭოთა მინისტრის მაგიდაზე იდო. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

ჩვენმა სარდლობამ ფინეთის წინააღმდეგ მთელი საზღვრის გაყოლებით 4 არმია განალაგა. მთავარი მიმართულებით — კარელიის ნახევარკუნძულზე, 9 მსროლელი დივიზიის, 1 სატანკო კორპუსის, 3 სატანკო ბრიგადისგან დაკომპლექტებული მე-7 არმია მოქმედებდა, რომელსაც არტილერია და ავიაცია ერთვოდა და ბალტიის ფლოტიც ეხმარებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი საზღვრის გაყოლებაზე ამხელა ძალების კონცენტრირება მოეხდინა, საბჭოთა სარდლობას იმაზე უკეთესი ვერაფერი მოეფიქრებინა, ვიდრე მთავარი დარტყმა იმ დროისთვის ყველაზე მძლავრი თავდაცვითი სისტემის — მანერჰაიმის ზოლისკენ მიემართა. 12-დღიანი იერიშის შედეგად, ჯარმა, უდიდესი დანაკარგებით, მხოლოდ მთავარი ჯებირის გადალახვა მოახერხა, მაგრამ აღნიშნული ზოლის ძირითად პოზიციებში შეჭრა მაინც ვერ შეძლო, თავად დაიშრიტა და იერიშის გაგრძელების უნარი აღარ შესწევდა.



დაბომბილი ჰელსინკი

ამ დროს, ჩრდილოეთით მოქმედი მე-14 არმია ფინეთის ტერიტორიაზე 15-20 კმ-ით შევიდა, მისგან მარცხნივ, მე-9 არმია — 45 კმ-ით, მე-8 კი — 50-80 კმ-ით.

ფინეთის ჯარი, თუმცა საკმაოდ ჩამორჩებოდა ჩვენსას, მაგრამ პატრიოტული გრძნობით გულანთებული მედგრად იცავდა თავსა და ქვეყანას. ის დიდ ზიანს აყენებდა წითელ არმიას.

მსოფლიო თანამეგობრობა აღშფოთებული იყო საბჭოთა კავშირის ქმედებით. ერთა ლიგამ ჩვენი ქვეყანა თავისი რიგებიდან გარიცხა და მთელ მსოფლიოს ფინეთის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. ინგლისსა და საფრანგეთში გარკვეული წრეები იმედოვნებდნენ, რომ ეს კონფლიქტი დიდ ომში გადაიზრდებოდა და რომ ფინეთის მხარდასაჭერად, მასში გერმანია ჩაებმებოდა. უფრო მეტიც — საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად ხელსაყრელ მომენტადაც მიიჩნევდა...

პატარა ქვეყნის მიერ გაწეული მედგარი წინააღმდეგობით გაოცებული საბჭოთა სარდლობა იძულებული გახდა, საბრძოლო მოქმედება შეეჩერებინა, კარელიის ნახევარკუნძულზე კიდევ ერთი ახალი არმია შეექმნა და ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი ჩამოეყალიბებინა, რომელსაც გენერალი ტიმოშენკო ჩაუყენა სათავეში.

მაგრამ ამ ფრონტის სარდლობამაც ვერ შეძლო სამხედრო ხელოვნების უფრო მოქნილი ფორმების მიგნება და უწინდებურად, მანერჰაიმის ზოლზე პირდაპირ იერიშებს ახორციელებდა. კარელიის ნახევარკუნძულზე იმდენი არტილერიისთვის მოეყარათ თავი, რომ ზარბაზნები ლამის გვერდიგვერდ იდგა. თითქმის მთელი საბჭოთა ავიაციაც იქ იყო კონცენტრირებული და ციდან დარტყმას დარტყმაზე აყენებდა მთელ რეგიონს.

სამდღიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, უდიდესი დანაკარგის ფასად, წითელმა არმიამ მანერჰაიმის ზოლის პირველი ხაზი გაარღვია, მაგრამ მეორე ვერაფრით გადალახა. და კვლავ ახალი დარტყმის მომზადებას მიჰყვეს ხელი: საბჭოთა სარდლობა განადგურებულ დივიზიებს ავსებდა. 11 თებერვალს საბჭოთა საჯარისო ნაწილები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. ბოლოს და ბოლოს, სარდლობამ სცადა, შემოვლითი გზით — გაყინული ვიბორგის სრუტით შეეტია მოწინააღმდეგისთვის. ამის შედეგად, ვიბორგის გამაგრებული რაიონის ზურგში შეიჭრა და ვიბორგი-ჰელსინკის გზატკეცილი გადაჭრა. 12 მარტისთვის, მანერჰაიმის ზოლის გარღვევა დასრულდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-41

ლელუკამ გაკვირვებით შეხედა გოგონას.

— რას ამბობ, საყვარელო! შენ შენი პრობლემები გეყოფა, ჩემიც რომ არ მოგახვიო თავს!

— პირიქით, ჩაპას გასეირნება დიდ სიამოვნებას მომანიჭებს, თან ჯერ უამრავი თავისუფალი დრო მაქვს.

ქალმა სწრაფი, გამჭოლი მზერა ესროლა ნინის და თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა.

— კარგი, ლამაზო. მაშინ სახლის გასაღებსაც მოგცემ. როცა მობრუნდებით, ეს საძაგელი სამზარეულოში ჩაკეტე, გასაღები კი გარეთ, ფეხსაწმენდის ქვეშ დადე. მე სალონში უნდა წავიდე. უკანა ეზოდან გადით, იქ პარკია, უდიდეს სიამოვნებას მიიღებ, ულამაზესი ბუნებაა, გახალისდები.

— კი, მაგრამ... თქვენ ხომ სრულებით არ მიცნობთ... რატომ მენდობით? — იუხერხულა ნინიმ და ქალს გასაღები გამოართვა.

— მე ჩემს ინტუიციას ვენდობი და არა შენ, — გაიღიმა ლელუკამ, — გარდა ამისა, ჩაპაც გენდობა და ჩემს უძვირფასესსაც ძალიან მოეწონე. აბა, შენ იცი, კარგი დრო გაატარე! — თქვა დიასახლისმა, ძაღლი იქვე, სკამზე მიაბა და ქარივით გავარდა ოთახიდან...

ნინიმ ორაზროვნად აწკიპა წარბები. საინტერესოა, ვინ იგულისხმა ლელუკამ „უძვირფასესში“? ის ხომ არა, უცხვირპირო ტელევარსკვლავი, სტუმართმოყვარეობის რომ არაფერი გაეგება? თან ფიქრობდა, თან ბოტასებს იცვამდა, რომ ჩაპას გასეირნებისას კომფორტულად ყოფილიყო. ვინიცობაა და, გაექცეს ძაღლი, ხომ უნდა გაეკიდოს?..

როგორც კი გარეთ გამოვიდნენ, ჩაპა ყეფით გაქანდა წინ, რადგან მიხვდა, სადაც მიჰყავდათ.

პარკში შევიდნენ თუ არა, ნინის თავი ოაზისში ეგონა. საოცარმა სიჩუმემ და სიმშვიდემ გააოგნა. ქუჩიდანაც ვერ აღწევდა ხმაური, ისეთი სიწყნარე სუფევდა ირგვლივ. აღტაცებული, ჩაპასთან ერთად წითელი კენჭებით მოკირწყლულ ბილიკს დაუყვა. მზიანი დილა იყო, ამიტომ პარკში ბლომად ადამიანს მოეყარა თავი. ზოგი ბავშვს ასეირნებდა, ზოგი მერხზე ჩამომჯდარი წიგნს კითხულობდა, ზოგიც უბრალოდ, ზაფხულის მზეს ეფიცხებოდა. საშუალო ასაკის რამდენიმე მამაკაცი იქვე, მწვანედ მობიბინე მინდორზე წამოგორებულიყო და ლუდს შეექცეოდა. ვიღაც ბავშვები ჩაპას გაეთამაშნენ, როგორც ჩანს, იცნეს მეზობლის ფოქსტერიერი. ჩაპა წინ გარბოდა, თითქოს ნინის იმ გზას უჩვენებდა, საითაც პატრონს სასეირნოდ დაჰყავდა.

— იმედია, უკან მოსაბრუნებელი გზაც არ შეგეშლება, პატარავ, — ჩაიბურტყუნა გოგონამ და დაიჯღანა.

თითქმის პარკის ბოლოში გავიდნენ. ეს ის ადგილი იყო, რომელიც გიოს სახლის უკან მდებარე ბაღს უერთდებოდა. გოგონასაც სწორედ ეს უნდოდა. აქედან კარგად მოჩანდა სახლის პარმაღი, ამიტომ თუ თორნიკე გარეთ გამოვიდოდა, ნინი მას უეჭველად შეამჩნევდა. ისედაც, უკვე იგრძნო დაღლა, ამიტომ ჩაპას ღვედი მოქაჩა და ლურჯად შეღებილ გრძელ მერხზე ჩამოჯდა, რომლის საზურგესაც ვიღაცის მონდომებული ხელით ამოჩიჩქნილი წარწერა ამშვენებდა: „დრო მეგობრობას ამაგრებს, სიყვარულს — ასუსტებს“.

„რა ბოროტი ხუმრობაა!“ — გაიფიქრა ნინიმ და უკმაყოფილოდ მობრიცა ტუჩები. ენაგადმოგდებული ჩაპა მის ფეხებთან ჩაცუცქდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. როგორც ჩანს, თავადაც მოჰბეზრდა სირბილი.

— შორს არ წახვიდე, კარგი? — ნინი დაიხარა, ძაღლს ღვედი შეხსნა და ზურგზე ხელი გადაუსვა.

სწორედ ამ დროს იქვე, ბუჩქებში რაღაც შეირხა. მოულოდნელობისგან ნინისაც კი შეეშინდა. ფოქსტერიერი ადგილს მოსწყდა და ბუჩქნარში შევარდა. წამიც და... გოგონას სმენას ძაღლის ღრენა და კატის განწირული კნავილი მისწვდა. სანამ რამეს მოიფიქრებდა, კატამაც და ჩაპამაც ელვის სისწრაფით ჩაურბინეს გვერდით და, თითქოს მოლაპარაკებული იყვნენო, გიოს ბაღში შეცვივდნენ... რამდენიმე წამში ორივე თვალს მიეფარა.

— ო, ღმერთო! ოღონდ ეგ არა!.. — ამოიკვნესა ნინიმ და გაქცეულებს კვალდაკვალ მიჰყვა.

უშედეგოდ... მთელი ნახევარი საათი ეძება გოგონამ ფოქსტერიერი, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო. სასოწარკვეთილმა ამაოდ იარა. გამწარებულმა აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ფეხები უკან რჩებოდა, სანამ გიოს ბაღს საგულდაგულოდ გადაქექავდა.

ის იყო, უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ მოულოდნელად წინ არ შეეჩეხა?! მას ჩაპა ხელში აეტატებინა და ვიწრო ბილიკზე მხიარული ბაასით მოდიოდა. მამაკაცმა გოგონას დანახვაზე ირონიულად ჩაიღიმა.

— საქალბატონე ნინი, — ყოველგვარი ემოციის გარეშე ჩაილაპარაკა ჟურნალისტმა, — სულაც არ მიკვირს, აქ რომ გხედავთ. თორნიკეს თუ ეძებთ, უნდა გაგაწბილოთ, ის ჯერაც არ დაბრუნებულა.

— სამწუხაროდ, სასტიკად ცდებით, — თავდაჭერილად უპასუხა გოგონამ, თან გულში, გაჩენის დღეს იწყევლიდა.

გიოს ქვიშისფერი ტილოს შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა, აკეცილი სახელოებით. ფეხშიშველა იყო, თან თმაც სველი ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა, სააბაზანოდან გამოვიდაო. „საინტერესოა, ჟღალთმიანი ჰყავს ახლა სახლში თუ ქერათმიანი? — დამცინავად გაიფიქრა ნინიმ. — თუმცა, ჩემთვის ეს, რა თქმა უნდა, სულერთია“.

გოგონა მამაკაცს მიუახლოვდა და ძაღლი გამოართვა.

— სულაც არ ვაპირებდი თქვენს ტერიტორიაზე შემოჭრას. ჩაპა კატას გაეკიდა და იძულებული გავხდი, უკან გამოვყოლოდი.

გიომ მისი ახსნა-განმარტება მშვიდად მოისმინა და თავი დააქნია, მერე ხელი გაიწვდინა და გოგონას თმიდან პატარა ფოთოლი ამოაძვრინა. ნინი არ ელოდა მამაკაცისგან ასეთ ჟესტს და მისი შეხებისგან ათრთოლებული, ყურებამდე გაწითლდა.

— როცა ძაღლს პარკში ასეირნებთ, საყელური არ უნდა მოხსნათ. ლელუკას არ გაუფრთხილებიხართ? — ცივად იკითხა გიომ.

ნინიმ ტუჩი მოიკვნიტა, რადგან უცნობებისგან ჭკუის დარიგებას მიჩვეული არ იყო.

— სხვათა შორის, საყელური არ მომიხსნია, მხოლოდ ღვედი შევხსენი.

— ეს ერთი და იგივეა. ძალიან გთხოვთ, სიტყვაზე ნუ გამომეკიდებით.

— არც მიფიქრია.

— თუმცა დარწმუნებული ვარ, რომც გცოდნოდათ, მაინც თქვენსას გააკეთებდით, რადგან წესები თქვენთვის არაფერს ნიშნავს, ძვირფასუნა, არა? ხომ გამოვიცანი? — შეტევაზე გადმოვიდა მამაკაცი.

— წესების დაცვას მაინცდამაინც არც თქვენ უნდა იყოთ მიჩვეული, როგორც მივხვდი, — უკან არ დაიხია ნინიმ, — ის კი არა, როცა გჭირდებათ, მგონი, თავად ადგენთ თქვენთვის სასურველ წესებს. ნუ ნერვიულობთ, ეს მეტად აღარ განმეორდება, გპირდებით, — ცივად დაამთავრა სათქმელი.

— ვიმედოვნებ, ასე იქნება, — უხეშად ჩაილაპარაკა გიომ.

— მაპატიეთ, რომ უნებურად შემოგეჭერით, მაგრამ სანამ დაგტოვებდეთ, ერთი რამ მინდა გითხრათ. თქვენ, რა თქმა უნდა, გგონიათ, რომ მე სხვის ოჯახს ვანგრევ და მადანაშაულებთ ამაში, მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ ეს არ არის მართალი. თორნიკე მანამდე გაეყარა მეუღლეს, სანამ მე ხელმეორედ შემხვდებოდა.

— ხელმეორედ?.. ესე იგი, ადრეც იცნობდით ერთმანეთს?

— თითქმის მთელი ცხოვრება... ისევე, როგორც თქვენ... თაკოს...

— ეჭვი მეპარება...

— იცით, ლელამ მითხრა, რომ თქვენ და თაკო ბავშვობიდან ერთად იზრდებოდით და ის თქვენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია, ამიტომ ჯობია, საქმის კურსში ჩაგაყენოთ და იცოდეთ, რომ მათ ცოლქმრულ ურთიერთობაში დიდი ხანია, ბზარი გაჩნდა.

— ჩემი ბიძაშვილის არჩევანით აღფრთოვანებული არასდროს ვყოფილვარ და არც დიდ იმედს ვამყარებდი, რომ ისინი ბოლომდე შერჩებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მე მათ განქორწინებას სიამოვნებით შევუწყობ ხელს, — ხმა გაუმკაცრდა მამაკაცს.

— ამას არც მე ვაპირებდი! — გამომწვევად განაცხადა ნინიმ. — ასეთი რამეები თავისთავად ხდება და სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ვინმე მესამე იყოს დამნაშავე.

— გეთანხმებით, ხდება, ამას არ უარვყოფ და საკმაოდ კარგად ვიცნობ სტატისტიკასაც, — გიომ ცხვირზე ხელი მოისვა და ცალი თვალით გახედა გოგონას. — სხვა? კიდევ რა შეგიძლიათ მითხრათ თავის გასამართლებლად?

— მეტი არაფერი... და საერთოდ, სულაც არ ვარ ვალდებული, რამე აგიხსნათ. ეს უბრალოდ, ჩემთვის გავაკეთე. თუ თქვენც არაფერი გაქვთ სათქმელი, დავამთავროთ და ჩემს გზას გავუდგები.

— ნამდვილად არაფერი მაქვს სათქმელი, თუმცა ერთ კეთილ რჩევას მოგცემთ: დაბრუნდით თქვენს... — მამაკაცმა თითები გაატკაცუნა. — როგორ მითხარით, საიდან ვარო?

— ბათუმიდან, — გაღიზიანებული ხმით ამოთქვა გოგონამ, — დიდი მადლობა რჩევისთვის, მაგრამ მე ვრჩები, — ის დაიხარა, ღვედი ძაღლის საყელურს მიაბა და წელში გასწორდა. — მაპატიეთ, რომ ჩაპა გამექცა.

— ის ჩვენი მეზობლის კატა იყო, ბაბეტა, სპარსული ჯიშის. ჩაპამ ერთი რომ ჩაავლოს კბილი, ადგილზე გაგლეჯს, რასაც დიდი უსიამოვნება მოჰყვება. ასე რომ, ფრთხილად იყავით, ნინი.

— სიფრთხილეში რას გულისხმობთ — ჩაპა გყავთ მხედველობაში თუ? — ნაზი ხმით სცადა დაკონკრეტება გოგონამ.

— სხვაც, ძვირფასუნა, არა მარტო ჩაპა, — ხაზგასმით შეუსწორა გიომ. — თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩემს რჩევას არ გაითვალისწინებთ. გამოუსწორებელი ჯიუტი ჩანხართ.

ნინი ტუჩაბზუებული გატრიალდა. ზურგი ეწვოდა, რადგან მამაკაცის დაჟინებულ მზერას გრძნობდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, მიტრიალდა.

— როცა თორნიკე დაბრუნდება, იქნებ პატივი დამდოთ და უთხრათ, დამირეკოს?! იმედია, ლელუკას ნომერი არ დაგვიწყებიათ...

გიოს ტუჩები დამცინავად შეერხა.

— ბანალური კომენტარისგან თავს შევიკავებ. რა თქმა უნდა, აუცილებლად გადავცემ თქვენს დანაბარებს, თუკი ეს ნამდვილად გსურთ.

— დიახ, მსურს, — ჯიბრიანად უპასუხა გოგონამ, მამაკაცს ცივი მზერა ესროლა და გზა განაგრძო...

ღმერთო, ლამისაა, ტრადიციად ექცეს ამ კაცთან შეხვედრა და კამათი! თუმცა აშკარად, ნაგებულს არ დაუტოვებია „ბრძოლის ველი“. ან იქნებ, პირიქით?.. ასეთ კაცზე დანამდვილებით ვერაფერს იტყვი. გიორგი რობაქიძე ვიღაც ხომ არ არის, ცნობილი პიროვნებაა, ჭკუაც კი ეკითხება. მაგრამ არც ნინია მთლად უჭკუო, ამიტომაც სხვისი რჩევები არაფერში სჭირდება. თუმცა ერთ რამეს მაინც გაითვალისწინებს და უეჭველად გამოიჩენს სიფრთხილეს...

გიო სამუშაოს მიუბრუნდა, მაგრამ უცებ აღმოაჩინა, რომ ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. იმის მაგივრად, რომ ეს თავხედი გოგონა თავიდან მოეშორებინა, ლელუკასთან არ გაგზავნა?! საკუთარ თავს დააბრალოს, რაც დაემართა. ნუთუ წარამარა მის ცხვირწინ უნდა იტრიალოს?! მოუწევს აწი ყოველდღე მისი ამრეზილი ფიზიონომიის ყურება! რაში სჭირდებოდა ეს? აუუუუ! რა გაუძლებს ახლა ამ ყველაფერს!

მამაკაცმა მაგნიტოფონი ჩართო და ფირზე ჩაწერილ თავის ხმას მოუსმინა. დროდადრო კმაყოფილი ჩაიღიმებდა, საკმაოდ საინტერესოდ და დამაჯერებლად ჰყვებოდა თომას ჯეფერსონის ცხოვრების ამბავს. რა ლამაზად ჩამოუყალიბებია ყველა წინადადება! „ყოჩაღ, გიო!“ — გუნებაში შეაქო თავი...

როცა ჩანაწერს მოუსმინა, ბლოკნოტი გადაშალა და შემდეგი თავების გადაკითხვას შეუდგა, რათა ჩაესწორებინა და სრულყოფილი ვერსია გადაეტანა ფირზე. არა, ეს ბოლო ვარიანტი არ მოსწონს, რაღაც ვერ გამოუვიდა კარგად. ძალიან მშრალი ეჩვენება. ნეტავ, რისი ბრალია? ხომ არ გადაიღალა? იქნებ იმ გოგოს უდიერობამ აურია გუშინ თავგზა და ამის გამო გაღიზიანდა?.. თითქოს თავი ვერ მოუყარა სათქმელს... არადა, როცა თარგმნიდა, ეს არ უგრძნია. მოიცა, ერთი! ის რა შუაშია?.. როცა მუშაობდა, არც გახსენებია, ისე იყო ჩაფლული ნაწერებში... „დროებითი გამღიზიანებლები“ მის შრომის ნაყოფიერებაზე არასდროს ახდენს გავლენას. ასეთების გამო სერიოზული პრობლემა ჯერ არ შეჰქმნია. ოჰ, თორნიკე, თორნიკე! ჩამოვიდეს, ერთი! ნახოს, რა სცენასაც მოუწყობს! სადაც უნდა, იქ წავიდეს თავის მორიგ ნაშასთან ერთად, თუ არა და, საერთოდ აორთქლდეს მისი სახლიდან, ისედაც ზედმეტი მოუვიდა პატივისცემა. საწყალი თაკო! კიდევ კარგი, არ იცის, რა დღეშია მისი ქმარი, თორემ მართლა გასცილდებოდა. აბა, ვინ გაუძლებდა



ეგეთ ლოველასს?!

ეყოფა ამაზე ფიქრი, ჯობია, წუხანდელი საღამო გაიხსენოს. კარგი ქალი აღმოჩნდა კრისტი... საკმაოდ მიმზიდველიც არის და ჭკვიანიც... არც ის დამალა, გიო რომ მოსწონდა, პირდაპირ უთხრა, ყოველგვარი განაზების გარეშე. მამაკაცი არ გამორიცხავდა, ვახშმის შემდეგ დიზაინერი თავის ლოგინში შემოეტყუებინა, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა. ასეთ საქმეში აჩქარება არ უყვარდა. ჯერ კარგად უნდა გაიცნოს, შეხედოს, შემოხედოს და როცა ცნობისმოყვარეობას ბოლომდე დაიკმაყოფილებს, მერე იფიქრებს მასთან ურთიერთობის გაგრძელებაზე. ამასთან, კრისტიმ ახსენა, კერძების მომზადება ძალიან მიყვარს და ერთხელ ჩემთან სტუმრად დაგპატიჟებო... „ვნახოთ, ვნახოთ... იქნებ, მართლა კარგი დიასახლისია? ჰოდა, შევხედავ, დავაგემოვნებ მის ნახელავს და იქ გამოჩნდება, ივარგებს თუ არა ლოგინში...“ ამის გაფიქრებაზე ჩაეცინა. ადრე რომ არ ყოყმანობდა ამდენს?!. ალბათ ასაკის ბრალია. პატარა ბიჭი ხომ არ არის, პირველსავე შეხვედრაზე დახარბდეს ქალს და სექსზე გაექაჩოს. არც ერთი ნახვით შეყვარების სჯერა. ერთი ნახვით კი არა, სიყვარულის საერთოდ არ სჯერა. როგორ ეცინება ხოლმე, ვინმე თავის სიყვარულზე რომ დაიწყებს ლაპარაკს!.. არასდროს მსგავსი რამ არ განუცდია. ცოლსაც უსიყვარულოდ შეირთავს ალბათ. მერე რა? განა ცოტა დაოჯახებულა უსიყვარულოდ?! ეს სულაც არ შეუშლის ხელს იმაში, რომ მისი ქორწინება ღრმა სიბერემდე გაგრძელდეს. ნამდვილად არ იქნება ურიგო ქმარი. ოჯახი — სხვაა, სიყვარული სულაც არ არის აუცილებელი. მთავარია, ცოლსა და ქმარს ერთმანეთის ესმოდეთ. და არა ისე, როგორც თაკო და თორნიკე ცხოვრობენ... ამის გაფიქრებაზე თავისდა უნებურად, გონებაში ნინის სახე ამოუტივტივდა და მოიქუფრა... როგორ შეცდა, მაშინვე რომ არ ჩასვა ის გოგო მანქანაში და უკან, ავტოსადგურში არ გააქანა! როგორ მოიქცეს ახლა, როგორ გამოასწოროს სიტუაცია?.. სავსებით შესაძლებელია, ასეთმა თამამმა და ლამაზმა გოგომ მართლა დაუნგრიოს ოჯახი მის ბიძაშვილს. კარგა ხანს თავდახრილი იჯდა, მერე რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, მობილურს გადასწვდა და ნომერი აკრიბა.

— ალო... თაკო, შენ ხარ? როგორ მიდის საქმეები?

კვირადღე იწურებოდა. ნინი ადგილს ვერ პოულობდა, დაძაბული ბოლთას სცემდა ოთახში, თან ცალი თვალი ტელეფონისკენ ჰქონდა, — იქნებ თორნიკემ დარეკოსო?.. როგორც იქნა, ნანატრი ზარი გაისმა და გოგონა სწრაფად დასწვდა ყურმილს.

— ალო, თორნი!

— ლენა ვარ, გოგო, ლენუკა... როგორ ხარ? მაინტერესებდა შენი ამბები, კარგად მოეწყვე? — დაქალმა ოდნავ შეაყოვნა, მერე კი ხმადაბლა გააგრძელა: — როგორც ვატყობ, ის შენ გვერდით ჯერ კიდევ არ არის, არა?

— ამწუთას არ არის... — ნინი შეეცადა, არ შესტყობოდა სასოწარკვეთა. — არ დამხვდა თბილისში, ცუდი დრო ამოვირჩიე წამოსასვლელად, მაგრამ წუთი-წუთზე ველოდები.

— კი, მაგრამ ის რა ნომერი დამიტოვე? არასწორად ჩამაწერინე? ვიღაც ტიპმა აიღო ყურმილი და ძლივს მოვასწარი შენი სახელის თქმა, რომ ყვირილი დაიწყო, არც მაცალა, წესიერად მეთქვა რამე, ლამის გამომლანძღა, მერე კი ეს ნომერი მომცა.

— მაპატიე, ლე... დამავიწყდა შენი გაფრთხილება. იცი, რადგან თორნიკე წასული იყო, გადავწყვიტე, ბინა მექირავებინა. იცი, რა საყვარელი ოთახია? მყუდრო, ლამაზი... თან ძალიან იაფად ჩამივარდა ხელში. ნამდვილი მერცხლის ბუდეა... არც კი მჯერა, ასე რომ გამიმართლა! — ყველა სიტყვას გამოზომილად არჩევდა ნინი.

— ღმერთმა ქნას! — ლენუკას ხმაში ეჭვი გაკრთა. — მთავარია, შენ იყო კმაყოფილი. სამსახურზე რა გაიგე? გამოჩნდა რამე?

— ჯერ არაფერი...

— გამაგებინე, როცა რამეს იშოვი, კარგი? გავიქეცი ახლა, მაგვიანდება.

— აუცილებლად, ლე, აუცილებლად გაგაგებინებ. ნახვამდის.

ნინიმ ყურმილი დაკიდა და ამოიოხრა. ახლაღა მიხვდა, რა საშინელ დღეში აღმოჩნდა... გულზე ლოდივით დააწვა რაღაც. უნდოდა, დაერეკა დედამისისთვის, ეთქვა, რომ კარგად მოეწყო, მაგრამ ვერ გაბედა. შეეშინდა, არ ატირებულიყო. აჯობებს, ცოტა მოიცადოს, სანამ ბოლომდე არ გაირკვევა მისი ამბები. დედა დაარწმუნა, კარიერის გასაკეთებლად გადავდივარ თბილისში, იქ უკეთეს პირობებს მთავაზობენო... რომ იცოდეს, რისთვის გამოიქცა, ალბათ ინფარქტი არ ასცდება საწყალ ქალს... კიდევ კარგი, არ იცის, ცოლიანი კაცი რომ უყვარს მის ერთადერთ ქალიშვილს.

ისეთ ცუდ ხასიათზე დადგა, თვალები ცრემლით აევსო. ტელევიზორი ჩართო, ხმას აუწია და ლოგინში შეწვა. მერე საბანი თავზე გადაიფარა და ხმამაღლა ატირდა...

დილით ადრე ადგა, გამოუძინებელსა და ნამტირალევს თვალები შეშუპებოდა. სასწრაფოდ შეუდგა სახის მოწესრიგებას — ასეთ ფორმაში სამსახურის საძებნელად გასვლას აზრი არ ჰქონდა.

ტონალურმა კრემმა და მსუბუქმა მაკიაჟმა ცოტათი უშველა. შემდეგ ტანსაცმლის შერჩევას შეუდგა. დამქირავებლებზე როგორმე უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება — სხვანაირად, თბილისის დატოვება არ ასცდებოდა... საბოლოოდ, უპირატესობა რუხი ფერის ტილოს მოკლესახელოებიან პიჯაკს, შავ ქვედაბოლოს, თეთრ პერანგსა და საშუალოქუსლიან შავ ფეხსაცმელს მიანიჭა — ერთდროულად ელეგანტურიც იყო და საქმიანიც. წინადღეს ლელუკამ რამდენიმე მისამართი მოუტანა, სადაც შეიძლებოდა, ვაკანსიები ყოფილიყო. რვეულის ფურცელზე ჩამოწერილი მისამართების სია ჩანთაში ჩაიდო და სახლიდან იმედიანად გავიდა.

ერთგან უთხრეს, რომ ორი დღით დააგვიანა, მეორეგან ისეთი დაბალი ხელფასი შესთავაზეს, დაფიქრებაც კი არ ღირდა, მესამეგან თითქოს შედარებით გაუმართლა, რადგან ქალი, რომელთანაც გასაუბრება გაიარა, ძალიან გულთბილად შეხვდა.

— ბავშვებთან ოდესმე გქონიათ შეხება? მაგალითად, მათი სკოლიდან გამოყვანა, გასეირნება...

— იცით... მე გათხოვილი არა ვარ... — ნინიმ თავი დახარა.

— ბავშვების მოვლასთან გათხოვება არაფერ შუაშია, — გაეცინა ქალს, — მთავარია, გიყვარდეთ ისინი და ცოტა მოინდომოთ. თუ შეიძლება, შეავსეთ ეს ანკეტა და კვირის ბოლოს იქნებ რაღაც გამოგიძებნოთ ან — უფრო ადრეც. მე ეთერი მქვია.

— სასიამოვნოა, ქალბატონო.

— აუცილებლად დაგიკავშირდებით.

უკვე დღის 4 საათი იყო. სიარულით დაღლილმა და უჭმელმა ლასლასით მიაღწია თავის ოთახამდე და ის იყო, წამოწოლას აპირებდა, რომ მობილურმა დარეკა. ნინის გული შეუქანდა და აკანკალებული ხელით დასწვდა ტელეფონს.

— ნინი, შენ ხარ? — ამჯერად გოგონას წინათგრძნობა გამართლდა: თორნიკე ურეკავდა. — გიომ რომ მითხრა, საკუთარ ყურებს არ დავუჯერე... როგორ აღმოჩნდი თბილისში?

— შენ რა, არ გიხარია? — ნინის გული მოეწურა.

— რას ჰქვია, არ მიხარია... მიხარია კი არა, გონზე არ ვარ! — უმტკიცებდა მამაკაცი. — მაგრამ იმდენად მოულოდნელი იყო შენი გამოჩენა!.. მეგონა, წინასწარ დამირეკავდი. ჩვენ ხომ არ შევთანხმებულვართ...

— ვფიქრობ, დროა, სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეთ. როდის მნახავ? — ხმა გაუცივდა გოგონას.

— ალბათ უფრო... საღამოს, — თითქოს შეყოყმანდა თორნიკე, არცთუ ისე დამაჯერებლად ჟღერდა მისი ხმა. — სადმე ბარში დავსხდეთ და...

— ბარში? — გაკვირვებით გაიმეორა ნინიმ. — მაგრამ... მე შენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს, თოკო, დროს სატარებლად არ მცალია...

— ჰოდა, იქ ვილაპარაკოთ, რა პრობლემაა? — უდარდელად თქვა მამაკაცმა და უცებ აჩქარდა: — მაპატიე, მაგრამ ახლა ძალიან დაკავებული ვარ. ექვსის ნახევარზე ვაკის პარკის ცენტრალურ შესასვლელთან დაგხვდები, კარგი?.. აბა, შენ იცი, მანამდე არ მოიწყინო. ახლა უნდა გავიქცე, მეჩქარება. გკოცნი, სიხარულო! — და სანამ გოგონა რაიმეს იტყოდა, გათიშა.

საუბარმა ნინის გუნება წაუხდინა, რადგან უფრო თბილ მიღებას ელოდა თორნიკესგან. მაგრამ გული იმით დაიმშვიდა, რომ საყვარელ მამაკაცს აუცილებლად შეხვდებოდა, თან მას საყვედურიც არ დასცდენია გიოსთან ნინის ვიზიტის გამო.

მაშინვე მოეხსნა დაღლილობა. შიმშილმაც გაუარა. ახლა შინ ჯდომა აღარ შეეძლო, ამიტომ ჩანთას ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

ფეხით გაუყვა გზას, თან წარამარა ეკითხებოდა გამვლელებს, — როგორ და რამდენ ხანში მივიდოდა ვაკის პარკთან. რა სირცხ-

ვილია! ამხელა ქალმა ვაკის პარკი არ იცის, სად მდებარეობს!.. არც ისე შორს ყოფილა, როგორც ეგონა... ნახევარი საათის შემდეგ ადგილზე იყო. დათქმულ დრომდე თითქმის ერთი საათი რჩებოდა, მაგრამ რადგან სიარულის თავი აღარ ჰქონდა, პარკში ჩავიდა და პირველსავე მერხზე ჩამოჯდა შეფიქრიანებული.

ზუსტად ექვსის ნახევარზე მისი მობილური აწკრიალდა.

— სად ხარ? — თითქოს საყვედური გაისმა მამაკაცის ხმაში.

— ქვემოთ... ახლავე ამოვალ, — ნინი წამოდგა და წასასვლელად გაემზადა.

— არა, იყავი, მე თვითონ ჩამოვალ, — მამაკაცს წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ნინიმ უკვე მოჰკრა თვალი, როგორ ჩამორბოდა კიბეზე.



შეხვედრა სულაც არ აღმოჩნდა ისეთი რომანტიკული, როგორსაც ელოდა. თორნიკემ მხოლოდ ლოყაზე აკოცა, მერე ხელი გადახვია და ქვედა გასასვლელისკენ წაიყვანა.

— აქვე ახლოს ერთი ბარია და იქ შევიდეთ.

ნინი თითქოს დამუნჯდა, თავზარდაცემული ხმას არ იღებდა.

— იცი, როგორ მომენატრე?!. რა ლამაზი ხარ, სიხარულო!.. — როგორც იქნა, რაღაც თქვა მამაკაცმა და ხელი თმაში შეუცურა.

— მეც მომენატრე... — ამოღერღა გოგონამ. — ამიტომაც ჩამოვედი.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ ჩამოხვედი, — მისი ტონი უხალისოდ მოეჩვენა ნინის...

რამდენიმე ასეული მეტრი გაიარეს და წითლად შეღებილ მომცრო შენობას მიადგნენ.

— მოვედით... მთავარია, ბევრი ხალხი არ იყოს, — თქვა თორნიკემ და ხის კარი შეაღო. — აუუუ! რა ამბავია!

პატარა დარბაზში ყაყანის ხმა ისმოდა. იქაურობა სიგარეტის კვამლით იყო გაჟღენთილი.

— არა უშავს, იქით დავსხდეთ, ფანჯარასთან... — მამაკაცმა მარცხენა კუთხისკენ გაიშვირა ხელი და ნინის წინ გადაუსწრო...

— აქ შემოსვლა მიყვარს, კარგი ლუდი აქვთ...

— ლუდი?! მაგრამ მე ლუდს არ ვსვამ!.. — შორს დაიჭირა, კოპებშეკრულმა.

— შენთვის შავ ღვინოს შევუკვეთ, მაგარი ჩამოსხმაა, აი, ნახავ. ხომ გიყვარს შავი ღვინო?

— ჰო, — უკმაყოფილოდ დააქნია თავი ნინიმ და მამაკაცს თვალი აარიდა.

— ნეტავ ახლა მარტო მე და შენ ვიყოთ აქ! მე ვიცი, რასაც ვიზამდი... — თორნიკემ ვნებიანი მზერა ესროლა გოგონას.

ნინის სითბომ დაუარა სხეულში, ისე გააბრუა შეყვარებულის სიტყვებმა.

სანამ თორნიკე ოფიციანტს შეკვეთას აძლევდა, თვალი არ მოუშორებია მისთვის. მამაკაცს ჩვეულებრივზე ოდნავ მოკლედ შეეკრიჭა თმა, რაც ძალიან უხდებოდა. ცოტათი მომატებულიყო კიდეც წონაში.

— აბა, ახლა მომიყევი — სად ხარ, ვისთან ცხოვრობ და რამდენ ხანს აპირებ თბილისში დარჩენას? — თორნიკემ მკლავები მაგიდაზე ჩამოაწყო, ზედ დაეყრდნო და მიაჩერდა.

— რას ნიშნავს, რამდენ ხანს?! — კითხვა ვერ გაიგო გოგონამ.

— მე მხედველობაში მაქვს, რამდენიმე დღე რჩები თუ რამდენიმე კვირა. ხომ უნდა ვიცოდე?

ნინი გაცინებას შეეცადა.

— თოკო... მე სულ ჩამოვედი... ეს ისე, ცნობისათვის. მეგონა, შენთვის ეს უცხო არ იქნებოდა... — ამ სიტყვებზე სუნთქვა შეეკრა. — ერთოთახიანი ბინა ვიქირავე და სამსახურის ძებნაც დავიწყე... პატივცემულმა გიომ არ გითხრა ამის შესახებ? — ირონიით დაამატა ბოლოს.

— არა, გიოს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ის შემატყობინა, რომ ჩვენთან იყავი მოსული და მიკითხე... ნინ... მინდა, ეგრევე გავერკვე რაღაცებში. შენ ყველაფერი მიატოვე ბათუმში და აქეთ წამოხვედი? სწორად გავიგე? არც კი ჩათვალე საჭიროდ, გაგეფრთხილებინე?

გაფითრებულმა ნინიმ ტუჩებთან მიტანილი ღვინიანი ჭიქა სასწრაფოდ მაგიდაზე დადგა...

— მეგონა, გაგიხარდებოდა... ჩვენ ხომ ამაზე ვოცნებობდით, თორნი... რა გჭირს?!

— ვოცნებობდით, გეთანხმები და არც დამვიწყებია, მაგრამ... არა ამ მომენტში, სიხარულო. ცუდი დრო შეარჩიე. ამან შეიძლება, რაღაც პრობლემები შექმნას.

— პრობლემებში გიოს გულისხმობ?

— იმასაც... — თორნიკეს სახე დაეჯღანა. — კიდევ კარგი, ისეთი არაფერი უთხარი, თორემ...

— ისეთი არაფერი?.. რაო, რა მელაპარაკაო? — ყურები ცქვიტა ამ ამბით გაოგნებულმა.

— რაც შენ უთხარი, ის გამიმეორა: რომ ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ და რადგან თბილისში ჩამოხვედი, სანახავად გამომიარე. რა, ასე არ უთხარი?

მსგავსი არაფერი! გოგონას თვალები ლამის შუბლზე აუცვივდა! ღმერთო, რა ხდება?! რა თამაშს თამაშობს ეს რობაქიძე, რამ ათქმევინა ასეთი რამ?! ნინიმ შუბლი შეკრა.

— სიმართლე რომ მეთქვა, რა მოხდებოდა? — გოგონამ მამაკაცს გამჭოლი მზერა ესროლა.

— საშინელება მოხდებოდა, — ამოიხვნეშა თორნიკემ. — მომისმინე, საყვარელო. მე ცოლს მშვიდად უნდა გავშორდე, არ მინდა სკანდალი. კიდევ კარგი, გიოს არაფერი უთხარი... თაკომ შენ შესახებ რომ გაიგოს... შენ მას არ იცნობ. უამრავ ხალხს იცნობს და შეუძლია, ისეთი რამ გამიკეთოს, სამუდამოდ დამინგრიოს კარიერა... გესმის, რაზე ვლაპარაკობ?

— მგონი, კი... ესე იგი, შენი სურვილია, ჩვენ კვლავ მალულად გავაგრძელოთ შეხვედრები? — ჩამკვდარი ხმით იკითხა გოგონამ.

— ეს დიდხანს არ გაგრძელდება, სიხარულო... ცოტაც მაცალე... სანამ გიოსთან ვცხოვრობ, ჩვენი ერთად ყოფნა გამორიცხულია, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. გასაგებია? მანამდე ნორმალურ ბინას მოვძებნი და მერე საცხოვრებლად ერთად გადავალთ... ახლა სწორედ ამით ვარ დაკავებული... თუმცა ადვილი არ არის. მინდა, კარგი პირობები შეგიქმნა. ჰო, მართლა, შენ ვისთან ხარ აქ?

— შენს სახლთან ახლოს ვიქირავე, ლელუკა გაგიგონია?

— იმ ალქაჯთან?! — სახე მოექცა თორნიკეს. — იმასთან როგორ მოხვდი?

— გიომ გამგზავნა, როცა გაიგო, რომ ბინას ვეძებდი...

— ერთი დამიხედეთ, რა კეთილი ძიას როლი უთამაშია! — ექიდნურად გაიცინა თორნიკემ. — რაც არის, არის, რაღას ვიზამთ, რახან იქ მოეწყვე... მაგრამ ერთი გარემოება ძალიან შეგვიშლის ხელს: მე ლელასთან ვერ გამოვჩნდები, თორემ მაშინვე ჩამიშვებს გიოსთან. რომ გაგეფრთხილებინე ჩამოსვლამდე, სხვაგან გიშოვიდი რამეს.

— სადაც კარგი პირობები მექნებოდა, არა?.. — ირონიულად შენიშნა ნინიმ. — ნუ დარდობ, მე ძალიან კმაყოფილი ვარ, არაჩვეულებრივი ქალია ლელუკა. ვწუხვარ, პრობლემები რომ შეგიქმენი. არ მეგონა, ჩემი ჩამოსვლა ასე თუ შეგაშინებდა, — მწარედ გაიცინა ბოლოს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




მარი ჯაფარიძე

სხვა გზა არ მქონდა — მამაკაცი სახლში შემოვიპატიჟე. თან ისიც ძალიან მაინტერესებდა, რა საქმე ჰქონდა ასეთი, თავს რომ არ მანებებდა.

— არა, ჩემთან უნდა წავიდეთ. თქვენთან უკაცრავად, მეგობრებო, მაგრამ უტა უნდა წავიყვანო, — მიმართა ჩემს ზურგს უკან მდგარ ვასიკოსა და ლალის.

— აქ შემოდით, უკვე მოსული ხართ და ბარემ აქ ილაპარაკეთ, — ვასიკომ სცადა, მოლაპარაკებაზე წასულიყო.

— სამტროდ არ ვარ მოსული, მეგობრის დახმარება არ დასჭირდება... — მიხვდა ალექსანდრე, დარჩენას რატომაც სთავაზობდა ვასიკო.

— მით უმეტეს. თუ სამტროდ არ ხართ, შიგნით შემოდით, — არ ეშვებოდა ვასიკო.

სტუმარი მიბრუნდა და უსიტყვოდ დაეშვა კიბეზე. 2 ახმახი უკან მიჰყვა, ორნი კი მე მელოდნენ.

— ახლავე გამოვალ, — ვთქვი და შინ შევბრუნდი, — მანამდე თქვენ შემოდით, — მხარს ზემოდან გადავძახე ბიჭებს.

შემოლაგდნენ. იმიდენები იყვნენ, ოთახი ლამის გაავსეს.

— წყალს გადავივლებ, ნამგზავრი ვარ, — მივუგდე სიტყვა და სააბაზანოს კარი მივხურე. — ლალი, სამზარეულოში ყავა მოძებნე და მოუდუღე, — ისევ გამოვალე კარი.

მოთმინებით მელოდნენ ბიჭები. როგორც ჩანს, მიჩვეული იყვნენ ლოდინს.

ტანისამოსი გამოვიცვალე, სტუმრებს ყავის დალევა ვადროვე და შინიდან გამოვედით. ინტერესით ვკვდებოდი, ვინ იყო ეს ვერტიუკოვი და რა უნდოდა ჩემგან. მილიციელს არ ჰგავდა, არც „შავს“...

თავის მანქანაში ჩამსვეს, ჩემი მანქანით წასვლის უფლება არ მომცეს. ამან ეჭვი გამიჩინა და ცოტა შევშფოთდი. ცოტა ხანში, მოსკოვის ცენტრში, მაღალსართულიან, ერთსადარბაზოიან კორპუსს მივადექით. საერთო სარგებლობის ლიფტით არ ავსულვართ. როგორც ჩანს, ცალკე ჰქონდა ლიფტი ვერტიუკოვის აპარტამენტებს, რადგან კაბინაში მხოლოდ ერთი ღილაკი იყო.

ბოლო სართულზე ავედით და ლიფტიდან პირდაპირ მისაღებში ამოვყავით თავი. წარმოუდგენელი სიდიდის, კომფორტულად მოწყობილი ბინა იყო. ბოლო 2 სართული ჰქონდათ გაერთიანებული და პატარა სასახლედ ექციათ. იქაურობას თვალი რომ მოვავლე, გაოცებისგან დავუსტვინე.

— მოგწონს? — მკითხა მასპინძელმა, რომელიც ვერც კი დავინახე, საიდან გაჩნდა; თითქოს იატაკიდან ამოძვრაო...

— მაგარია. ასეთი რამ არც კი მინახავს. შენია?

— არა, შენია!

— ჰმ, — ჩამეცინა, — ირონია და სარკაზმი შენთვის დაიტოვე, — წარბები შევყარე.

— არავითარი ირონია და სარკაზმი, ეს ყველაფერი — შენია. ახლა ნოტარიუსი მოვა და ყველაფერს ოფიციალურად გავაფორმებთ.

— ცუდად ხუმრობ, ვერტიუკოვ!.. — სიბრაზისგან წამოვწითლდი.

— არ ვხუმრობ და ეს კიდევ ყველაფერი არაა, რაც შენს მფლობელობაში გადმოდის...

— სამაგიეროდ რას ითხოვ? — ვიცი, რომ ასეთ საჩუქარს არავინ გაგიკეთებს, თუ ძალიან სერიოზული საქმე არა აქვს გასაკეთებელი.

— არაფერს, — მიპასუხა მშვიდად.

— გამორიცხულია.

— გეუბნები — არაფერს-მეთქი.

— მოვიდნენ, — ოთახში დაცვის თანამშრომელმა შემოაბიჯა.

— ძალიან კარგი.

— ვინ მოვიდნენ?.. რა გამოცანებით მელაპარაკებით, რა ხდება? — ვერასდროს ვიტანდი გაუგებრობას, ყველაფერი „გაიასნებული“ და გამარტივებული მერჩივნა.

— ახლა ნახავ, — რაღაცნაირად, კეთილად გაიღიმა მასპინძელმა.

ცოტა ხანში ოთახში ნიცა შემოვიდა იმ 2 კაცის თანხლებით, რომელმაც მე მომაცილა.

დამინახა თუ არა, გამოიქცა და ჩამეხუტა, მერე ტირილი აუვარდა. კარგა ხანს ვეფერე და ვამშვიდე გოგო, მაგრამ მეც ერთი სული მქონდა, ავბლავლებულიყავი. ოთახში რომ მიმოვიხედე, არავინ იყო. როგორც ჩანს, ცოტა ხნით დაგვტოვეს.

ნიცა დივანზე დავსვი, გვერდით მივუჯექი, მისი თავი მკერდზე მივიხუტე. ცრემლებს ისევ მისცა გზა.

— როდის ჩამოხვედი? — ვკითხე, როცა ცოტათი დაწყნარდა.

— გუშინ ჩამომიყვანეს.

— კურსი მთლიანად დაასრულე?

— არა, მაგრამ მამამ დამირეკა და მითხრა, რომ უნდა გამოვყოლოდი იმ კაცებს, რომლებიც მომაკითხავდნენ. მეც გამოვყევი. ახლა კი შინ მომაკითხეს და აქ წამომიყვანეს.

— იცნობ ამ ვერტიუკოვს?

— ვინაა ვერტიუკოვი?

— არ ვიცი, მეც არ ვიცი. თითქოს სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ... რა უნდა, ვერ გავიგე.

გოგოს თვალებში ჩავხედე. მის მზერაში უდიდესი სიყვარული იგრძნობოდა, სიყვარული და მონატრება...

— მაპატიე, კარგი? — მითხრა მერე.

— რა უნდა გაპატიო?

— ის, რომ როცა საავადმყოფოში იწექი, იმ ქართველს ვხვდებოდი, რომელმაც მერე მომიტაცა. არა, არ იფიქრო, რომ მასთან რამე მქონდა. ის შენს მეგობრად ასაღებდა თავს და ჩემზე ზრუნავდა. მეუბნებოდა, ვალდებული ვარ, უტას საცოლეს პატივი ვცეო...

— კარგი, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, — გავაჩუმე, რადგან ოთახში ვერტიუკოვი შემოვიდა.

— წამოდით, სახლს დაგათვალიერებინებთ, — წინ გაგვიძღვა. მივყევით. ქვედა სართულზე საძინებლები, მისაღები და კიდევ, რამდენიმე სააბაზანო ოთახი იყო... ზედა სართულზე — კაბინეტი, რამდენიმე საძინებელი, მისაღები და დიდი დარბაზი... მისაღებიდან კიდევ ადიოდა კიბე ზევით.

— აქ მესამე სართულიცაა? — იკითხა ნიცამ.

— წამოდით, გაჩვენებთ, — კიბეს აუყვა მასპინძელი.

კიბე სახურავზე ადიოდა, სადაც თურმე დიდი აუზი ყოფილა, მომცრო, ჩალით გადახურული ბარითა და ქვიშიანი პლაჟით.

აღფრთოვანება ვერ დავფარე.

— ეს ამ სახლში ყველაზე მაგარი ადგილია, — ღიმილით თქვა ვერტიუკოვმა.

ნიცამ გადაწყვიტა, აუზისთვის შემოევლო.

— ნიცა რატომ ჩამოიყვანეთ გერმანიიდან? — ვკითხე, როცა მარტო დავრჩით. — მას რეაბილიტაციის კურსი არა აქვს დასრულებული.

— ნიცასთან ზეგ მისი გერმანელი ექიმი ჩამოვა და რეაბილიტაციის კურსს აქ დაასრულებს. მე ვიცი, როგორ გენატრებოდა... მე კარგად ვიცი, რა არის მონატრება... — იქვე, შეზლონგზე ჩამოჯდა და ნიცას გახედა. ის ნელი ნაბიჯით მიუყვე-

ბოდა აუზის ნაპირს.

— ზუსტად ნიცას ტოლი შვილი მყავდა. ისიც ასეთი ლამაზი იყო...

— ახლა სად არის? — სულსწრაფობა გამოვიჩინე.

— ახლა მკვდარია. ის და დედამისი მანქანაში ჩაცხრილეს.

— ეს როდის მოხდა?

— ეს ამ ზამთარს მოხდა...

— გამახსენდა, გაზეთები იყო აჭრელებული მათი ფოტოებით...

— ჰო, — თავი დააქნია.

ამ დროს დაცვის ბიჭმა შეატყობინა, რომ ნოტარიუსი მოვიდა.

— დაბლა ჩავიდეთ, — წამოდგა.

— ნიცა! — გავძახე გოგონას. — წავედით!

ორიოდე წუთში უკვე ყველანი ნოტარიუსის პირისპირ ვისხედით.

— ბინა ამ მამაკაცის სახელზე უნდა გადავაფორმოთ, — უთხრა ალექსანდრემ.

— არა, მე ამ საბუთს ხელს არ მოვაწერ, ჩვენ რაღაცები გვაქვს გასარკვევი, — მტკიცედ ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. — თუ შეიძლება, ცალკე დავილაპარაკოთ, — მივმართე მასპინძელს.

— დამიჯერე, აქ არაფერია გასარკვევი. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით ხდება. არც სამაგიეროდ ვითხოვ რამეს.

— არა, ხელს არ მოვაწერ, — გავჯიუტდი.

— თუ გნებავთ, ჩუქება გავაფორმოთ, მაშინ ამ საბუთს მისი ხელმოწერა არ დასჭირდება, — შესთავაზა ნოტარიუსმა.

— ეს ხელს ხომ არ შეუშლის ქონების გადაფორმებაში?

— არა, არანაირად. ჩემთან მოვა და გადავუფორმებ.

— კარგი, — დათანხმდა ვერტიუკოვი.

თვალებგაფართოებული ვუყურებდი, როგორ გადმოდიოდა ჩემს ხელში ეს ბინა, აგარაკი, უცხოური, დაჯავშნილი ავტომობილი და ბიზნესის 80%-იანი წილი...

ნოტარიუსმა ყველა საჭირო საბუთი გააფორმა და წავიდა.

— ახლა წამოდი, კაბინეტში გავიდეთ, — ალექსანდრე წინ გამიძღვა.

ბართან მივიდა, ჭიქებში კონიაკი ჩამოასხა.

— ჩვენს დღევანდელ „სდელკას“ გაუმარჯოს! — თქვა და ჭიქა ოდნავ მომიჯახუნა.

— დღეს არავითარი გარიგება არ მომხდარა, მე შენს საჩუქარს არ ვიღებ!

— იმედია, ბიზნესის მართვას შეძლებ, — ისე გააგრძელა საუბარი, თითქოს ჩემი ნათქვამი არც გაუგონია.

— არავითარი სურვილი არ მაქვს, ბიზნესი ვმართო: შენ ალბათ არ იცი, რომ მე სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობ...

— მე ყველაფერი ვიცი, აბსოლუტურად ყველაფერი... ისიც კი, რომ საკუთარი მშობლების ოჯახში არ გაზრდილხარ; ისიც, რომ ერთ დროს ქალი გიყვარდა და სწორედ მან დაგღუპა; ისიც ვიცი, ის ქალი ახლა სადაა, ისიც, რომ შურისძიების წყურვილით ხარ შეპყრობილი და გპირდები, რომ შენ მაგივრად, მასზე შურს მე ვიძიებ... ისიც ვიცი, ერთხელ, ზამთრის ცივ ღამეს საკუთარი აგარაკიდან რომ მოდიოდი და გზაზე დაგდებული მამაკაცი იპოვე. გეგონა, მანქანა დაეჯახა და მიატოვა... ის კაცი საავადმყოფოში მიიყვანე, მიუხედავად იმისა, რომ ძებნილი იყავი და არ შეშინდი, რომ მისი ასეთი მდგომარეობა შენ დაგბრალდებოდა; ვიცი, რომ საკუთარი სისხლი რამდენჯერმე გადაუსხი, რომ ექიმს შენი ტელეფონის ნომერი დაუტოვე, თუ რამე გაუჭირდეს, დამირეკეთ და აქ გავჩნდებიო; ფულიც შენ გადაიხადე და დაიბარე, არ იდარდოთ, გადაარჩინეთ და თუ საჭირო იქნება, კიდევ გადავიხდი; იმის გამო, რომ ფული არა აქვს და პატრონი არ ჰყავს, ნუ გაწირავთო... ამ კაცის მოსაკითხად მანამდე დადიოდი საავადმყოფოში, ვიდრე არ დარწმუნდი, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა... თუმცა მისი პალატის კარი ერთხელაც არ შეგიღია... ეს ყველაფერი ვიცი და კიდევ, შენი ცხოვრების თითოეული დეტალი. ჰოდა, ახლა, როცა ჩემს ძარღვებში შენი სისხლი მოძრაობს, ჩვენ ხომ თითქმის ძმები ვართ!.. მე კი მინდა, რომ ჩემმა ძმამ ძველ ცხოვრებას თავი დაანებოს და ახალი დაიწყოს...

— შენ... შენ ის ხარ?!. — როგორც იქნა, გონება გამინათდა.

— ჰო, ის ვარ. მაგრამ მანქანა კი არ დამეჯახა... მაშინ მოტაცებული ვიყავი, 3 დღე და ღამე მაწამებდნენ და რომ ეგონათ, მოვკვდი, გზაზე დამაგდეს. სწორედ იმ დღეს ჩაცხრილეს ჩემი ცოლ-შვილი... შენ რომ არა, მე იქ გავიყინებოდი. ჭრილობებიც სიცოცხლისთვის საშიში იყო და თუ ყინვას გადავურჩებოდი, ტრავმები მომიღებდა ბოლოს... ისე გვიან იქ აღარავინ გაივლიდა და რომც გაევლო ვინმეს, არა მგონია, შენსავით თავი შეეწუხებინა... მე ამ ქალაქში და ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შემიძლია, სადაც გასაქანს არ მაძლევენ და სადაც ჩემი ბედის ბორ-




ბალი უკუღმა დატრიალდა. აქედან მივდივარ. ამ ყველაფრის გაყიდვას მირჩევნია, შენ დაეპატრონო. ოღონდ, ერთი პირობით — ძველ ცხოვრებას უნდა შეეშვა.

— მაგას მე მგონი, მნიშვნელობა არა აქვს. შენ ბიზნესმენი ხარ, მე — შავი სამყაროს წარმომადგენელი, მაგრამ ერთნაირად გვებრძვიან და ერთნაირად გვიტევენ. ასე არ არის?

— ჩემი საქმე სხვაა... მე პირადი ანგარიში გამისწორეს და არავითარი ბიზნესინტერესების გადაკვეთა არ მომხდარა. მე გასწავლი, როგორ იმუშაო. 1 თვე წინ გვაქვს. ყოველდღე ივლი ჩემთან სამსახურში; თანამშრომლებს გაგაცნობ, საქმეებში გაერკვევი.

— ეს ასე იოლი არაა. ჩემი ცხოვრებისგან თავის დაღწევა იოლი არაა... ჩემი წილები უნდა დავთმო... ოფიციალურად უნდა გამოვაცხადო, რომ ქურდობაზე უარს ვამბობ. ეს კი შავი ლაქა იქნება ჩემი ცხოვრებისთვის. თუ მაგ გადაწყვეტილებას მივიღებ, მაშინ ნელ-ნელა უნდა დავთმო პოზიციები, ასე ხელაღებით ვერ გადავდგამ მაგ ნაბიჯს.

— ეგ შენი გადასაწყვეტია. მაშინ, სანდო კაცი უნდა დანიშნო, რომ ბიზნესი აკონტროლოს. გყავს ვინმე ასეთი?

— კი, მამა მყავს... ჭკვიანი კაცია, თავისუფლად გაუძლვება ყველაფერს. ის „პიტერში“ ცხოვრობს, თავისი ბიზნესი აქვს, მაგრამ გაყიდის და საცხოვრებლად აქ გადმოვიყვან. შენ? შენ რომ ამ ყველაფერს თმობ, რას აპირებ?

— საკმარისი ქონება მაქვს და უცხოეთში ბიზნესპარტნიორები მყავანან; უკვე წილიც მაქვს ერთ კარგ საქმეში...

— ეს ყველაფერი მანამდე რატომ არ მითხარი, ვიდრე დოკუმენტებს გააფორმებდი?

— ვიცი შენი ხასიათი — უარს იტყოდი.

— მაინც ხომ ვთქვი უარი.

— ასე ჩავთვალე საჭიროდ. ახლა კი გავიდეთ, ნიცა მარტოა და მიხედვა უნდა. მისი ექიმი ხვალ ჩამოვა და ყველაფერს ისე დაასრულებს, როგორც საჭიროა.

— კიდევ ერთი საკითხი მაინტერესებს...

— ვიცი, მელანოზე გინდა დალაპარაკება. მისი მისამართი და ყველა კოორდინატი მაქვს. ნარკოტიკების გასაღებაში იმ ფაიფურის ქარხნის დირექტორმა ჩაითრია, სადაც მუშაობა დააწყებინე. მისი საყვარელია და საქმიანი პარტნიორიც. ასე რომ, მაგ საქმეს მე მივხედავ.

— არა, მინდა, თვალებში ჩავხედო. ბევრი რამ მაქვს სათქმელი... კოორდინატები უნდა მომცე...

— კარგი, თანახმა ვარ.

მე და ალექსანდრე ერთმანეთს მართლაც, ძმებივით დავშორდით. ნიცა თან წავიყვანე და შინ ისევ დაცვის ბიჭებმა მიმიყვანეს.

ვასიკო და ლალი გაოცდნენ, როცა ნიცასთან ერთად დამინახეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაოგნებულები ისმენდნენ იმ ამბავს, რომელიც ბოლო საათებში გადამხდა თავს.

იმ საღამოს ჩვენი მოსკოვში დაბრუნება, ნიცას ჩამოსვლა და ვასიკოსა და ლალის შეუღლება რესტორანში აღვნიშნეთ. გული ხარობდა. ძველი დრო მახსენდებოდა. ნიცა გახალისდა. ყველამ მოვილხინეთ და შინ გვიან დავბრუნდით.

მეორე დღეს, დილაადრიანად, მე და ვასიკო მელანოს სანახავად გავეშურეთ. მითითებულ მისამართს მალე მივაგენით. კარგა ხანს ვაკაკუნეთ კარზე და ზარიც ვრეკეთ, მაგრამ არავინ გამოგვპასუხებია. სიმწრისგან კბილებს ვაღრჭიალებდი. შიგნიდან ფაჩუნის ხმა ისმოდა, მაგრამ კარს არ აღებდნენ. როგორც ჩანს, საჭვრიტინოზე ხელი რომ გვქონდა აფარებული, ამის გამო ფრთხილობდნენ.

— კარგი, წავიდეთ. ეს კი აქ, კართან დავტოვოთ და როცა გამოვლენ, თვითონ ნახავენ, — ხმამაღლა თქვა ვასიკომ და თვალი ჩამიკრა. ისეთი სცენა გაითამაშა, თითქოს რაღაც მივიტანეთ და კართან ვტოვებდით.

კიბეზე დავეშვით. ორიოდე წუთში უკან ავბრუნდით და კედელს ავეკარით. ცოტა ხნის შემდეგ საკეტი გაჩხაკუნდა. ვასიკომ თავით მანიშნა, მოემზადეო. როგორც კი კარი ოდნავ გაიღო, ერთი ნახტომით ვეცი და მთელი ძალით მივაწექი. ვიღაცამ შეკივლა და ბინის სიღრმისკენ გაიქცა. დავედევნე. ვასიკოს ნაბიჯების ხმაც მესმოდა, ფეხდაფეხ მომყვებოდა. საძინებელში შესულ ქალს თავზე დავადექი და ბალიშის ქვეშიდან იარაღის ამოღება არ დავაცადე. საწოლზე პირქვე დავაგდე, ხელები ამოვუგრიხე, ვასიკომ კი მისივე იარაღი აიღო და თავზე დაადო. ქალმა წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტა. ვასიკო მომეხმარა და ის გულაღმა ამოვაბრუნეთ. მელანო იყო. ჩვეული გრძელი თმის ნაცვლად, ბიჭივით მოკლედ შეკრეჭილი ვარცხნილობა ჰქონდა.

ქვემოდან ამომხედა და რომ მიცნო, თვალები დახუჭა.

საწოლზე წამოვსვი.

— გამარჯობა, — მთელი ირონია და ზიზღი ჩავაქსოვე ამ ერთ სიტყვას.

ხმა არ გამცა.

— მაინც დადგა ჩვენი შეხვედრის დრო, ხედავ?

ისევ დუმდა.

— ნუ ხარ გაჩუმებული. ბევრ კითხვაზე მოგიწევს პასუხის გაცემა.

— მეზიზღები... — კბილებში ისე გამოცრა, მივხვდი, სიმართლეს ამბობდა.

— მეც მეზიზღები და სწორედ ამიტომ მოგძებნე, რომ ეს გითხრა და საფლავში გაგატანო ჩემი ზიზღი და სიძულვილი.

— ჩემთვის სულერთია, — გვერდზე გაიხედა.

— ჩემთვის არაა სულერთი... ახლა მითხარი, რატომ გადაწყვიტე ნიცას განადგურება?

— მაგ გოგომ შენი თავი წამართვა და იმიტომ...

— ჩემი თავი შენ მას მერე აღარ გეკუთვნოდა, რაც მე აქეთ წამოვედი და შენ თბილისში დარჩი. ეს ხომ იცოდი.

— ფაქტის წინაშე დამაყენე, დამპალო!..

— მელანო, შენ არასწორი გზა აირჩიე: ნარკოტიკების საქმეში თავის ჩაყოფა ხუმრობა არაა, — ჭკუის დარიგებასავით გამომივიდა.

— ეგ შენი საქმე არაა.

— ჩემი საქმეა სწორედაც. აქ მე ჩამოგიყვანე და მე ვარ პასუხისმგებელი შენს საქციელზე. ჯერ — პროსტიტუცია, მერე — ნარკოტიკებით ვაჭრობა... სულში გაქვს ბოზობა, შენი!..

უეცრად უცნაური მოძრაობა გააკეთა და მაჯაზე კბილებით დამწვდა. სიმწრისგან დავიღმუვლე. მისი ტუჩის კუთხეებიდან ჩემმა სისხლმა გამოჟონა. ამის დანახვაზე ჭკუა გადამეკეტა და მეორე ხელი სახეში ისეთი ძალით შემოვცხე, რომ ლოგინზე გულაღმა გადავარდა. ფრჩხილებით, ხელებით, ფეხებითა და კბილებით, ძუ მგელივით მებრძოდა. ვასიკო წამომეშველა და ხელები გაუკავა. იქვე დადებული პისტოლეტი ავიღე და შუბლზე მივაბჯინე.

— ძუკნა ხარ! — გამოვცერი კბილებში.

სახეში შემაფურთხა.

სასხლეტზე თითის დაჭერას ვაპირებდი, მაგრამ ბოლო მომენტში ხელი ამიკანკალდა; ვერ შევძელი.

ერთმა სურათმა გაიელვა თვალწინ — მე და მელანო პირველ კლასში, პირველ სექტემბერს ხელიხელჩაკიდებულები რომ მივდიოდით... იარაღი მოვაშორე და უკანმოუხედავად დავტოვე მისი ბინა.

ვასიკო ფეხდაფეხ მომყვებოდა. მანქანაში რომ ჩავჯექი, იარაღი „ბარდაჩოკში“ ჩავაგდე და მანქანა ადგილიდან მოვწყვიტე.

— ხომ გითხარი, ვერ გაიმეტებ-მეთქი?!

— არ გავიმეტე... მე მისი განსჯის უფლება არ მაქვს. ღმერთი განსჯის. ისედაც ბევრი ცოდვა მაქვს ზურგზე მოკიდებული და მაგის დამატება აღარ იყო საჭირო.

— სინამდვილეში კი საქმე სულ სხვა რამეშია, არა?.. — ჩამეკითხა ვასიკო, მაგრამ ხმა აღარ გავეცი...

უტას დღიური აქ წყდება. მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მისივე ახლობლების საშუალებით მოვიპოვე.

ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ მელანო მანქანით კლდიდან გადაჩეხილი იპოვეს... უცნობია, ვინ გაუსწორდა ასე. შესაძლოა, უბედური შემთხვევის მსხვერპლადაც იქცა... უტა და ნიცა ახალ სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად. უტამ დედამამა თავისთან გადაიყვანა, მამას ბიზნესი ჩააბარა, საქმეების კეთებასა და „სხადნიაკებზე“ სიარულზე ხელი აიღო, მაგრამ ქურდის სახელი შეინარჩუნა... ის ახლაც რუსეთში ცხოვრობს, 4 შვილის მამაა, საკუთარ ბიზნესს უკვე თავად უძღვება. ალექსანდრე ვერტიუკოვთან მეგობრული ურთიერთობა აქვს — მისი ერთ-ერთი შვილის ნათლიაცაა...

*დასასრული*

# გზავნილები



მარი ჯაფარიძე

„ჯადოსნურ ჯოხს მილიონს ვთხოვდი… ჩვენ რომ ვიცით, იმის ასრულებისთვის, მააარ… ეეეეჰ, როგორ მინდა მილიონიიი… ბევრს ხომ არ ვთხოვ, არა? 5, 10, 20 კი არა, 1 მილიონი, ვააა… SWEET-GIRL“. არ გაგიკვირდეთ, ამ „მოკლე ჩართვის“ მესიჯით რომ დავიწყე „გზავნილების“ შესავალი. მინდა, SWEET GIRL-ის იდეაზე გიამბოთ, თუ რაში სჭირდება მილიონი. მას სურს, ზღვისპირეთში, კერძოდ — ბათუმში, დიდი სახლი ააშენოს და დაარქვას „მგზავნელების სამოთხე“. ამ სახლში მუდმივად მხოლოდ მგზავნელები იქნებიან. ზოგი იქ იცხოვრებს, ზოგი სტუმრად მივა, მოხუცებულობის ჟამს კი ყველა ერთად იქ მოიყრის თავს და გაიხსენებენ იმ წლებს, ახალგაზრდა მგზავნელები რომ იყვნენ. მგზავნელებს დიდი ავტობუსიც ეყოლებათ, შესაბამისი წარწერით და ამ ავტობუსით ექსკურსიებზე ივლიან, გემიც ეყოლებათ, კრუიზისთვის (თუმცა, ამას მილიონი არ ეყოფა) და ყველანაირი კომფორტიც ექნებათ შექმნილი. მოკლედ, ღმერთმა უსმინოს SWEET-ს და მისცეს მილიონი. იმედია, პირობას არ დაივიწყებს. ახლა კი თქვენი მესიჯები.

## გაუმხელელი სიყვარულის მსხვერპლი

## მოკლე ჩართვა

# რას ვიზამდი, ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს?

● დავიქნევდი ჯადოსნურ ჯოხს და პუტინსა და მედვედევს გავაქრობდი. კიდევ, გავაჩენდი ბევრ ფულს და ნინო ბურჯანაძეს გავუგზავნიდი, აგარაკი რომ დაებრუნებინა. გრუზინკა.

● ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ხელის ერთი აქნევით მთელ ქვეყანას უმდიდრესად ვაქცევდი, მათხოვრები აღარ იარსებებდნენ და აბსოლუტურად ყველას, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ექნებოდა. თითქოს ბანალურად ჟღერს, მაგრამ დაუკვირდით, რამხელა ბედნიერება იქნებოდა. ქვეყნად სულ ღიმილი, სიკეთე და სითბო იარსებებდა!.. ბამბუჩა.

● არა, რა... მაინც არ მინდა ჯადოსნური ჯოხი, მერე ისეთ რამეებს მოვინდომებ... უბრალოდ, უფალს ვთხოვ, დედა მიმყოფოს ჯანმრთელი. აუ, მოიცა, მაინც მინდა — კოსმოსში გავიდოდი 1 კვირით მაინც და კიდევ, რამდენიმე ადამიანს ძალიან მმმაგრად ვცემდი, მაგრამ მათი სიკვდილი მაინც არ მინდა. ჰა, რას იტყვი, მარ, მომცემ ჯოხს? გენაცვალე შენ, როგორ ვიმხიარულე, ამ SMS-ის წერის დროს... სარვიეტა.

● ვიცი, რომ არ მექნება, მაგრამ იმდენი სურვილი მაქვს, მგონი, თვითონაც არ მოინდომებდა ჩემთან ყოფნას. მწვანეთვალება ანგელოზი.

● მდაა, საინტერესოა... რას ვიზამდი მაგ შემთხვევაში და... ჩემი საწოლის გადასაფარებელს ხუთი მმაგარი ბიჭი რომ ახატია, აი, მათ გავაცოცხლებდიიი! მხოლოდ ჩემთვის! მე და — ისინი! ძმები, რა! ლუნა.

● ნეტავ, მართლა მქონდეს ჯადოსნური ჯოხი, ისე მტკივა ფეხი, პირველ რიგში, ფეხზე დავირტყამდი და მალე გამოჯანმრთელებას ვისურვებდი, შემდეგ ჩემს საყვარელ ქუთაისში მივიქნევ-მოვიქნევდი და ორ წუთში დავასრულებდი სამშენებლო სამუშაოებს. დავიღალე ამ „იამკებზე" ხტომიალით. :) შოკოლადა.

➲88

## ერთი ნაბიჯი ბედნიერებამდე

„ბიჭი წყნარი, სევდიანი ნაბიჯებით მიუყვებოდა ვიწრო ორღობეს. მთვარეულივით წინ იყურებოდა მხოლოდ, გაფითრებული... თითქოს იყო და არც იყო ამქვეყნად... თოვდა. გულწასული დედოფალივით ეფინებოდა ფანტელები მიწას. ციოდა, ის კი ვერაფერს გრძნობდა. სადღაც ღამენათევი მამლები ყიოდნენ... ორღობეში, ერთგან, უშველებელი მურა ძაღლი გამოუხტა, ზარმაცი ღრენით. ადრე იქნებ შეშინებოდა კიდეც მისი, ახლა კი მწარე ღიმილი ესროლა მხოლოდ და გულგრილად გაუარა. მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა თავში: რატომ ვერ შეძლო, რაიმე ეთქვა, იქნებ ყველაფერი შეეცვალა, თუნდაც ერთ სიტყვას? თოვდა გადაუღებლად. ორღობის ბოლოში ტყვიანაკრავივით გაშეშდა და ერთ ადგილს მიეყინა... სევდიანი თვალებით გახედა დათოვლილ შესახვევს. იმ შესახვევთან, პაწია ჭიშკრის მიღმა მდგომი, კოპწია სახლიდან მისი ბედნიერება იწყებოდა და მთავრდებოდა კიდეც. ფიქრებმა გაიტაცა. ბიჭი 16 წლის იყო, გოგონა — 15-ის. ბიჭი ბებიასთან ისვენებდა, გოგო სტუმრად იყო ჩასული. ერთ დღეს იგრძნო, რომ სული აუფორიაქდა, მერე კი საერთოდ დაკარგა მოსვენება. ეშინოდა საკუთარი თავის, გრძნობების, იმის, რომ იქნებ აზრიც არ ჰქონდა ამ ყველაფერს. მიხვდა, რომ უყვარდა უსაზღვროდ და მთელი არსებით. იმ ზამთარს ბევრი უძილო ღამე გათენდა თეთრად. რამდენჯერ გადაწყვიტა, ყველაფერი ეთქვა, მაგრამ შეხედავდა თუ არა, აზრი ეფანტებოდა. თუმცა, იმითაც ბედნიერი იყო, რომ მის გვერდით ხალისიან დღეებს ატარებდა. ერთ დღეს, თავზარდამცემი ამბავი გაიგო — კიდევ ერთ ბიჭს ჰყვარებია ანუკი. ისიც სტუმრად იყო, მამიდასთან. უთხრა, რომ უყვარდა, მაგრამ გოგომ რომ გაიგო, გაუბრაზდა და ეჩხუბა. ამ ფაქტმა და იმის შიშმა, რომ საკუთარი გრძნობის გამხელით სულ არ დაეკარგა, კიდევ უფრო ჩაკეტა საკუთარ თავში. მერე კი ის მოხდა, რასაც არ ელოდა. ერთ დღეს გიამ ანუკი მოიტაცა და სამუდამოდ დაუტოვა აუხდენელი ოცნებები. 2 წლის შემდეგ შემთხვევით ქალაქში შეხვდნენ ერთმანეთს და მიხვდა, რომ ისევ უსაზღვროდ უყვარდა. სევდიანი თვალები ჰქონდა გოგონას. გულში ჩაიკრა, ათრთოლებულმა. მერე გაისეირნეს. გულმა ვეღარ გაუძლო და ამოხეთქა, ნიაღვარივით წამოვიდა გრძნობა. იმ დღეს ბევრი ისაუბრეს. ბიჭმა უთხრა, რომ უყვარდა. გოგოც გამოუტყდა, რომ მასაც უყვარდა და მაშინ მიხვდა, რომ დაიგვიანა. სულ რაღაც ერთი ნაბიჯით ჩამორჩა ბედნიერებას. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, წლებმა თავისი გაიტანა და ნელ-ნელა მტვრით დაიფარა მოგონებები. უკვე დავივიწყე. ახლა მხოლოდ წარსული ჰქვია ამ ყველაფერს... შორეული წარსული... თუმცა, ხანდახან, როცა ჩემი ცხოვრების განვლილ წლებს გადავფურცლავ გონებაში და გულის რომელიღაც, მიყრუებულ კუნჭულში მტკივნეულად წყდება თითო ძაფი. ნეტავ, რა მოხდებოდა, მაშინ ყველაფერი რომ მეთქვა? ეჰ... ვინ იცის... ვინ იცის... მაესტრო".

## მეგობრობის ხათრით დაკარგული სიყვარული

„ნიკამ და ლევანმა უნივერსიტეტში გაიცნეს ერთმანეთი. მალევე გამონახეს საერთო ენა და განუყრელ ძმაკაცებად იქცნენ. ყველგან ერთად დადიოდნენ. ლევანი ამაყობდა, ძმა ვიპოვე, ნიკას სახითო. რამდენჯერმე იყო ნიკა ლევანთან სახლში, მაგრამ მხოლოდ მშობლები ხვდებოდნენ. არადა, იცოდა, დაც ჰყავდა და ლევანს მის გაცნობას სთხოვდა. ეტყოდა ხოლმე, შენი და ჩემი დაც იქნებაო. თუმცა, როცა გაიცნო, ინანა, რადგან თავდავიწყებით შეუყვარდა თიკო. დიდხანს იტანჯებოდა იმის გამო, რომ არ



შეეძლო, გრძნობები გაემხილა. ვეღარც ლევანს უყურებდა თვალებში. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ხომ არ სჯობს, საერთოდ გადავიკარგო სამშობლოდანო?! მოგვიანებით ასეც მოიქცა, ადგა და წავიდა. არადა, ის ხომ თიკოსაც უყვარდა... ბიჭის გრძნობებსაც ხვდებოდა და ისიც იცოდა, რომ ამ სიყვარულს ლევანი არ აპატიებდა, მაგრამ უყვარდა და რა ექნა? თუმცა, წლები გავიდა, თიკომ ოჯახი შექმნა, ნიკამ — არა ან — ვერა. ის კი ვიცი, რომ ნიკას და ლევანს დღესაც სამაგალითო მეგობრობა აქვთ. P.S. მარ, ამ ბოლო დროს აღარ მწყალობ... :( ფეშენა".

## ხუთნი

„დაწყებით კლასებში" საკმაოდ პოპულარული ვიყავი, ყველაზე კარგად ვსწავლობდი და თურმე, ერთდროულად 5 კლასელს შევყვარებივარ. თითოეული ცდილობდა, ახლოს ყოფილიყო ჩემთან, გვერდით მომჯდომოდა... მე კი ვერაფერს ვხვდებოდი. მერე სხვა სკოლაში გადავედი, ძველ კლასელებს ხშირად ვნახულობდი უბანში, საკმაოდ კონტაქტური ვარ და ძალიან მწყინდა, რომ ხუთეულიდან მხოლოდ ერთი მესალმებოდა, დანარჩენები კი თვალს მარიდებდნენ. შემდეგ საერთო ნაცნობისგან გავიგე, ერთერთს უთქვამს, საუკეთესო მეგობრებმა მაგის გამო, ბავშვობაში ერთმანეთს თავ-პირი დავალეწეთ; გვგონია, იცის, გაეცინება და თვალებში ვერ ვუყურებთო. ბოლო წელს, იმ ხუთეულიდან ერთი ჩემს ახალ კლასში გადმოვიდა და ყოველთვის ამაყად აცხადებდა, ეს ჩემი პირველი სიყვარულია და რომ ვიჩხუბე, სულაც არ ვნანობ, ამდენი წელი გავიდა და არ მრცხვენია ამის აღიარებისო. ჩვენ ახლა კარგი მეგობრები ვართ, არც დანარჩენების აღიარებით შეიცვლებოდა რამე თავის დროზე, მაგრამ... საერთოდ, ჯობია, სათქმელი ყოველთვის ბოლომდე ითქვას, რომ მერე გაშვებული შანსების სადღეგრძელოს დალევა არ მოგვიწიოს. სვანის ასული".

## ახდენილი ოცნება

„პირველი და ერთადერთი სიყვარული ბავშვობაში, 12 წლის ასაკში მეწვია. ის ჩემს კლასში იმ წელს გადმოვიდა. თავიდან ერთმანეთს თითქოს „მტრად" მოვეკიდეთ, ერთმანეთს ვერ ვიტანდით და გამუდმებით ვჩხუბობდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს მტრობა კი არა, რაღაც სხვა იყო, უფრო დიდი და თბილი. მალე რადიკალურად შეიცვალა ჩვენი ურთიერთობა, უფრო „დათბა". ვერაფრით ვიხსენებ, რა იყო ჩვენი საუბრის თემა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ერთად ვიყავით და ვლაპარაკობდით. სასწავლო წლის დასრულებისას, დადიანების სასახლეში წავედით ექსკურსიაზე. სამწუხაროდ, ის არ წამოვიდა. მახსოვს, რაღაც ხეივანი იყო. იქ გვითხრეს, თუ ამ ხეივანში თვალდახუჭული სამჯერ ისე გაივლი, რომ არაფერს შეეხები, რასაც ჩაიფიქრებ, აგიხდებაო და... ვცადე... ყველა ცდილობდა, მოეპოვებინა სურვილის ასრულება და მხოლოდ მე შევძელი. ძნელი მისახვედრი არაა, რა ჩავიფიქრე. არ გჯერათ? მე მალევე დავიჯერე და დღესაც მჯერა. რატომ? გაიგებთ, სულ ცოტა მოთმინება იქონიეთ, ოღონდაც. იმ საღამოს გავიგე, რომ მას მოვწონდი და უბედნიერესი ვიყავი. ესეც ნაწილობრივი ასრულება ჩემი სურვილის. იმ ზაფხულს ხშირად ვკონტაქტობდით ტელეფონით. მივხვდი, რომ მიყვარდა და ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი, როცა სკოლა დაიწყო და 3-თვიანი განშორების შემდეგ კვლავ ვნახე. ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ ვუყურებდი, ყოველდღე სუნთქვაშეკრული ველოდი, როდის გაიღებოდა კარი და შემოვიდოდა. ის დღე ჩემთვის დაკარგული იყო, თუ ვერ ვნახავდი. მითხრა, მიყვარხარო. ამას არც სხვებთან მალავდა, მაგრამ მე არ ვაღიარებდი, რომ მიყვარდა და დღესაც ვნანობ ამას. ჩემმა სიჯიუტემ და დუმილმა დამაკარგვინა. ერთ დღესაც მოჰბეზრდა, ადგა და წავიდა. სხვა სკოლაში გადავიდა, ნახევარ წელში კი საერთოდ წავიდა ქალაქიდან. საშინლად მტკიოდა გული, მინდოდა, საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ არ მიყვარდა. ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რომ მისი დაკარგვა ჩემი ბრალი იყო. 3 წლის განმავლობაში საერთოდ არანაირი ურთიერთობა აღარ გვქონდა. მას ახალი შეყვარებული ჰყავდა და ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. მეც მოვეშვი მასზე ფიქრს, რომ ისევ დაბრუნდებოდა ძველი დრო... ან კი რა უფლება მქონდა, ამაზე მეოცნება? მე ხომ „ის" ჩემი სისულელის გამო დავკარგე! მეერე? მერე ასე გავიდა 3 წელი. ზოგჯერ სკოლაში მოდიოდა ხოლმე, ერთმანეთს ისე გავუვლიდით, თითქოს არც კი ვიცნობდით და არაფრად ვაგდებდით, მაგრამ აქვე უნდა ვაღიარო, რომ ჩუმად სულ ვუყურებდი. წინასწარ ვიცოდი, როდის მოვიდოდა, სიზმარში ვნახულობდი. სულ ვფიქრობდი წარსულზე, ვცდილობდი, წარმომედგინა, როგორ იქნებოდა ყველაფერი, მე რომ სხვანაირად მოვქცეულიყავი, მაგრამ მერე მოვეშვი ფიქრს და ოცნებას... დღეს? დღეს ჩვენ ისევ ერთად ვართ, ღმერთის წყალობით. ეს სასწაულია და სხვა დროს მოგიყვებით ამ ამბავს. ეს ხომ უკვე სხვა თემაა. ღმერთმა ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს. უკვე მჯერა, რომ ოცნებები ხდება. ის ოცნებებიც, რომელზე ფიქრიც არასდროს გაგვიბედავს. მინდა, ვიყვირო, რომ მიყვარს! ძალიან, ძალიან მიყვარს! SKY".

## სინანული

„ჩემს მეგობარს ძალიან უყვარს ერთი ბიჭი. ამ ზაფხულს ყველანი ერთად დასასვენებლად წავედით. ერთ საღამოს დავთვერით. იმდენად იშვიათად ვსვამ, რომ სასმელმა ცუდად გამხადა. იმ ბიჭმა გონზე მოსასვლელად გარეთ გამიყვანა, ღამის 1-ელ საათზე. ჩემი გათიშული გონება ვერ მიხვდა მოსალოდნელ საფრთხეს და როდესაც იმ ბიჭმა ნელ-ნელა ალერსი შემაპარა და მერე გიჟივით კოცნაობა გამიმართა, ოდნავი წინააღმდეგობაც კი ვერ გავუწიე. აღარ მოვყვები, რამხელა ამბები მოჰყვა ამას ჩემი მეგობრის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა მეგობარმა გამიგო, მაპატია და ისევ ძველებურად ვართ, მე მაინც ვერ ვპატიობ საკუთარ თავს! მერე რა, რომ მთვრალი ვიყავი?! ბამბუჩა".



## მოკლე ჩართვა

# რას ვიზამდი, ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს?

86

● ჯერ მომცა ჯადოსნური ჯოხი და... ძალიან ბევრ სიკეთეს გავა-კეთებდი. ჰოდა, ამიტომაც არ მაქვს და არც მექნება ოდესმე. სვანის ასული.

● ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, სიმაღლეს მოვიმატებდი და ჩემს სიხარულს ამაყად დავუდგებოდი გვერ-დით. ლია.

● პირველ რიგში, ბედნიერებას ვთხოვდი, მერე ქვეყანას ავაღორძინებ-დი, მერე მსოფლიოს, მერე ჩვენს ახლობლებსა და ნათესავებს და... ვიქნებოდი ბედნიერი... მარწყვის გოგო.

● ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებდი, ჩუმად და უხმაუროდ. ბევრ ბიუროკრატ და ცხოვრებისგან გაზულუქებულ ადამიანს ძილს დავუფრთხობდი. ოლეგარიო.

● ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, უკლებლივ ყველა მგზავნელს, მარისა და ლიკას... აქ, ჩემს უუულამაზეს სოფელში დავპატიჟებდი. მდინარის პირას, ჩანჩქერთან გავშლიდი სუ-ფრას და დიდხანს, ძალიან დიდხანს ვისიამოვნებდი თქვენთან ყოფნით... ეჰ, ამ ყოველივეს ასრულება არ უწერია და ვიოცნებო მაინც... CRAZY GIRL

● ჩემს სიცოცხლეს თბილისში გადმოვიყვანდი საცხოვრებლად. აუ, რა მაგარი იქნებოდაააა?! ეეჰ, ჭრიჭ, იოცნებე, იოცნებე... ჭრიჭინა.

● ჯადოსნური ჯოხი რომ მქონდეს, საქართველოში, მსოფლიოში ულამაზესი ხალხი ივლიდა, საქართველო აუცი-ლებლად ნიკოფსიიდან დარუბანდამ-დის იქნებოდა, შვეიცარიული პოლი-ტიკა გვექნებოდა და მერე ჩემთვისაც ერთ კადილაკს გავჩითავდი. სანამ არ დამიბეჭდავთ, არ მოგეშვებით, იცოდე. :) ათარექსია.

● ჯადოსნურ ჯოხს პინოქიოს ჩავუკაკუნებდი თავში და აზრზე მოვიყვანდი. ალბათ თქვენ ვერ მიხ-ვდით, რა მინდა, მაგრამ პინოქიო რომ წაიკითხავს, მიხვდება. მწარე.

### ჯვარს დაიწერენ...

„როგორი მოგონებები ამიშალა თემამ, თქვენ რა იცით?! 4 წელი ერთად ვიყავით მე და „ის". პირვე-ლი სიყვარული იყო, პირველი სიხ-არული... ის ყოველთვის მეუბნებო-და — „მიყვარხარ"... მე კი თავს ვიკავებდი ამის თქმისგან. ვპასუხ-ობდი — „მეც" ან რამე სხვას. ხანაც, გავინაბებოდი და ჩავეხუტებოდი ხოლმე... ძალიან ბევრი რამ გამოვ-იარეთ ერთად. მე მხოლოდ ერთხ-ელ ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი... მაგრამ გვიანი აღმოჩნდა, ძალიან გვიანი... მერე დამშორდა, რაღაც ბინძური ტყუილის გამო, რომელ-იც ჩემზე უთხრეს. ერთი კვირაც არ იყო გასული, უკვე ახალი შეყ-ვარებული ჰყავდა. ყველაფერს საკ-უთარ თავს ვაბრალებ. რა იქნებო-და, მისთვის უფრო ხშირად მეთქ-ვა, რომ მიყვარდა? იქნებ, ყვე-ლაფერი სხვანაირად ყოფილიყო?.. იქნებ, უფრო დარწმუნებულიყო ჩემს სიყვარულში. არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ მე თავს გაუმხელელი გრძნობის მსხვერპლად მივიჩნევ. P.S. იმ გოგოს მუცელი დაუმრგვალდა... ალბათ ამ კვირა-ში ჯვარს დაიწერენ, მე კი მათ ჯვრისწერაზე მომიწევს ყოფნა... პატარა მავნე".

### სხვისი სიყვარულის მფარველი

„როცა ნათიამ ლუკა გაიცნო, უკვე საქმრო ჰყავდა, მაგრამ ლუკას მაინც შეუყვარდა. უყვარდა ჩუმად, თავისთვის და უიმედოდ, რადგან ხედავდა, რომ გოგონა მეგობრად მიიჩნევდა, თავის სიყვარულზეც გულღიად უყვებოდა და ზოგჯერ ხუმრობით, ბიძიასაც ეძახდა. სხვა გზა არ ჰქონდა ლუკას, ვაჟკაცურად იტანდა პატარა გოგონას ხუმრობას და თვალებში შეჰყურებდა თავის ქალღმერთს (ასე უწოდებდა), რათა მისი სურვილები ამოეცნო და გაეხ-არებინა. ერთხელ, შეყვარებულებმა იკამათეს და გაიბუტნენ. ლუკა სუ-ფრასთან იჯდა, როცა ნათიამ ეს ამბავი მისწერა და ისიც ღვინოს მიეძალა. ნასვამმა კი გადაწყვიტა, გოგოსთვის სიყვარული აეხსნა. დაურეკა და 1-საათიანი შესავლის შემდეგ უთხრა, რომ უყვარდა და აღარ შეეძლო მეგობრობანას თამა-ში. არ ვიცი, ნათია სხვა სიტუა-ციაში როგორ მოიქცეოდა, მაგრამ მაშინ ლუკას სიტყვები ღალატად ჩათვალა. ბევრჯერ სცადა დალა-პარაკება ბიჭმა, მაგრამ ნათიამ ახლოს არ გაიკარა. ლუკა იძულე-ბული გახდა, გზაში დახვედროდა და ისე აეხსნა ყველაფერი. ბრძო-ლას არ აპირებდა, რადგან მიაჩნ-და, რომ გოგონა მასზე უკეთესს იმსახურებდა და ისევ მეგობრობის ხელი გაუწოდა. ნათია შეურიგდა, რადგან უკვე აღარ შეეძლო მის გარეშე. ლუკა კი დღემდე მფარველ-ობს მის სიყვარულს. ბევრჯერ იხ-სნა წყვილი დაშორებისგან და ამაოდ არწმუნებს ნათიას, ქალებ-ში სიარულს არ ვიკლებო. გოგო ახლაც გრძნობს, ერთადერთხელ გამხელილი გრძნობის ნაპერწკალს. პარიჟანკა".

### გულნატკენი

„წლების წინ, როდესაც დედ-მამა ახალგაზრდები იყვნენ და ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, შვილის ყოლას არ ჩქარობდნენ. დედა მაინც დაფეხმძიმდა და ბავშვის მოშორე-ბა გადაწყვიტა. ექიმმა აუხსნა, თუ პირველ შვილს მოიშორებ, შეიძლე-ბა, ვეღარ დაფეხმძიმდეო. ასე მოვევლინე ქვეყანას, მაგრამ რად-განაც დედაჩემი სტუდენტი იყო, ბებიას მისცა ჩემი თავი გასაზ-რდელად. უპატრონოდ ვიზრდებოდი ბებოსთან, მშობლებს მხოლოდ შა-ბათ-კვირას ვახსენდებოდი. გადა-ჰყვნენ სწავლას, მერე — კარიერას. მთელი ამ წლების მანძილზე ნათე-სავები მე მაბრალებდნენ, შენ არ აცადე შენს მშობლებს ცხოვრება და იმიტომ მიგაგდეს და უმადუ-რად, ძაღლივით გაიზარდეო. მათი ნათქვამის არ მჯეროდა, მაგრამ,



როდესაც გავიზარდე, მივხვდი, რომ ნათესავები სიმართლეს ამბობდნენ, რადგან არც დედას და არც მამას არასოდეს ტკბილი სიტყვა არ უთქვამთ ჩემთვის. ნუთუ ვერ გრძნობდნენ, რომ მე ძვირფასი სათამაშო და ჩასაცმელი კი არა, მშობლების ყურადღება, ჩახუტება და მოფერება უფრო გამახარებდა. ბავშვობაში ყოველთვის მშურდა თანატოლების, როცა ისინი მშობლების სითბოზე ლაპარაკობდნენ. მეც ვნატრობდი, ნეტავ, დედა მალე ჩამოვიდეს და წამიყვანოს სასეირნოდ-მეთქი. ახლა კი, როდესაც გაიგეს, რომ ავად ვარ და თანაც — სერიოზულად, თავს დამტრიალებენ, ცივ ნიავს არ მაკარებენ, მე კი იმდენად ვარ გაბოროტებული, რომ არ მჯერა ჩემი მშობლების სიყვარულის და როგორც მე მატკინეს გული, ახლა მეც ისე ვექცევი. თუმცა, გულში მსიამოვნებს ჩემი მშობლების გადამეტებული ყურადღება. ყველაზე მეტად კი ის მომენტი მომწონს, როცა თავს მოვიმძინარებ, დედა ჩამომიჯდება, შუბლზე მკოცნის და ტკბილ და გემრიელ სიტყვებს მეჩურჩულება. ვცდილობ, მათ ვაპატიო ყველაფერი“.

## შურისძიება

„მზია და მისი ქმარი, კოტე, ბედნიერად ცხოვრობდნენ, სანამ მათ კორპუსში, ქვედა სართულზე ეკა არ გადმოვიდა (კატასთან ერთად). ეკა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო. კოტე მოეწონა, თვალების პაჭუნი დაუწყო. კაცს მეტი რა უნდა და... მოსახდენი მოხდა. ეს ამბავი ჭორიკანა მეზობლებმა აიტაცეს. სულ მალე კი მზიამაც გაიგო. თმა გაიწეწა, ლოყები ჩამოიხოკა და შურისძიება გადაწყვიტა. ეკას კატა დაიჭირა, ჩამოახრჩო და სხვისი ქმრის მიმთვისებელს ფანჯრიდან შეუგდო. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ერთი კითხვა მაწუხებს: კატამ რა დაუშავა, იმ უბედურმა, ან ამით რას მიაღწია? რა ვიცი, რა ვიცი... რა აღარ ხდება ამქვეყნად?! იტალიანკა“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ალბათ ღირსი ვარ მარტოობის ან ღალატის, ასე ძალიან მიყვარდა და ვუმალავდი“... ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჩემებმა დაგვაშორეს. ორჯერ შევრიგდით და ბოლოს მაინც დავშორდით. მესამედ აღარ დავუბრუნდი. ცუდია, როცა სიამაყეს სიყვარულზე დიდი ძალა აქვს. ახლა ჩემი სიამაყის გამო ვზივარ და წარსულს მივტირი. ანი“.

„მე ერთი ლამაზი და უსაყვარლესი გოგო მიყვარს, რომელსაც ლანა ჰქვია. მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. ლანას მშობლებმა რომ გაიგეს, დაუშალეს ჩემთან ურთიერთობა. ძალიან ცუდად ვიყავი ამის გამო, მეგონა, დავკარგავდი. ტელეფონიც წაართვეს და სახლში ჩაკეტეს. ისე ცუდად ვიყავი, ვერც აღვწერ, მაგრამ ახლა ერთად და ბედნიერად ვართ, ჩვენი სიყვარულით. ის ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია. მ.უ.დ.ო“.

„მე ლევანი ვარ, ახალციხიდან. მსხვერპლი ვარ და თანაც — როგორი?! მინდა, გავანდო, მაგრამ გათხოვილია და ესაა მიზეზი, რომ მას ვერასდროს ვერ გამოვუტყდები. ამ გრძნობას საფლავში ჩავიტან. სიყვარული ლამაზი გრძნობაა, რომელიც ადამიანს ამუნჯებს“.

„სევდიან ამბავს მოგიყვებით: 14 წლის ვიყავი, როცა ძალიან სიმპათიური ბიჭი გავიცანი და შემიყვარდა, თან — ძალიან. ასე დაიწყო ჩემი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. უკვე 5 წელია, მისი სიყვარული მაბედნიერებს. ამავდროულად, გაუმხელელი გრძნობის მსხვერპლი ვარ, რადგან ცოლიც ჰყავს და მალე მეორე ანგელოზიც ეყოლება. მინდა ვუთხრა: დავით, ყოველთვის მეყვარები. ოდესმე ჩემი ცხოვრებაც გაფერადდება. მადლობელი ვარ, სიყვარულისთვის. მხატვარი“.

ჯადოსნური ჯოხი? ეჰ, სურვილებს რა გამოლევს, პირველ რიგში, ჩემი ღიპუცას გულს დავიპყრობდი. ჰოოდა, მერე თქვენ გაჩუქებდით ჯადოსნურ ჯოხს, აბა, მარტო მე ვიყო ბედნიერი? პირველად გწერთ, მაგრამ შორიდან გიცნობთ და ძალიან მიყვარხართ. მისკაკა.

„გარიგებაზე მოგიყვებით, რაა... :) ჰოდა, რა ხდება: 20 წლის, ახლად გაფურჩქნილ ქალიშვილს მირიგებენ 33 წლის, მელოტ ბიძიას. მეც დავფაცურდი და ყველა „პაკლოს“ ვაუწყე, ვთხოვდები-მეთქი და დაფაცურება უნდა ნახოთ, თავს როგორ მაწონებენ. აქამდე სად იყავით, ბავშვებოო? დუბლიორი“.

„ჩემს საყვარელ ძაღლს უზომოდ შეუყვარდა ჩემი კატა. კუდის ქიცინით დასდევდა უკან, მაგრამ კატა ნამდვილი კაპარჩხანა აღმოჩნდა და ახლოსაც არ გაიკარა, გაუმხელელი გრძნობით გულჩათუთქული ძაღლი. მურა ცდილობდა, დიალოგზე დაეყოლიებინა ჯიუტი კატა, მაგრამ არ უსმენდა. ერთხელ კატა სასეირნოდ წავიდა, გზად მეზობლის ძაღლი გამოუვარდა და შესაჭმელად გაეკიდა. მურამ ეს ვერ აიტანა და მეზობლის ურჩი ძაღლი „დუელში გამოიწვია“. ამ გრძნობის მსხვერპლი მურა იყო, რომელმაც კატის გადასარჩენად სიცოცხლე გასწირა. აჰა, ამაზე დიდი მსხვერპლი რაღა გინდათ? ამას ბევრი „ორფეხა ძაღლი“ არ გააკეთებდა. ჭრიჭინა“.

„მე ახალი ვარ. ჩემი უახლოესი მეგობარი ბიჭი შემიყვარდა. ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით. ერთხელ გამიმხილა, რომ თურმე ჩემი და უყვარდა. ძალიან ცუდად გავხდი. არ მოველოდი... ვცადე, დამევიწყებინა და შევძელი. მას შემდეგ 2 წელი გავიდა და იცით, რა მოხდა? იმ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა, მაგრამ უარი ვუთხარი, იმიტომ, რომ შეყვარებული მყავს და ძალიანაც მიყვარს. გკოცნით ყველას. მიყვარხართ. სალო“.




***„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „იღბლიანი შემთხვევა“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად უნდა დაასრულოთ ფრაზა: „ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე ...“*** ■

# „ჩემი 16 წლის და 40 წლის კაცს გაჰყვა ცოლად“

## „რამ გაგაგიჟათ ამ ასაკოვან მამაკაცებზე?“

**„გზის“ №41-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინის მესიჯი, რომელსაც 32 წლის უცოლშვილო კაცი შეუყვარდა. „საქმე ისაა, რომ შეყვარებულის ასაკის გამო ოჯახში პრობლემები შემექმნა და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე“, — გვწერს ნინი, რომელსაც იმედია, მის სახელზე მოსული მესიჯები გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.**

*ლიკა ქაჯაია*

**გიორგი,** *კახეთიდან:*

„მართალია, ამბობენ, — სიყვარულმა ასაკი არ იცისო, მაგრამ ჩემი აზრით, მასზე აღარ უნდა იფიქრო, არ შეგეფერება. ისე, რამ გაგაგიჟათ ამ ასაკოვან მამაკაცებზე? ეცადე, შედარებით პატარა ბიჭი შეიყვარო“.

**ქის 19:**

„მეც შენს დღეში ვარ. ჩემი შეყვარებული ჩემზე 20 წლით უფროსია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მე ის მიყვარს და სხვები რას იფიქრებენ, საერთოდ არ მანაღვლებს...“

**იკუშკები:**

„მეც არ გამიხარდებოდა ჩემს შვილს ასაკით შეუფერებელი, 14 წლით უფროსი კაცი რომ შეჰყვარებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, საქმე საგანგაშოდ არ არის. თუ ერთმანეთი გულწრფელად გიყვართ, რატომაც არა, იყავით ბედნიერები, მაგრამ ვიდრე სერიოზულ ნაბიჯს გადადგამ, კარგად უნდა დაფიქრდე. ჩემო კარგო, გათხოვებას ნუ იჩქარებ... შენ არაფერს გვწერ მის შენდამი დამოკიდებულებაზე. რატომ, საყვარელო? იქნებ, მას არ უყვარხარ და სერიოზულად არ აღგიქვამს?.. სრული პასუხისმგებლობით გეუბნები: ეს მოჩვენებითი სიყვარულია და მალე გაქრება. შენზე ცოტათი უფროსი ვარ, მაგრამ ამ ცხოვრებას გემო კარგად გავუგე. მერწმუნე, ნამდვილი სიყვარული მალე მოვა, დაგეტაკება და გადაგრევს“.

**მარიამი:**

„არც ისე დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ჩემი 20 წლის დაიკოც 32 წლის ბიჭს გაჰყვა ცოლად და ძალიან ბედნიერები არიან. მთავარია, კარგი ადამიანი იყოს. ასაკი? — მერე რა!..“

**ჭრიჭინა:**

„ჩემი ახლობელიც 14 წლით უფროსს გაჰყვა ცოლად. მშობლებს უხაროდათ, — ჩამოყალიბებული კაცი იქნება და ჩვენს შვილს არაფერს გაუჭირვებსო, მაგრამ რამდენიმე თვეში დარწმუნდნენ, რომ ის უყურადღებო და უპასუხისმგებლო მამა, მეუღლე და სიძეა... და კიდევ, ჩემმა ნაცნობმა მოიყვანა თავისივე ტოლი, 18 წლის გოგონა, მაგრამ 2 წელიწადში ოჯახი დაინგრათ — ბიჭის უსაქმურობის გამო. დასკვნა: მთავარია, ადამიანი კაცად ვარგოდეს და ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?.. ჩემო ძვირფასო, შენი რჩეული მშობლებს გააცანი. ნუ დაშორდები მხოლოდ იმიტომ, რომ შენზე უფროსია“.

**რუისპირი:**

„რომ გითხრა, შენი მესმის-მეთქი, მოგატყუებ. ვინ ვარ, რომ განგსაჯო, მაგრამ როგორც საკუთარ დას, ისე გირჩევ: გაიხედ-გამოიხედე, ხალხს კარგად დააკვირდი, გაერთე (ცუდს არაფერს ვგულისხმობ) და მიხვდები, რომ ეს სიყვარული კი არა, გატაცებაა. აბა, დაფიქრდი, 10 წლის მერე ბებერ ქმართან ერთად სიარული გესიამოვნება? დამიჯერე, ოჯახის წევრებს შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ!“

**გრუზინკა:**

„თუ მის სიყვარულში დარწმუნებული ხარ, იბრძოლე, არ დანებდე. ოჯახს აუხსენი, რომ მხოლოდ მასთან იქნები ბედნიერი. ეცადე, დამაჯერებელი იყო. წარმატებები!“

**ლუნა:**

„შენი მესმის, მაგრამ მშობლებსაც უნდა გაუგო. მათთვის რთული იქნება იმასთან შეგუება, რომ 18 წლის გოგო 32 წლის კაცს გაჰყვე ცოლად. ახლახან ჩემმა ბიძაშვილმა შეიტყო, რომ 30 წლის კაცს ვუყვარვარ და იცი, რა თქვა? — რად მინდა ოჯახში ჩემხელა სიძე შემომივიდესო?.. იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთი მართლა უზომოდ გიყვართ, მისთვის იბრძოლე. მთავარია, ნამდვილად უყვარდე, სხვას ყველაფერს მოევლება“.

**ანი:**

„კარგად დაფიქრდი, მასთან ყოფნა ნამდვილად გინდა თუ ეს გატაცებაა? ჩემს დას, რომელიც 15 წლისაა, 12 წლით უფროსი „ლოვე“ ჰყავს და ყველას მოსაზრება „ჰკიდია“. მთავარია, შენ იყო ბედნიერი :))“.

**მორჩილა:**

„დრო, ასაკი და მანძილი დიდ გრძნობასთან უძლურია. სიყვარული, გარკვეულწილად, რისკია. თუ ერთმანეთი ნამდვილად გიყვართ, ვერავინ და ვერაფერი დაგაშორებთ!“

**ფეშენა:**

„შეიძლება, ახლა გგონია, რომ გიყვარს, მაგრამ გავა წლები და როცა შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე იქნები, გვერდით კი ასაკოვანი, სხვანაირად მოაზროვნე კაცი გეყოლება, მიხვდები, რომ ოდესღაც არასწორი ნაბიჯი გადადგი“.

**შოკოლადა:**

„ასაკის გარდა, შენს რჩეულს კიდევ რა აქვს ისეთი, რასაც არ გვიმხელ და შენი მშობლები უწუნებენ? პირადად მე, 21 წლის ვარ და ვიცი, ამ ასაკის კაცს ვერ გავუგებ. ერთს ისიც კი ვუთხარი, მამად შემეფერება-მეთქი. ასე რომ, შენი მშობლების მესმის, მაგრამ თუ საკუთარ სიყვარულში დარწმუნებული ხარ და პრობლემა მხოლოდ მის ასაკშია, ბედნიერებისთვის იბრძოლე!“

**მატიტელა:**

„კარგად დაფიქრდი, ღირს კი იმ კაცის სიყვარული ახლობლების გულის ტკენად? ერთ ამბავს მოგიყვები და იქნებ, რაიმეში დაგეხმაროს. ჩემი 16 წლის და, მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, 40 წლის კაცს გაჰყვა ცოლად. სიძესთან ურთიერთობა გამიფუჭდა და ახლა, საკუთარი და ტირილამდე მენატრება. მოდი, შენი ოჯახის წევრების ადგილას წარმოიდგინე თავი. ღმერთი გფარავდეს მუდამ. შენი მომავლით დავინტერესდი“.

**დამავოი:**

„საინტერესოა, ოჯახში პრობლემები რატომ შეგექმნა? თუ თქვენი ურთიერთობის წინააღმდეგი მხოლოდ ასაკის გამო არიან, ერთმანეთი არ დაკარგოთ. სიყვარულმა ასაკი არ იცისო, არაოოო! მაგრამ მაინც, გირჩევ, დედას დაელაპარაკო, ის ცუდს არასდროს გისურვებს!“

## ვირტუალურ საყვარელზე გაცვლილი ოჯახი და მეგობარი

**დამავოი:**

„ლიკ, თქვენი დახმარება მჭირდება. ერთ გოგოს ვერაფერი შევაგნებინე და იქნებ, თქვენ მაინც დაეხმაროთ. ნატა 26 წლისაა. გათხოვილია და 2 წლის ლუკაც ჰყავს. მის ქმარსაც ვიცნობ — ძალიან კარგი ადამიანია და რაც მთავარია, ცოლი ძალიან უყვარს. 2 თვის წინ ნატამ „ჯეო-ჩატში“ ვიღაც ლაშა გაიცნო, რომელიც დღემდე არ უნახავს. ამას წინათ გამიმხილა: ქმარი მომბეზრდა და გადავწყვიტე, ლაშასთან წავიდეო. გაკვირვება რომ შემამჩნია, დასძინა: ჰო, ლაშამ მითხრა, სახლს გიყიდი და იქ გაცხოვრებო. გაცოფებულმა ლამის, თმით ვითრიე. ვუთხარი, რომ სულელურად იქცეოდა. მივახალე: ლაშა პატარაა და შენ და შენი შვილი მას სულაც არ ადარდებთ. ეს საქციელი სანანებელი გაგიხდება — ქმარსაც დაკარგავ, ლაშასაც და რაც მთავარია, შვილსაც-მეთქი. მიუხედავად ამდენი ჩხუბისა და რჩევა-დარიგებისა, ვერაფერი გავაგებინე. ბავშვებო, იქნებ თქვენ მაინც შეძლოთ, გამოაფხიზლოთ და რეალობაში დააბრუნოთ ნატა. წინასწარ გიხდით მადლობას (*მართალია, დამავოიმ რამდენიმე დღის წინ მომწერა, ეს მესიჯი აღარ დაბეჭდო, აზრი არ აქვს, რადგან ნატამ ჩემთან ურთიერთობა გაწყვიტა და აღარც ვიცი, სადაა და როგორაა. თან, ჟურნალების კითხვით დიდად არ იკლავს თავს და ალბათ, რჩევებსაც ვერ წაიკითხავსო, მაგრამ მე იმედს ვიტოვებ, რომ ნატა თქვენს რჩევებს აუცილებლად გადაავლებს თვალს, გონს მოეგება და დამავოისაც ბოდიშს მოუხდის. — ავტ.*)“.

***P.S. მაშ ასე, თუ დამავოის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

# „დედამთილი ან აგაშენებს, ან — დაგაქცევს“

**„გზის“ №41-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, გოგონა გვწერდა, რომ 2 წელია, შეყვარებული ჰყავს და მას უკვე ცოლადაც უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ: „დედამისმა მომწერა, სხვა უყვარსო (ვიცი, ვიღაცას ურიგებენ, ის ახლახან გააცნეს). ამას წინათ შეყვარებული პირადად ვნახე. მითხრა, — მიყვარხარ, ჩემი სიცოცხლე ხარო. არ მეუბნება, რა სჭირს, ასე რატომ იქცევა“.**



## „შენი „ლოვე“ „დედიკოს ბიჭია“

**დამავოი:**

„როგორც ჩანს, სადედამთილოს არ ეხატები გულზე, ის ბიჭი კი მშიშარას შთაბეჭდილებას ტოვებს. ალბათ, დედიკო სხვას ურიგებს და მის წინააღმდეგ ვერ მიდის, პარალელურად კი შენი დავიწყებაც არ შეუძლია. ასეთი კაცი მეუღლედ არ გამოგადგება“.

**შოკოლადა:**

„შენი „ლოვე“ ერთი უნებისყოფო „დედიკოს ბიჭია“. თუ არ გინდა, მთელი ცხოვრება გაატარო ოჯახში, სადაც არავის ეყვარები და გვერდით გყავდეს კაცუნა, რომელმაც საკუთარი სიყვარულის გადასარჩენად ბრძოლაც ვერ შეძლო, „ლოვეს“ საბოლოოდ უნდა დაშორდე. თავის მოკვლაზე აღარ იფიქრო. იცოდე, უფალი არ მიგატოვებს. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი“.

**სარვიეტა:**

„შენი გასაჭირის შესახებ ნეტავ, არაფერი წამეკითხა... მშობლებო, როგორ შეგიძლიათ, შვილს სიყვარული მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო აუკრძალოთ და რატომ გგონიათ, რომ ყოველთვის მართლები ხართ? შენი შეყვარებული მტკიცე ხასიათით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. გაარკვიე, რა მოხდა სინამდვილეში და იქნებ, თქვენი სიყვარულის გადარჩენა შეძლო კიდეც. გთხოვ, გაგვაგებინე, რა იქნება მომავალში. შენი გულშემატკივარი ვარ“.

**ეკა 18:**

„შენი ამბავი ჩემსას ჰგავს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ჩემმა შეყვარებულმა 1 თვეა, ცოლი მოიყვანა :((. ვიცი, ახლა რასაც განიცდი. იცოდე, ყველაფერში დამნაშავე დედამისია. გული არ გაიტეხო, ცხოვრება გრძელდება“.

**ლუნა:**

„პირველ რიგში, სულიერ სიძლიერეს გისურვებ! თავი შენს ადგილას რომ წარმოვიდგინე, საშინელი შეგრძნება დამეუფლა. თუ შენი შეყვარებული არ გატყუებს და მას მართლა უყვარხარ, მაშინ დედამისია ყველაფერში დამნაშავე. არ მესმის, შვილის საქმეში რატომ ერევა? თავის მოკვლაზე ნუ იფიქრებ, დაიკო. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. იმ ვიღაც გოგოს ნუ მისცემ უფლებას, საყვარელი ადამიანი წაგართვას. წარმატებები!“

**მიმა:**

„იმ ბიჭს უთხარი, დედამისმა რაც მოგწერა და ყველაფრის ახსნა მოსთხოვე. სიმართლეს მის თვალებში ამოიკითხავ!“

**სვანის ასული:**

„ასეთი სერიოზული ურთიერთობის შემდეგ ის ბიჭი ვალდებულია, აგიხსნას, რა მოხდა სინამდვილეში. საერთოდაც, რატომ ჰგონიათ ბიჭებს, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაფრის დამალვა საუკეთესო გამოსავალია? არადა, გამუდმებით ვაჟკაცობაზე დებენ თავს...“

**მწარე;**

„რა გატირებს? — დაურეკე და მოსთხოვე, ყველაფერი აგიხსნას. აბა, ასეთ უაზრო სიტუაციაში როდემდე უნდა იყო? შენი ამბავი აუცილებლად მოგვწერე“.

**მისკაკა:**

„არ მიკვირს, ასე რომ იტანჯები. „ლოვეს“ გულწრფელად დაელაპარაკე. სთხოვე, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, სიმართლე გითხრას. ჩემი აზრით, უყვარხარ, მაგრამ რაღაც პრობლემა აქვს. გულს მიენდე. მას ვერ დაივიწყებ მანამ, ვიდრე სიმართლეს არ გაიგებ. აბა, წარმატებები!“

**აბეზარა:**

„მგონი, შენს შეყვარებულს მშობლები სხვას ურიგებენ და შენთან ურთიერთობას უშლიან. გაურკვევლობაში ყოფნა დაგტანჯავს. სერიოზულად უნდა დაელაპარაკო და ყველაფერი გაარკვიოთ. წარმატებები!“

**ლი ჰარვი ოსვალდი:**

„თუ ერთმანეთი გიყვართ, ამ გამოცდას უნდა გაუძლოთ. წარმატებები!“

**რუისპირი:**

„გამარჯობა. შენ შეგიყვარდა ადამიანი, რომელიც ამას არ იმსახურებს! ის საკუთარ გრძნობებში ჩახლართული ადამიანია და შენი ფასი არ იცის. თუ მისი სიცოცხლე ხარ, სხვას რატომღა ირთავს? ძალით რომ შერთონ, განა, 1773 წელია. მეც ბიჭი ვარ და ვიცი, შენი რჩეული ახლა რასაც გრძნობს. მერწმუნე, ის შენს ერთ ცრემლსაც არ იმსახურებს!“

**ჭრიჭინა:**

„დედამისმა კი არა, თავად უნდა აგიხსნას, რატომ გაქრა. რომელი საუკუნეა? რას ჰქვია, ვიღაცას ურიგებენ? ქალმა, რომელმაც შვილის საცოლე გაიცნო, სხვის რძლობაზე როგორღა იფიქრა?.. ისე, ცოტა არ იყოს, დამაბნიე. მგონი, რაღაც გაუგებრობაა და ის აუცილებლად დაგიბრუნდება!“

**მეამბოხე სული:**

„ოოო, ცოტათი დავიბენი. იმას არ გვწერ, სადედამთილოს მოეწონე თუ არა. ისე, ხომ იცი, დედამთილზე ბევრი რამაა დამოკიდებული: ან აგაშენებს, ან — დაგაქცევს. იქნებ, „დედიკოს ბიჭთან“ გაქვს საქმე? რომ ჰყვარებოდი, შენთვის იბრძოლებდა, მოვიდოდა და სიმართლეს გეტყოდა, მაგრამ საამისოდ ვაჟკაცობა არ ჰყოფნის. თუ გიყვარს, მოძებნე და აიძულე, სიმართლე გითხრას“.

GOLD GIRL:

„როგორც ჩანს, შეყვარებულის ნათესავებს არ მოეწონე და ამიტომაც ურიგებენ სხვას, შენი „ლოვე“ კი „დედიკოს ბიჭია“. მერწმუნე, მისნაირი ადამიანი ცხოვრებაში არ გამოგადგება. ღმერთი გფარავდეს“.

**იკუშკები:**

„აქ უკვე ზეწოლას აქვს ადგილი, ოჯახის მხრიდან. როგორ შეიძლება, ასეთი სერიოზული ურთიერთობის შემდეგ მიგატოვოს? 2 წელი საკმაოდ დიდი დროა საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო, უყვარდი თუ უბრალოდ, ვნება ამოძრავებდა. ალბათ, მის ოჯახს უფრო პერსპექტიული სარძლო ჰყავს შერჩეული, შენს შეყვარებულს კი ნებისყოფა არ ჰყოფნის, მათ წინააღმდეგობა გაუწიოს. დიდი სიამოვნებით დაველაპარაკებოდი შენს სადედამთილოს და აზრზე მოვიყვანდი. თუ სიყვარული გულწრფელია, მისთვის ბრძოლა ნამდვილად ღირს. ისე, მშიშარა და უნებისყოფო კაცთან ცხოვრება გაგიჭირდება. ერთხელ კიდევ შეხვდი და ეცადე, ყველაფერი ათქმევინო. თვალებში უყურე და თუ შენს მოტყუებას შეეცდება, მაშინვე შეატყობ. თუ უღირსია, მასზე აღარ იდარდებ მაინც. წარმატებებს გისურვებ!“ ■



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*



## ქალები

1. ვარ ანა, 29 წლის, განათლებული, მშვენიერი. მაქვს სმენის პრობლემა. გავიცნობ დაოჯახების მსურველს, თუნდაც რაიმე ნაკლით, განათლებულს, 35 წლამდე, შეგნებულ ადამიანს. დატოვეთ მესიჯი.

2. გამეცანით ბიჭებო, რა, 15-დან 19 წლამდე. ბიჭებო, გამეცანით. ბერბიჭავ, სად დაიკარგე?

3. ვარ 39/175, წყნარი, სერიოზული ქალი, კარგი გარეგნობით. დაოჯახების მიზნით გავიცნობ შესაფერის მამაკაცს.

4. მქვია მაკა, ვარ 27 წლის. გამომეხმაურეთ მხოლოდ სერიოზულები, ოჯახის შექმნის მიზნით.

5. ვარ 31 წლის, მაღალი, სუსტი, გარეგნულად კარგი და არც თუ ისე ცუდი ხასიათის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, უზრუნველყოფილ მამაკაცს.

6. ვარ პროფესიით ექთანი, ახალგაზრდა გოგო. მქვია ნინიკო, ვარ 25 წლის. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნო სერიოზული, ახალგაზრდა პიროვნება. გელით.



## კაცები

7. ვარ რაიონიდან, 38 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ რაიონიდან ან სოფლიდან, გინდაც ქვრივს და უშვილოს. კახა.

8. ვარ 36 წლის, დასაოჯახებელი მამაკაცი. გავიცნობდი 32-37 წლამდე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ რაიონიდან.

9. გავიცნობდი 36 წლამდე ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით, უშვილოს ან თუ ეყოლება ერთი შვილი.

10. ვარ 42 წლის, განქორწინებული მამაკაცი. ვცხოვრობ რაიონში. გამომეხმაუროს 35 წლამდე ასაკის ქალბატონი. სასურველია, იყოს უშვილო. გიორგი.

11. მყავს 36 წლის, უცოლო ძმა, სიმპათიური გარეგნობის. ოჯახის შექმნის მიზნით გამოეხმაუროს 27 წლამდე ასაკის, გასათხოვარი ქალიშვილები.

12. ვარ 37/172/80, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეხმაურები 25-35 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ვისაც ნამდვილად უნდა თბილი და ტკბილი ოჯახი. გასართობად არ მცალია.

13. ვეხმიანები „გზა“ №41-ში გამოქვეყნებულ მე-5 განცხადების ავტორს.



## ვეძებ

14. ვეძებ ათენში მცხოვრებ თაკო ჩხაიძეს. დამიკავშირდი, მენატრები. მოსულიშვილი.



## სხვადასხვა

• იდეალური არავინ და არაფერია ამქვეყნად. ასე რომ, გიყვარდეთ ერთმანეთი ნაკლოვანებებით, მანკიერი მხარეებითა და ცუდი თვისებებითაც კი. მე ახალი ვარ. თქვენთან მინდა. ათარექსია.

• ცრემლს, თვალზე მომდგარს გაუმარჯოს, ვაჟკაცის ხელით შეკავებულს, სიყვარულს, უთქმელს გაუმარჯოს, თვალს რომ ვერ უსწორებ შეყვარებულს... შენი საქციელი მაკვირვებს.

• მარი, სიხარულო, როგორ ხარ? აქამდე საყვედური ხომ არ დამცდენია? დაა... რატომ მჩაგრავ, ძვირფასო? ხან მიმბლოკავ... დღეს კი რას ვხედავ? ჩემი მესიჯის ბოლო წაწყვეტილია, თან არც ნიკია მიწერილი... რატომ, მაარ? და რა გამოვიდა? ზოგი მოვიკითხე, ზოგი — არა? ბავშვებს არ ეწყინებათ? თან ოლეს ბაბუობა მივულოცე... მიყვარხარ! CRAZY GIRL (ჩემო კარგო, საქმე ის გახლავს, რომ ერთ მესიჯად მხოლოდ 160 სიმბოლო იგზავნება და თუ მეტს აკრებ, მაშინ პროგრამა თვითონ ჩამოაჭრის, რაც ზედმეტია და მხოლოდ 160-ს გამოუშვებს. ასე რომ, შენი მესიჯი თუ „ბოლოში წაწყვეტილია“, ეგ ჩემი ბრალი არაა. რაც ჩემამდე მოვიდა, ის დავბეჭდე. მივხვდი, რომ ნახევარი მესიჯი იყო, მაგრამ მე ხომ არ შემეძლო, გამომეცნო, ვის მოკითხვას აპირებდი, კიდევ? ასე რომ, მაგ საყვედურს უსამართლოდ მივიჩნევ, მაგრამ, ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, — ავტ).

• რამდენიმე ძალით კაცს უნდა მოგმართოთ: თუ ვინმეზე რამეს წერთ, ნიკიც მიაწერეთ, რომ იცოდეს ადამიანმა, ვინ ამბობს მასზე ცუდს. რა მაინტერესებს, იცით, კაცუნებო? როცა ვინმეს აქებთ და ელაქუცებით, მაშინ რატომ წერთ ნიკით და როცა აგინებთ — უნიკოდ, ჰა? ტყავში ვერ ეტევით, ბიჭო? ფუ, ვინც თქვენ კაცი გიწოდათ, მე იმის დედა და დაჟე დეიდა ვატირე, რაა... ჟურნალში გოგონებთან თქვენს მაგარ ბიჭობაზე ლაპარაკობთ და ალბათ კაცებთან მოწმეებივით დგახართ. არ შეგიძლიათ, უბრალოება? პოპულარობას ეძებთ, კაცუნებო? ცხოვრება ზღვაა, ჩვენ კი პატარა კენჭები. ზედმეტია ბორგვა და ფართხუნი,

თვითონ მიგვიჩენს ჩვენს ადგილს. ეგ გაანალიზეთ, ბიჭო. მიბაძეთ შეწირულსა და მოხუცს უბრალოებით, ქალს ხოტბა შეასხით, აპოლონივით. გახსოვთ, მისი ლექსები? მიბაძეთ გულღია იუმორით მაესტროსა და ოლეგარიოს. თუ ვინმესთან არშიყი გინდათ, გაიცანით და ეარშიყეთ, მაგრამ თქვენ ხომ მარტო ფურცლიდან შეგიძლიათ ლაპარაკი. იმაზე როგორ ლაპარაკობთ, ვინ ცდილობდა თქვენზე გასაღებას? მაგრად არ გვკიდია, ყველას? მგონი თქვენ ვერ საღდებით. ქალს უნდა აგრძნობინოთ, რომ სასურველია, მაგრამ არა — თქვენებურად, თქვე უბედურებო. ქალს თვალი გაუსწორეთ და ისე აგრძნობინეთ, საჯდომზე რომ უყურებთ და მერე თქვენს ემოციებს აქ წერთ, ეგაა თქვენი სიძლიერე? დავით და გიო, დაბრუნდით რა, კაცურად... 9717.

• ბერბიჭავ, შენ ალბად არ გახსოვს გრუზინკას გულიანი, კამელიას უსაზღვრო ტკივილითა და სიყვარულით გაჟღენთილი, იკუშკების თვალმოუწყვეტელი და იუმორით სავსე, პარიჟანკასა და ლუნას რომანტიკული და მხიარული გზავნილები (რომელი ერთი ჩამოვთვალო), თორემ „გზის“ მამოძრავებელ ღერძზე სხვა აზრი შეგექმნებოდა. მარი, ის „გზა“ მენატრება, ყველა ერთმანეთს რომ ეფერებოდა. ნუთუ ტკივილი იმდენად აბოროტებს ხალხს, რომ სიყვარული ავიწყდებათ? ტირიფი73.

• მარიამულ, მაპატიე, წინა კვირას ვერ შეგეხმიანე, მაგრამ მეპატიება, გადარბენაზე ვარ... აწი აღარ დაგტოვებ... სიხარულო, არ მესმის, ამ ხალხს რა უნდა? მე მსიამოვნებს გზავნილების წერა და ვწერ, მაგრამ როგორც ჩანს, ეს სხვებს აღიზიანებს. თავადაც წერონ, ვინ უშლით? მინდა, მას ვუთხრა, ვინც „გზაში“, ჩემს თავიდან მოშორებას ცდილობს, რომ უბრალოდ მეცოდება. სხვები ხომ ხედავენ, რომ არაფერს ვაშავებ გარდა იმისა, რომ ვწერ? მაგრამ არა უშავს, მესმის თქვენი. ლუნა.

• გამარჯობა, მარი დეიდა. როგორ ხართ? მე ზუკა ვარ, 12 წლის და მინდა მგზავნელი გავხდე, მაგრამ მგონი პატარა ვარ, არ მიმიღებთ და გული მწყდება. არადა, ძაან მინდა, ჩემი მესიჯებიც დაიბეჭდოს „გზაში“. იქნებ მიმიღოთ? თახვი.

• არა რა, მარ, ხომ გეუბნები, ყველაფერი ჩაწყობითაა, რაა... ორ მგზავნელს გაცნობა ვთხოვე და იგნორი არ მივიღე, ძმა? ჰმმმ, აზრზე ხართ? მგზავნელი მგზავნელს გაცნობაზე უარს ეუბნება და ის ვიღაც გადამთიელი ნატოში შეგვიშვებს? არააა, რა საშველი არაა... ფაქტობრივად, დავრჩით მაპის გარეშე და დაგვიჭკნა აყვავებულ-გაფურჩქნული ეკონომიკა. ჰმ, არადა, რას ჰყვაოდა ბებიაჩემის ტყემალივით?! მერე იტყვიან, ტყუოდა სტალინიო (სტალინი რაღა შუაშია, თუ ვიცოდე, მივეწიო ბერიას. უჰ, ღმერთმა დამიფაროს). 9717.

• მაარ, ჩემს კაცობასა და ვაჟკაცობას გეფიცები, თუ ოდესმე რაიმე პრობლემა ან არასასიამოვნო სიტუაცია შეგიქმნა. უბრალოდ გთხოვ, მითხარი, რატომ მბლოკავ ხოლმეე? მისტერ. (ამ კითხვას ბევრი თქვენთაგანი მისვამს და ახლა გიპასუხებთ: არავის მიმართ პირადი მტრობა რომ არ მაკავშირებს, ამას ალბათ ხვდებით. უბრალოდ, ხშირადაა, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი მესიჯი არაა საინტერესო ან ისეთ ამბავს შეიცავს, რომლის „გზავნილებში“ დაბეჭდვაც მიუღებელია და ამიტომ იბლოკება. მერწმუნეთ, რომ უმიზეზოდ არც ერთი მესიჯი არ დაიკარგება. საინტერესო ამბავი „დეფიციტი“ გახდა ლამის „გზავნილებისთვის“ და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, რუბრიკა „მოკვდეს“ კიდეც. ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება, გულისყურით მოეკიდოთ ჩემს ნათქვამს და ისეთი მესიჯი გამოგზავნოთ, რომლის დაბლოკვაც შეუძლებელი იქნება, — ავტ).

• ლიმონა, მადლობა დაი, ყველა მიყვარხართ და მახსოვხართ, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო უნდა დაგემშვიდობოთ. ალბათ როდესმე დავბრუნდები. გკოცნით ყველას. უკარება.

• მარი, გთხოვ, მგზავნელების ფოტოები კიდევ დაბეჭდე, რაა...

• მაარ, პრივეტები, როგორ ხარ, კარგო ადამიანო? იცი, რა მინდა გთხოვო? შენს დედიკოს ჩემს მაგიერ მადლობა უთხარი, ასეთი კარგი რომ გაგზარდა. აბა, დაფიქრდი, ჩემი ჩათვლით რამდენს ულამაზებ ცხოვრებას. შენი რომანებისა და „გზავნილების“ მერე ცხოვრება ისეთი რუხი აღარ მგონია. მარის დედიკო, მადლობა მარისთვის. მატიტელა. (მადლობა მატიტელას. ჩემს დედიკოს ძალიან გაახარებს შენი მესიჯი, — ავტ).

• აუ, ბისკვიტუნიები მომენატრააა... თქვენ რას იტყვით, კრემებოოო? უჩვენოდ რა შესახედავები იქნებიან, წარმომიდგენია, გამხმარ-გაფშეკილები... ჩემს მოღალატე ბისკვიტს, სუპერსთარს ერთი კაი მაგარი ჩაპწკენა ჩემგან და ჩემს სუროგატ ბისკვიტს, კოზანოსტრას ჩახუტებაოოო... მომენატრეთ, ბოთუკებოოო... SWEET-GIRL.

• მე გაგიხსენე, ოღონდ უკვე — როგორც წარსული.../ აი, მოვიდა შემოდგომა, პალიტრით, ფერთა.../ და გამახსენდა იმ დღეების სიამე, განცდა.../ ქარს მოაქვს ჩემკენ სურნელება იმ განვლილ დღეთა.../ მაგრამ ამ სურნელს აღარ აქვს ჩვეული სითბო.../ მას მხოლოდ ძველი შერჩენია ფარული სევდა.../ ან იქნებ ჩემში მოხდა რაღაც ფერისცვალება.../ ალბათ ის გული აღარ მაქვს, მაშინ რომ ძგერდა... SWEET-GIRL.

• დუუჩ, მენატრები, კოზანოსტრა, უუმაგრესი ხარ, გაკოცე. ჭრიჭინა, სიკვდილა, როკო, ლიმონა, რეალ, ყველანი მიყვარხართ, საძაგლებოო! SKY.

• მგზავნელებო, ანი, NON STOP, GRAZY GIRL, სონი და ყველას დიდი მადლობა, იუბილეს მოლოცვისთვის. ისე, 14-ის გავხდი და ყველაზე პაწია მგზავნელი კიდევ მე ვიქნები? :) აბეზარა.

• ნინი, გენაცვალე, თქვენ და თქვენს რჩეულს ასაკის საპრობლემო ინტერვალი არ გაქვთ. რაც შეეხება ერთად ყოფნაარყოფნას, აუცილებლად ორივე მხარის მშობლებისა და ახლობლების აზრი უნდა გაითვალისწინოთ.

• ASHLEY-ს მოკითხვა. ლუნიჩკ, ნუ მოიწყენ, აქ ყველას უყვარხარ! ეშმაკუნა, პასუხი რატომ არ დამიბრუნე, ჯიგარო? ნამდვილი მამაკაცი.

• მოთმინებით ველოდი, როდის დაბრუნდებოდი, ლიმონ. შენს გარეშე გზავნილეთს სიმხიარულე აკლია. :) კიდევ ერთ სულით ლამაზ მგზავნელს, ტირიფი73-ს მოვიკითხავ. სარვიეტა.

• მსაჯულ, შენი მარტივი დასკვნა, გეფიცები, გულიან ღიმილს მგვრის. სამწუხაროა, პატივისცემას და კუდის ქიცინს ერთმანეთისგან რომ ვერ ანსხვავებ, მაგრამ არ იღელვო, შენი მესმის, შესაძლოა, მულტფილმების ყურების ასაკში ხარ და ამიტომაც გაქვს წითელ-ყვითელი ფერის აზროვნება, მაგრამ თუ საქართველოში მცხოვრები, სერიალების მაყურებელი, გაბრუებული ქალების ჯგუფის წევრი ხარ, მაშინ შენი ამ შემთხვევაშიც მესმის. ისე, შენ და ბებიაჩემი იოლად დამმობილდებით, მასაც შენსავით მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ აუხსნელი აზროვნება აქვს. ჰო, მართლა, შენი ფენომენალური გონებრივი შესაძლებლობები არ აღემატება სიტყვა მსაჯულის სტატუსს. ამიტომ მისაღები იქნება, თუ საკუთარ თავს შესაფერისად ანუ მეტაჩკეთი წარადგენ. P.S. გმადლობ ჩემს გახალისებაზე რომ ზრუნავ. მისტერ.

• ცოცხალო თოჯინავ, WOW! WOW!



სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს, თუ ამ უკანასკნელს ეყოფა ძალა მასთან ერთად მშვიდობიანი იცხოვროს

და კიდევ ერთხელ — WOW! განცვიფრებული ვარ შენით, სიტყვებს ნამდვილად ვერ ვპოულობ. საოცრება ხარ! შემოგევლე! გენაცვალე სულში და გულში. ჩემი სიხარული ხარ! გეფიცები, ხუთშაბათის დილა შენი საოცარი მესიჯის გამო განსაკუთრებული იყო. შენი თავი მიხარია და შენით ვამაყობ! გაიგეე? ვამაყობ! მისტერ.

• სალამი ყველას. მე ახალი ვარ და პირველად ვმესიჯებ, ხომ მიმიღებთ? ძალიან მომწონხართ და გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ. მე იდუმალი ქალის ქალიშვილი ვარ. მეგი.

• ლიმონ, გაიხარე. გინა20, მიღებული ხარ. უკარებავ, ფოტოებს როდის გამომიგზავნი? ოლეგარიო, გილოცავ. ყველანი კარგები ხართ. აბეზარა.

• ძია შაქრო ზღვაზე ანუ როგორ დატოვა ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ძია შაქრო პლავკის ამარა: ნაპირს ტალღები ეტრფიან, შარიშურობს ნიავი,/ თოლიების ჟივჟივია და პალმების შრიალი,/ მზე მთებიდან გადმომდგარი, ანთებს შუქის მარაოს,/ ძია შაქრო აღტაცებით, ლურჯ ტალღებში ბანაობს./ ტანსაცმელი ნაპირზე აქვს, შარვალი და ხალათი,/ ზედაც კიდევ ძველისძველი, დევს ჩუგუნის საათი./ იქვე, ახლოს, ორი ბიჭი გაწოლილა სილაზე და ისე ეფიცხებიან ალმასივით მბრწყინავ მზეს!/ ამოვიდა ზღვიდან შაქრო, ნახა მისი კარავი,/ ტანსაცმელს რომ გადახედა, ზედ საათი არ არის./ ბიჭებს უთხრა: — არ გეწყინოთ, არვინაა, თქვენს მეტი,/ ჰოდა, საათს აიღებდით, რომელიმე, ერთ-ერთი.../ ჰოდა, ჩემი რომ არ შეგრცხვეთ, ისევ ზღვაში ჩავყვინთავ/ და საათი იქვე დადეთ, სადაც იდო თავიდან!/ ...და ჩაყვინთა ძია შაქრომ ზღვაში წამი სამოცი,/ ამოვიდა, აღარ დახვდა, აღარც ტანისამოსი... ჯეჯე.

• იასამანო, გაიხარე, მადლობა მოკითხვისთვის. მეც მოგიკითხავ. ფლამინგო, შენც დიდი მადლობა, კარგი სიტყვებისთვის. მე დავბრუნდი. ჯეჯე.

• სიყვარულის მორევში გადავეშვებოდი თავით, მარა რააა, რო? იყო და არც რა იყო, რა... ეს დროც როგორ უაზროდ გარბის და... წადი, წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია! მემე.

• როგორ ხარ, მარი? ლიმონ, გაიხარე! SWEET, GREEN, 9717, ლი ჰარვი, ჩუპ, დუჩ, სუპერსთარ, ოლე, ASHLEY, იკჩო, იკუშკები, ათენ... მიყვარხაართ და გკოცნეთ! CRAZY GIRL.

• როგორ ხართ, ჩემო კარგებო, ტკბილებო, გემრიელებო და საყვარელო მგზავნელებო? ჭრიჭინა გავიცანი და მაგრად მომეწონა, დროა, სხვებიც გავიცნო. ჰო, მართლა, ოლეგარიოს ვულოცავ შვილიშვილის, ლიკუნას დაბადებას. სასახელო და საამაყო გაზრდილიყოს. აქვე მოვიკითხავ ლიმონას, ტირიფი73-ს, იასამანს, თოლიას, ლუნას, გრუზინკას, ბერბიჭას, ნამდვილ მამაკაცს, მგზავრს, ოლეგარიოს, შეწირულს, ქალ ცდუნებას, ქალ პატრულს, 9717-ს, მაესტროს, ჭრიჭინას, სიკვდილას. ვაიმე, ვინმე ხომ არ გამომრჩა? იდუმალი ქალი.

• გაიხარე, ჩემო კარგო, დიდი მადლობა. აბა რა, ნათ, უნდა გავაწვალოთ, ოღონდ ორმაგად მოგვიწევს, თორემ მომავალ წლამდე თვითონ გამაწვალებს. გაიხარეთ. თაკო.

• ვინ ბზეს ქექავს, ვინ კი ნაცარს, შენ, მსაჯულო, ქაქს რად ქექავ? ფრთხილად, თორემ ჩვენს საჯდომზე, ემაგ კბილებს მოიტეხავ. შენ სხვის დონეს როგორ განსჯი, როცა შენით ბრიყვ ჭუკს ჰგავხარ? აუდე, რაა... ბერბიჭა.

• იასამანო, დიდებული გოგო ხარ. ექსგულნატკენო (ამოუცნობო), ეპიცენტრში მყავხარ, ყურადღების 8-ბალიანი საზომით. ძმობა გითხრა, თუუ... ჰა? ბერბიჭა.

• რის მიჯაჭვა და დაშრობა, მაგ 9 თვალს რად მიბრიალებ? ამ ჩემს ბობოქარ ნაკადში, ალმასად აგაბრჭყვიალებ. სიცოცხლის საგალობელი, კაფიად აგიხმიანე. გაკოცეოო. ბერბიჭა.

• მე და მისტერი მეგობრები ვართ, შენ კი მსაჯულად ვერ გამოდგები, უკანონოდ რომ მსჯელობ, იმიტომ! ასეთი მკვეთრი აზროვნებისგან თავის შეკავებას გირჩევ. იკუშკები.

• ალინა, სიხარულო, ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარხარ და გაფასებ. სოფი, მამუ, კამი, გაღმერთებთ! ნამდვილო მამაკაცო, მადლობა, ძამი! ლუნა.

• პარმენ, ეგ შენ ხარ, ვისაც ჩემი წასვლა გაუხარდება. სვეტა, ერთი სურვილი მეც მაქვს. მისტერ, როდის დავთვრეთ? ლუნა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ დაცემა ქალებს — სევდიანსა და იდუმალს. ძალიან გამოაცოცხლეთ „მობილი-ზაცია“. უკარებავ, გმადლობ, სიხარულო. სონი, ჯიგარი ხარ, გაიხარე. ოლეგარიო.

• მოვკუსკუსდიიი... იასამანსა და ლიმონას ვეხუტები თბილად და უდიდესი სიხარულით. მიყვარხართ ძალიან, გკოცნით. კუსკუსელა.

• მე შენ აუცილებლად დაგიმტკიცებ, ჩვენ შორის ვის რა ეკუთვნის და ვინ რისი ღირსია. დათო.

• ჰანგებს ჩავმალავ სადა რითმებში, ბედცრემლიანი ვუმღერ მომავალს, გზაში არსებულ ლაბირინთებში, მე გზას დავეძებ, თქვენკენ მომავალს. COLD GIRL.

• მსაჯულო, დონე ჯიქანზე გიცანი! თუმც, შეურაცხგვყოფ მე, იკუშკებს, ბერბიჭასა და მისტერს, მაგრამ გვჯერა, ამ დროს შენი ჯიქნებით კი არადა, ძუძუებით გვლოცავ. გეწყინა? არა, მართლა? დაიმახსოვრე, რომ სხვებსაც ასე სწყინთ და ნუ ცდილობ, პოპულარობა ასე უნამუსო გზით, სხვათა წაქეზებითა და ლანძღვით მოიპოვო. სულში ნურავის უფათურებ ხელებს. ენიგმა.

• ეშმაკუნას: გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა... ქალო, მომენატრე. დადე ცოტა ხანი ეგ წიგნები. ლიმონ, მიყვარხარ. სიკვდილ, რთველზე რატომ არ დამპატიჟე? ჭრიჭინა.

• ამ კვირას სევდიან და იდუმალ ქალს შევხვდი. ბევრი ვიჭორავეთ, ერთმანეთს მოვეფერეთ და უმაგრესი შალახოც ვიცეკვეთ. აბააა! ორივე ძალიან მიყვარხართ. ჭრიჭინა.

• ძვირფასო იასამანო, იასამანი მეც მიყვარს. სესი, შენი ნომერი დავკარგე, არადა, მენატრები. რეალო, ჩემი გული ხარ. ლიმონ, ჩემო შავტუხავ, მიყვარხარ. ჭრიჭინა.

• სიხარულით მოვიკითხავ თოლიას, სევდიან და იდუმალ ქალს, ენიგმას, ოლეგარიოს, მისტერს... ლიმონა და იასამანო, გეხუტებით თბილ გულებში. გკოცნით ყველას, კუსკუსელა.

• მაესტრო, ჩემი გამოგზავნილი სუხარი მოგეწონა? შენი ჯერია, შოთი უნდა გამოატანო ჩემს ძმას. ;-) შენი ლექსი მომეწონააა. ყველას მოგიკითხავთ, სიყვარულით. თაკო.



## მიყვარხარ

გომში, გიჯდაუბანში ყველას ვეტყვი — მიყვარხართ და მენატრებით და რაც დრო გადის, უფრო მეტად. თქვენი ბებერი.

მინდა ვუთხრა გიორგის, რომ უსაზღვროდ მიყვარს და გაუსაძლისად მენატრება. ჩემი გული არასოდეს გაცივდება შენ მიმართ, მთელი ცხოვრება შენი აჩრდილი ვიქნები. გიო, შენი დავიწყება გამორიცხულია, ეს იცოდეს ყველამ! უყვარხარ, უყვარდი და ეყვარები მარად, შენს სოფიოს.



## გილოცავ!

• ნეაპოლში, მონატრებულ ბიცოლა ჯულის ვულოცავ დაბადების დღეს, 15 ოქტომბერს. მოთმინებას, ჯანმრთელობასა და უფლის წყალობას გისურვებ. გვენატრებით... შენი მულიშვილი, ვოვა.

• დაბადების დღეს ვულოცავთ ძმებს,

ჯაბა და ირაკლი უჯმაჯურიძეებს. მრავალს დაესწარით, ღმერთი გფარავდეთ. ეცადეთ, ცხოვრებაში იყოთ „ვინ“ და არა — „რა“.

• ჩემს ოთხი წლის უნახავ, მონატრებულ, საყვარელ შვილიშვილს, გოგა ყიფშიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 10 ოქტომბერს. ათი წლის ხდები, ჩემო სიხარულო, გაიზარდე ჯანმრთელი, ჭკვიანი და სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეს უფალი. შენი მაგული ბებო და დარო დეიდა. გაკოცე ბევრი, ჩემო სიხარულო.

• ჩემს პატარა ანგელოზებს, ეკას და ვალერის: ჩემო სიცოცხლეებო, ნეტავ იცოდეთ, როგორ მენატრებით. ძალიან მიჭირს უთქვენობა, ყოველ ღამე სიზმრად სულ თქვენთან ვარ. ღვთისმშობელს ვევედრები, მუდამ თქვენი მფარველი ყოფილიყოს. ვეცდები, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე და ის დედის სითბო და სიყვარული, რაც დაგაკლეთ, აგინაზღაუროთ. მიყვარხართ უზომოდ და მხოლოდ თქვენით ვსულდგმულობ. ირმა კაპანაძე.

• ჩემგან შორს მყოფ, უცნობ, მონატრებულ შვილიშვილს, ჩემს პატარა თევდორე ჩარკვიანს დიდი სიყვარულით ვულოცავ პირველ დაბადების დღეს, 9 ოქტომბერს. მირონისა და მრწამსის ძალა სულში ჩაგღვენთოს, ანგელოზის ჩირაღდანი შინ და გარეთ გენთოს, იების და ენძელების ბილიკებით გევლოს, მამის, ძის და სულიწმინდის მადლი დაგებედოს. ასე გლოცავს ჩემი გული. გამეზარდე, ბებო. ანა ბებოსა და მურთაზი ბაბუს ძალიან უყვარხარ. გკოცნით და გეფერებით.

• ქალბატონ ნესტან სვანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 ოქტომბერს. ჯანმრთელობას, ყველაფერ კარგს ვუსურვებ. თამუნა.

• საბერძნეთში მცხოვრებ ბაჯელიძე ნესტანს მინდა მივულოცო 14 ოქტომბერი, დაბადების დღე. ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული და გამძლეობა, უცხო ქვეყანაში. ხარ ერთგული და საყვარელი ქალი და ლამაზი შვილის დედა. გფარავდეს მუდამ ღმერთი, ოჯახთან ერთად. ნათია.

• ნესტან ბაჯელიძე, 14 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა და გილოცავს ყველა. მეც მინდა, დაგლოცო და გისურვო ჯანმრთელობა და სურვილების ახდენა. შენ ხომ კეთილი და ერთგული ხარ, ყველასთვის. გკოცნი და გილოცავ. ხატია.

• მინდა, 20 ოქტომბერს დაბადების დღე მივულოცო ქუთაისელ თორნიკე შერვაშიძეს. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი, გაახარე ყველა შენიანის გული. გისურვებ ყოველივე კარგს. ეკა.

• მინდა, შვილის დაბადების დღე მივულოცო ქუთაისელ შორენა და დათო შერვაშიძეებს. იყავით ბედნიერი მშობლები, გაიხარეთ და გამრავლდით, თქვენი შვილების მომავლით. ეკა.

• ოქტომბერში დაბადებულ ყველა ლამაზ ადამიანს, ჩემი თამადობით, მინდა მივულოცო დაბადების დღე და ვუსურვო კარგი მომავალი. ნესტანი.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო პატარა შოთა კაკაბაძეს. ჩემო პატარა, ჭიკჭიკა მერცხალო, მართლაც იმ ლამაზ და ბედნიერ დღეს, 15 ოქტომბერს გაუმარჯოს, შენ რომ გაჩნდი ამქვეყნად, ჩემო ყველაზე დიდო მონატრებავ და სიხარულო. გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს მშობლებთან და ახლობლებთან ერთად. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი, ბებოს სიხარულო. მარინა ბებო.

• ხონში აპოლონ კუხალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 ოქტომბერს და ვუსურვებ ლამაზი, ქართული ოჯახის შექმნას და საუკეთესო წლებს. ნესტანი.

• თიანეთში, ჩემს საყვარელ და მონატრებულ დედიკოს, ლია ზვიადაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენი მარიკა.

• ჩემს რძალს, ელენეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, ქმართან, აკოსთან ერთად. დედა, ქეთინო.

• ჩემს ბიძაშვილს, მიშიკო კბილაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. გახარება და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. წარმატებებით გაგვახარებინოთ. ირინა და კახა.

• მიშიკო კბილაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. კარგი მომავალი და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ბიცოლა მაყვალა, ბიძაშვილი — ანა.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ ძმას, ნუგზარ ჯალიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ერთადერთო, ჩაუქრობელო სანთელო, დიდხანს იცოცხლე, შენს პატარა, ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან მენატრები, ჩემო სიცოცხლევ, გფარავდეს ღმერთი. გილოცავენ შენი საყვარელი დაიკოები, ია და მაია ჯალიაშვილები.

• მინდა, დიდი სიყვარულითა და მონატრებით, ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანს, მიშკა ტყეშელაშვილს 15 ოქტომბერს დაბადების დღე მივულოცო. უფალი გფარავდეს მუდამ, დაე, ეს წელი შენი ოცნებებისა და სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს! მენატრები ძალიან. ირინა.

• ხათუნა ჩაკვეტაძეს დაბადების დღეს ვულოცავ, 15 ოქტომბერს. მრავალს დაესწარი, შენი საყვარელი ოჯახითა და მომავალი პატარათი. უფალი გფარავდეთ! მიყვარხარ. ირინა.

• დიდი სიყვარულითა და სიხარულით მინდა მივულოცო ბედნიერება ათენში მყოფ პელიკოს და ალიკას. ლამაზებო, იხარეთ, იბედნიერეთ და სიტკბოთი შეაბერდით ერთმანეთს. იმრავლეთ და ღმერთი იყოს ყოველთვის თქვენი მფარველი. ქალების სახელით გლოცავთ და გეფერებათ ნანული.

• ათენში დროებით მყოფ ელზა ჩირგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ დიდ-დიდ სიყვარულს, ლამაზ სიხარულს, ოცნების ახდენას, ვარსკვლავის ანთებას, ცხოვრების სინათლეს, უვრცელეს სიცოცხლეს. აგრეთვე შენი დიდი ოცნებების ასრულებას, რომელზე ფიქრშიც ათენებ და აღამებ. ინეზა.

• ათენში დროებით მცხოვრებ ამირან და თამუნა ჩაფიძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს, 19 და 23 ოქტომბერს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დროულად დაბრუნებას, თქვენს შვილებთან, რუსუდანთან და ნინიკოსთან. გკოცნით და მიყვარხართ. მანანა და შალვა ქავთარაძეები.

• მინდა, გაბედნიერება მივულოცო ათენში დროებით მცხოვრებ ალიკა ალადაშვილს და პელაგია გოგიშვილს. გისურვებთ ყოველივე კარგს, ცხოვრების ბოლომდე. ღვთისმშობელი მარიამი გფარავდეთ მუდამ. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და შვილების სიმრავლეს. თქვენი კეთილის მსურველი ბიძა და ბიცოლა, შალვა და მანანა ქავთარაძეები.

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, ბუზღუნას, 18 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს, თავის ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ. შენი ფისო და კნუტი.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა
უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

## სულ პატარძალი კი არ ვიყავი, ,,მეხანიკი‘‘ ვიყავი ომამდე...

# ტაიმ-აუტი

## საშიში კერძები და რისკის მოყვარული გურმანები



### ფუგუ

იაპონელ მზარეულებს თევზ ფუგუსგან კერძების მომზადებას წლების განმავლობაში ასწავლიან. შხამიანი თევზის ერთ გრამს შეუძლია, დამბლა და მომენტალური სიკვდილი გამოიწვიოს. იაპონიაში ყოველწლიურად, მისი მსხვერპლი დაახლოებით, 10 ადამიანი მაინც ხდება. გურმანი კლიენტებისთვის უმი ფუგუს თხლად დაჭრილი ხორცისგან ყვავილებსა და ჩიტებს ქმნიან. 4 ადამიანის ულუფა 200 დოლარი ღირს.

### სან ნაკ ჯი

რესტორნის აკვარიუმში შერჩეულ რვაფეხას სუფრაზე უმად მოგართმევენ. მისი ჭამა ძალიან რთულია, რადგან ის საცეცებს საოცრად გრეხს. რვაფეხას დაგემოვნებისას, წელიწადში დაახლოებით, 6 ადამიანი იღუპება. თუ უსაფრთხოდ სადილობა გსურთ, მზარეული რვაფეხას საცეცებს დაგიქუცმაცებთ.

### კასავა

სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში გავრცელებული ამ მცენარისგან ტრადიციულ კერძებს ამზადებენ, მაგრამ თუ მას არასწორად მოამზადებთ, შეიძლება, უკანასკნელადაც ისადილოთ, რადგან კასავა ციანიდის შხამს შეიცავს.

### გიგანტური ბაყაყი

ნამიბიაში გიგანტური ბაყაყის ხორცი დელიკატესად მიიჩნევა. არ მიირთმევენ მის შიგნეულობას, რადგან ის შხამს შეიცავს და შეუძლია, ადამიანს ღვიძლი დაუზიანოს. გიგანტური ბაყაყი საფრანგეთში ძალიან პოპულარულია და მის ხორცს ქათმისას ადარებენ.

### კასუ მარზუ

ცხვრის ყველში მატლები ბუდობენ. მათ 15 სმ-ზე ახტომა შეუძლიათ, ამიტომ ჭამის დროს სასურველია, თვალები დახუჭოთ. დაჭრილი ყველისგან მძაფრი სუნის მქონე სითხე იღვრება, რომელიც ენას გწვავთ. მას შეუძლია, ღვიძლი ბინება ან სულაც, მოწამვლა გამოიწვიოს. კასუ მარზუს გაყიდვა აკრძალულია და იგი არალეგალურად იყიდება.

### აკი

იამაიკურ და დასავლეთაფრიკულ სამზარეულოში ხშირად იყენებენ აკის ნაყოფს. მსხლის მსგავსი ნაყოფი, მკვახეც და გადამწიფებულიც, შხამს შეიცავს. ვარგისია მხოლოდ კურკასთან მდებარე რბილობი.

### ანწლი

მწიფე ანწლი საშიში არაა, მაგრამ მკვახე ციანიდს შეიცავს.

### ტარანტული

კამბოჯაში დელიკატესად მიიჩნევა შხამიანი ობობასგან მომზადებული კერძი. გიგანტურ ობობას შხამიან საცეცებს აცლიან და ნივრიან ზეთში ხრაკავენ. კამბოჯაში მიაჩნიათ, რომ ტარანტულის კერძი ადამიანს მრავალი დაავადებისგან კურნავს.

■

## რა საიდუმლოს გასცემენ თვალები?

### ცისფერი, ნაცრისფერი ან ლურჯი

ასეთი ფერის თვალების მქონე ადამიანს წინააღმდეგობა არ აშინებს და დასახული მიზნისკენ ჯიუტად მიიწევს. ყოველთვის მზადაა თავგადასავლებისა და ავანტიურისათვის. თუ ასეთი თვალების მქონე ადამიანთან რომანი გაქვთ, მის შეცვლას ნუ შეეცდებით. უმჯობესია, საერთო მიზნები განახორციელოთ.

### ჭროღა

მერყევი ხასიათი აქვს და გუნება-განწყობილება ხშირად ეცვლება. დღეს თუ ერთი მოსწონს, ხვალ მეორეს ეფიცება სიყვარულს. უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ბრძოლას დანებება ურჩევნია.

### ზურმუხტისფერი

ვერ იტანს კრიტიკას. ყოველთვის აღფრთოვანებულია საკუთარი საქციელით და იდეებით. უყვარს მხიარულება და არც გარშემო მყოფებს აძლევს მოწყენის საშუალებას. თუ შეუყვარდა, მის გამო შეუძლებელს შეძლებს.



### თაფლისფერი

ყოველთვის მოწესრიგებულია. იცის, როგორ მოაწონოს თავი გარშემო მყოფებს; კარგი მოსაუბრეა და დახვეწილად იცვამს. უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. სიყვარულში ბედნიერებას მაშინ პოვებს, თუ რჩეული ნებისმიერ სურვილს აუსრულებს.

■

## ფარული გარიგება და 25-მილიონიანი კონტრაქტი

იტალიურმა „ფერარიმ“ ესპანელი პილოტის, ფერნანდო ალონსოს თავის გუნდში გადასვლის ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. „ფერარის“ წარმომადგენლის თქმით, დადებული კონტრაქტის თანახმად, ალონსო ამ საჯინიბოს სახელით 2010-2012 წლებში იასპარეზებს. ხელშეკრულების დეტალები იაპონიის გრან-პრიმდე ცოტა ხნით ადრე გახდა ცნობილი. თუმცა, მოარული ხმებით, მათ შორის ფარული შეთანხმება ჯერ კიდევ 2008 წლის ივლისში შედგა — მაშინ, როცა ფერნანდოს, „რენოს“ სახელით გამოსვლა რამდენიმე თვის განახლებული ჰქონდა. ახალი კონტრაქტის მიხედვით, ალონსო წელიწადში 25 მილიონ ევროს მიიღებს. „მივესალმებით ჩვენს რიგებში იმ



პილოტის გამოჩენას, რომელმაც უკვე არაერთგზის გამოავლინა საუცხოო თვისებები და ორჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, — განაცხადა საჯინიბოს თავკაცმა, სტეფანო დომინიკალიმ. — ასევე გვინდა, მადლობა გადავუხადოთ კიმი რაიკონენს იმ მრავალი გამარჯვებისთვის, რომელიც მან ჩვენს გუნდს მოუტანა“. „ვადაზე ადრე კონტრაქტის გაწყვეტა მხარეების შეთანხმების საფუძველზე მოხდა“, — განაცხადა რაიკონენმა. ფინელის თქმით, იმ გუნდის დატოვება, რომელშიც უკანასკნელი 3 წელი გაატარა, მისთვის ძალიან მძიმეა. „აქ ისე ვგრძნობდი თავს, როგორც საკუთარ სახლში. „ფერარიში“ გატარებული წლები ჩემთვის დაუვიწყარ მოგონებად დარჩება“. „ფერარიდან“ წასვლის შემდეგ კიმი რაიკონენი სავარაუდოდ, „მაკლარენში“ დაბრუნდება, რომლის სახელითაც 2002-2006 წლებში გამოდიოდა. თავის მხრივ, ალონსოს ადგილს „რენოში“ რობერტ კუბიცა დაიკავებს, რომელიც ამჟამად „ბეემვე ზაუბერის“ სახელით გამოდის. ■

## რუნი ჩარლტონის რეკორდის მოხსნას გვპირდება



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდმა უეინ რუნიმ ჟურნალისტებს გაანდო სანუკვარი სურვილი — ეროვნულ გუნდში გატანილი გოლების რაოდენობით გაუსწროს ლეგენდარულ ფეხბურთელს, ინგლისის ნაკრების კვლავ „დაუმარცხებელ“ გოლეადორს, ბობი ჩარლტონს. „ამ დღეებში საუბრისას, ხუმრობით შევეხეთ ამ თემას, — ჰყვებოდა რუნი. — სერ ბობიმ მირჩია, კლუბში თამაშისას მეტი გოლის გატანა დავისახო მიზნად. ამის გაგონებისას, კარგი გაგებით, „დავიქოქე“: ეროვნულ გუნდში გამოსვლისას უკვე 25 გოლი მაქვს გატანილი. არადა, მხოლოდ 6 წელია, რაც ნაკრებში ვთამაშობ, ე.წ. კარიერის დასრულებამდე ამ მაჩვენებლის სულ ცოტა, გაორმაგება შემიძლია; ჩარლტონის რეკორდი კი — 49 გოლია... ამასთანავე, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ სერიოზული მოქმედი კონკურენტიც მყავს: ალბათ მიხვდით — მაიკლ ოუენს ვგულისხმობ, რომელსაც 40 გოლი აქვს გატანილი. მართალია, მას კარგა ხანია, ეროვნული ნაკრების მაისური არ მოურგია, მაგრამ მაინც აქვს შანსი, ბომბარდირთა ნუსხაში პირველი სტრიქონი დაიკავოს“, — დასძინა უეინმა. ■

## შეუხედაობის კომპლექსის მიუხედავად...



თითქოს ძნელია, წარმოიდგინო მსოფლიოს პირველი ჩოგანი, სერენა უილიამსი ე.წ. პრიალა ჟურნალის გარეკანზე „სტანდარტული“ ლამაზმანის ამპლუაში, მაგრამ სპორტული ჟურნალის — ESPN — მესვეურებმა ამ ნაბიჯის გადადგმა გაბედეს და, როგორც ხედავთ, ერთობ ეფექტურ შედეგსაც მიაღწიეს. სერენას თავადაც მიაჩნია, რომ ფოტომოდელისთვის საკმაოდ შეუფერებელი, დაკუნთული მკლავები, ფეხები და მეტისმეტად განიერი მხრები აქვს, მაგრამ სპორტული ჟურნალის ფოტოოსტატებმა მას ისეთი პოზა შეურჩიეს, რომელიც ყველა ამ ნაკლს ფარავს და მოუხეშავ სპორტსმენ ქალს ეროტიკულადაც წარმოგვიდგენს და ამავე დროს, მისი სხეულის არც ერთ ნაწილს არ აშიშვლებს. დამატებითი — ბრჭყვიალა ეფექტის მისაღწევად, მას სპეციალური ზეთით დაუზილეს ტანი და სერენაც, ნამდვილი ვარსკვლავივით „აკაშკაშდა“. არადა, უილიამსს თურმე საკუთარი შეუხედაობის კომპლექსი აწუხებდა: „ჩემი სხეული... ვფიქრობ, მეტისმეტად დიდია, — აღნიშნა ჩოგბურთელმა ქალმა. — ხელები უზომოდ დაკუნთული მაქვს, უზომოდ სქელიც... და კიდევ — ვისურვებდი, ბარძაყებიც უფრო ვიწრო მქონოდა. ამიტომ, ყოველდღე მთელი საათი სპეციალურ ვარჯიშებს ვასრულებ, რათა მუდამ ფორმაში ვიყო... და მაინც, მინდა, ყველა ქალს ვუთხრა: ნუ შეგეშინდებათ! შეიძლება, სხეულის ნებისმიერი ზომა გქონდეთ, მაგრამ მაინც ლამაზი და მოხდენილი იყოთ — როგორც სულიერად, ისე გარეგნულად“. ■



## ეჭვები „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დაკავშირებით მოიხსნა



საბოლოოდ გაიფანტა ეჭვები ინგლისური ფეხბურთის გრანდის მიმართ, რომელიც ფრანგი ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით არსებობდა. ამგვარად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ უფლება მიეცა, გაუფორმოს კონტრაქტი 16 წლის პოლ პოგბას, რომელსაც მისი წინა კლუბი — ფრანგული „გავრი“ 2010 წლამდე თავისთან დატოვებას უპირებდა. ფიფას გადაწყვეტილების თანახმად, „მანჩესტერს“ პოგბასთან მოლაპარაკებისას არანაირი წესი არ დაურღვევია; ამასთანავე, „გავრს“ აქვს უფლება, ეს გადაწყვეტილება გააპროტესტოს...

წლეულს სექტემბერში ფიფამ „ჩელსი“ იმისთვის დასაჯა, რომ ამ კლუბმა უკანონოდ გააფორმა კონტრაქტი ფრანგ გაელ კაკუტასთან: ინგლისურ კლუბს ახალი მოთამაშეების შეძენა 2011 წლის იანვრამდე აეკრძალა. სწორედ ამ მოვლენის შემდეგ, რამდენიმე ფრანგულმა და იტალიურმა კლუბმა განაცხადეს პრეტენზიები „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიმართ, მაგალითად, „ფიორენტინამ“ და „ემპოლიმ“ კლუბს მათი ფეხბურთელების გადაბირებისთვის უჩივლეს ფიფაში. ■




## „ბარსას“ მესვეურთა წუხილი

ესპანური „ბარსელონის“ ხელმძღვანელები შეწუხებული არიან იმ ფაქტით, რომ კარლეს პუიოლი და რაფაელ მარკესი გუნდთან კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობენ. კატალონიური გამოცემის — Sport — ცნობით, კლუბის მესვეურებმა ორივე ფეხბურთელს თავისებური ულტიმატუმიც კი წაუყენეს: გადაწყვეტილება მათ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის დასრულებამდე — ე.ი. დეკემბრის შუა რიცხვებამდე უნდა მიიღონ. „ბარსელონა“ პუიოლს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს, ხოლო მარკესს — მხოლოდ ერთწლიანს. ■

*რუბრიკა მოამზადა* ***ალექსი რეხვიაშვილმა***

შეუცნობელი



# ჯადოს შედეგი — გაუთხოვრობა, ღალატი, ნევროზი

## ანუ პრობლემა, რომელიც სულ უფრო თვალში საცემი ხდება

**ამ ბოლო დროს თითქმის ყველა ადამიანი უჩივის ნევროზს, უბარაქობას, ოჯახურ პრობლემებს და ა.შ. ახალგაზრდები ოჯახის წევრებს ვერ უგებენ, რაც ჩხუბის მიზეზი ხდება და შემდეგ, ბავშვები სახლიდან გარბიან ან სულაც, თავის მოკვლაზე ფიქრობენ... ქალბატონი ლია ხსნის ჯადოს, ავ თვალს, ჩაკეტილ ბედს, ამზადებს დამცავ თილისმებს და ხშირად, მოსალოდნელ სიკვდილსაც აშორებს ადამიანს. მან თავისი ნიჭის წყალობით თურმე, არაერთი ოჯახი იხსნა დანგრევისგან.**

*ქალბატონ ლიასთან პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და შოუბიზნესის წარმომადგენლები რჩევის საკითხავად რომ დადიან, ეს არახალია. ვიდრე მასთან ინტერვიუს ჩავწერდი, მოსაცდელ ოთახში შეკრებილ ადამიანებს მივმართე კითხვით — თუ საიდუმლო არ არის, ქალბატონი ლიას ნიჭი ოდესმე რაიმეში დაგეხმარათ-მეთქი? უმეტესობამ პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა, მხოლოდ ორი მათგანი არ მოერიდა ჩემს დიქტოფონს:*

**თამრიკო:**

„როცა ჩემი გასათხოვარი გოგონას ასაკმა 35-ს მიაღწია, ხოლო ბიჭი უკვე 40-ის იყო და ცოლის მოყვანაზე არ ფიქრობდა, საგონებელში ჩავვარდი. ქალბატონ ლიასთან ახლობელმა მომიყვანა. აქ რომ მოვდიოდი, ვფიქრობდი, — ტყუილად მივდივარ, ვერაფერს მიშველის-მეთქი, მაგრამ შევცდი. ქალბატონმა ლიამ მითხრა: თქვენს შვილებს ბედი აქვთ შეკრულიო. მერე დამარიგა, თუ რა როგორ უნდა გამეკეთებინა. 3 თვის შემდეგ ჩემი ქალიშვილი დანიშნეს, მოგვიანებით კი ჩემმა ვაჟმაც შეირთო ცოლი. ახლა აქ მადლობის სათქმელად მოვედი“.

**ლალი:**

„სახლში დაქალი შევიფარე... ცოტა ხანში ჩემი მეუღლე ისე შეიცვალა, რომ ვიფიქრე, — საყვარელი გაიჩინა-მეთქი, მაგრამ ვერც ვიეჭვებდი, ჩემს დაქალთან თუ მიღალატებდა. მოკლედ, ორივემ ისე მკრა ხელი, თვალიც არ დაუხამხამებია. თავი კი ასე იმართლეს: ერთურთი შეგვიყვარდა და რა ვქნათო?!. ქალბატონი ლიას წყალობით მეუღლე დავიბრუნე. დიდი მადლობას მას ამისათვის. ახლა სხვა პრობლემა მაქვს და აქ ამიტომაც ვარ“.

**ლია ხუციშვილი:**

— დღეს ყველაზე დიდი პრობლემა გაუთხოვრობა, უშვილობა, უბარაქობა და ნევროზია, რომელიც ძირითადად, ახალგაზრდებს აწუხებთ.

— **მათ როგორ ეხმარებით?**

— ჩაკეტილ ბედსა და ჯადოს ქრისტიანული ლოცვების (რომელიც წმინდა ბარბარეს გამოცხადების შემდეგ ვისწავლე) დახმარებით ვხსნი. როცა ადამიანს ჯადო აქვს გაკეთებული, ის სახლიდან უმიზეზოდ გარბის, ჩხუბობს, ოჯახის წევრებს ზიზღით უყურებს, ხშირად ავადმყოფობს და ა.შ. ასეთ ადამიანებს ვაძლევ თილისმას, რომელშიც სიზმარში ნასწავლი საიდუმლო ლოცვა წერია და ის მათ პრობლემის მოგვარებაში ეხმარება.

— **ამბობენ, რომ ახალგაზრდებს დაქორწინებაშიც ეხმარებით...**

— ხშირად, შეყვარებულ წყვილს დაქორწინებაში ხელს ბოროტი „თვალი“ ან ჩაკეტილი ბედი უშლის. მათ ლოცვების გარდა, ვერაფერი უშველის... ასევე, ხშირია შემთხვევა, როცა კაცები საყვარლების გამო ოჯახს ტოვებენ. მათი დაბრუნება თქვენს ხელშია — ამისთვის ვილაცისთვის ზიანის მიყენება სულაც არაა საჭირო. არსებობს სპეციალური ლოცვები, რომლითაც გაქცეული ადამიანის მობრუნება შესაძლებელია. მთავარია რწმენა, ლოცვების კითხვა და ამით ეშმაკი განიდევნება.

**P.S.** *ქალბატონ ლიას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:*
*69-60-00; 8(93) 21.52.33*
*(ჩაწერა წინასწარ).*

# ყოფილი „პოეტის“ წიგნიერება და უღრან ტყეში გატარებული დღეები

**„ვაღიარებ, დღესდღეობით წიგნებს ველარ ვკითხულობ, მაგრამ იყო დრო, როცა აქტიური მკითხველი ვიყავი და უპირატესობას ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურას ვანიჭებდი“, — მითხრა მსახიობმა გია ცინაძემ, რომელიც საზოგადოებამ უცნაური იმიჯით და მყუდროს როლის შესრულებით გაიცნო. მისი საყვარელი ავტორი გურამ დოჩანაშვილია. უყვარს პოეზიაც. იყო დრო, როცა ლექსებს თავადაც წერდა და თავი მაგარი ვინმე ეგონა, ახლა კი დარწმუნებულია, საკუთარი ლექსები რომ გადაიკითხოს, გაეცინება და შერცხვება.**



## „მთაში ყოფნისას არაერთი ლექსი დამიწერია“

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

**— გია, ლექსებს რა ასაკში წერდი?**

— მაშინ 15-16 წლის ბიჭი ვიყავი, სისხლი მიჩქეფდა.

**— რაზე წერდი, სიყვარულზე?**

— სიყვარულზეც. იმ წლებში და შემდეგაც მთაში ხშირად დავდიოდი. იქ ყოველთვის მიმქონდა რამდენიმე წიგნი და ვკითხულობდი. სხვათა შორის, მთაში ყოფნისას არაერთი ლექსი დამიწერია.

**— მწვერვალებზე არ ადიოდი?**

— როგორ არა! მყინვარწვერი ორჯერ დავლაშქრე.

**— მთა რით გიზიდავს?**

— იქ ყველაფერს სხვაგვარად აღვიქვამ. მთაში სხვა სილამაზეა, მაგრამ მისი შეგრძნების უნარი ყველას როდი აქვს... ერთხელ მყინვარწვერთან ახლოს, უღრან ტყეში მდებარე კლდეს შევაფარე თავი და იქ 1 თვე ვცხოვრობდი. მარტო არ ვიყავი — მეცხვარის ჯიშის ლეკვი მახლდა, რომელიც შემდეგ, თბილისში წამოვიყვანე. მაშინ ისეთი პერიოდი იყო, მთაში განმარტოება მსიამოვნებდა, მაგრამ ახლა რომ წამიყვანო, შეიძლება, 3 დღეც ვერ გავძლო.

**— 1 თვე თავი რით გაიტანე?**

— ტყეში მეგობრებთან ერთად წავედი, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაძლეს და უკან მალევე გამობრუნდნენ. საკვების მარაგი წაღებული მქონდა, მაგრამ თუ რაიმე დამჭირდებოდა, ყაზბეგში ჩავდიოდი, ვყიდულობდი და ისევ ჩემს გამოქვაბულში ვბრუნდებოდი.

**— მარტოობაში რა აღმოაჩინე?**

— იქ რაიმეს აღმოსაჩენად არ წავსულვარ. უბრალოდ, დავისვენე, დავმშვიდდი. ტყეში თავს საოცრად მსუბუქად ვგრძნობდი და არ მინდოდა, რამეზე მეფიქრა.

**— მთაზე ლაპარაკი გაგვიგრძელდა, დროა, კითხვარზე გადავიდეთ.**

— აბა, დავიწყოთ. ვეცდები, ყველა ის ფაილი გავხსნა, სადაც ესა თუ ის ინფორმაცია მაქვს შენახული (*იცინის*).

**— თუ იცი, პირველად ვინ შემოიღო ხმარებაში მოკლე შარვალი ე.წ. „შორტი“?**

— არა, შენ იცი?

**— ოსკარ უაილდმა.**

— კარგი, აწი მეცოდინება.

**— ამ ულამაზესმა ქართველმა მსახიობმა არაერთი დაუვიწყარი სახე შექმნა. ბევრმა არ იცის, რომ ის ვარშავაშია დაბადებული. დაასახელე ეს მსახიობი.**

— (*ფიქრობს*) მინიშნებას ვერ მეტყვი?

**— ის ტრაგიკულად დაიღუპა.**

— ნატო ვაჩნაძე.

**— რა ერქვა ვახტანგ გორგასლის ვაჟს?**

— არ მახსოვს.

**— დაჩი. ვინ არის ფილმის — „უძინართა მზე“ — რეჟისორი?**

— თემურ ბაბლუანი.

**— რა პრიზი მიიღო ამ ფილმმა 1993 წლის ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე?**

— „ოქროს დათვი“.

**— ცდები, „ვერცხლის დათვი“. რა ერქვა საიდუმლო სახელმწიფო პოლიციას ფაშისტურ გერმანიაში?**

— ვიცი და უნდა გავიხსენო (*ფიქრობს*) გესტაპო, არა?

**— დიახ. რომელ კონტინენტზეა მხოლოდ ერთი სახელმწიფო?**

— ავსტრალიის კონტინენტზე.

**— ამ ქართველ მწერალს სიკვდილმისჯილთა საკანში 75 დღე აქვს გატარებული.**

— ამჟამად ცოცხალია?

**— დიახ.**

— ჭაბუა ამირეჯიბი.

**— რა ეწოდება სახელმწიფოს ყოველწლიური შემოსავლისა და გასავლის ნუსხას?**

— გგონია, არ ვიცი? ბიუჯეტი.

**— რომელ წელს შეიქმნა და როდის დაიშალა საბჭოთა კავშირი?**

— როდის შეიქმნა, არ ვიცი, მაგრამ 1991 წელს კი დაიშალა.

**— 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა. რომელი ოპერის პერსონაჟები არიან — მალხაზი, ცანგალა და კიაზო?**

— „დაისის“.

**— რა ჰქვია უკრაინის პარლამენტს?**

— რადა.

**— რომელია ბრაზილიის ოფიციალური ენა?**

— პორტუგალიური.

— **„კაპიტანი ნემო“ წაკითხული გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ჟიულ ვერნმა დაწერა.

— **რა ეროვნების იყო კაპიტანი ნემო?**

— ინდოელი. ნახე, რა მაგარი ვარ, რამდენი რამ ვიცი.

— **რომის პირველი დიქტატორი — ლუციუს კორნელიუს სულა ფელიქს დიქტატორად იწოდებოდა. რას ნიშნავს „ფელიქსი“ ქართულად?**

— ეს რთული კითხვაა. ფელიქსი კაცის სახელია...

— **„ფელიქსი“ ბედნიერს ნიშნავს. მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?**

— (*ფიქრობს*)...

— **მაშინ ის მითხარი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს რომელი სრუტე აერთებს?**

— (*იცინის*) კითხვა შემიბრუნე, არა? გგონია, დავიბნევი? დარდანელის სრუტე აერთებს.

— **დაასახელე ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟი, რომელიც კინოში იმედა კახიანმა, ხოლო თეატრში გოგი გეგეჭკორმა განასახიერა.**

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **ამ ლიტერატურულ პერსონაჟს დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში ვხვდებით.**

— პლატონ სამანიშვილი.

— **პირველად რომელი ქართველი ფეხბურთელი იყო დასახელებული მსოფლიო სიმბოლურ ნაკრებში?**

— დავით ყიფიანი.

— **ცდები, მიხეილ მესხი. რომელმა ქართველმა მსახიობმა შეასრულა ოსტაპ ბენდერის როლი ცნობილ კინოფილმში — „თორმეტი სკამი“?**

— არჩილ გომიაშვილმა.

— **რა ჰქვია აქლემის შვილს?**

— აქლემუკა (*იცინის*). კოზაკი ჰქვია.

— **რომელ ქვეყანაში ლაშქრობისას მოუკლეს ალექსანდრე მაკედონელს საყვარელი ცხენი ბუცეფალი?**

— მგონი, ინდოეთში ლაშქრობის დროს.

— **დიახ. „ყოფილა დავით მეფე ალმაშენებელი,/ ყოფილან ოპიზრები გასაშტერებელი,/ ყოფილა...“**

— „...მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,/ რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი“.

— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— მურმან ლებანიძე, მე მას ვიცნობდი.

— **ეს ინგლისელი მწერალი სიცოცხლეს არაფრად აგდებდა და საკუთარ დაბადების დღეს შავებს იცვამდა. ვისზეა ლაპარაკი?**

— ვერ გიპასუხებ.

— **დენიელ დეფოზე. ეს სასარგებლო წიაღისეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I ათასწლეულებში ოქროზე ძვირად ფასობდა.**

— არ ვიცი.

— **რკინა. თავდაპირველად, ამ მცენარეს მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა, რადგან მისი ნაყოფი შხამიანი ეგონათ, დღეს კი ის მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია.**

— ასეთი რამ პომიდორზე მსმენია. გამოვიცანი?

— **დიახ. რომელ ქვეყანას ეკუთვნის აღდგომის კუნძულები?**

— არ ვიცი.

— **ავსტრალიას. ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?**

— სანდრო ჟორჟოლიანმა.

— **ვინ არის ქანდაკების — „ქართვლის დედა“ ავტორი?**

— ელგუჯა ამაშუკელი.

— **რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?**

— არ ვიცი.

— **ბრაზილიის გერბზე. ბახტრიონი, სამშვილდე, არტანუჯი — ჩამოთვლილი ისტორიული ციხე-ქალაქებიდან, რომელი არ მდებარეობს დღევანდელი საქართველოს საზღვრებში?**

— (*ფიქრობს*).

— **მიგანიშნებ. ეს ციხე ვახტანგ გორგასალმა ააშენა.**

— ვერ გიპასუხებ.

— **არტანუჯი. II მსოფლიო ომის დროს რომელ სახელმწიფოში მდებარეობდა განსაკუთრებული სისასტიკით ცნობილი ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკი — „ოსვენციმი“?**

— პოლონეთში.

— **რა არის გამოსახული „მიცუბიშის“ ლოგოზე?**

— 3 რომბი.

— **3 რომბისებრი ბრილიანტი. „აუდი“, „ოპელი“, „პორშე“ — რომელი ქვეყანა აწარმოებს დასახელებული მარკის ავტომობილებს?**

— გერმანია.

— **რა პროფესიის იყო ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ეგზიუპერი?**

— მფრინავი იყო, არა?

— **პასუხი ჩაგეთვალა. ეს მარცვლოვანი მცენარე სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის მცხოვრებთათვის ძირითად საკვებ პროდუქტს წარმოადგენს. ის ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში მოჰყავდათ.**

— ახლაც მოჰყავთ?

— **დიახ და მას საკვებად ჩვენც ვიყენებთ.**

— (*ფიქრობს*) თეთრი ფერისაა?

— **ამ კითხვაზე არ გიპასუხებ.**

— ბრინჯი.

— **გამოიცანი. რა ჰქვია საეკლესიო წესების კრებულს?**

— არ ვიცი.

— **ტიპიკონი. დაბოლოს, დაასრულე ლეონარდო და ვინჩის ცნობილი გამონათქვამი: „მტერი, რომელიც ააშკარავებს შენს შეცდომებს, უფრო სასარგებლოა, ვიდრე...“**

— (*ფიქრობს*) არ ვიცი, ლეონარდო და ვინჩი რას ფიქრობდა, მაგრამ მე ამ გამონათქვამს ასე დავასრულებდი: „...მეგობარი, რომელიც შეცდომებზე არაფერს გეუბნება“.

— **„...მეგობარი, რომელიც მათ ფარავს“.**

■

**ერუდიტი +**

**1. ანტარქტიდაში ყინული რომ დამდნარიყო, ოკეანეების დონე 30-50 მეტრით აიწევდა.**

**2. ვეებერთელა კენგურუ 6-დან 10 მეტრამდე სიგრძისაა და 2-დან 3 მეტრამდე ნახტომს აკეთებს, მაგრამ ხტომაში რეკორდი რწყილს ეკუთვნის — რწყილის ნახტომი მისი სხეულის სიგრძეს 200-ჯერ აღემატება.**

**3. ცხოველთა უდიდეს ნაწილს ცურვა შეუძლია, მაგრამ აქლემი, თუ ის ღრმა წყალში ჩავარდა, მაშინვე ჩაიძირება.**

**4. ყველაზე ზუსტ ბუნებრივ „საათად“ დედამიწა მიიჩნევა, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ იგი ყოველთვის თანაზომიერად არ ბრუნავს: ყველაზე სწრაფად — აგვისტოში, ხოლო ყველაზე ნელა მარტსა და აპრილში ბრუნავს. მეცნიერებმა ისიც დაასკვნეს, რომ დედამიწა საუკუნეების წინ უფრო სწრაფად ბრუნავდა, ვიდრე — დღეს.**

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

### „პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რას ეძახიან რაჭა-ლეჩხუმში წზერს, აღმოსავლეთ საქართველოში კი საქაჯავს?

2. რის გამო მოხვდა ფინური სიტყვა „საიპპუაკივიკაუპპიას" ( შალით მოვაჭრე) გინესის რეკორდების წიგნში?

3. 1792 წელს ჯეიმს სმიტის გამოგონებამ ძირეულად შეცვალა ფეხსაცმლის წარმოება, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა მათი რეალიზაცია. რა გამოიგონა სმიტმა?

4. რა არის ქუმელი?

5. დაასახელეთ ქართველი რეჟისორი და დრამატურგი, რომელიც სამჯერ იყო გერმანელთა ტყვეობაში და სამჯერვე გაიქცა.

6. რისი გამომხატველი შორისდებულია „მახლას"?

7. რუსეთის რომელმა იმპერატორმა იმეფა 4 წელი, 4 თვე და 4 დღე?

8. „ზნაიტე ლი ვი შტო ნიკაგდა ნაშა როდინა ნე ბივაეტ ტაკოი ბეზზაშიტნოი კაკ 23-ვო ფევრალია ვეჩერომ! ბეზზაშიტნეე ანა ტოლკო..." — დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის ხუმრობა.

9. პირველად ცათამჯენი 1885 წელს, უილიამ ლე ბარონის მიერ ჩიკაგოში სადაზღვევო ფირმისათვის აშენებულ შენობას უწოდეს. რამდენსართულიანი იყო იგი?

10. „იგი უდავოდ საშიში ადამიანია, რადგან თავადაც ურყევად სწამს იმის, რასაც ლაპარაკობს", — ვის შესახებ ამბობდა ამას ონორე მირაბო?

11. ახალ გვინეაში მცხოვრები ტომი ტანგუ მშვიდი ხასიათით, კაცთმოყვარეობით გამოირჩევა და მისი წევრები მოპოვებულ საკვებს ყოველთვის თანაბრად ინაწილებენ. რით გამოირჩევა მათ მიერ გამართული ასპარეზობა-თამაშები?

12. კუნძულ ჰონოლულუზე რვაფეხებს სარეცხ მანქანებში რეცხავენ. რატომ?

# ანეკდოტები



* * *

მიხომ თავის 6 წლის ბიჭს დაუძახა და ეუბნება:

— შვილო, შენ უკვე დიდი ხარ და სერიოზულად უნდა გელაპარაკო. უკვე უნდა იცოდე, როგორ ჩნდებიან ბავშვები ქვეყნად.

— კარგით, რა! სამი წლისამ გავიგე, რომ თოვლის პაპა არ არსებობს, ოთხისამ — ჯუჯების ამბავიც რომ გამოგონილი ყოფილა; ხუთი წელი შემისრულდა თუ არა, ეგრევე მომახალეთ, კუდიანებიც მეზღაპრეების მოგონილიაო. ახლა თუ ისიც უნდა მითხრათ, სექსიც არ არსებობსო, რაღად მინდა სიცოცხლე?!

* * *

დედა შვილს ციხეში სწერს: „შვილო, ძალა აღარ მაქვს და ბოსტნისთვის ხელი აღარ მომიკიდებია. მიწის დამუშავება აღარ შემიძლია, ვერაფერი დავთესე და რა ვქნა, აღარ ვიცი". შვილი პასუხობს: „დედი, ბოსტანს არ მიეკარო, თორემ ისეთ რამეს ამოთხრი, სანანებელი გაგიხდება". დედა: „შენი წერილი როგორც კი მოვიდა, ჩვენს ბოსტანს პოლიცია დაესია და სულ გადათხარა. ვერაფერი ნახეს და ძალიან გაბრაზებულები წავიდნენ". შვილი: „რითიც შემეძლო, დაგეხმარე, დათესვა შენზეა".

* * *

სვანი რეკავს მილიციაში.

— „კლარა ცეტკინის" ბოლოში მკვდარი კაცი ვნახე.

— რა ადგილზეა?

— ეგ არ ვიცი, ნომერი არ აწერია.

— აბა, რა გიყოთ? — უთხრეს და ყურმილი დაუკიდეს.

ცოტა ხანში სვანი ისევ რეკავს:

— რუსთაველის ძეგლთან ამოვათრიე! აქ ხომ მოაგნებთ?!

* * *

ახალი ამბები: — ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს ღვინის მარანი და აგერ უკვე მეოთხე დღეა, თავიანთი მოთხოვნების ფორმულირებას ვერ ახერხებენ...

* * *

პროფესორი ჩუქჩას ეხვეწება, თეთრ დათვზე სანადიროდ წამიყვანეო.

— დათვზე სანადიროდ რომ წახვიდე, ჭკუა უნდა გქონდეს, — ეუბნება ჩუქჩა.

— ეგ ნამდვილად არ მაკლია, პროფესორი კაცი ვარ.

— კარგი, წაგიყვან!

წავიდნენ. დიდხანს იარეს, 10 კმ გაიარეს და მიადგნენ დათვის ბუნაგს. ჩუქჩამ დათვს ყვირილი და ყინულების სროლა დაუწყო. დათვი გაბრაზდა და ორივეს გამოეკიდა. გამორბიან ჩუქჩა და პროფესორი და მოსდევს დათვი. პროფესორმა იფიქრა, — ნეტავ, რას გავურბივარ ამ აქოთებულ ნადირსო? მოტრიალდა, თოფი დაახალა და მოკლა.

— გადაირიე?! — აყვირდა ჩუქჩა — ეგ არის, რომ მითხარი, ჭკვიანი ვარო?!

— ვარ კიდეც! — არ შეეპუა პროფესორი.

— ჰოდა, თუ ეგრეა, მოჰკიდე ახლა მაგ დათვს ხელი და სახლამდე ზურგით ათრიე!

* * *

სიდედრი მიხოს ეკითხება:

— შვილო, ის კაცი თუ ნახე, გუშინ დახრჩობას რომ გადამარჩინა?

— ჰო, თვითონ მოვიდა და ბოდიში მომიხადა.

* * *

მესაათე კლიენტს ეუბნება:

— აჰა, წაიღე საათი, ოღონდ იცოდე, დღეში ორჯერ უნდა დაქოქო.

— ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?





* * *

— როგორ ფიქრობ, რა დახატა მხატვარმა ამ სურათზე — მზის ამოსვლა თუ ჩასვლა?
— დარწმუნებული ვარ, ჩასვლაა.
— რატომ?
— კარგად ვიცნობ მაგ მხატვარს, შუადღემდე უყვარს ძილი.

* * *

ცოლი დგას მერვე სართულზე მოშენებული და დაუმთავრებელი ღია აივნის კიდეზე და ქმარს უყვირის:
— მომბეზრდა, აღარ მინდა შენნაირ ლოთთან და გიჟთან ცხოვრება! ახლავე უნდა დასრულდეს ყველაფერი! ერთი ნაბიჯი და ყველაფერი გათავდება!.. ხელს ნუ მკრავ, შე დეგენერატო!..

* * *

ინდიელი კოვბოის მწვადით უმასპინძლდება. ორივე მადიანად ილუკმება და თან, ლაპარაკობენ:
— რაღაც არ მომწონს ეგ თქვენი ბელადი, — ეუბნება კოვბოი.
— არ მოგწონს და ნუ ჭამ.

* * *

ებრაელი სახურავიდან გადმოვარდა, საკუთარი სამზარეულოს ღია ფანჯარას ჩაუფრინა და ცოლს შესძახა:
— სარა, ჩემთვის სადილი აღარ გააკეთო!

* * *

კაცი მიდის ექიმთან:
— ექიმო, მიშველეთ, ნახევრად ყრუ ვარ!
— ეგეთი რამ არ არსებობს ან ყრუ უნდა იყოთ, ან — არა.
— თუ არ გჯერათ, შემამოწმეთ.
ექიმი დაიჩურჩულებს: ორმოცდაოთხი და მერე ეკითხება:
— აბა, რა ვთქვი?
— ოცდაორი!

* * *

ორი ლოთი მაღაზიაში შევიდა. ერთი მეორეს ეკითხება:
— რამდენი ავიღოთ?
— ალბათ, ორი.
— ორი რა ამბავია, ერთი გვეყოფა.
— ერთი მარტო მე მინდა.
— რა გჭირს, რამ გაგალორა?!
— კარგი, ჰო, ერთი იყოს.
— ქალბატონო, ოთხი ბოთლი არაყი და ერთი პეჩენია მოგვეცით.

* * *

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ ქმარმა გცემათ, რომელიც ყავარჯნების დახმარებითაც ძლივს დადის?!
— ჩხუბამდე ყავარჯნებს არ ხმარობდა.

* * *

— ძვირფასო, ვგავარ იდეალურ ქალს?
— არა, შენ უფრო მეტი ხარ!..
— მაინც, რამდენად?
— ასე, 50 კილოგრამით მეტი!

* * *

— ჭიჭიკია, წინ რომ ოქროს კბილი გქონდა, რა უყავი?
— ბიჭიკიას ვათხოვე, გუშინ ქორწილში მიდიოდა.

* * *

ღამით მიხო მაროს აღვიძებს:
— ლოქოს ქინძმარში არ შასჭამდი?
— რატომაც არა, მიხო!
— მერე წადი და დაიჭირე.
— სად წავიდე, გაგიჟდი? გარეთ თოვს და თანაც, ღამეა.
— მაშინ ეგდე ჩუმადა!.. არ მამინდომა თევზი?!.

# გონების სავარჯიშო

## „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ჭაჭის გამოსაწურ წნეხს.
2. იგი ყველაზე გრძელი პალინდრომია მსოფლიოში (სიტყვა, რომელიც წაღმაც და უკუღმაც ერთნაირად იკითხება).
3. ფეხსაცმლის ზომები.
4. მოხალული მარცვლის ფქვილი.
5. მიხეილ თუმანიშვილი.
6. „მახლას" დანაწების გამომხატველი შორისდებულია და „რას იზამ", „რა გაეწყობას" ნიშნავს.
7. პავლე II-მ. იგი საკუთარი გვარდიის ოფიცრებმა მოკლეს.
8. „...24-ვო უტრომ!" (23 თებერვალი არმიის დღე გახლავთ, რასაც მთელი რუსეთი საყოველთაო ლოთობით აღნიშნავს, მეორე დღეს კი ნაბახუსევზე გამოდიან).
9. ათსართულიანი.
10. რობესპიერის შესახებ.
11. ისინი ყოველთვის ყაიმით მთავრდება.
12. რათა ისედაც რბილი ხორცი უფრო დაარბილონ.

# ჩვენი ფოტო გალერეა



ეს ფოტო მკითხველმა თამუნა ჭრელაშვილმა გამოგვიგზავნა და დაარქვა: სიყვარული ყველას უნდა

*შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.*

# ჰოროსკოპი

## (15-21 ოქტომბერი)

**ვერძი:**

ეგოისტურად იქცევით, რადგან მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავთ. ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ და კარგი იქნება, თუ მათ მიმართ მეტ ყურადღებას გამოიჩენთ.

**კურო:**

ახალი პერსპექტიული სამსახური გამოგიჩნდებათ და იდეებიც „შეგაწუხებთ“. ექიმის რეკომენდაციის გარეშე ნუ მიიღებთ პრეპარატებს. მეტი დრო დაუთმეთ ფიზიკურ ვარჯიშს.

**ტყუპი:**

სამუშაოს პარალელურად, საოჯახო საქმიანობისთვისაც მოიცალეთ. თუ ძალიან პრეტენზიული და კრიტიკული არ იქნებით, სასიყვარულო ურთიერთობაში გაგიმართლებთ.

**კირჩხიბი:**

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები მოაგვარეთ. კარგი იქნება, თუ სხვის, თუნდაც, შვილების საქმეებში არ ჩაერევით. ხალხმრავალ ადგილებში სიარულს მოერიდეთ.

**ლომი:**

ამ კვირაში ფული ზომიერად უნდა ხარჯოთ. საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ვალს ნუ დაიდებთ. კვირის ბოლოს შეეცადეთ, საოჯახო საქმეები მოაგვაროთ.

**ქალწული:**

სხვების დახმარებაზე უარს ნუ იტყვით და პირადი საქმეებიც მოაგვარეთ. დრო ისე გადაანაწილეთ, რომ ყველაფერი მოასწროთ. ნაკლები იფიქრეთ მეგობრებთან გართობასა და ინტერნეტზე.

**სასწორი:**

ფორტუნა გაგიღიმებთ და ამ კვირაში წარმატებას მიაღწევთ. გარშემო მყოფები საჩუქრებით გაგანებივრებენ. შემოქმედებითი იდეები თანამოაზრეებთან ერთად განახორციელეთ.

**მორიელი:**

ნუ გახდებით ჭორების მსხვერპლი. თავი აარიდეთ უაზრო კონფლიქტებს. სამსახურში კოლეგებთან ლოიალობა გამოიჩინეთ. კვირის მეორე ნახევარში ხანმოკლე მოგზაურობა გელით.

**მშვილდოსანი:**

ამ კვირაში უამრავ ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რაც მომავალში გამოგადგებათ. სასურველია ავეჯის განახლება. დასვენების დღეები მეგობრების, საყვარელი ადამიანის გარემოცვაში გაატარეთ.

**თხის რქა:**

ნუ იქნებით მეტისმეტად პირდაპირი. საკუთარი თავი რომ არ დააზარალოთ, სამსახურში სერიოზულ განცხადებებს ნუ გააკეთებთ. შესაძლოა, საზღვარგარეთ გამგზავრება მოგიხდეთ.

**მერწყული:**

კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის. თუ საკუთარ იდეებს დამაჯერებლად წამოაყენებთ, ხელმძღვანელობას დააინტერესებთ და მის მხარდაჭერასაც იგრძნობთ. უქმე დღეები შინ გაატარეთ.

**თევზები:**

რომანტიკულმა თავგადასავლებმა შესაძლოა, თავგზა აგიბნიოთ. შეეცადეთ, უფრო მობილიზებული გახდეთ. საკუთარი საქმის შესრულებას სხვას ნუ დაავალებთ. კვირის ბოლოს სამოსი შეიძინეთ.

# პატარები გენიოსობენ

**გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან**

3 წლის ბაჩი ბებოს ეუბნება:

— ეგ ტიტველი ქათამი არ გეცოდება? საწყალი, მაცივარში ხომ გაიყინება?!

2,5 წლის ათუკა ქიზიყურაშვილმა ანტიკვარული საათი გატეხა. შეცბუნებულმა და შეშინებულმა ბავშვმა ბაბუას მიმართა:

— ალა გაბრაზდე, ბაბუ, ალა გაბრაზდე.

ცოტა ხანში, როგორც კი იგრძნო, რომ ბაბუა არ უბრაზდებოდა, უთხრა:

— ბაბუ, თუ გინდა გაბრაზდი, მე ალ მეწკინება.

4 წლის ხატია არჩვაძეს ბიძა ესტუმრა, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ ფეხი მოიტეხა. გაკვირვებულმა ხატიამ დიდხანს უყურა ბიძას და ჰკითხა:

— ჯონი ძია, ახალი ფეხი ამოგივიდა?

8 წლის ლუკა შაიშმელაშვილი ტელევიზორს უყურებს, სადაც რუსეთ-ჩეჩნეთის ომს უჩვენებენ. ლუკა მამას ეკითხება:

— ვინ და ვინ ომობს?

— რუსები და ჩეჩნები, — პასუხობს მამა.

— ვინ იგებს?

— რუსები.

— რამდენით რამდენს?

5 წლის თამუნა ქოსაშვილი ჰყვება:

— იყო სამი გოჭი: პირველმა ვარკეთილში აიშენა სახლი, მეორემ — გლდანში, მესამემ ანუ ყველაზე მაგარმა — ვაკეში.

3 წლის ანა რურუა მამას მამიდასთან მიჰყავს. როცა ავტობუსი მდინარე ცხენისწყალზე გადადიოდა, მამამ აუხსნა: — შვილო, ეს ცხენისწყალიაო. ანა ეკითხება:

— მამი, ძროხის წყალი სად არის?!

ერთხელ გაიოზ ბაბუამ 2 წლის გვანცა მხრებზე შეისვა.

— ბაბუ, შუბლი გიჩანს, უკნიდან, — უთხრა პატარამ და თითი გამელოტებულ კეფაზე დაადო.



- 1 ვისიმე სიტყვების მარაგი
- 2 მხარე საქართველო-ში
- 3 ანტი-ლოპის სახეობა
- 4 დანიის დედაქალაქი
- 5 ამერიკის შტატი
- 6 რუსი მწერალი
- 7 ლონ-დონის ტაქსი
- 8 ლეპრა
- 9 თივის დიდი გროვა
- 10 ნახ-შირბა-დის ნაირსახეობა
- 11 ფრ-თოსანი ცხენი ბერძნ. მით.
- 12 ძვირ-ფასბეწვიანი მტაცებელი
- 13 ექსკურ-სიამძღოლი
- 14 წალკოტი უდაბნოში
- 15 ჰოლან-დიის ფეხბურთის გუნდი
- 16 ქართული ჟურნალი
- 17 თეა-ტრალური კოლექტივი
- 18 კრემიანი ნამცხვარი
- 19 უკრაინე-ლი მომღერალი ქალი
- 20 ქვეყანა ევროპაში
- 21 ძველი ქუთაისი
- 22 მაღალი ძელი
- 23 ქვევრი
- 24 პატარა ქვა
- 25 პრეპარატი აცრისათვის
- 26 ჩამონათვა-ლი
- 27 სა-ჰაერო ბრძოლის ოსტატი
- 28 შიშვე-ლი სხეული ხელოვნებაში
- 29 ბრა-ზილიე-ლი ფეხბურთელი
- 30 ჩინეთის საინფორმა-ციო სააგენტო
- 31 მუხის ნაყოფი
- 32 ესპანე-თის ფეხბურთის გუნდი
- 33 კათოლიკე მღვდელი
- 34 თხის ხმიანობა
- 35 ბავშვის საბანი
- 36 სტადიონი ვალენსიაში
- 37 ბრედ პიტის პირველი ცოლი
- 38 კომში
- 39 ბოსტნე-ული
- 40 ნაცვალ-სახელი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ფარსადანი; 2. რუპია; 3. კატრენი; 4. საინი; 5. ესპერანტო; 6. არსენალი; 7. ონკოლოგია; 8. ნოკია; 9. დაივერი; 10. ვარიანი; 11. სატირა; 12. ალიკაპი; 13. ავერსი; 14. სამიკიტნო; 15. კლინიკა; 16. ევრო; 17. მიხაკი; 18. კიი; 19. ჯინ; 20. რკო; 21. კასიდა; 22. ფრიალი; 23. ტირიფი; 24. აჯიკა; 25. რობერტო; 26. ისანი; 27. კორპი; 28. ნო; 29. სოფია; 30. კლასერი; 31. ასპიტი; 32. ბოთე; 33. ნასა; 34. გო; 35. ლეპტოპი; 36. იორდანია; 37. პისტოლეტი; 38. ბოლივია.

**სურათები:** 1. ფრედერიკ დიფენტალი; 2. სოფი მარსო.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | ა | ს | ო | დ | ე | ს | ი | წ | ყ | ე | ნ | ე | ნ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | რ | ე | გ | ნ | ა | ა | | | ე | რ | ე | ზ | ი | ნ | ი | | | მ | ე | ნ | ი | მ | ს | ქ | ქ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**ჩ**. ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ**. მამაკაცის პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე**. მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ**. ქართული, სატირულ-იუმორისტული ჟურნალი, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა; **თ**. მეტსახელი; **ა**. ქვითკირის სამარე; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე**. ატმოსფერული მოვლენა; **რ**. ერთნახადი სუსტი არაყი; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა**. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში (მისი სახელი რუსებმა თავის დროზე ერთ მურდალ კრეისერს უწოდეს); **დ**. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე; **ა**. ზღვის ტალღების ზემოქმედებით ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა**. მექანიკური მუსიკალური საკრავი. წარმოადგენს დიდ ყუთს, რომელსაც მხარზე ღვედით იკიდებენ და ტარის ტრიალით უკრავენ; **ს**. კრებულში, ჟურნალსა ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები; **ო**. ნორვეგიის დედაქალაქი; **დ**. ხანი, ჟამი; **ე**. მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში; **ს**. პატარა თევზსაჭერი გემი; **ი**. ურანოსი — გეა, კრონოსი — რეა, ზევსი — ჰერა, იუპიტერი — ?; **წ**. ფეხის წინა ნაწილი მუხლიდან კოჭამდე; **ყ**. თავისსავე ქონში მოხრაკული ხორცი ხახვით; **ე**. რა ერქვა ჰემინგუეის; **ნ**. რა ერქვა ლენინის ცოლს; **ე**. საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ნ**. ქართული ხალხური ანტიბიოტიკი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**პასუხები:** **გ**. გაბელია; **ა**. აგუტინი; **ე**. ებრაელი; **რ**. რითმა; **თ**. თეირანი; **ე**. ენდრო; **დ**. დიალოგი; **ა**. ასმათი; **დ**. დიოგენე; **ა**. ამერიკა; **ი**. ინდოეთი; **ს**. სლალომი; **ვ**. ვენდეტა; **ე**. ეტიკეტი; **ნ**. ნამქერი; **ე**. ეტალონი; **გ**. გამბიტი; **ზ**. ზვარაკი; **ა**. ანცი; **ს**. სოსელო; **თ**. თოდაძე; **ა**. ავანსი; **ნ**. ნარცისი; **ე**. ელჩი; **რ**. რვეული; **თ**. თიბათვე; **ა**. ალარიხი; **დ**. დრო.

### გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

**ბურთი და მოედანი მამაცს დარჩებაო.**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 9 | 5 | 1 | 2 | 6 | 3 | 8 |
| 1 | 3 | 6 | 8 | 7 | 9 | 5 | 2 | 4 |
| 8 | 2 | 5 | 3 | 4 | 6 | 1 | 7 | 9 |
| 9 | 5 | 1 | 7 | 8 | 4 | 3 | 6 | 2 |
| 4 | 6 | 2 | 9 | 5 | 3 | 8 | 1 | 7 |
| 3 | 8 | 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 4 | 5 |
| 2 | 1 | 8 | 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 6 | 9 | 3 | 4 | 2 | 5 | 7 | 8 | 1 |
| 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 9 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 3 | 4 | 8 | 2 | 9 | 5 | 1 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 4 | 5 | 7 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 8 | 2 | 5 | 6 | 4 | 7 | 9 | 3 |
| 6 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 |
| 9 | 5 | 7 | 3 | 8 | 1 | 4 | 6 | 2 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 7 | 1 | 5 | 6 | 8 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 3 | 9 | 1 | 2 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 3 | 4 | 7 | 9 | 8 | 2 |
| 7 | 8 | 2 | 5 | 6 | 9 | 3 | 1 | 4 |
| 6 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 5 | 4 | 7 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 1 | 6 | 8 | 9 | 3 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 8 | 5 | 2 | 6 | 1 |
| 8 | 2 | 1 | 6 | 3 | 4 | 7 | 5 | 9 |
| 5 | 4 | 6 | 9 | 7 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 1 | 4 | 2 | 6 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 8 | | | 7 | | |
| | | 4 | | | 9 | | | 2 |
| | 3 | | | 4 | | 6 | 9 | |
| 4 | | | | 6 | | 3 | | |
| | | 7 | | 5 | 2 | 8 | | |
| | | 2 | | | 8 | | | 4 |
| | 2 | 3 | | 8 | | | 1 | |
| 9 | | | 7 | | | 2 | | |
| | | 1 | | | 3 | | | 6 |

* * საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | | 1 | | | 7 | | |
| | | 5 | | | 3 | 4 | 8 | |
| | 8 | | | | 5 | | 1 | |
| | | 4 | 5 | | | | 2 | |
| 5 | | | | | 6 | | | 3 |
| | 7 | | 4 | | 9 | 1 | | |
| | 5 | | 9 | | | | 7 | |
| | 1 | 2 | 6 | | | 8 | | |
| | | 6 | | | 2 | | | 1 |

* * * რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 7 | | 1 | | |
| | | 3 | 8 | 9 | | | | 4 |
| | 5 | | 6 | | | | 2 | |
| | 3 | 2 | | 6 | | | 7 | |
| | 6 | | | 4 | | | 1 | |
| | 7 | | | | | 4 | 9 | |
| | 9 | | | | 1 | | 3 | |
| 3 | | | | 8 | 2 | 9 | | |
| | | 5 | | 3 | | | | 1 |

# ფოტოკურიოზები













ლალი
მოროშკინა









# მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი

გამომცემლობა
„პალიტრა L“